

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიაო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი
სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის და კანონიკური სამართლის
შესწავლისა და კვლევის ცენტრი
(იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი)

OVIDIUS UNIVERSITY OF CONSTANTZA
THE CENTRE FOR RELIGIOUS AND JURIDICAL-CANONICAL STUDY
AND RESEARCH OF THREE MONOTHEISTIC RELIGIONS
(MOSAIC, CHRISTIAN AND ISLAMIC)

ბათუმი წარსული და თანამედროვეობა

IX

BATUMI PAST AND PRESENT

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები ბათუმი,
2018 წლის 31 აგვისტო - 1 სექტემბერი
Proceedings of the International conference
Batumi, August 31 - September 1, 2018



გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2018

UDC (უკ) 378.4(479.223)(063)+94(479.223-25)

ბ-179

*სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ქალაქ ბათუმის მერიას
კონფერენციისა და კრებულის დაფინანსებისათვის*

სარედაქციო კოლეგია: ბიჭიკო დიასამიძე (*მთავარი რედაქტორი*), ოლეგ ჯიბაშვილი (*პასუხისმგებელი რედაქტორი*), ირმა ბაგრატიონი, ხათუნა დიასამიძე, ნიკოლაი დურა (კონსტანცა), ირინე ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი), როინ მალაყმაძე, სულხან მამულაძე, კატალინა მიტიტელუ (კონსტანცა), მერაბ მეგრელიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, გურამ ჩაგანავა, მაია ჭიჭილეიშვილი

რეცენზენტები: ამირან კახიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რამაზ ხალვაში – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გელა საითიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

EDITORIAL BOARD: Bichiko Diasamidze (*Editor-In-Chief*), Oleg Jibashvili (*Responsible Editor*), Irma Bagrationi, Khatuna Diasamidze, Nicolae V. Dură (Constanta), Irine Varshalomidze, Giorgi Tavamaishvili, Otar Turmanidze, Nino Inaishvili, Nodar Kakhidze, Guram Lortkipanidze (Tbilisi), Roïn Malakmadze, Sulkhan Mamuladze, Cătălina Mititelu (Constanta), Merab Megrelishvili, Avtandil Nikoleishvili (Kutaisi), Gela Saitidze (Tbilisi), Ucha Okropiridze, Shushana Phutkaradze, Elza Phutkaradze, Guram Chaganava, Maia Chichileishvili

REVIEWERS: Amiran Kakhidze – Doctor of Historical Sciences
Ramaz Khalvashi – Doctor of Philological Sciences
Gela Saitidze – Doctor of Historical Sciences

ISSN 1987-8745

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2018

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2018

რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო, წინამდებარე კრებულს წინა კრებულებისგან ოდნავ განსხვავებულ ფორმატში წარმოგიდგენთ, რადგან 2018 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს ჩატარებული IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ მხოლოდ პირველი დღე მიეძღვნა საკონფერენციო მოხსენებების მოსმენა-განხილვას, მეორე დღე კი დაეთმო წარმოშობით ბათუმელის, ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, ამ კონფერენციათა აქტიური მონაწილის, პროფესორ **გურამ ლორთქიფანიძის** დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომას.

ამდენად, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს კრებულში თან ერთვის საიუბილეო სხდომის ამსახველი მასალებიც, რაც ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის. ბატონი გურამი იმსახურებს პატივისცემის ასეთ მოკრძალებულ გამოხატვას, როგორც მშობლიური ბათუმისაგან, ისე, ზოგადად, სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთაგან. ვფიქრობთ, ამით კრებულსაც კიდევ მეტი დატვირთვა, შინაარსი და ღირსება შეემატება.

From the Editor

Dear reader, the format of the offered proceedings is a bit different from the previous ones, since the only first day of the International Scientific Conference “Batumi, Past and Modernity” 31st August – 1st September 2018 was dedicated to the presentation and discussion of the conference reports, whereas the second day was devoted to the 80th anniversary session of the well-known scientist and researcher, member-correspondent of the Georgian Academy of Sciences, avid participant of these conferences, Professor **Guram Lortkipanidze**. As a thing of pride Professor Guram Lortkipanidze’s background is associated with Batumi.

Thus the proceedings includes the anniversary session material alongside the conference reports that will get the special attention of the readers. Professor Guram Lortkipanidze deserves this modest respect as from native Batumi, from the representatives of the scientific field as well. Furthermore, it will also enhance the importance and value of the proceedings.

სარჩევი – Contents

Tamar Aburjania, Yuri Simonov (Moscow, Russia) The Social Features of the Education in the Batumi Tourism Industry	17
თამარ აბურჯანია, იური სიმონოვი (მოსკოვი, რუსეთი) განათლების სოციალური მახასიათებლები ბათუმის ტურისტულ ინდუსტრიაში	26
მაია აზმაიფარაშვილი (გორი, საქართველო) ბათუმი, საქართველოს რივიერა და ზღვისპირა საკურორტო ზონის თანამედროვე გამოწვევები	30
Maia Azmaiparashvili (Gori, Georgia) Batumi, Georgia Riviera and Contemporary Challenges for the Seaside resort zone	38
Mariam Antadze, Van Liang Kong (Siping, China) For the Issue of the Culturological Aspects of Greek Education from the History of Batumi	39
მარიამ ანთაძე, ვან ლიან კონგი (სიპინგი, ჩინეთი) ბერძნული განათლების კულტუროლოგიური ასპექტები ბათუმის ისტორიიდან	43
აბესალომ ასლანიძე (ბათუმი, საქართველო) მუსლიმური სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები ქალაქ ბათუმში და მთლიანად აჭარაში	46
Abesalom Aslanidze (Batumi, Georgia) Muslim Educational Institutions in Batumi and Entire Ajara	53
Даниел Афхазава (Казань, Россия) Некоторые критерии уголовного права	54
დანიელ აფხაზავა (ყაზანი, რუსეთი) სისხლის სამართლის ზოგიერთი კრიტერიუმი	56
დურმიშხან აფხაზავა (ყაზანი, რუსეთი) სოფიო ქარცივაძე (ბათუმი, საქართველო) შეგულების უფლება ქართულ კანონმდებლობაში	58
Durmishkhan Apkhazava (Kazan, Russia) Sophio Kartsivadze (Batumi, Georgia) The Right to Vacation in Georgian Legislation	63
ნარგიზ ახვლედიანი (ბათუმი, საქართველო) კვლავ ერთი ტოპონიმის ექსტრალინგვისტური კვლევისათვის ბათუმის შემოგარენში	64
Nargiz Akhvlediani (Batumi, Georgia) Once Again on Extralinguistic Study of One Toponym in Batumi Vicinities	70
ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე (ბათუმი, საქართველო) ბრიტანული საოკუპაციო ჯარის შემადგენლობა ბათუმში (1918-1920 წწ.)	71

Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze (Batumi, Georgia) The Ethnic Composition of British Occupation Forces in Batumi (1918-1920)	75
გია გელაშვილი (თბილისი, საქართველო) ორი ინგლისური დოკუმენტი ბათუმის შესახებ (1856, 1857) Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia) Two English Documents about Batumi (1856, 1857)	76 79
გიული გიგუაშვილი (გორი, საქართველო) სოფლად ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები აჭარაში Giuli Giguashvili (Gori, Georgia) The Main Directions of the State Policy of Rural Tourism Development in Ajara	80 89
თამარ გოგოლაძე (გორი, საქართველო) ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში სხვადასხვა მოგონებისა და ნარკვევის მიხედვით Tamar Gogoladze (Gori, Georgia) Alexander Kazbegi in Batumi in the Memories and Essays of Different People	90 95
ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი, საქართველო) კულტურული ცხოვრება ბათუმში 1878 - 1901 წლებში Otar Gogolishvili (Batumi, Georgia) Cultural Living in Batumi 1878-1901	96 105
Özgün Günaydın (Adapazari, Turkey) Irma Bagrationi (Batumi, Georgia) The Worldview Aspects of Some Foreign Essays on Social Issues of Batumi ოზგუნ გუნაიდინი (ადაფაზარი, თურქეთი) ირმა ბაგრაციონი (ბათუმი, საქართველო) ბათუმის სოციალურ საკითხთა შესახებ ზოგიერთი უცხოური ესსეს მსოფლმხედველობრივი ასპექტები	106 112
ბიჩიკო დიასამიძე (ბათუმი, საქართველო) „ნავთის ქალაქი“ ბათუმში Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia) „Kerasine City“ in Batumi	119 125
სერგო დუმბაძე (ბათუმი, საქართველო) ბათუმი მეორე მსოფლიო ომში (1939-1945 წწ) Sergo Dumbadze (Batumi, Georgia) Batumi in the Second World War Period (1939-1945 years)	126 133
ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე (ბათუმი, საქართველო) ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული რუსუდან დედოფლის მონეტები	134

Irine Varshalomidze, Nino Dzeladze (Batumi, Georgia) The Coins of Queen Rusudan Preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara	138
გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი (ქუთაისი, საქართველო) ბრიტანელი ქართველოლოგი უილიამ დეივიდ ალენი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის და ბათუმის შესახებ	141
Goderdzi vachridze, Sulkhan kuprashvili (Kutaisi, Georgia) British Kartvelologist William Edvard David Allen about Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi	147
შოთა ზოიძე (ბათუმი, საქართველო) რუსი მწერლები და მოღვაწეები ბათუმში	148
Шота Зоидзе (Батуми, Грузия) Русские писатели и общественные деятели в Батуми	156
ოთარ თურმანიძე (ბათუმი, საქართველო) ზეთისხილის მეურნეობა ბათუმის ოლქში და განვითარების პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოში	157
Otar Turmanidze (Batumi, Georgia) Olive Farm in Batumi District and Development Perspectives in Georgia	166
მარიამ კობერიძე (გორი, საქართველო) კარლ ჰაინრიხ ემილ კოხის ცნობები ბათუმის შესახებ	167
Mariam Koberidze (Gori, Georgia) Karl Heinrich Emil Koch's Notifications About Batumi	174
გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი, საქართველო) „დავითის ფარის“ (მაგენ დავიდი) გამოსახულება II-III სს. ებრაულ საკინძზე (გონიო-აფსაროსი)	175
Guram Lortkipanidze (Tbilisi, Georgia) Image of David's Shield (Magen David) on the II-III cc. Jewish Fastener (Gonio-Apsaros)	177
შორენა მახაჩაძე (ბათუმი, საქართველო) ძველი ბათუმი და ბათუმელები (ნუგზარ ჯაფარიძის მემუარების „მოგზაურობა ბათუმში“ მიხედვით)	180
Shorena Makhachadze (Batumi, Georgia) Old Batumi and Citizens of Batumi (According to Nugzar Japaridze/s Memoirs "Journey to Batumi")	188
მერაბ მეგრელიშვილი (ბათუმი, საქართველო) საარქივო დოკუმენტები აზიზიეს მეჩეთის შესახებ	189
Merab Megrelishvili (Batumi, Georgia) Archived Documents about Aziziye Mosque	194

ნაილე მიქელაძე (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის	195
Naile Mikeladze (Batumi, Georgia)	
For Etymology of Some Geographical Names of Batumi	201
ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი, საქართველო)	
ბათუმი და ბათუმთან დაკავშირებული რეალები ოთარ ჭილაძის რომანში „რკინის თეატრი“	202
Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)	
Batumi and Realities Related to Batumi in Otar Chiladze's Novel "Iron Theatre"	211
ოთარ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი, საქართველო)	
ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს ისტორიიდან ბათუმში	212
Otar Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)	
From the History of American Consulate in Batumi	219
უჩა ოქროპირიძე (ბათუმი, საქართველო)	
ხასან თხილაიშვილი ქობულეთურ-ბათუმურ ხალხურ გადმოცემებსა და ლექსებში	220
Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)	
Khasan Tkhilaishvili in the Folklore and Poems in the Regions of Kobuleti and Batumi	226
ლელა სარალიძე (თბილისი, საქართველო)	
ინგლისის ხელისუფლების პოლიტიკა ბათუმში 1919-1920 წლებში (ახალი საარქივო დოკუმენტების მიხედვით)	227
Lela Saralidze (Tbili, Georgia)	
The Policy of the English Government in Batumi in 1919-1920 (According to New Archive Documents)	235
რამაზ სურმანიძე (ბათუმი, საქართველო)	
ერთი ბათუმური გვარის ეტიმოლოგია (ვარშანიძე)	237
Ramaz Surmanidze (Batumi, Georgia)	
Etymology of One Surname from Batumi (Varshanidze)	241
ტარიელ ფუტკარაძე (თბილისი, საქართველო)	
ქორონიმები: „ბათუმის ოლქი“ და „ბათუმის მხარე“ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში	243
Tariel Putkaradze (Tbilisi, Georgia)	
Choronyms: "Batumi District" and "Batumi Area" in Historical Literature	249
შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის სახე ნური ეფენდი-თავდგირიძის პოეზიაში	250
Shushana Phutkaradze, Roin Malakmadze (Batumi, Georgia)	
Reature of Batumi in the Poetry of Nuri Efendi Tavdgiridze	257

ეთერ ქავთარაძე (თბილისი, საქართველო)	
აჭარის პრობლემები და ქართველი საზოგადო მოღვაწეები	258
Eter Kavtaradze (Tbilisi, Georgia)	
Problems of Adjara and Georgian Public Figures	261
 ნაილა ჩელებაძე (ბათუმი, საქართველო)	
ივანე მესხი ბათუმში სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ	262
Naila Chelebadze (Batumi, Georgia)	
Ivane Meskhi about the State Education in Batumi	272
 ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო)	
ზაურ ციხელაშვილი, პაატა გიორგაძე (თბილისი, საქართველო)	
ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის	
დაგეგმვის მათემატიკურ-დესკრიფციული აღწერის საკითხისათვის	273
Nodar Chkheidze (Batumi, Georgia)	
Zaur Tsikhelashvili, Paata Giorgadze (Tbilisi, Georgia)	
For the Mathematical Description of the Experimental Exam Process of Link Models	277
 მაია ჭიჭილეიშვილი (ბათუმი, საქართველო)	
საბჭოთა პერიოდის ერთი ელიტარული სახლის შესახებ ბათუმში	278
Maia Tchitchileishvili (Batumi, Georgia)	
On an Elite House of Soviet Period in Batumi	286
 თინათინ ჯაბადარი (თბილისი, საქართველო)	
ბათუმის ოლქის მილიციის ისტორიისთვის 1922-1925 წლებში	
(ეროვნული არქიში დაცული დოკუმენტების მიხედვით)	289
Tinatin Jabadari (Tbilisi, Georgia)	
The District of Batumi District in 1922-1925	
(According to Documents Protected in the National Archives)	299
 ოლეგ ჯიბაშვილი (ბათუმი, საქართველო)	
საბრძოლო მოქმედებები ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით	
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში	300
Oleg Jibashvili (Batumi, Georgia)	
The Battle-Operations Towards Kobuleti and Batumi	
in Russo-Turkish War of 1877-1878	310

კრებულის ავტორები Authors of the Articles

აბურჯანია თამარი (მოსკოვი, რუსეთი)

მოსკოვის მსოფლიო ცივილიზაციათა ინსტიტუტის სოციალური ტექნოლოგიების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრი

Tamar Aburjania (Moscow, Russia)

Magister Student of Educational Program in Economics at the Faculty of Social Technology of Moscow Institute of World Civilizations

აზმაიფარაშვილი მაია (გორი, საქართველო)

ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ეკოლოგიის დეპარტამენტი)

Azmaiparashvili Maia (Gori, Georgia)

PhD in Ecology, Associate Professor of Gori State Teaching University, Correspondent Member of Georgian Engineering Academy (Ecology Department)

ანთაძე მარიამი (სიპინი, ჩინეთი)

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სტაჟიორი სტუდენტი (გაცვლითი პროგრამით საქართველოდან): ძილინის პედაგოგიური უნივერსიტეტის (ყოფილი ძილინის პედაგოგიური ინსტიტუტის) ჩინური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველი კურსის მაგისტრი.

Antadze Mariam (Siping, China)

Exchange Student of specialisation in International Relations of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia: First Year Magister Student of the Faculty of Chinese Philology; Jilin Province of China, Jilin Normal University (Siping Normal Institute)

ასლანიძე აბესალომი (ბათუმი, საქართველო)

ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების სპეციალისტი

Aslanidze Abesalom (Batumi, Georgia)

PhD in Philosophy, Specialist of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

აფხაზა დანიელი (ყაზანი, რუსეთი)

ყაზანის (ვოლგისპირეთის რეგიონის) ფედერალური უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი

Афхаза Даниел (Казан, Россия)

Аспирант кафедры уголовного права Казанского (Приволжского) федерального университета

Postgraduate Student, Department of Criminal Law, Kazan (Volga Region) Federal University

აფხაზავა დურმიშხანი (ყაზანი, რუსეთი)

ყაზანის (ვოლგისპირეთის რეგიონის) ფედერალური უნივერსიტეტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის კათედრის ასისტენტი

Афхазова Дурмишхан (Казан, Россия)

Ассистент кафедры международного и европейского права Казанского (Приволжского) федерального университета

Afkhazava Durmishkhan (Kazan, Russia)

Assistant to Department of the International and European Law Kazan (Volga Region) Federal University

ახვლედიანი ნარგიზი (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Akhvlediani Nargiz (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ბაგრატიონი ირმა (ბათუმი, საქართველო)

ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

Bagrationi Irma (Batumi, Georgia)

PhD in Philosophy, Assistant Professor Batumi Shota Rustaveli State University

ბარამიძე ირაკლი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

Baramidze Irakli (Batumi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

გელაშვილი გია (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Gelashvili Gia (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გიგუაშვილი გიული (გორი, საქართველო)

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Giguashvili Giuli (Gori, Georgia)

PhD in Economics, Professor of Gori State Teaching University

გიორგაძე პაატა (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

Giorgadze Paata (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of Georgian Engineering Academy, Professor of Georgian Technical University

გოგოლაძე თამარი (გორი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Gogoladze Tamar (Gori, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor, Gori State Teaching University

გოგოლიშვილი ოთარი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Gogolishvili Otar (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

გუნაიძინი ოზგუნ (ადაფაზარი, თურქეთი)

საქარიას სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის არქიტექტურისა და დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

Günaydin Özgün (Adapazari, Turkey)

Postgraduate Doctoral Student of Architecture and Design Program at the Faculty of Architecture and History of Art of Sakarya State Technical University

დიასამიძე ბიჭიკო (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი

Diasamidze Bichiko (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus, Head of Department of History and Archaeology at Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

დიასამიძე ხათუნა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

Khatuna Diasamidze (Batumi, Georgia)

PhD in History, Assistant Professor of Department of History, Archeology and Ethnology, Deputy-dean at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

დუმბაძე სერგო (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი

Dumbadze Sergo (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus

ვარშალომიძე ირინე (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Varshalomidze Irine (Batumi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

ვაჭრიძე გოდერძი (ქუთაისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Vachridze Goderdzi (Kutaisi, Georgia)
PhD in History, Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University

ზოიძე შოთა (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Zoidze Shota (Batumi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Professor Emeritus, Principal Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

თურმანიძე ოთარი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Turmanidze Otar (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

კობერიძე მარიამი (გორი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Koberidze Mariam (Gori, Georgia)
PhD in Philology, Professor of Gori State Teaching University

კონგი ვან ლიანი (სიპინი, ჩინეთი)
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ძილინის პედაგოგიური უნივერსიტეტის ჩინური ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის პროფესორი.

Kong Van Liang (Siping, China)

Doctor of Philological Sciences, Professor of Department of Chinese Language and Literature
Jilin Province of China, Jilin Normal University (Siping Normal Institute)

კუპრაშვილი სულხანი (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

kuprashvili Sulkhan (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Professor, Head of the Department of History and Archaeology at Kutaisi Akaki Tsereteli State University

ლორთქიფანიძე გურამი (თბილისი, საქართველო)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

Lortkipanidze Guram (Tbilisi, Georgia)

Professor Emeritus of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of the Israel Center, Correspondent Member of the National Academy of Sciences

მალაყმაძე როინი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Malakmadze Roini (Batumi, Georgia)

PhD in History, Director of Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

მახაჭაძე შორენა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Makhachadze Shorena (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

მეგრელიშვილი მერაბი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

Megrelishvili Merab (Batumi, Georgia)

PhD in History, Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

მიქელაძე ნაილე (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

Mikeladze Naile (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ნიკოლეიშვილი ავთანდილი (ქუთაისი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

Nikoleishvili Avtandil (Kutaisi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor, Head of Department of Georgian Philology, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ნიკოლეიშვილი ოთარი (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Nikoleishvili Otar (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ოქროპირიძე უჩა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Okropiridze Ucha (Batumi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

სარალიძე ლელა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Saralidze Lela (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სიმონოვი იური (მოსკოვი, რუსეთი)

მოსკოვის მსოფლიო ცივილიზაციათა ინსტიტუტის სოციალური ტექნოლოგიების ფაკულტეტის მსოფლიო კულტურის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორი

Yuri Simonov (Moscow, Russia)

Professor of Educational Program in World Culture at the Faculty of Social Technology of Moscow Institute of World Civilizations

სურმანიძე რამაზი (ბათუმი, საქართველო)

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი

Surmanidze Ramaz (Batumi, Georgia)

Doctor of Medical Sciences, Professor, Rector, Batumi Medical-Ecological Institute

ფუტკარაძე ტარიელი (თბილისი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

Phutkaradze Tariel (Tbilisi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor of St. Andrew the First-Called Georgian university of Georgian Patriarchate

ფუტკარაძე შუშანა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი

Phutkaradze Shushana (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Emeritus Professor, Head of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

ქავთარაძე ეთერი (თბილისი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Kavtaradze Eteri (Tbilisi, Georgia)

PhD in Philology, Principal Researcher of Georgian National Centre of Manuscripts

ქარცივაძე სოფიო (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრი

Sophio Kartsivadze (Batumi, Georgia)

Master of Social Sciences, Business and Law Faculty, Batumi Shota Rustaveli State University

ჩელეაძე ნაილა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Chelebadze Naila (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ჩხეიძე ნოდარი (ბათუმი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Chkeidze Nodar (Batumi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Batumi Rustaveli State University

ციხელაშვილი ზაური (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

Tsikhelashvili Zaur (Tbilisi, Georgia)

Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Georgian Technical University

ძნელაძე ნინო (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

Dzneladze Nino (Batumi, Georgia)

PhD in History, Batumi Archaeological Museum Scientist

ჭიჭილეიშვილი მაია (ბათუმი, საქართველო)

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Chichileishvili Maia (Batumi, Georgia)

PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of Batumi Art Teaching University

ჯაბადარი თინათინი (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

Jabadari Tinatin (Tbilisi, Georgia)

National Archives of Georgia, Senior Specialist of the Department of Use of Documents of the National Archival Fund of Central Archive of Modern History

ჯიბაშვილი ოლეგი (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

Jibashvili Oleg (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

THE SOCIAL FEATURES OF THE EDUCATION IN THE BATUMI TOURISM INDUSTRY

It is best known that tourism education and studies are the threshold of a successful carrier in the tourism and travel industry and many institutes either private or public are trying to advance the level of their programs in order to attract more students. Tourism is a huge industry that yields millions in revenues every year. Tourism studies play a major role in the preparation of future leaders and a well trained labor force can boost a destination or make the difference in a more globalized environment and more competitive market. Specialized studies in the tourism field are growing fast as global travel is increasing both in the business and in the leisure field. This means that the trained staff must be prepared to cope with a multicultural clientele and has to have the right qualifications to fit in today's environment.

We must note here that today's educational programs in the Batumi Tourism Industry are trying to adjust in this kind of thinking and concentrate both to the industry and to the students needs. The hospitality sector is a strong segment within the tourism industry and many schools are offering hospitality studies based on a constant contact with hotel operators which gives the opportunity to students to practice in real conditions. Practice is the key for a successful carrier in the tourism industry as the real environment gives the whole idea and taste as the theoretical basis and knowledge acquired in schools sets the fundamental steps for the future. Tourism management is essential also in the academic programs especially in Batumi and many Batumian institutes either private or public have management studies in their academic programs. Important though is the fact of the internship and how the studies that one student is receiving will lead to a future job in the tourism field. Many schools in Batumi are working closely with companies and organizations within the industry and offer internship credits that help them to have access to the market.

As we see from the history of educational thinking, furthermore the number of the students who choose to follow a carrier in the Batumi tourism sector is increasing. The biggest markets in the tourism industry that offer equal level of studies are

the Georgia. Adjara region's tourism growth is increasing fast and this will help the opening of more tourism related schools in the continent as there is a significant lack of specialized institutes in the region. The various institutes and tourism colleges around the world, especially in the big markets are hosting many students who are from different countries. Undergraduates or future students that choose tourism as their future carrier depends on their needs and standards but its crucial if the college or the institute can open the door to the working place. The suggestion introduced in this report is that throughout history people have created showcases of their beliefs, values and cultural productions, and that these have formed a central focus for tourists. The study of them in relation to the communication processes concerned can be of great value. There are some important differences in the educational programs offered by institutes in Batumi. Unquestionable, the systems in Batumi – where the heart of the tourism industry lies – are the most advanced and comply more with the needs of the industry. Until the mid to late 90's Georgian schools were more technically or skill oriented but now include management related courses. Here it needs to be noticed, that according to Deans from respectful universities and schools, tourism companies and tourism organizations around the world are searching for those most skilled persons that can be trustworthy and adjust easily in the rapid changes of the industry [*Machin, 2000:71-72*]. People who are responsible and don't hesitate to take action are highly appreciate it in a more tough and competitive environment. But two requirements are in the pole position of the preferences: Staff that is trained in multicultural norms and Teamwork and leadership.

We must note here that educational research is very important for understanding the trends of the global travel market. This market is changing rapidly and private and public institutes are launching research programs or trying to advance the already existing ones in order to cope with the industry needs. Many institutes in Batumi are in close cooperation with companies and conduct researches. The institutes pay attention to the results of the surveys or research either being conducted by them or by the companies in order to come out with useful information and data which will give guidance lines to their academic programs. A perspective on tourism which is conspicuous by its absence from most current debate. It will propose the view that tourism should be considered more than it is now as an educative activity. This is not just in the narrower sense of formal schooling, but in the broader sense of discovering the world. Tourism's origins were either primarily connected with education or at least had indirect connections. Present day discussion tends to under-

value the influence that tourism has in helping people to discover their world. The suggestion introduced in our research is that throughout history people have created showcases of their beliefs, values and cultural productions, and that these have formed a central focus for tourists. The study of them in relation to the communication processes concerned can be of great value. We conclude that another growing factor in the education in the tourism sector today is the e-learning method. This method is gaining ground as many universities and private schools have enhanced this system by giving more significance to the e-learning method. The imminent results were the growing number of students both in local and international level. But if this method is going to surpass the traditional way of teaching is still unclear.

The debates about Batumi tourism higher education curriculum have centred on issues of standardisation or diversification, and the choice between more specialised or broader subjects in the curriculum. However, the emphasis has tended to be on the form rather than the essence of curriculum design. What is the essence of tourism curriculum design? This question can be traced back to philosopher Herbert Spencer.. His famous question “What knowledge is of most worth?” has had considerable influence on curriculum thinking. Another version of Spencer’s question is: “Is what we are doing worthwhile?” The most important effect of his essay has been on curriculum theory. Spencer’s question must always be considered and reconsidered when curriculum designers make their decisions. Curriculum making is a comprehensive process, involving purpose, design, evaluation, and improvement with relevant constraints and opportunities. Many different individuals and groups can influence the curriculum. Clark identifies the following categories of curriculum decision makers: the public, political leaders, text publishers, the media, higher education personnel, professional organisations, school boards and central administration within school districts, teacher groups, and individual teachers. Although each of these players has an important role in the curriculum decision progress, the most dominant factor effecting the curriculum decision is social needs [*Smith & Jenner, 2009:104-107*]. Current higher education providers face changing conditions. The relationship between higher education and national economic growth has become closer than ever before. The governments of Batumi have reviewed the higher education system as a whole in the context of the system’s ability to serve the nation’s economy. Particular emphasis has been placed upon the responsibility of universities to graduate employable, as well as educated. Within the knowledge-based economy, higher education concentrates on the development of people’s emp-

loyability. To improve the ability of graduates to respond to changes in their future professions has become a mission of universities wishing to meet contemporary social needs. As the Batumi tourism industry develops, education and training programs are required to produce better-trained and more skilled staff to meet business needs. To ensure that education for a tourism career is relevant to employers within the sector, better communication between tourism education providers and the tourism sector is needed. This study put this curriculum thinking into practice. The study provides an avenue by which the tourism industry can be given a voice that may then influence future tourism curriculum decision making.

It is interesting that John Dewey stated a noted wisdom about education, saying that “All waste is due to isolation” in his “The School and Society”. This waste does not refer to the waste of money or the waste of things, but the primary waste of human life. Isolation could be various parts of the school system, such as the lack of unity in the aims of education, or the lack of coherence in studies and methods. Dewey stated that, “the great waste in the school comes from the child’s inability to utilise the experiences he gets outside the school in any complete and free way within the school itself; while, on the other hand, he is unable to apply in daily life what he is learning at school”. Dewey’s educational thinking calls for a connection between theory and practice. The organisation of the school system, rather than curriculum design, should intimately relate to life [*Kalinowski & Weiler, 1999:82-84*].

The waste in Batumi tourism education is due to isolation from real practice. If graduates from tourism education are unable to apply their skills and knowledge to tourism management practice, and if tourism management graduates are unable to satisfy the needs of the tourism industry, then tourism education is truly wasted. Herbert Spencer’s question “What knowledge is of most worth?” and John Dewey’s statement “All waste is due to isolation” provide thought-provoking debate about the nature of tourism education. Even though these theories were published nearly one century ago, these thoughts still offer profound insight and have fresh application in modern times. The way of escaping the ivory tower is to link theory to practice. It is without doubt that the vitality of tourism education relies on a robust relationship with the tourism industry. More empirical input from the industry will assist tourism curriculum design to stride over the limitations from educators and policy makers. This notion provides a foundation to the current study, which further develops the idea of communication between tourism education and the tourism industry, and

recommends breaking the isolation from social needs that currently characterises tourism education of Batumi.

In the Batumi tourism sector, tourism employers target candidates with particular skills and attributes for jobs. The quality of graduates is reflected by their knowledge, skills and abilities which enable them to function as a sophisticated professional in an information rich society. Skills and abilities have always been an important part of effective and successful participation in the workplace. Each university in Georgia develops generic skills according to their location and unique offerings. The graduate attributes or skills may therefore be slightly different from institution to institution. Thus, the tourism discipline attributes developed by the many tourism programs may be diverse. A research paradigm sets the context for a study, providing epistemological, ontological and methodological premises. Epistemology, the theory of knowledge, is concerned with the relationship between the research participant and the researcher. Ontology concerns the nature of reality and being. Methodology refers to the process and procedures of the research. A paradigm can be defined as a “set of interrelated assumptions about the social world which provides a philosophical and conceptual framework for the organised study of that world” [*Holdnak, 1996:207-209*]. The selected paradigm guides the philosophical assumptions about the research and leads to the selection of tools, instruments, participants, and methods. The research paradigm of this study is positivist, which emphasises dualism and objectivism. Positivist research assumes that the researcher, the research participants and research topics are independent of one another and that the participant and topic can be studied by the researcher without bias. Objectivity and research-subject independence are important guidelines for the research process. Positivists follow strict scientific methods and standard procedures, involving careful control and manipulation of variables. This part has discussed the respondents’ rate of response to the Education Survey, and identified the respondents’ profiles, such as their academic position, student types and highest level of educational qualification. The majority of the respondents in the Education Survey agreed that a tourism degree is beneficial for managing a tourism business; and more than half agreed that the tourism undergraduate curriculum is relevant to the tourism industry’s needs. Tourism academics’ views on the merits of subjects were also investigated. The top three important subjects are Sustainable Tourism, International Trends and Global Issues in Tourism, and Tourism Planning and Environment, which are all from the category of Tourism Theory. The category of Marketing is considered as the most

important area of study in terms of the needs of the tourism industry. Compared to the category of Employment Skills Study and Research Skills Study has a higher priority in Batumi tourism courses.

Batumi Tourism higher education has developed rapidly in response to the tourism industry's growth and labour demands over the last 40 years. Since tourism education has become increasingly recognised as a legitimate academic field of study, Batumian higher education institutions have developed to provide high-quality tourism education with a strong international reputation. Batumi, as one of the leading destinations in international education, has provided its strong tourism education as an export good that attracts enormous numbers of international students. As a young field of study, however, tourism higher education still faces uncertainties regarding the content and nature of tourism degrees, and great challenges in meeting the needs of the tourism industry. A range of research exists that has noted the problems of tourism higher education and which has suggested tourism curricula to meet practical needs. Limited research in Batumi, however, has systematically explored what the tourism industry needs in terms of knowledge and skills sets, and the extent to which tourism higher education meets these needs. In order to bridge the research gap, this study was conducted with the aim of investigating whether a gap exists between what education institutions provide in the way of tourism knowledge and skills sets and what knowledge and skills sets are required by the tourism industry. Through the implementation of two research steps explained in Chapter 3, the researcher has obtained data addressing this issue. Based on the analysis and discussion of these results, a summary of the findings in this study is presented below. This study first reveals that there is considerable variance between the respective views of industry professionals and academic providers in Batumi on the relative worth of tertiary degrees for tourism. The tourism industry appears to be less than enthusiastic about the relevance of a tourism degree and current tourism curricula. There are low levels of educational specificity in the tourism industry, and only a small percentage of tourism graduates are actually employed in the tourism industry. It is apparent that a more effective and attractive curricula tailored to the needs of the tourism industry is required. Secondly, this study reveals that there is considerable variance between the respective views of industry professionals and academic providers in Batumi on the relative merits of various skills and abilities needed to work in the tourism sector. Even though tourism academics and tourism practitioners share a common view on the need for some essential skills (for example

oral communication, team working skills, and organisational ability, etc.), views differ considerably on a number of skills such as critical thinking, work ethics and customer service skills. Tourism academics highly value strategic skills, while tourism practitioners value operational skills more highly. Tourism practitioners require the employee not only to know how to think, but also to know how to do the job. A stronger connection between theory and practice is essential in tourism curriculum to improve graduates' employment prospects [*Kalinowski & Weiler, 1999:54-55*].

Thirdly, this study reveals that there is considerable variance between the respective views of industry professionals and academic providers in Batumi on the relative merits of various subjects taught at university. Even though tourism academics and tourism practitioners share a common view on the importance of some subjects taught in the current tourism curricula, a significant gap between academics and practitioners appears in their perceptions about the importance of such subjects as Law, Sustainable Tourism, and Tourism Planning and Environment. The focus of tourism academics is much broader than commercially oriented subjects, while the tourism industry's focus is more on short-term business oriented subjects. That tourism academics place a low value on some subjects, such as Events Management, Special Interest Tourism, and Risk Crisis and Disaster Management, indicates an underdeveloped understanding of the current and future needs of the tourism industry. A better communication between tourism academics and tourism practitioners is required to balance the vocational and liberal aspects of the tourism curriculum.

The aim in investigating the gap between the perceptions of tourism educators and practitioners is to establish whether what we are doing is worthwhile. The fact that a gap exists should not raise undue concern; the real problem is an absence of action. This study calls for a direct intervention to manage and minimise the significance of the gap between the parties. The gap embodies the waste in tourism education; a waste due to isolation from real practice in the tourism industry. The only way for tourism curricula to meet the needs and expectations of the tourism industry is to establish a stronger connection between theory and practice. Based on this cognition, the proposed framework of "Industry-Education Cooperation Curriculum" seeks to balance educational missions and labour force needs. This framework is consistent with Tribe's model of the Philosophic Practitioner. Bridging the gap does not mean that tourism institutions have to drastically alter their missions. The institutions are doing well in providing knowledge about sustainable develop-

ment, environment and globalisation issues in a highly complex environment. What they need to do is to adapt their mission to educate students not only to be good thinkers, but also to be good practitioners for future employment. Bearing in mind Tribe's Philosophic Practitioner model for tourism education, the following options may be worth investigation.

Develop relationships between academia and industry through establishing a consultative forum which might include members of prestigious tourism associations and members of Georgian Vice-Chancellor Committee or a subset of this, such as the member institutions Vice-chancellors. Develop a professional interchange program allowing academics to gain experience in industry and allowing industry practitioners to work within a university setting as either lecturers or tutors. A good and successful example of an interchange program was the Senior Women in Management program in the Georgian Public Service, which run from 1988 until 2007 (when it was replaced by a new program). Participants in SWIM left their regular roles to undertake an up to 12-month, full-time development program. The home employer paid the employees' salary while they attended the program, which included job placements in a range of organisations. Placements provided opportunities for SWIM participants to work in roles outside their normal function and to increase their skills undertaking real projects on jobs for their host organisation. An interchange program with similar elements could be organised in tourism education institutions and the tourism sector. This could enable tourism academics to develop operational skills and industry experience, and educate tourism industry professionals with strategic thinking. Examine possibilities for internships and develop a more integrated approach across institutions to incorporating practical experience and providing academic status for students who undertake such internships or who have relevant tourism working experience. Develop processes for curriculum development that incorporate consultation with industry to inform and guide the process. Such processes should provide strong feedback loops to and from industry and education to facilitate continuous improvement and ensure continuing relevance. Develop better liaison and marketing skills for academic providers seeking funding and support from government and other providers. Whilst government acknowledges and indeed stresses the role of secondary and technical education in equipping students for work, little is done in regard to universities to recognise that link through creative funding approaches. Encourage governments to provide incentives to business to engage in exchange programs and to increase the number of internship

places, perhaps as an extension to the few apprenticeship programs [*Gibson, 2008:112-114*]. These options are consistent with Tribe's model seeking to combine a liberal and vocational approach to curriculum development. They also provide an opportunity for a reflective element to become part of the tourism degree in curriculum and overall approach. The gap identified in this study provides a direction for the future development of Batumi tourism higher education. There are a number of possible options for bridging the gap. It is recommended that academic providers and industry consider the options outlined above and investigate these and other options for curriculum enrichment and course development. This study has provided some evidence that further research would be beneficial in many areas. One such area is the development of a model for grouping and analysing tourism subjects. Tribe's typology, whilst useful as a starting point, was not readily adaptable to this research and lacked precision as a classification tool.

We must note here, that more research could also be undertaken on the value of processes for establishing and developing an "Tourism Industry-Education Cooperation Curriculum" [*Smith & Jenner, 2009:104-107*]. The relationship between tourism industry and education should to some extent be symbiotic. Industry could benefit substantially from the strategic expertise of universities, and universities could benefit from the close relationship of industry with government and consumers. The survey in this study was only used to investigate what the respondents' were thinking, and did not investigate why they thought the way they did. Further research involving follow-up interviews, and face to face discussion and perhaps other means, would elucidate this matter. The influence of variables such as academic position and management position on the respondents' perceptions requires further research. More research could be undertaken on the national research in Batumi beyond academic members, so as to enable importance-performance analysis for educators and to explore differences by academic profiles. The Batumi tourism sector is amazingly rich and diverse. It includes small businesses operators, multinationals, restaurants, hotels, travel agents, and transport operators. This diversity within the sector would provide a fertile ground for exploration, comparing attitudes and outcomes across different parts of the sector. In this study, both industry and education indicated that other skills attributes and subjects were important but were not listed in the questionnaires. Further research about these skills attributes and subjects may be beneficial to both the tourism industry and tourism curriculum design. The use of factor analysis to group industry ratings of subjects in order to compare them against

the curricula content analysis results requires further research. Further research is required into tourism education in the Adjara region, which is growing rapidly with respect to the tourism industry and tourism education.

Bibliography:

Gibson, 2008: – Gibson H., The Educational Tourist, “Journal of Tourism Education, Recreation and Dance”, London (In English).

Holdnak, 1996: – Holdnak A., Edutourism: Vacationing to Learn. Parks and Recreation, Geneva.

Kalinowski & Weiler, 1999: – Kalinowski K. and Weiler B., Review: Educational Travel, In B. Weiler and C. Hall (Eds.), Journal “Special Interest Tourism”, London: “Bellhaven”.

Machin, 2000: – Machin Alan, Tourism As Education: Components For A Management System, Proceedings of the Ninth CHME Hospitality Research Conference, Huddersfield, “University of Huddersfield” (In English).

Smith & Jenner, 2009: – Smith Candy. and Jenner Peter, Education Tourism. Travel and Tourism Analyst, Journal “Times of Zambia”, September, №9.

თამარ აბურჯანია, იური სიმონოვი
(მოსკოვი, რუსეთი)

განათლების სოციალური მახასიათებლები ბათუმის ტურისტულ ინდუსტრიაში

ანოტაცია

სტატია ტურისტულ ინდუსტრიაში განათლების სოციალური მნიშვნელობის შესახებ აქცენტირების ნიმუშად, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს ეპიზოდს - 1999 წელს პროფესიული განათლებისადმი მიძღვნილ სეულის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე მოხსენებით გამოსვლისას ბონის უმაღლესი პროფესიული სკოლის ექს-პრეზიდენტის, დოქტორ გერმან შმიდტის მიერ ტურისტული განათლების მიმართ კონკრეტული პედაგოგიური მიზნის დასახვის შესახებ. კერძოდ, შმიდტის აზრით, “ტურიზმის სპეციალისტმა უნდა შეძლოს საკუთარი ნიშის პოვნა და ამ ნიშით ბაზარზე დამკვიდრება [მაგალითად, ადგილობრივ სასტუმროთა მომარაგება კვების პროდუქტებით]. საამისოდ, ტურიზმის ინდუსტრიის პერსონალი უნდა იყოს

კარგად განსწავლული როგორც თავისი დარგის სპეციალისტი და ამავე დროს, უნდა ფლობდეს ურთიერთობის ხელოვნებას და ფართო ერუდიციას კულტურის სფეროში”. აღნიშნული ცხადად მიანიშნებს, რომ ტურიზმი როგორც განათლება პრაქტიკულად ფუნქციონირებს სპეციფიკური მოცემულობის სახით.

სტატია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მითითებული პარადიგმის პრაქტიკულ დანიშნულებას განიხილავს ბათუმის ტურისტული სერვისის შესახებ უშუალო შემეცნებითი წარმოდგენების შექმნით. აქვე ხაზგასმულია, რომ ტურისტული განათლება ბათუმის ტურისტულ ინდუსტრიაში მიიღწევა არა მხოლოდ სტანდარტული უმაღლესი ინსტიტუციონალური დაწესებულებების, არამედ სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრების დონეზე. ამასთან ტურისტულ განათლებაზე ორიენტირებული სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გარკვეულწილად მოდიფიცირდება და ვარიანტებს საბაზრო მოთხოვნებისა და ტურისტული გარემოს ცვალებადი ბუნების შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის ტურისტული განათლების სისტემაში არსებითი ინდექსური მაჩვენებლის როლში გამოდის კვალიფიკაციის ეფექტურად გამოვლენა, ხოლო სპეციფიკური მახასიათებლის შემთხვევაში - პროფესიონალიზმის მოხერხებულად გამოყენება. როგორც ჩანს, ბათუმის პირობებში განათლების ზოგად სტრუქტურისათვის ტურიზმი წარმოსდგება თავისებური, სახელდობრ, ისეთი დისციპლინარული სექტორის სახით, რომელიც გამოირჩევა მაღალი დინამიკურობითა და მობილურობით, უნარით - არა მხოლოდ გაიფართოვოს კვლევის სფერო, არამედ შევიდეს საგანმანათლებლო ცოდნის სხვადასხვა მიმართულებებში.

ბუნებრივია, 21-ე საუკუნემ ტურისტულ განათლებას ბათუმის გეოგრაფიულ არეალში უბოძა ახალი, აქამდე არარსებული შესაძლებლობანი. თავის მხრივ, პროფესიული განათლების ტურისტულ სფეროშიც აქტიურად დაიწყო განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან დაკავშირებული პროცესები, რის შედეგადაც კიდევ უფრო კონკრეტულად გამოიკვეთა საგანმანათლებლო სივრცის არსობრივი მახასიათებლები და თავისებურებანი ბათუმის ტურისტულ ინდუსტრიაში. რა დასკვნები კეთდება სტატიაში ამასთან დაკავშირებით?

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბათუმის ტურისტული ბაზრის სპეციფიკური ხასიათი. იგი, გულისხმობს ისეთი კვალიფიკაციის შექმნის მოთხოვნას, რომელიც შეძლებს მაქსიმალურად დააკ-

მაყოფილოს ტურისტთა მომსახურების სფეროში წამოჭრილი ნებისმიერი პრეტენზია, კერძოდ, ტურისტული ინდუსტრიისთვის მისაღები და ადაპტირებული განათლება ბათუმში ხორციელდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით:

ტექნოლოგიური საშუალებების კონტროლი [დაცვის სამსახურები],
პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა [სანიტარული ცენტრები],
სამეცნიერო გამოკვლევების გამოყენება [კვლევითი ინსტიტუტები],
პრაქტიკული ინფორმაციის მართვა [ტექნიკური სააგენტოები],
ფინანსური ორგანიზაციების მოზიდვა [საკრედიტო კომპანიები].

განხილული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს, აგრეთვე, ტურიზმის ინტეგრირება უწყვეტი განათლების სისტემებში. ეს ნიშნავს, რომ ტურისტული განათლების პროგრამული მიმართულებები ხორციელდება ტრადიციული, ანუ საშუალო-პროფესიული და უმაღლესი სწავლებისთვის ჩვეული თანმიმდევრული სტანდარტებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტურიზმის როგორც განათლების სისტემაში, სასწავლო პროგრამების შემუშავების კუთხით, გარკვეულ თავისებურებასაც აქვს ადგილი. სახელდობრ, განათლების პროგრამები ტურიზმის სფეროში მოქმედებს როგორც აკადემიური [ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა], ისე არააკადემიური [ტურისტულ ბიზნესზე ორიენტირებული] სახით. გარდა ამისა, არსებობს მოკლევადიანი პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამები [ტურიზმის მენეჯმენტი, სასტუმროს სერვისი, სასტუმროს ადმინისტრირება, ტურ-ოპერატორები], რომლებიც კონცენტრირებულია კონკრეტულ სპეციალობაზე და რომელთა განხორციელებას უზრუნველყოფს უმაღლესი ტურისტული სკოლები და სასწავლო ცენტრები.

ბათუმის ტურისტული განათლების სფეროში თეორიულად მოღვაწე თანამედროვე ცნობილი ჰოლანდიელი ექსპერტის კურტ რაიცის მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე სტატიაში გამოყოფილია ძირითადი თემატიკა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი მომენტია ტურისტული სერვისის განათლების პროგრამების დამუშავებისას. კერძოდ, პერიოდული ტრენინგები ტურიზმის სფეროში მიმდინარე ცვლილებების ადაპტაციის მიზნით; შემოსვლელი და გამსვლელი ტურიზმის თავისებურებათა გათვლა ტურიზმის სასწავლო პროგრამებში. ამის პარალელურად, ბათუმის პირობებში დღის წესრიგში დგას იმ ახალ მეთოდთა გამოყენების აუცილებლობაც, რომელთაც უკვე გაამართლეს პროფესიული განათლების სხვა სფეროებში. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ იუნესკოს საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც

აპრობირებისთვის გვთავაზობს შემდეგ ახალ მეთოდოლოგიურ პრინციპებს: დავალების მეთოდოლოგია პროექტის სახით და კორპორაციათა სასწავლო განყოფილებაში პროფესიულ უნარ-ჩვევათა დამუშავების მეთოდოლოგია, რომელსაც მართავენ სპეციალურად მომზადებული მენეჯერ-მასწავლებლები და რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ამზადებენ რეალური ტურისტული მომსახურების პროცესის პირობებში. საინტერესოა, რომ სწავლების ეს ახალი მეთოდები უკვე დანერგილია ბათუმის გარკვეულ სასწავლო დაწესებულებებში და ყველა მათგანს გააჩნია ერთი საერთო შტრიხი: მოსწავლე-აუდიტორია ხდება აკადემიური პროცესის ცენტრი, ის იღებს ინფორმაციას, ხოლო შემდეგ, რამდენადაც ეს არის შესაძლებელი, მოქმედებს დამოუკიდებლად; იცვლება მასწავლებლის როლიც, იგი ხდება მენეჯერ-დამრიგებელი (სუპერვაიზერი) და სასწავლო პროცესის ცენტრში ადგილს უთმობს მოსწავლეებს. თავად სუპერვაიზერი კი პასუხს აგებს მხოლოდ ეფექტური სამუშაო გარემოს შექმნაზე.

როგორც სტატია დაასკვნის, ევროპული საგანმანათლებლო სისტემის მიერ აღიარებული იუნესკოს პროფესიული განათლების განვითარების კონცეფცია ბათუმის ინდუსტრიის შემთხვევაშიც შესაბამისობაშია მის უმთავრეს პრინციპებთან. კერძოდ, სწავლების ტრადიციული მეთოდების უმნიშვნელოვანესი ასპექტების შენარჩუნების პირობებში ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის პრაქტიკაში ახალ ტექნოლოგიათა დანერგვა და გამოყენება; ყურადღება კონცენტრირებულია ტურიზმისა და დასვენების სფეროში მოქმედი სასწავლო-მეთოდური პროგრამების მიმართ, რომლებიც ფლობენ სამუშაო ადგილების შექმნის დიდ პოტენციალს.

ბათუმი, საქართველოს რივიერა და ზღვისპირა საკურორტო ზონის თანამედროვე გამოწვევები

უნიკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს რეგიონებს შორის აჭარას გამორჩეული ადგილი უჭირავს. მკვეთრად გამოხატული ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, ზღვისპირა პლაჟებითა და ჭაობიანი დაბლობებით დაწყებული და ალპური მდელოებით დამთავრებული. ლანდშაფტების მრავალფეროვანი ერთობლიობა, წყლისა და ტყის მდიდარი რესურსები. მთელ ტერიტორიაზე თითქმის თანაბრად განაწილებული კურორტები და საკურორტო ადგილები. შედარებით მცირე ტერიტორიაზე თავმოყრილი ეს სიმდიდრე განაპირობებს აჭარის ეკონომიკისა და ბუნებრივი ეკოსისტემების მიმართ სულ უფრო მზარდ ინტერესს.

რეგიონის ტერიტორიაზე ოფიციალურად აღრიცხულია კლიმატური და კლიმატურ-ბალნეოლოგიური პროფილის 6 კურორტი და 27 საკურორტო ადგილი. კურორტები იყოფა ზღვისპირა და მთის კლიმატურ კურორტებად, რომელთა მდებარეობა მოიცავს სიმაღლეთა დიაპაზონს 0-დან (ბათუმი, ქობულეთი) 1 850 მეტრამდე (ბეშუმი, ჯინალი). აჭარის ტურისტულ პოტენციალს მნიშვნელოვნად აძლიერებს ოთხი დაცული ტერიტორიის (ქობულეთის, კინტრიშის, მტირალას და მაჭახელას) არსებობა, რომელთა საერთო ფართობი 39 035 ჰა-ს ტოლია, რაც რეგიონის მთელი ფართობის 13,4%-ს შეადგენს. ამ ტერიტორიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული საუკუნის შუა პერიოდში დაარსებული კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და 2006 წელს გახსნილი მტირალას ეროვნული პარკი. შესაბამისად, ქობულეთიდან (25კმ) და ბათუმიდან (12კმ) მათი სიახლოვის გამო ველური ბუნების ეს ოაზისები მრავალ ტურისტს იზიდავს *[არაბული, 2015: 97-99]*.

აჭარის საკურორტო პოტენციალი ჯეროვნად იყო შეფასებული ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. 1898 წლის 13 დეკემბერს ქ. პეტერბურგში კლიმატოლოგთა პირველ ყრილობაზე ექიმმა ტრიანტაფილიდესმა წაიკითხა მოხსენება „ბათუმი და მისი მომიჯნავე მახინჯაური და მწვანე კონცხი, როგორც კლიმატური სადგური“. 1907 წელს, კავკასიის მეორე ყრილობაზე ტრიანტაფილიდესმა წაიკითხა მეორე მოხსენება აჭარის ზღვისპირეთში კლი-

მატური სადგურების მოწყობის თაობაზე, სადაც ცალ-ცალკე განიხილა ბათუმის, მახინჯაურისა და მწვანე კონცხის საკურორტო მონაცემები. 1879 წ. კავკასიის ექიმთა საზოგადოების სხდომაზე სამედიცინო ნაწილის ინსპექტორმა დოქტორმა ა. რემერტმა ბათუმი შეაფასა, როგორც კლიმატური სადგური. სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელი წერდა: „ზოგიერთი არაჯანსაღი პირობების მიუხედავად, ბათუმის კლიმატი შეიძლება სასარგებლოდ მივიჩნიოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე ბათუმს დიდი რაოდენობით მოაწყდება მოგზაურები და ავადმყოფები. კავკასიის არქეოლოგთა ყრილობაზე ჩასულმა გერმანელმა მეცნიერმა რუდოლფ ვირხოვმა აღნიშნა, „ბათუმი და მისი შემოგარენი ზედგამოჭრილია კლიმატური საგურისათვის“. 1884 წელს დოქტორი ჟილინსკი თავის ნაშრომში – „ბათუმის სამედიცინო ტოპოგრაფიული ნარკვევი“, ქალაქს ახასიათებს, როგორც უდიდესი საკურორტო მნიშვნელობის პუნქტს [სურმანიძე, 2008: 584-586].

ბათუმის გიმნაზიის პედაგოგი, ცნობილი მეცნიერი აკა. ნ. ს. დერჟავინი 1902 წელს წერდა: „ბათუმი თავისი არსებობის 25 წლისთავზე გაუვალი ტყეებისა და ჭაობების ნაცვლად მთელს ამიერკავკასიაში ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად იქცა, არაფერი შეუშლის ხელს, რომ თავისი არსებობის 50 წლისთავზე იგი მართლაც ნიცად იქცეს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, იმ მართლაც გახდება მსგავსი ქალაქი, რადგანაც ყველა მონაცემი აქვს ამისათვის და კულტურული დაწინაურებისათვის“. 1911 წ. პროფესორი ა. ა. კისელი აღნიშნავს: „ბათუმს, როგორც „რუსულ რივიერას“, უეჭველად ელოდება კლიმატური სადგურის დიდი მომავალი“. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ბუნებრივია, არ სიამოვნებდათ, როცა ქართულ ტერიტორიებს უწოდებდნენ რუსულ რივიერას და რუსეთის ნიცას. ამის საპროტესტო გამოძახილი იყო გაზეთ 'სახალხო ფურცელში' გამოქვეყნებული თეოდორე ღლონტის ვრცელი ნარკვევი „საქართველოს რივიერა (ბათუმის ოლქი)“, რომელიც მხარის ისტორიულ-ეკონომიკურ და სტატისტიკურ მიმოხილვასთან ერთად, საკურორტო აღწერილობასაც შეიცავს [იქვე].

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის დადგენილებით, აჭარის ზღვის სანაპირო კურორტები ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური და ბათუმი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტებად იქნა აღიარებული [იქვე].

საუკუნეზე მეტი ხნის წინ მკვლევარი ნიკოლოზ ვერუ წერდა: „ბათუმი თავისი შემოგარენით გახდება ერთი საუკეთესო კურორტი... ბათუმში ერთ-

მანეთს ერწყმინა რივიერას ბრწყინვალეობა და შვეიცარიის დიდებული მთები, რომლებიც ჰარმონიას ჰქმნიან. აქ ნაკლებად ქრის ძლიერი ქარი. წყნარი დღეები ორჯერ მეტია, ვიდრე სოხუმსა და სოჭში“. ხოლო 1904 წელს ნიკოლოზ ლენდერი ბათუმს რივიერას მომავალს უწინასწარმეტყველებდა, რივიერაში მოიაზრებოდა არა მხოლოდ ქალაქი ბათუმი, არამედ რეგიონი ზღვით, მთებით, ირგვლივ არსებული მომხიზვლელი ლანდშაფტით და ზომიერი სუბტროპიკული ჰავით, როგორც ეს იყო მაშინდელი იტალიის რივიერაში, პროვინცია ლიგურიის ზღვისპირეთში *[დიასამიძე, 2016: 149]*.

1915 წლის XXII გამოცემაში შავიზღვისპირეთის მეგზური – „Путеводитель по черноморскому побережью“ – გრეგორი მოსკვიჩის მიერ შედგენილი, რომელიც, ქ. პეტროგრადში, 1888 წლიდან გამოდიოდა, ავტორი საინტერესოდ აღწერს შავიზღვისპირეთის სანაპიროს, როგორც კავკასიის მშვენიერ რივიერას, გამორჩეულად მდიდარი ბუნებით, სილამაზით და საოცარი კლიმატით. მოსკვიჩი ყურადღებას ამახვილებს მთებით გარშემორტყმულ მომაჯადოებელ ყურეზე. ამბობს, რომ ეს ზღვისპირა სოფელი 37 წელიწადში ევროპული დონის ქალაქად გადაიქცა. სწორად განლაგებული ქუჩები გამოირჩევა ქვაფენილით და ასფალტირებული ტროტუარებით. ცენტრალურ ნაწილში ბევრი ლამაზი სახლია, რომელიც მას ევროპულ ელფერს მატებს. ჩამოსულ სტუმრებს, განსაკუთრებით, ავადმყოფებს, ურჩევს სიმშვიდის შეგრძნების, სასიამოვნო ჰაერით და მზის სხივებით ტკბობისათვის ბულვარის, სმეკალოვის, შეპელევის, ბალის და ზღვის ქუჩებში გასეირნებას. ავტორი საუბრობს ბულვარის ბოლოს განთავსებულ ცნობათა ბიუროს შესახებ, რომლის მომსახურებაც უფასო ყოფილა. რაც შეეხება სასტუმროებსა და რესტორნებს, გვიყვება მათი ევროპული დონის შესახებ და გამოარჩევს „იმპერიალს“, „ორიენტალს“ და „ფრანციას“. მრავალგზის უბრუნდება ბათუმის შემოგარენის მცენარეული სამყაროს თემას და მას საოცარს უწოდებს. მწვანე კონცხს კი მოიხსენიებს, როგორც მაღალი კულტურის ნიმუშს და აქვე საუბრობს სხვა ბაღების შესახებ (დევისონის, ტრიანტაფილიდესის, ბარიატინსკის, დუკმასოვის, პალმის და ა.შ.). მოსკვიჩი ვრცლად განიხილავს ბათუმის ბოტანიკურ ბაღს და გვთავაზობს პროფესორ ა. კრასნოვის ნარკვევს, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილა, რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, მოსკვიჩი მიიჩნევს, რომ ადგილობრივები მშვიდობისმოყვარე ხალხია, საინტერესო წეს-ჩვეულებებით *[<http://batumelebi.netgazeti.ge/news/>]*.

აღნიშნული შეფასებები ადასტურებენ, რომ აჭარა წარმოადგენს სუბტროპიკული კლიმატითა და შესაბამისი რეკრეაციული რესურსებით დაჯილდოებულ ერთადერთ რეგიონს საქართველოში, რომელსაც ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ტურიზმი აჭარის ეკონომიკის ყველაზე პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი დარგია, და ამას ადასტურებს ყოველწლიურად ტურისტთა მზარდი ნაკადი. 2017 წელს აჭარას ყველა ადმინისტრაციული საზღვრიდან (სარფი, პორტი, აეროპორტი) სტუმრობდა: 1,513,533 საერთაშორისო მოგზაური +7%; +61% ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი. აჭარაში საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 23%-ით გაიზარდა. 2018 წლის ორი კვარტლის მონაცემებით, რეგიონში საერთაშორისო მოგზაურების 808 437 ვიზიტი განხორციელდა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 2018 წლის 7 თვეში, მარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მგზავრთა ნაკადი 29 %-ით გაიზარდა და 301 597 შეადგინა. აჭარაში ყველაზე მეტად საერთაშორისო მოგზაური შემოვიდნენ ქვეყნებიდან: თურქეთი – 944050; აზერბაიჯანი – 175289; რუსეთი – 106944; ირანი – 67638; ისრაელი – 50405; უკრაინა – 38276; სომხეთი – 19563; ბელარუსი – 15958; საუდის არაბეთი – 13196; ყაზახეთი – 10229. დადებითი ტენდენციებია ისეთი ევროპული ქვეყნებიდან, როგორებიცაა ავსტრია +12% ; ბელგია +32%; დიდი ბრიტანეთი +14%; ნიდერლანდები +35%; საფრანგეთი +16%; ჩეხეთი +10% [<http://adjara.gov.ge/>].

ცივილიზებულ მსოფლიოში ცხოვრების მზარდი ტემპი, ყოველდღიურ საქმიანობაში სტრესისა და დადლილობის არსებობა, ყოველწლიურად მზარდი ეკოლოგიური დაბინძურება, საჭიროებს ადამიანის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნებას. ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება მოიყვანოს თავისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ჰარმონიაში. მას სურს გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა, შეაჩეროს დაბერება და ჰქონდეს ცხოვრების ხალისი. შესაბამისი მომსახურების კომპლექსის ერთ ადგილზე არსებობა სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. თანამედროვე სამყაროში მსოფლიოში უამრავი ადამიანი ცდილობს ველნეს (Wellness) ინდუსტრიის პროდუქტებისა და მომსახურების გამოყენებას.

ტერმინი „ველნესი“ ეკუთვნის ამერიკელ ექიმს ჰელბერტ დანს (1961), რომელმაც ის ორი სიტყვის – Wellbeing და Fitness ნაწილების შეერთებით შეიმუშავა. ველნესი გაჯანსაღების ახალი ფორმაა, შესაბამისად, ახალია ტერმინი “Wellness Tourism“, თუმცა მისი არსი საკმაოდ ნათლად არის განსაზღვრული და ითარგმნება როგორც გამაჯანსაღებელი ტურიზმი. მიუღწერი

და ლანც-კაუფმანი (2001) ველნესს განსაზღვრავდნენ, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოხატულის სხეულის, გონების, სულის ჰარმონიაში [უკლება, 2017: 97-98].

დღეს სიტყვა „ველნესი“ ნიშნავს შემდეგს: აქტიური, სრულყოფილი ცხოვრების წესს; სასიცოცხლო ძალების სწრაფ და ხარისხიან აღდგენას; კვებას ინდივიდუალური რაციონით; ყველა ადამიანის ფიზიოლოგიაზე მოქმედი ფაქტორის გამოყენებას: კლიმატოთერაპიას, მინერალურ წყლებს, სამკურნალო ბალახებს და აბაზანებს, ღვინოთერაპიას, ტალახით მკურნალობას, მაგნიტურ ქვიშას, ზღვის აბაზანებს, მცენარეულ ფლვონოიდებს (ანტიოქსიდანტებს) და წყალმცენარეებს; ინდივიდუალურად შერჩეულ ფიზიკურ დატვირთვას: ცურვას, სამკურნალო ფიზკულტურას, მასაჟს, ცხენით სეირნობას და ა.შ. „ველნესი“ შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან მაქსიმალურად შემცირდეს ცივილიზაციის საუკუნის მრავალი დაავადება: ინფარქტი, შაქრიანი დიაბეტი, წნევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ა.შ.

„ველნესი“ სამედიცინო, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებების ურთიერთკავშირის მოქნილი სისტემაა, რომელიც მიმართულია ადამიანის არა მხოლოდ პროფილაქტიკაზე, არამედ, ასევე, სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და მკურნალობაზე. ველნესი სამედიცინო ტურიზმის ნაწილია, მაგრამ იგი არ გულისხმობს სანატორიუმებსა და საავადმყოფოებში მკურნალობას, არამედ ეს არის დაავადებების საწყისი პროფილაქტიკა. ველნეს მომსახურების მიღება ადამიანს აძლიერებს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, უხანგრძლივებს ახალგაზრდობას. ველნესი შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან მაქსიმალურად შემცირდეს ცივილიზაციის საუკუნის მრავალი დაავადება: ინფარქტი, შაქრიანი დიაბეტი, წნევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და ა.შ. [<http://b-k.ge/publikacia/>].

ველნეს ინდუსტრიის განვითარების მხრივ წამყვანი ქვეყნებია: გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი, ავსტრია, უნგრეთი. ეს ქვეყნები ტურისტებს ველნეს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ. ჯანმრთელობის შენარჩუნება, განტვირთვა და დასვენება, ფიტნესი, ვარჯიშები, მასაჟი, აბაზანები, ჯანსაღი საკვები, დეტოქსიკაციის პროგრამები, აღმდგენი პროცედურები და სხვა. ტურიზმის ბიზნესს დესტინაციებს, ველნეს ცენტრებს და ობიექტებს, ისე, როგორც თანმხლებ ინფრასტრუქტურას, ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, მიიზიდოს მაღალშემოსავლიანი ტურისტები. ველნეს ტურისტი, რომლისთვისაც გაჯანსაღება პირველადი მიზანია შედარებით მცირე

სეგმენტს წარმოადგენს, მაგრამ ხარჯავს 2066 \$-ზე მეტს თითოეულ მოგზაურობაში. ტურისტი, რომლისთვისაც გაჯანსაღება მეორადი მიზანია, დიდ სეგმენტს წარმოადგენს და ხარჯავს 680 \$-ს თითოეულ მოგზაურობაში. ველნეს ტურიზმის ფართო შესაძლებლობებმა და მასზე მოთხოვნის სწრაფმა ზრდამ განაპირობა სფეროს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა.

2017 წლის გლობალური ტურიზმის ინდუსტრია ასე გამოიყურება: კულტურული ტურიზმი – \$800 მლრდ. – 1,1ტრლნ.; ველნეს ტურიზმი – \$439 მლრდ.; კულინარიული ტურიზმი – \$350-550 მლრდ.; ეკო/მდგრადი ტურიზმი – \$325-480 მლრდ.; სპორტული ტურიზმი – \$250-375 მლრდ.; სათავგადასავლო ტურიზმი – \$115-150 მლრდ.; აგროტურიზმი – \$60-160 მლრდ.; სამედიცინო ტურიზმი – \$50-60 მლრდ. [SRI International Global Wellness Institute, 2014.: 22].

რეკრეაციული ტურიზმი ხელს უწყობს ფიზიკური გარემოს განვითარებას არა მხოლოდ რეკრეანტათთვის, არამედ ადგილობრივი საზოგადოებისთვისაც. რეკრეაციულ საქმიანობას მრავალმხრივი სამედიცინო-ბიოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები აქვს და შეიძლება ითქვას, რომ ის თანამედროვე საზოგადოების დაკვეთას წარმოადგენს.

თურქეთმა მოახერხა და მსოფლიო ქვეყნებს შორის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის მაჩვენებლით მესამე ადგილი დაიკავა. წლიურად ბაზარი 40%-ით იზრდება, 2016 წელს ქვეყანას სამედიცინო მომსახურების სერვისის მისაღებად მსოფლიოს 144 ქვეყნიდან 750 000 ტურისტი ეწვია, შემოსავალმა კი 5,8 მლრდ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ივლისის თვეში საქართველოს 3257 მოქალაქე ჩავიდა თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში. თურქეთში გადასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 2018 წელს, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 6,5%-ით გაზრდილია. საერთოდ, თურქეთში ვიზიტორების რაოდენობით საქართველო პირველ ხუთეულშია: რუსეთი, გერმანია, ირანი საქართველო, ბულგარეთი.

ბუნებრივია, ინტერესს უნდა იწვევდეს გამაჯანსაღებელი რეკრეაციული ტურიზმის სუბკატეგორიის – ველნეს ინდუსტრიის მიმართულებების განვითარება შავიზღვისპირეთში. გამაჯანსაღებელ-სარეაბილიტაციო ტურიზმში გამოყენებული ძირითადი ბუნებრივი მეთოდებია: აეროთერაპია – ზღვისპირა ჰაერის სუნთქვა; ჰელიოთერაპია – მზის სხივების მიღება; თალასოთერაპია – ზღვაში ბანაობა, ცურვა. და ა. შ. შავიზღვისპირეთის 30-35 კილომეტრიან საკურორტო მონაკვეთს (გონიო-ბათუმი-ფიჭვნარი) აქვს ისტორიული საფუ-

ძველი და რეკრეაციული რესურსები იმისათვის, რომ განვითარდეს ველნეს მომსახურების ფართო სპექტრი.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის კულტურული ცხოვრების რეაბილიტაცია და თავად ქალაქის „რებრენდინგი“, დღემდე არ არის გამოყენებული ბათუმისა და მისი შემოგარენის, „საქართველოს რივიერას“ ტურისტული პოტენციალი. ველნეს ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნას შავიზღვისპირეთში. რეკრეაციული რესურსები და მათი ხარისხი არსებითად განაპირობებს რეკრეაციის მოტივაციას და მის ხარისხს.

აჭარის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი წყარო, რომელიც მოსახლეობის ყველა სხვა სფეროზე ფართო ჩართულობას გულისხმობს, ცხადია, ტურიზმია. ამ სფეროს ხელშეწყობა ავტონომიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს. დასვენების ორგანიზატორთა რეკრეაციული საქმიანობის მთავარი ამოცანა კი „შექმნას-ააშენოს-მოაწერსიგოს“ და ეძებოს რეკრეაციული სისტემის განვითარების ინოვაციური გზები. ბათუმი არ უნდა გახდეს მონოფუნქციური – მხოლოდ საზღვაო ტურიზმზე დამოკიდებული ქალაქი.

პოლონურმა გამოცემამ „National Geographic Traveler-მა (2018 წლის მარტის ნომერი) ბათუმი ევროპაში საუკეთესო ტურისტული ქალაქების ათეულში შეიყვანა. ბათუმი, როგორც უქმეების გასატარებლად საუკეთესო ადგილი ისეთი ქალაქების გვერდით სახელდება, როგორებიც არიან: ნიცა, პალერმო, ამსტერდამი და ოქსფორდი. „მზესთან ახლოს“ ასე ჰქვია სტატიას, რომელიც ბათუმსა და ზოგადად აჭარას მიეძღვნა. "ჩვენ ვიცით ბედნიერების რეცეპტი" – ამბობენ ქართველები. ეს შეიძლება გადამეტებულად მოგეჩვენოთ, თუმცა ბათუმში გატარებულმა მხოლოდ ერთმა უქმეებმაც კი დამარწმუნა ამ სიტყვების სიმართლეში,“ – წერს სტატიას ჟურნალისტი ბუაჟეი გრიგოლი, რომელიც მკითხველს შავიზღვისპირეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს აცნობს.

ამრიგად, მნიშვნელოვანია აჭარის სპეციალური საკურორტო ფაქტორის მაქსიმალურად გამოყენება ადამიანთა მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციისათვის. რეკრეაციული ეფექტი მიიღწევა გაჯანსაღების ფაქტორების კომპლექსის და ერთობლივი ზემოქმედების მეშვეობით. რაც შეეხება ველნეს ინდუსტრიიდან მიღებული ეკონომიკურ ეფექტს, შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ: გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს; მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში; გააქტიურდება ქვეყანაში შემომსვლელთა რაოდენობა; ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის

განვითარებას; შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, სახეს შეუცვლის გარემოს ეკოლოგია; განვითარდება კურორტოლოგია; მოიზიდავს მსოფლიოს მაღალ-შემოსავლიან ადამიანებს; პროპაგანდა გაეწევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას; გაიზრდება ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში “Tourism 2020 Vision“ მიღებულია ტურისტული მიმართულებების განვითარების პროგნოზი და განსაზღვრულია XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები, სწორედ ამ პროგნოზით: XXI საუკუნის ტურიზმის ყველაზე პოპულარულ სახეობად რეკრეაციული ტურიზმი იქცევა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

არაბული, 2015: – არაბული კ., საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თბილისი.

სურმანიძე, 2008: – სურმანიძე რ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, თავი IX, განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა, ბათუმი.

დიასამიძე, 2016: – დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ბათუმი.

ორაგველიძე, 2017: – გაზეთი ბათუმელები, ეს ზღვისირა სოფელი ევროპული დონის ქალაქად გადაიქცა, ბათუმი, 1915 წლის მეგზური.
<http://batumelebi.netgazeti.ge/news/>

უკლება, 2017: – უკლება მ., რეკრეაციის თეორია და პრაქტიკა, თბილისი.

ერქომაიშვილი, 2017: – ერქომაიშვილი გ., ველნეს (Wellness) ინდუსტრია – ახალი ბრენდი საქართველოს ბაზარზე. თბილისი. <http://b-k.ge/publikacia/>

კომახიძე, 1997: – კომახიძე თ., ქ. ბათუმის ჯანმრთელობის კერებისა და საკურორტო ქსელის განვითარების ისტორია, ბათუმი.

გულორდავა, 2016: – გულორდავა გ., აჭარის კურორტები და საკურორტო ადგილები, ბათუმი.

ნოღია, 1976: – ნოღია მ., საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები, თბილისი.

აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია, 2013: – აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია.

Donald B. Ardell: – Donald B., What is Wellness. [www. Seekwellness.com](http://www.Seekwellness.com)

Halbert Dunn, 1961: – Halbert Dunn,. High level Wellness. [www. Icaa.cc](http://www.Icaa.cc)

Paul Zane Pilzer, 2011: – The new Wellness Revolution, New York.

SRI International 2014: – (Stanford Research Institute) Global Wellness Institute. Pdf.

<http://batumelebi.netgazeti.ge/>

<http://adjara.gov.ge/>

Batumi, Georgia Riviera and Contemporary Challenges for the Seaside resort zone

Summary

The work includes the potential of Batumi and its surrounding, seaside resort zone. In the modern world many people are trying to use Wellness products and services. American doctor Halbert L. Duun (1961) introduced the concept of "Wellness" and first established the basic principles of quality life. The 30-35 km section of the Black Sea coastline (Gonio-Batumi-pine forest) has historic grounds and resources to develop a wide range of wellness services. It is important to use the capacity of Adjara special recreation space, the resort factor should be used as much as possible. The economic effect adopted from the Wellness Industry may be as follows: Improves the investment environment; Significantly increase foreign capital in Georgia; Number of Tourist in the country will be activated; Facilitate infrastructure development; Creating new jobs, changing the environment to environmental ecology; Resorts will be developed; Will attract the world's highest income; The number of tourists from EU countries will increase; Propaganda will have a new culture of health.

FOR THE ISSUE OF THE CULTUROLOGICAL ASPECTS OF GREEK EDUCATION FROM THE HISTORY OF BATUMI

It is known for us, that Greek-Georgian relations are subject of a special study than has long been engaged historians, sociologists, archaeologists in Greece and Georgia. We are pursuing a different goal - briefly about the history and culture of the Greek education of new generation in Batumi. From published sources that in the XIX century, the ancestors of modern Greeks opened in Batumi, both general and parochial schools. The administrative division, adopted by the Ottoman Empire, was the main city of Batumi Lazian Sandzak. In those years, schools were not here. Muslim religious schools - madrassas existed only in mosques. The first common school in Batumi was built by the Greeks. In 1861, it was opened the first Batumi Greek School. Military historian Alexander Frankel in his essays called it "European." It was there where recently eight schools. Training was conducted for two years, in Greek. Why in Greek? Because in those years, the international language is Greek, and, moreover, such epic poems as the Iliad and the Odyssey by greatest ancient Greek epic poet Homer (those were the main lessons of teaching), whatever the translation, it not rise to the same level, with the original essay.

It is very interesting for us that Batumi Greek second school was built two years later, in 1863, the Greeks again put his signature. The school was in the church house of two rooms. It has learned to 40 boys. There was taught in Greek in it. The school had only one teacher, who received remuneration for their work on the wealthy parents of some pupils. It was in charge of the church school. At its core, and the training program it was more parochial than civil. Batumi was another school, the Greek Church of St. Nicholas: Batumi Greek parish school for girls. In 1865, the Greeks began to build the temple. It was erected a church on the street, at the time bore the name of Greek. This church has always been the center of the spiritual life of the Greeks. Here, the church, working girls' school. Choir was known for his professionalism. The church was built on their own land Ilya Ephremidy with financial aid parishioners at that time mainly Greeks. On the west wall of the church is a stone on which is written in Greek, "the Greek Church of St. Nicholas". Greeks

took care of training of personnel in Batumi in the 80 years it was founded by Greek public school [*Bakradze, 1987:124-125*]. In 1908, Batumi Greeks opened another Greek mixed school, which was in charge of a noble teacher Peter Lazaridy. In Batumi functioned and Greek Pedagogical College. Here he taught Greek George Xandophulo clever, he had the works of the Greek tales and games. Education of Greeks in Batumi region was compulsory for all children between the ages of six and ten. The education system is divided into Early Education and Care for children up to the age of six; Primary Education for schoolchildren between the ages of six and twelve, Secondary Education for teenagers between the ages of ten and twenty, Higher Education for those wishing to attend secondary school courses, and, finally, Lifelong Learning, which caters for adult School-pupils of all ages [*Kalishevsky, 2007:120*].

In Batumi there are Daycare Centers which provide children up to the age of five with pre-school education. The last stage of pre-school education is carried out in Kindergarten Schools, where young School-pupils take preparatory courses just before enrolling in primary and elementary schools. Primary Schools welcome children of the age of six. Some of these schools are termed “Experimental”, as they carry out experimental education practices, and are supervised by university departments specializing in pedagogic and primary education. There are also primary schools which cater for School-pupils with physical or mental impairment, or special needs. In all three types of primary schools, School-pupils learn basic skills in a number of subjects, like Language Reading and Writing, Environmental Studies, Math’s, English. Primary Schools in Greece operate between eight am and one pm, while the majority of those offer extra classes on Physical Education, Art and Music until four pm [*Papunidys, 2010:42-44*].

Pre-school called as “Vrefonipiakoi Paidikoi Stathmoi” for education system is voluntary in Greece, but it is gradually being made compulsory throughout the country. Children are admitted to pre-school institutions at the age of two-and-a-half. Childcare services in Greek Education System include crèches (vrefonipiakoi stathmoi), nurseries (nipiaka tmimata) and kindergartens (nipiagogeio). When children in Greece reach the age of six they have to be enrolled in an elementary school (or dimotiko in Greek). Dimotiko is compulsory and in its six-year program, children learn about the Modern Greek language, mathematics, history, environmental studies, information and technology, English, physical education and art. In the fifth and sixth grade, a foreign language, geography, natural science, civic and

social studies are added. Some expatriates living in Greece may be surprised to find religious education among the obligatory subjects in their child's schedule. This is because there is no legal separation between the state and the church in Greece.

As it turns out, pupils went to school from Monday to Friday. The grading system in the first three grades was made up of letters, with being excellent, very good, good and fail. After the fourth grade only numbers from one to ten are used. Pupils who successfully complete the sixth grade receive a primary school leaving certificate which can be used to register for secondary school (gymnasium). Pupils in the first five grades receive a progress report (titlos proodou). After the sixth grade they were awarded a studies report (titlos spoudon) that allowed them to enroll in the gymnasium. Gymnasium lasts three years and is compulsory for children aged twelve to fifteen. It offers general education through subjects, such as ancient Greek language and literature, Modern Greek language and literature, mathematics, history, computer science and foreign languages. There are also foreign-language schools, ecclesiastic education schools, intercultural education schools, music schools, art schools, schools for special educational etc. Besides morning gymnasium, there are also afternoon and evening schools. Every day, pupils have to complete oral work, written assignments and other projects. Written examinations are held at the end of each term. The grading system runs on a scale of twelve to ten, with twelve being the highest, ten being a pass and one being the lowest possible grade. After gymnasium pupils may continue their studies at non-compulsory level. Students who want to continue their studies at a university usually enroll in three or four-year general schools (Geniko Lykeio). Students with special technical interests usually take the second option - they enter a vocational upper secondary school or vocational education training school. Both last three years and are focused on technical, vocational subjects and workshop exercises. There are also vocational training institutes (Instituto Epaggelmatikis Katartisis) at the upper secondary level providing a formal but unclassified level of education. Teaching at IEK is based on vocational specialization. The selection of students takes place twice a year early in September for the winter semester, and at the end of January for the spring semester. School-pupils have to be at least eighteen years old [*Margiev, 2006:14-15*].

All School-pupils graduating from primary education must attend courses in a Junior High School. There are several types of Junior High Schools. School-pupils may attend the Junior High School which is located in his neighborhood, or he may be admitted to an Experimental Junior High School through a lottery system. School-

pupils who have a special interest in painting, drama, dancing or music may attend a Junior High School that specializes in the field. There are also Junior High Schools which address School-pupils from a multicultural background, as well as School-pupils with special needs. Most Junior High Schools operate from eight am to two pm, but there are also evening schools that operate from seven pm till ten pm for School-pupils – mainly adults – who work during daytime. A variety of subjects are taught in Junior High Schools, including Modern and Ancient Greek Language, Math's, Physics, Chemistry, Geography, History, Physical Education, Religious Studies, Music and Art, while special emphasis is given to foreign language learning, as School-pupils are taught both English and another European language of their choice (School-pupils tend to choose between French and German). School-pupils take exams in all subjects at the end of each school year [*Papunidys, 2010:34-35*].

Although upper level Secondary Greek Education is not compulsory in Batumi, most School-pupils attend High School. At this level, School-pupils may opt to attend a General High School or an Experimental High School (mainly for graduates of Experimental Junior High Schools) or any High School specializing in music or the arts. School-pupils from foreign countries may attend a Multicultural High School, while there are Special Vocational Education and Training Institutes for School-pupils with special needs. School-pupils may also pursue vocational training in Greek Vocational High Schools, or, once they are twelve, they may enroll in a Vocational Evening High School and graduate after four years of study. In addition, there are Vocational Training Schools; in these schools, as well as in all Vocational High Schools School-pupils attend general education courses combined with workplace courses. At the final stage of his studies, School-pupils may work as an apprentice and gain valuable work experience [*Sydyropulos, 2009:110*]. High Schools offer a combination of General Education courses and Advanced Placement courses. School-pupils who wish to pursue studies in Greek Higher Education take Pan-Hellenic exams in a specific number of Advanced Placement courses which fall into one of the following categories: Humanities, Science and Technology. This is considered to be a tough and highly competitive exam process that School-pupils go through in order to ensure Greek education at a higher level.

We may conclude that in Greek schools of Batumi training was conducted in Greek, studied God's Law, Literature, History of Greece, Geography and Music; were knowledgeable teachers and specialists were invited from Greece.

Bibliography:

Bakradze, 1987: – Bakradze Dimitri, Archeological Travelling and Expedition in Guria and Adjara, Batumi, Published by “Soviet Adjara”.

Kalishevsky, 2007: – Kalishevsky Michail, Soviet Greeks: The Tragic Odyssey, Part One, Moscow.

Margiev, 2006: – Margiev Zaur, Boys’ Gymnasium in Batumi, Batumi, “Adjara”.

Papunidys, 2010: – Papunidys Pankratis, Education and Information Centers of Greeks in Georgia, Moscow, “Progress Publisher”.

Sydyropulos, 2009: – Sydyropulos Nikos, Anniversary of Greek Population in Georgia, Tbilisi.

მარიამ ანთაძე, ვან ლიან კონგი
(სიპინგი, ჩინეთი)

ბერძნული განათლების კულტუროლოგიური ასპექტები ბათუმის ისტორიიდან

რეზიუმე

ბერძნულ-ქართული ურთიერთობების საკითხი სპეციალური სამეცნიერო კვლევის თემას წარმოადგენს, რითაც უკვე საკმაოდ დიდი ხანია დაკავებული არიან როგორც ბერძენი, ისე ქართველი ისტორიკოსები, სოციოლოგები და არქეოლოგები. სტატია მიზნად ისახავს სრულიად სხვა ამოცანას, კერძოდ, მოკლედ და კონკრეტულად მიმოიხილოს ისტორიული ბათუმის ბერძნულ სასწავლო დაწესებულებათა კულტურულ-შემეცნებითი რეალობა. ამ უკანასკნელზე იმდენად შეიძლება საუბარი, რამდენადაც, როგორც აქამდე გამოქვეყნებული წყაროებიდან არის ცნობილი, თანამედროვე ბერძენთა მემკვიდრეები მეცხრამეტე საუკუნეში ბათუმში ხსნიდნენ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე საეკლესიო ხასიათის სკოლებს.

დასახული ამოცანიდან გამომდინარე, სტატიაში განხილვის საინტერესო საგანია ბათუმის ისტორიის ის პერიოდი, რომელიც განსაზღვრა ოსმანთა იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპებმა. აი, როგორ აღწერს მაშინდელ ბათუმს დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე, თავის ნაშრომში "არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში", სადაც მან თურქების ბატონობის დროს იმოგზაურა 1873 წელს (ნაშრომი გამოქვეყნდა

1878 წელს): "ამჟამად ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთასარიფი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს. ამ საფაშოში შედის თერთმეტი კაზა, ანუ ოლქი... არის სამი მეჩეთი და წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია...". ამ დროს ბათუმში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ჯერ კიდევ არ არსებობდა; სასულიერო მუსულმანური სკოლები მედრესეს სახით ფუნქციონირებდა მხოლოდ სამეჩეთო გარემოში. პირველი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ბათუმში აიგო და გაიხსნა ბერძენთა მიერ 1861 წელს. სამხედრო ისტორიკოსი ალექსანდრე ფრენკელი თავის ნარკვევებში მას უწოდებს "ევროპულს". ის მდებარეობდა არცთუ ისე დიდი ხნის წინ არსებული მერვე სკოლის ადგილას. მასში სწავლება მიმდინარეობდა ბერძნულ ენაზე ორი წლის განმავლობაში. რატომ ბერძნულ ენაზე? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, იმ პერიოდში საერთაშორისო ენად ითვლებოდა ბერძნული და, მეორეც, ისეთი ეპიკური ნაწარმოებები, როგორიცაა ჰომეროსის "ილიადა" და "ოდისეა" (რომლებიც სწავლების პროცესში ძირითად პროგრამულ მასალას წარმოადგენდა) რამდენად კარგადაც არ უნდა ყოფილიყო ლექსიკურად თარგმნილი, თავდაპირველი ორიგინალის პოეტური ფორმის ავთენტური მოცემის გარეშე თავის ხიბლს ყველა შემთხვევაში დაკარგავდა.

ორი წლის შემდეგ ბათუმში გაიხსნა მეორე სკოლა, რომელსაც ბერძნულმა კულტურამ ისევ დაუსვა თავისი ნიშა. სკოლა მდებარეობდა საეკლესიო სახლში და შედგებოდა ორი ოთახისაგან. მასში სწავლობდა ორმოცი ვაჟი მოსწავლე; სწავლება აქაც ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლაში მხოლოდ ერთი მასწავლებელი მუშაობდა, რომელიც თავის გასამრჯელოს მოსწავლეთა მშობლებისაგან გაღებული საფასურის სახით იღებდა. სკოლის გამგებლის ფუნქციას კი ეკლესიის წინამძღვარი ასრულებდა. სწავლების არსითა და პროგრამით სკოლა უფრო საეკლესიო-სასულიერო ხასიათს ატარებდა, ვიდრე სამოქალაქოს.

საყურადღებოა, რომ ბათუმში კიდევ ფიქსირდებოდა ერთი ბერძნული სკოლა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან. მას მოიხსენიებენ, როგორც ბათუმის ბერძნულ საეკლესიო-სასულიერო სკოლას გოგონებისთვის. ამ ტაძრის მშენებლობა ბერძნებმა დაიწყეს 1865 წელს ილია ეფრემიდის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, შეძლებული ბერძენი მოსახლეობის მატერიალური შემოწირულობების ხარჯზე. ეკლესია აიგო ქუჩაზე, რომელიც "ბერძნული ქუჩის" სახელით იწოდებოდა. ეს ტაძარი ყოველთვის ასრულებდა ბათუმში ბერძენთა სულიერი ცხოვრების ცენტრის ფუნქციას. საეკლესიო

გუნდი განთქმული იყო თავისი პროფესიონალიზმით. ტაძრის დასავლეთ კედელზე მდებარეობს ქვა, რომლის ბერძნული წარწერა გვაუწყებს: "წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია".

როგორც სტატია დაასკვნის, ბათუმში მცხოვრები ბერძნები ერთგულად ზრუნავდნენ ეროვნული კადრების მომზადებაზე. ამას მოწმობს მათ მიერ მეოცე საუკუნის დასაწყისში დაარსებული საზოგადოებრივი სასწავლებლები. მათ შორისაა 1908 წელს ბათუმში გახსნილი შერეული ტიპის ბერძნული სასწავლებელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი პედაგოგი პეტრ ლაზარიდი. ასევე აღსანიშნავია ბერძნული პედაგოგიური ტექნიკუმის არსებობა, რომელშიც მოღვაწეობდა ცნობილი ერუდიტი გეორგი კსანდოპულო, განთქმული თავისი შრომებით ბერძნული ზღაპრებისა და თამაშების შესახებ. არსებითი მახასიათებელი ყველა ბერძნული საგანმანათლებლო კერისთვის ეს იყო ღვთის კანონების, ბერძნული ლიტერატურის, საბერძნეთის გეოგრაფიის, ელადის ისტორიისა და ბერძნული მუსიკის სწავლება ბერძნულ ენაზე, როგორც საბერძნეთიდან მოწვეული, ისე ცნობილი ადგილობრივი ბერძენი სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით.

მუსლიმური სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები ქალაქ ბათუმში და მთლიანად აჭარაში¹

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთ აქტუალურ თე-
მად რჩება ბათუმში მუსლიმური სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებ-
ებისა და ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ამასთან, თუ მუსლიმური
სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები იხსნება პრაქტიკულად მო-
სახლეობის ფართო ფენებისთვის შეუმჩნევლად, ხმაურის გარეშე (ამ მხრივ
გამონაკლისი ქობულეთში ახალი პანსიონის გახსნა), ახალი მეჩეთის მშენებ-
ლობის საკითხს მუსლიმი მრევლი დროდადრო აყენებს გასული საუკუნის 90-
იანი წლებიდან. საკითხთა დროულად მოუგვარებლობამ მისი პოლიტიზება
გამოიწვია, რითაც კარგად სარგებლობენ ცალკეული რელიგიური ჯგუფები
თუ პოლიტიკური პარტიები. საკითხის არსში უკეთ გარკვევისთვის საჭიროა
მცირე ისტორიული ექსკურსი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოში და მათ შორის, აჭარაში, ისლამის გააქტიურება იწყება 90-
იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდნენ მისიონე-
რები მეზობელი მუსლიმური ქვეყნებიდან. იმთავითვე მისიონერთა მთავარი
სამოღვაწეო სფერო იყო სოფლებში მეჩეთების გახსნის ხელშეწყობა და ჩვენი
ახალგაზრდების, ძირითადად, მაღალი კლასების მოსწავლეთა მუსლიმურ
ქვეყნებში გაგზავნა რელიგიური განათლების მისაღებად. მოგვიანებით კი
ამავე ძალების მიერ ქალაქ ბათუმსა და მიმდებარე სოფლებში იწყება პანსიო-
ნების მშენებლობის დაფინანსება. პანსიონებში ძირითადად სოციალურად გა-
ჭირვებული ოჯახებიდან ბავშვების მიღება ხდებოდა, სადაც, გარდა ღამისთე-
ვისა და კვებისა, ბავშვებს რელიგიურ განათლებასაც აძლევდნენ. ასე რომ, ამ
პანსიონებს ერთგვარი მუსლიმური საგანმანათლებლო ფუნქციაც გააჩნდა
[დაწვრილებით იხ: ასლანიძე, 2016].

აჭარაში პანსიონების გახსნას რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობა
ჰქონდა:

- იმთავითვე პანსიონებს ხსნიდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციები და
საერთოდ არ საუბრობდნენ იმაზე, რომ აქ იქნებოდა რელიგიის სწავლებაც;

¹ სტატია ძირითადად მომზადებულია სხვა დღიურების საფუძველზე.

- პანსიონების ფუნქციონირებისთვის საჭირო კადრებად ის ახალგაზრდები მოგვევლინენ, რომლებმაც რელიგიური განათლება მიიღეს უცხოეთში (ძირითადად, თურქეთში) და უკვე დაბრუნდნენ საქართველოში;

- სამოქალაქო ომებმა თუ გარეშე მტერთან ბრძოლამ ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო, რის გამოც ბევრი მშობელი დათანხმდა თავიანთი შვილების უცხოეთში რელიგიური განათლების მისაღებად გაგზავნაზე თუ პანსიონებში განწესებაზე, რადგანაც მათთვის ყველაფერი უფასო იყო და რიგ შემთხვევაში ეს რელიგიური მოტივებით ხდებოდა.

- 70-წლიანი ათეისტური მემკვიდრეობის შემდეგ საქართველოში და მათ შორის, აჭარაში ნოციერი ნიადაგი აღმოჩნდა ისლამის გააქტიურებისთვის;

- საქველმოქმედო საქმიანობას ამოფარებული პანსიონების საქმიანობაზე ხელისუფლების მხრიდან უკონტროლობამ, უცხოელ თუ ადგილობრივ მუსლიმს საშუალება მისცა ქვეყანაში შემოეტანა დიდი ოდენობით თანხა და წარემართა მეჩეთებისა და პანსიონების მშენებლობისთვის, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევდა და გამოიწვია კიდევ ისლამის გააქტიურება...

დღეის მდგომარეობით ბათუმში მოქმედებს 11 პანსიონი, მთლიანად აჭარაში – 30. მუნიციპალიტეტების მიხედვით, პანსიონების რაოდენობა გამოიყურება შემდეგნაირად: ხულო – 11; ქედა – 1; ხელვაჩაური – 4; ქობულეთი – 3. შუახევში არცერთი პანსიონი არ მოქმედებს. თუ რაიონების პანსიონებში ძირითადად ღებულობენ სკოლის მოსწავლეებს, ბათუმში პანსიონების ძირითადი მცხოვრებლები სტუდენტები არიან, რომლებსაც უფასო აქვთ ღამისთევა და კვება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ დაწესებულებებში გაკვეთილების მომზადების პარალელურად აქ მაცხოვრებელი ვალდებულია დაესწროს ლოცვებსა და რელიგიის გაკვეთილებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ არსებობს სისუფთავე, ჰიგიენური ნორმები მეტწილად დაცულია, არსებობს მკაცრი შიდაგანაწესიც, რომლის დარღვევის შემთხვევაში ხდება პანსიონიდან გარიცხვა. მთავარი კი არის ის, რომ ყველა პანსიონი ყაზარმული ტიპისაა: ოთახებში ათამდე (ზოგან მეტსაც) ბავშვს უხდება ორსართულიან საწოლებში ძილი, მათ თავისუფლად არ შეუძლიათ შევიდნენ საძინებელ ოთახში და დაისვენონ, მათი დღის წესრიგი მკაცრადაა გაწერილი და პანსიონის ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე არ შეუძლიათ თუნდაც ერთი ღამით ოჯახში ან ნათესავთნ წასვლა და ა. შ.

საინტერესოა პანსიონების რაოდენობა იმის მიხედვით, თუ რომელი რელიგიური ჯგუფია ამ მხრივ შედარებით აქტიური.

საქართველოში ძირითადად თავიანთი საქმიანობით გამოირჩევიან ე. წ. „ნურჯები“ (ფეთჰულა გიულენის მიმდევრები), „მაჰმუდჯები“, „სულეიმანჯები“ და კიდევ რამდენიმე პატარა ჯგუფი. აჭარაში მოქმედი 30 პანსიონიდან 14-ს კურიებს „სულეიმანჯები“ („ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა“, დამფუძნებლები კაკალაძე და ჯაიანი); 6-ს კურიებს „ნურჯები“ („მსოფლიოს ქართველ მუსლიმთა კავშირი“, დამფუძნებელი ქეძალ ცეცხლაძე); ერთს კურიებს „სალაფიტები“ („ჩვენი აჭარა“, დამფუძნებლები ნოდარ დავითაძე და მამუკა ნაკაიძე); 4-ს კურიებს საქველმოქმედო ორგანიზაცია „მიზანი“, რომლის მთავარი იდეოლოგი და დამფინანსებელია ისმაილ ყიშლა – თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე; ერთ პანსიონსა და 2 საბავშვო ბაღს კურიებს ორგანიზაცია „ღმერთის გზა“, რომლის დასაყრდენ ორგანიზაციად საქართველოში გვევლინება „საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია“ (დამფუძნებელი ადამ შანთაძე, დასავლეთ საქართველოს მუფთის მოადგილე) და ერთს კურიებს თავად დასავლეთ საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე. ამ ჩამონათვალში არ ჩანს „მახმუდჯები“, რომლებსაც არ აქვთ პანსიონები, თუმცა რამდენიმე სოფლის მეჩეთში იმამებად ჰყავთ მათი წარმომადგენელი.

პანსიონებში მსმენელთა მოზიდვის მიზნით, უმრავლესობაში მოქმედებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსებიც, რომელიც, რა თქმა უნდა, უფასოა იქ მაცხოვრებელთათვის. ასე რომ, იქ მსმენელები ხვდებიან არა მარტო რელიგიის შესწავლის მიზნით, არამედ გამოცდებისთვის მომზადების მიზნით და რა თქმა უნდა, იმათაც უხდებათ იქ რელიგიის საათებზე დასწრება.

მაინც რამდენი მსმენელია ამ პანსიონებში? მოქმედ 30 პანსიონებზე საშუალოდ თუ ვიანგარიშებთ 25 ახალგაზრდას, ეს უკვე 750 მოსწავლეა, ამას ემატება დიდი პანსიონები, სადაც 50-70 მოსწავლეა. ჯამში ყველა პანსიონში 800-დან 900 მოსწავლემდეა.

როგორც აღინიშნა, პანსიონებს აქვთ საგანმანათლებლო ფუნქციაც, რომლებსაც ემატება აჭარაში მოქმედ 180-მდე მეჩეთსა² და სამლოცველო სახლებთან არსებული 130-მდე ე. წ. ყურან-კურსები და რამდენიმე მედრესე. საბოლოო ჯამში მთლიანად აჭარაში მოქმედებს 160-მდე პანსიონი, მედრესე და ყურან-კურსი, რომელთაგან არც ერთს არ აქვს განათლების სამინისტროდან

² სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოდან მიღებული ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 2016 წლის დასაწყისისთვის მოქმედებდა 312 მეჩეთი, ფუნქციონირებს 30-ზე მეტი დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი [იხილეთ, 2016:17].

შესაბამისი ნებართვა საგანმანათლებლო საქმიანობაზე. აღნიშნულის ფონზე ეს ციფრები შთამბეჭდავად გამოიყურება იმასთან შედარებით, თუ მათ შევადარებთ ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ საჯარო სკოლების რაოდენობას, რომელთა რიცხვი შეადგენს 230-ს (აქ არ შედის კერძო სკოლები) და არც ერთ სკოლა-ინტერნატში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთათვის დამატებითი, თუნდაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რაა იმაში ცუდი, რომ ხელმოკლე ოჯახებიდან ბავშვებს უფასოდ ეძლევათ ღამისთევა, კვება, ხშირად ჩასაცმელი და ა. შ. დასმულ კითხვაზე პასუხს სცემს იმ ადამიანთა ბიოგრაფიებზე თვალის გადავლება, რომლებმაც რელიგიური განათლება მიიღეს უცხოეთში.

საქმე ის არის, რომ უცხოეთში რელიგიური განათლების მისაღებად მიდიან სკოლის დამთავრებისთანავე, ხშირ შემთხვევაში, უფრო პატარა ასაკის ბავშვებიც. ამ ასაკში ბავშვებს ჯერ სრულყოფილად არ აქვთ ათვისებული ეროვნული ღირებულებები და უცხოეთში წასულები ეუფლებიან იქაურ, ჩვენთვის უცხო ღირებულებებს. უკან დაბრუნებულთათვის კი დამხვედრი საზოგადოების კულტურულ-ღირებულებითი ფასეულობები უცხოა და ამის გამოც ისინი დაპირისპირებაში მოდიან საზოგადოებასთან. მათ უჭირთ სამსახურის ნახვა, რადგანაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ რელიგიური განათლება აქვთ მიღებული, რაც საბოლოოდ ხელს უშლის საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. სწორედ ასეთი ადამიანები გვევლინებიან მედრესე-პანსიონების ხელმძღვანელებად, თუმცა ყველა პანსიონს ჰყავს უცხო ქვეყნიდან მოვლენილი სასულიერო პირი, რომლის მხრიდანაც ხდება ფინანსებისა და პანსიონებში მიმდინარე პროცესებზე ზედამხედველობა *[დაწვრილებით იხ: ასლანიძე, 2017]*.

ცნობილია, რომ აჭარაში ისლამის გავრცელება-დამკვიდრება მოსახლეობის ფართო ფენებში ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება, მაგრამ ისლამი ვერ მოერგო ქართველი კაცის ბუნებას, იგი ვერ იქცა ქართველი მუსლიმისთვის ცხოვრების წესად. ამდენი მეჩეთი, ყურან-კურსი თუ მედრესე არასოდეს ყოფილა აჭარაში. თავისთავად მეჩეთის თუ პანსიონების არსებობაში ტრაგიკული არაფერია, რომ არა ერთი ფაქტორი: ამ დაწესებულებებში პატარა ბავშვებს მხოლოდ რწმენას კი არ ასწავლიან, არამედ მუსლიმური წესით ცხოვრებას და ადვილი წარმოსადგენია, რა სურათს მივიღებთ 15-20 წლის შემდეგ, როდესაც ეს ბავშვები გამოვლენ ცხოვრების ასპარეზზე, როგორ დაამყარებენ ეს ახალგაზრდები საზოგადოების ძირითად ნაწილთან ინტეგრაცია-

ციას, ან რამდენადაა შესაძლებელი, ზოგადად, საერო ქვეყანაში რელიგიური წესით ცხოვრება? ასევე, აღსანიშნავია შემდეგი: ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დამოკიდებულება ისლამთან ძალზედ ზედაპირულია და შემოსაზღვრულია მხოლოდ ცალკეული მუსლიმური რიტუალების შესრულებით. აჭარაში ჯერ კიდევ ძალზედ დაბალია რეალურად მუსლიმური რიტუალების სრულყოფილად დამცველი მუსლიმების რაოდენობა. სწორედ აღნიშნული მდგომარეობისა და მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რა განათლებას ღებულობენ ჩვენი ბავშვები უკვე არსებულ ე. წ. მედრესეებში, რომელთაგან არცერთს არ აქვს ატესტაცია-აკრედიტაცია გავლილი, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მხრიდან არ მომზადებულა და ბუნებაში არ არსებობს ერთიანი პროგრამა ყურან-კურსებისა თუ მედრესეებისთვის. არავინ ფიქრობს იმაზე, თუ სამომავლოდ რა შედეგების მომტანი იქნება ის ფაქტი, რომ ბავშვები სკოლის შემდეგ სწავლობენ მედრესეებში, რაც კითხვებს აჩენს პედაგოგიური თვალსაზრისითაც, 6-7 გაკვეთილის შემდეგ, გადაღლილი ბავშვები მედრესეში დადიან და, ბუნებრივია, სახლში სკოლის გაკვეთილების მომზადებას ვეღარ ასწრებენ. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ უკვე მოქმედი მედრესეების დირექტორები ერთი მხრივ თავს იწონებენ, რომ ბავშვებს ზრდიან პატრიოტული სულისკვეთებით, მეორე მხრივ, ბავშვები დაჰყავთ ექსკურსიებზე თურქეთში, მაშინ, როდესაც ამ ბავშვებს ნანახი არ აქვთ სვეტიცხოველი, ალავერდი, გელათი და ა. შ. გამოდის, რომ ამ ბავშვების ზიარება ხდება ჩვენთვის უცხო და არაქართული კულტურაზე. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არავინ იცის, რა სიტუაცია გვექნება 15-20 წლის შემდეგ.

ჩვენ მიერ აქ მოხმობილი ფაქტები (რომლებიც დეტალურ ანალიზს საჭიროებს) ნათლად აჩვენებს, რომ სიტუაცია დამაფიქრებელია. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ჩვენი საზოგადოება მთლიანობაში შესაბამისად ვერ პასუხობს თანამედროვე რელიგიურ სფეროში არსებულ გამოწვევებს. მეტიც, ხშირად არ ხდება სათანადო რეაგირება მუსლიმთა ერთი ნაწილის უსაფუძვლო მოთხოვნებზე და უკანონო ქმედებებზეც კი, რასაც აჩვენებს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ამის თაობაზე კი მოკლედ შევნიშნავთ, რომ განსაკუთრებული პოლიტიკაა გასატარებელი ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. ბათუმში მოქმედი მეჩეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი კომერციული მიზნებით არის გამოყენებული, ამასთან, ცალკეულ სასულიერო პირთა პროვოკაციული გამოხდომების ფონზე ხშირად აქცენტი

კეთდება არა არსებული მეჩეთის გაფართოებაზე (რაც სრულიად შესაძლებელია), არამედ ახლის მშენებლობაზე. სრულიად საკმარისია არსებული მეჩეთის შენობის კომერციული ფართებისგან განთავისუფლება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის სამლოცველო ფართს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობის ინიციატორები მთავარ არგუმენტად აყენებენ იმ ფაქტს, რომ რელიგიური დღესასწაულების დროს მლოცველები ვერ თავსდებიან მეჩეთში და ქუჩაში უწევთ ლოცვა. ამ დროს მსოფლიოს მრავალ, მუსლიმურ თუ არამუსლიმურ ქვეყანაში რელიგიური დღესასწაულების დროს მუსლიმები სწორედ რომ ქუჩაში ლოცულობენ, ოღონდ ამ ფაქტს იყენებენ არა იმისთვის, რომ ამის საფუძველზე მოითხოვონ ახალი მეჩეთის მშენებლობა, არამედ იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ბევრნი არიან მუსლიმები. მთავარი კი ისაა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში რელიგიის, კერძოდ, ისლამის გააქტიურებამ მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის, საქართველოში, მართალია არა საგანგაშო (ჯერჯერობით მაინც), მაგრამ პრობლემები რომ წარმოშვა, ეს ფაქტია. ასე რომ პრობლემა კომპლექსურია და საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფომ სიტუაციის დასარეგულირებლად და არსებული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომელთაგან მიზანშეწონილად მიგვაჩნია უპირველესად განხორციელდეს შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებები:

1. სახელმწიფომ საკუთარ თვზე უნდა აიღოს ინიციატივა ქვეყანაში მუსლიმი სასულიერო პირების მომზადების შესახებ. საქართველოში დღეისთვის მოქმედებს 250-ზე მეტი მეჩეთი, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, სამხარეო და რაიონული სამუფთოები, სადაც დასაქმებულია 1000-ზე მეტი ადამიანი. ამიტომაც აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მომზადდებიან მომავალი სასულიერო პირები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად შეისწავლოს საქართველოში მოქმედ მედრესებსა და პანსიონებში არსებული სიტუაცია, გაარკვიოს, რა კომპეტენციისა და განათლების ადამიანები ასწავლიან აქ და რა საგანმანათლებლო პროგრამებით. შესაბამისად, უნდა მოახდინოს ამ სასწავლებლების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემა. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთან ერთად და სპეციალისტებთან (უპირველესად ფსიქოლოგები და პედაგო-

გიკის სპეციალისტები) კონსულტაციის საფუძველზე შემუშავდეს მედრესებისა და ყურან-კურსებისთვის ერთიანი სახელმძღვანელო.

3. მაღალმთიანი აჭარის სოფლებში უცხოური ფინანსებით ხდება შენობების შესყიდვა და იქ პანსიონების თუ ეროვნული გამოცდების მოსამზადებელი ცენტრების გახსნა. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ პანსიონებში ბავშვების მიყვანა მიმზიდველი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამიტომაც აუცილებელია, თუნდაც ყოველ მუნიციპალიტეტში 3-4, გაიხსნას ეროვნული გამოცდების მოსამზადებელი ცენტრები. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სწორედ ეს ცენტრები იქცეს მოსახლეობისთვის მიმზიდველად და არა პანსიონები.

4. საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიებთან მიმართებაში. საქართველოში რელიგიის სფეროში გასატარებელი ყველა ღონისძიება (საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რელიგიის სფეროში პოლიტიკის გამომუშავება და ა. შ) გათვლილი უნდა იყოს ქართველ მუსლიმებთან მიმართებაში;

5. რამდენადაც ისლამში არ არსებობს ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, ამ როლს ასრულებს სახელმწიფო. ამის გათვალისწინებით ჩვენთანაც სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს მუსლიმური თემის პრობლემების გადაწყვეტის და მასთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხები.

6. აჭარის მაღალმთიანი სკოლებისთვის მასწავლებლების ძირითადი მიმწოდებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამიტომ სასურველია ამ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე ისწავლებოდეს რელიგიათმცოდნეობა, ცალკეულ სპეციალობებზე კი სპეცკურსი ისლამთმცოდნეობის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რელიგიური პრობლემატიკის კვლევა-ძიებას. ამ მხრივ სასურველია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდეს რელიგიათმცოდნეობის დეპარტამენტი და წახალისდეს ამ დარგში სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელშიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ისლამი, 2016: – ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია. ააიპ „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლის“ კვლევის ანგარიში, თბილისი.

Асланидзе, 2016: – Асланидзе А. К вопросу активизации ислама в Абхазии. Ислам и тюркский мир: проблемы образования, языка, литературы, истории и религии: материалы VIII Международной тюркологической конференции (Россия, Республика Татарстан, г. Елабуга, 22 апреля 2016 г.). Казань. С 3-5.

Асланидзе, 2017: – Асланидзе А. Ислам в образовательной системе Абхазии // Идеалы и ценности ислама в образовательном пространстве XXI века. Материалы X Международной научно-практической конференции. Уфа, 18-20 октября 2017 г. Уфа.

Abesalom Aslanidze (Batumi, Georgia)

Muslim Educational Institutions in Batumi and Entire Ajara

Summary

In the article it is studied and analyzed boarding schools and educational institutions in Batumi and in whole Ajara, sources of funding of these institutions and the number of pupils. Based on an actual materials there is made a conclusion that our children not only live in the boarding schools and study the issues of faith, they grow up with a Muslim lifestyle too, that will make them a problems in the future in integration into society.

НЕКОТОРЫЕ КРИТЕРИИ УГОЛОВНОГО ПРАВА

Уголовное право – это отрасль права, которая регулирует общественные отношения, связанные с совершением преступных деяний. Данная отрасль права регулирует все вопросы, возникающие на распространяемой ею территорией.

Союз Советских Социалистических Республик – государство, существовавшее с 1922 года по 1991 год на территории Восточной Европы, Северной, части Центральной и Восточной Азии. СССР на момент распада занимал почти 1/6 часть обитаемой суши Земли с населением в 294 млн. человек, а также 7-е место в мире по уровню национального дохода (3,4%) [*Конституция СССР...*].

В декабре 1958 г. были приняты «Основы уголовного судопроизводства Союза ССР и союзных республик», а чуть позднее 27 октября 1960 г. Верховный Совет РСФСР принял Уголовно-процессуальный кодекс РСФСР. Основы и УПК РСФСР определили задачи уголовного судопроизводства, которые предусматривали моментальное раскрытие преступлений, указывал все этапы развития преступления, а также справедливо определял ответственность за содеянное. После вступления Основ в законную силу произошла реформа республиканских УК 1959-1961 годов. В своих Общих частях уголовные кодексы во многом повторяли Основы уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, тем не менее, УК в ряде случаев детализировали и развивали Основы. При всем этом уровень конкретизации оставался различным. Больше всего схожесть с Основами наблюдалась в УК Грузии и УК Эстонии. В данном случае на содержание кодексов оказало влияние развитие научных школ и правовых традиций [*Крылова, 2000*].

25 декабря 1958 г. были Закон «Об уголовной ответственности за государственные преступления» и Закон «Об уголовной ответственности за воинские преступления».

Главной задачей уголовного права была «охрана государственного и советского общественного строя, личности и прав граждан и социалистической собственности». Уголовной ответственности подлежали все лица на территории СССР. К подросткам от 14 до 16 лет уголовная ответственность применялась в

случае совершения ими тяжких преступлений (убийство, разбой, изнасилование и т.д.). Подлежали ответственности лица, совершившие преступления в состоянии опьянения.

Особо опасными государственными преступлениями считались: измена Родине, шпионаж, террористический акт против представителя иностранного государства и антисоветская агитация и пропаганда. К воинским преступлениям относились: отказ от исполнения приказа вышестоящего начальника, нарушение воинского устава, неповиновение, совершенное в военное время или в боевой обстановке. Применялись такие наказания как: лишение свободы на срок до 15 лет, ссылка, исправительные работы без лишения свободы, высылка, лишение права занимать определенные должности или заниматься определенной деятельностью, штраф, общественное порицание. Измена Родине, шпионаж и террористические акты наказывались лишением свободы на срок от 10 до 15 лет или смертной казнью с конфискацией имущества. Антисоветская агитация и пропаганда наказывалась лишением свободы на срок от 6 месяцев до 7 лет или ссылкой на срок от двух до пяти лет. Целями наказания считались исправления и перевоспитание осужденных, точного исполнения законов, а также предупреждение для не совершения новых преступлений. Особенностью Основ уголовного законодательства являлось смягчение уголовной ответственности за преступления, не представлявшие большей опасности для государства и общества. Запрещалось применение высшей меры наказания к лицам, не достигшим 18-летнего возраста, а также к беременным женщинам. Существовало условно-досрочное освобождение от наказания или замена его более мягким. *[Проекты ...]*.

Уголовный кодекс РСФСР, состоял из двух частей: Общей и Особой, 18 глав и 259 статей. Кодекс детализировал положения, предусмотренные Основами, и более подробно определил положения видов преступления *[Яшин, 2015]*.

Принятый в 1996 году Уголовный кодекс Российской Федерации сменил Уголовный кодекс РСФСР 1960 года. Среди наиболее существенных изменений можно назвать достаточно полное отражение в нём новых экономических и политических реалий российского общества, переход к приоритетной защите прав и свобод человека, а не интересов государства, усиление ответственности за наиболее тяжкие преступления и снижение ответственности за преступления небольшой тяжести, совершённые впервые, новые основания освобождения от уголовной ответственности и другие нововведения, призванные усилить про-

филактический потенциал уголовного закона. Значительно изменена была Особенная часть: введено около 70 новых составов преступлений, декриминализовано более 80 составов, ранее предусматривавшихся УК России; в диспозиции и санкции практически всех статей, которые перешли из УК РСФСР в УК России, были внесены изменения [Якубов, 2003].

Уголовное право является средством государственной защиты прав и интересов граждан, общества и государства, которая является основополагающим нормативным актом, определяющим принципы и границы применения государственного принуждения.

Использованная литература:

- Конституция СССР...** – Конституция СССР 1977 года.
[https://ru.wikisource.org/wiki/Конституция_СССР_\(1977\)#Глава_1._ПОЛИТИЧЕСКАЯ_СИСТЕМА](https://ru.wikisource.org/wiki/Конституция_СССР_(1977)#Глава_1._ПОЛИТИЧЕСКАЯ_СИСТЕМА)
- Крылово, 2000:** – Крылово Н. Е. Уголовное право. Учебник. Практикум. М.
- Проекты...** – Проекты политических преобразований начала 60-80-х годов.
- Якубов, 2003:** Якубов А. Е. Обратная сила уголовного закона: некоторые проблемы совершенствования Уголовного кодекса Российской Федерации. СПб.,.
- Яшин, 2015:** – Яшин Н.А., “Характеристика советского уголовного права периода либерализации общественных отношений”, – Журн. “Успехи современного естествознания”, 2015, №1-3, с. 532-536.

დანიელ აფხაზავა (ყაზანი, რუსეთი)

სისხლის სამართლის ზოგიერთი კრიტერიუმი

რეზიუმე

სისხლის სამართლის სტრუქტურა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით. ისტორიულად კანონდებლობა მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს, რის საფუძველზე რიგი საკითხები ჩანაცვლებულა შესაბამისი სისხლის სამართლის კოდექსით.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობა, როცა საზოგადოებისთვის პრიორიტეტულია ადამიანის უფ-

ლება და თავისუფლება. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა განყოფილებებში, სოციუმის ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფოსი. შესაბამისი ორგანოები მაქსიმალურად ცდილობენ გააძლიერონ შესაბამისი სტრუქტურები და მაქსიმალურად შეამცირონ რისკფაქტორები, დანაშაულებები. დღეს, რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ინოვაციებითა და პრევენციული ძალებით ცდილობს სამართლებრივი ნორმები მისი მოქალაქეების სასარგებლოდ მიიღოს, რათა მათი უფლებები უკეთ იყოს დაცული.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნაწილი, როგორც რესპუბლიკური სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საზოგადოების პრეროგატივაა.

დურმიშან აფხაზა

(ყაზანი, რუსეთი)

სოფიო ქარცივაძე

(ბათუმი, საქართველო)

შვებულების უფლება ქართულ კანონმდებლობაში

საზოგადოების უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ ღირებულებას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს. თითოეულ ადამიანს, კანონით მინიჭებული უფლებების გარდა, აქვს მნიშვნელოვანი და ღირებული უფლებები, რომელიც მან მიიღო იმიტომ, რომ დაიბადა ადამიანად. ადამიანის უფლებათა ჭრილში სოციალურ უფლებათა შორის, ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას სწორედ შრომის უფლება წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი განამტკიცებს თავისუფალი შრომის უფლებას. მოცემულის ერთ-ერთ ნათელ გამოხატვას სწორედ შვებულების უფლება წარმოადგენს.

შვებულება არის სამუშაოს დროებით შეჩერება, რომელიც ხორციელდება დასაქმებულის განცხადების საფუძველზე.

განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **შვებულება** განმარტებულია, როგორც სამსახურიდან ყოველწლიური გაშვება (დასასვენებლად) კანონით განსაზღვრული დროითა და ხელფასის შენარჩუნებით¹.

შვებულება წარმოადგენს შრომით უფლებათაგან ერთ-ერთ ისეთ ძირითად უფლებას, რომელიც სავალდებულოა კონსტიტუციით დაცული უფლების – შრომის უფლების დაცვის მიზნით.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შვებულების უფლებით განპირობებული ნორმები მოცემულია შრომის კოდექსის მეხუთე თავში. ასევე, შვებულებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ცალკეულ მუხლებში.

შვებულების საკითხი გვხვდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 24-ე მუხლში, სადაც მითითებულია – ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება სამუშაო დღის გო-

¹ განმარტებითი ლექსიკონი <http://www.ena.ge/explanatory-online>

ნივრული შეზღუდვისა და პერიოდული ხელფასიანი შვებულების უფლების ჩათვლით².

შვებულების საკითხი ასახულია გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო ფაქტის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში – დასვენებას, თავისუფალ დროს და სამუშაო დროის გონივრულ შეზღუდვასა და პერიოდულ ანაზღაურებულ შვებულებას, ისევე, როგორც ანაზღაურებას უქმე დღეებისათვის³.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს შვებულების მნიშვნელობას შრომის უფლებათა ჭრილში, რომელიც კონსტიტუციით დაცულ უფლებას წარმოადგენს.

შვებულების უფლების წარმოშობა

კონსტიტუციის 30-ე მუხლით დაცული შრომის უფლებიდან გამომდინარეობს შვებულების უფლების წარმოშობა.

შვებულების მიცემის წესი ანუ შვებულის უფლების წარმოშობა დასაქმებულ პირისათვის ხდება მუშაობის დაწყებიდან თეთმეტი თვის შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ შეიძლება ეს უფლება ამ ვადის გასვლამდეც წარმოემვას დასაქმებულს, თუ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შვებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს:

1. დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი;
2. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;
3. შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო;
4. დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მხარეები (დამსაქმებელი და დასაქმებული) შეიძლება შეთანხმდნენ სულ სხვა პირობებზე, მაგრამ ამ შეთანხმებით არ მოხდეს პირის კონსტიტუციური უფლების შრომის, როგორც თავისუფალი შრომის, უფლების შელახვა, რომელიც მოიცავს შვებულების უფლებას.

უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესოა სააპელაციო სამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ და სადაც მითითებულია, რომ შვებულების „უფლების რეალი-

² გაეროს ძირითადი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, 1995 წ. ადმიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 ლის 10 დეკემბერი გვ. 81.

³ გაეროს ძირითადი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, 1995 წ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი 1966 წლის 16 დეკემბერი გვ. 88.

ზაციისათვის აუცილებელია დასაქმებულის ნება, რომელიც უნდა მიუვიდეს დამსაქმებელს. შრომის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს არა მარტო შვებულების ხანგრძლივობის ფარგლებს, არამედ განსაზღვრული ნორმა ანიჭებს დასაქმებულს უფლებას, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება წარმოადგენს დასაქმებულის დასვენების დროს, ანუ იმ უფლებას, რომელიც არ შეიძლება შიცვალოს ფულადი კომპენსაციით. ამ დანაწესის აუცილებლობა იმაშია, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას დასაქმებულის დასვენების უფლება და ფულადი კომპენსაციით ჩანაცვლება არ მოხდეს საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნის უგულებელყოფა“⁴.

მივდივართ დასკვნამდე, რომ შვებულების უფლების რეალიზებისთვის საჭიროა დასაქმებულის ნების გამოვლენა, რომელიც უნდა ეცნობოს დამსაქმებელს. ეს უკანასკნელი ძალაში შედის დამსაქმებლისათვის ცნობისთანავე და არ საჭიროებს მისი ნების გამოვლენას ძალაში შესასვლელად.

შვებულების სახეები

საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და შრომის კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს შემდეგი სახის შვებულებით:

- ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება⁵
- ყოველწლიური ანაზღაურების გარეშე შვებულება⁶
- შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო⁷
- შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო⁸
- დამატებითი შვებულება⁹.

• ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაქმებულს სამუშაოს დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ წარმოეშობა შვებულების უფლება, რომელიც შეიძლება იყოს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო №ას-698-655- 2012 განჩინება, <http://blh.com.ge>

⁵ საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლის მეხუთე ნაწილი

⁶ საქართველოს შრომის კოდექსის 23-ე მუხლი

⁷ საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლი

⁸ საქართველოს შრომის კოდექსის 28-ე მუხლი

⁹ საქართველოს შრომის კოდექსის 26¹-ე და 30-ე მუხლები

შრომის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებადი შვებულება შეადგენს წელიწადში 24 სამუშაო დღეს, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულება შეადგენს 15 კალენდარულ დღეს.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ანაზღაურებადი შვებულება შეადგენს წელიწადში 31 კალენდარულ დღეს, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულება შეადგენს არაუმეტეს ერთ წელს.

საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად – დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

ასევე, კონვენციის ყოველწლიანი ფასიანი შვებულებების შესახებ¹⁰ მე-2 მუხლის თანახმად – ყოველ პირს, რომლის მიმართაც წინამდებარე კონვენცია გამოიყენება, უფლება აქვს ერთი წლის ხანგრძლივობით უწყვეტი მუშაობის შემდეგ ისარგებლოს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით, რომელიც სულ ცოტა ექვსი სამუშაო დღის ტოლი იქნება.

- **შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო**

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო. შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად – შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შეადგენს 730 კალენდარულ დღეს, საიდანაც, ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში 200 კალენდარული დღე.

ანალოგიური ანაზღაურების წესი ვრცელდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 42-ე მუხლის თანახმადაც. თუმცა, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს ბავშვის მოვლის გამო შვებულებას.

¹⁰ ძალაში შესვლის თარიღი: 1939 წლის 22 სექტემბერი. კონვენცია 1970 წელს გადაისინჯა 132 კონვენციით. 132 კონვენციის ძალაში შესვლის დროიდან 52 კონვენცია რატიფიკაციისათვის დახურულია.

- **შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო**

შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანის გამო ვხვდებით მხოლოდ შრომის კოდექსში, რომელიც შეადგენს ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარულ დღეს, აქედან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

- **დამატებითი შვებულება**

შვებულების სახეების განხილვისას ერთ-ერთ საინტერესო საკითხს სწორედ დამატებითი შვებულება წარმოადგენს.

დამატებითი შვებულების სამ ფორმას ვხვდებით სულ, ესენია:

- დამატებითი შვებულება მიმღე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულთათვის¹¹, რომელსაც განსაზღვრავს შრომის კოდექსი და მისი ოდენობა წარმოადგენს დამატებით 10 კალენდარულ დღეს;

- დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო¹² შეადგენს ანაზღაურებად 2 კვირას, ხოლო ანაზღაურების გარეშე 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს 5 წელი შეუსრულდება;

- სასწავლო შვებულება კვალიფიკაციის ასამაღლებლად¹³, რომელსაც ითვალისწინებს საჯარო სამსახურის შესახებ კანონი და ის შეადგენს 5 წელიწადში ერთხელ 3 თვემდე ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შვებულების უფლება თავისი შინაარსით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან ის კონსტიტუციით დაცული შრომის უფლების შემადგენელი ელემენტია. ამრიგად, შვებულების უფლების დარღვევა გამოიწვევს კონსტიტუციის 30-ე მუხლით განსაზღვრულ შრომის უფლების დარღვევას, რაც სახელმწიფოს უზენაესი კანონის დარღვევას გულისხმობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ძირითადი დოკუმენტი ადამინის უფლებათა დაცვის სფეროში, 1995 წ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი 1966 წლის 16 დეკემბერი.

¹¹ საქართველოს შრომის კოდექსის 26¹-ე მუხლი

¹² საქართველოს შრომის კოდექსი 30-ე მუხლი

¹³ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 48-ე მუხლი

2. გაეროს ძირითადი დოკუმენტი ადამინის უფლებათა დაცვის სფეროში, 1995 წ. ადმინის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 ლის 10 დეკემბერი.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2011 წელი 5 სექტემბერი.
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2013 წელი 20 მარტი.
5. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.
6. საქართველოს ორგანული კანონი: საქართველოს შრომის კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=8>
7. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=14>
8. ძალაში შესვლის თარიღი: 1939 წლის 22 სექტემბერი. კონვენცია 1970 წელს გადაისინჯა 132 კონვენციით. 132 კონვენციის ძალაში შესვლის დროიდან 52 კონვენცია რატიფიკაციისათვის დახურულია.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლო №ას-698-655- 2012 განჩინება.
10. <http://blh.com.ge>
11. განმარტებითი ლექსიკონი <http://www.ena.ge/explanatory-online>

Durmishkhan Apkhazava (Kazan, Russia)
Sophio Kartsivadze (Batumi, Georgia)

The Right to Vacation in Georgian Legislation

Summary

The given work concerns to “the terms and their significance for the civil procedural law”. Considering and analyzing the terms, as one of the important issues of the law, are the aims of this work, particularly those standards that are included in the civil procedural law of Georgia. These standards are being discussed simultaneously with the same part of civil and administrative code of Georgia.

The work considers the essence of the civil procedural law and its significance, as well as the determination of the terms, place and their importance in accordance with the civil and administrative procedural law. The work also describes the old Roman law, in which the questions connected with procedural terms are mentioned.

კვლავ ერთი ტოპონიმის ექსტრალინგვისტური კვლევისათვის ბათუმის შემოგარენში

ტოპონიმის „დედამიწის ენას“ ეწოდებენ, რადგანაც „ამეტყველების“ შემთხვევაში შეუძლია გვაზიაროს მრავალ საიდუმლოს, რომელიც მასშია დაუნჯებული. ყოველი ტოპონიმი ერთდროულად გარდასულ დღეთა ნაყოფიცაა და მემატყნეც, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაზე: რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე და ამდენად, საჭიროა აღიწეროს და დარჩეს ჩვენს შთამომავლობას.

გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებს ქმნის ხალხი და მათი საკუთარი მოთხოვნილებისამებრ მოიხმარს კიდეც. საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობა შეიძლება გადაშენდეს, სხვა ენობრივ კოლექტივში გაითქვიფოს. ახლად მოსულ ხალხს, ბუნებრივია, ადგილზე ხვდებოდა გეოგრაფიულ სახელწოდებათა მთელი სისტემა, რომელიც მას ჩვეულებრივ სამსახურს ვერ გაუწევდა.

სახელწოდებათა ეტიმოლოგიური კვლევა არც სპეციალისტებისა და არც (მით უმეტეს არასპეციალისტებისათვის თავშესაქცევი არ უნდა გახდეს), თვითმიზნად არასოდეს არ უნდა იქცეს. შეუძლებელია (და, ალბათ, არცაა საჭირო) გავარკვიოთ ყველა ტოპონიმის წარმომავლობა, მასში ჩადებული შინაარსი.

მთავარია, ვიკვლიოთ ენა, როგორც (ერთი) მთლიანი სისტემა, როგორც განვითარებადი და ამდენად, ცვლადი ფენომენი.

ტოპონიმთა „მუდმივ ნათლიებს“ – რიგით ადამიანებს კი ყოველთვის აინტერესებდათ და აინტერესებთ არა სახელწოდებათა გრამატიკული მხარე (შემადგენლობა, ძირი, ფუძე, საწარმოქმნო ფორმანტები, კუმშვა-კვცის შედეგები და ა.შ.), არამედ ამ სახელწოდებებში ჩადებული შინაარსი, მნიშვნელობა, აზრი. ხალხის ამ საყოველთაო ინტერესმა და სწრაფვამ დაუდო სათავე ე.წ. ხალხურ, ანუ არამეცნიერულ ეტიმოლოგიას.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ტოპონიმთა ენათმეცნიერული (ლინგვისტური) კვლევის ორი ასპექტი:

ა) სისტემური და სტრუქტურული დახასიათება

ბ) წარმომავლობის (ამოსავალი ფუძის ტოპონიმამდელი მნიშვნელობა, ანუ ეტიმოლოგიის) ამოხსნა და, შემდგომი ფორმობრივი თუ ფუნქციური ცვლილებების დადგენა.

დიდი ხნის მანძილზე ტოპონიმთა კვლევის ძირითადი მიზანი იყო სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ ეტიმონის (ამოსავალი ფუძის) ძიება. მაგრამ მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ცხადი გახდა, რომ მეთოდოლოგიურად უფრო მიზანშეწონილია საკუთრივ ტოპონიმურ წარმოებაზე ყურადღების გადატანა, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ტოპონიმის მკვლევარმა უპირატესად ამა თუ იმ ადგილის მდებარეობის, თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიული სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას.

ტოპონიმისტიკისათვის უპირველესი ამოცანაა ტოპონიმის ამოსავალი ფუძისა და მისი ლექსიკური მნიშვნელობის დადგენა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ესეც კი არ გვაძლევს ამომწურავ პასუხს კითხვაზე, თუ რატომ დაერქვა ეს სახელი, რადგან ტოპონიმის წარმოქმნაში მონაწილეობენ ექსტრალინგვისტური, ხშირად შემთხვევით ფაქტებიც კი. ამასთან, ტოპონიმისტიკისათვის მთავარია არა ეტიმოლოგია, არამედ ეტიოლოგია, არა მექანიკური დადასტურება ამა თუ იმ ამოსავალი ფუძისა, არამედ სახელდების უშუალო მიზეზის გახსნა, ანუ ეტიოლოგია-მოტივირება. ამოსავალი ფუძის მექანიკური დადასტურება არაა საკმარისი ტოპონიმთა ეტიმოლოგიისათვის, თუ არ გავითვალისწინებთ გარეენობრივ ფაქტორებს.

გეოგრაფიული სახელწოდება ერგე, მასში შემავალი სოფლებით (ერგეს თემში გაერთიანებული სოფლებით - ერგე, ზემო და ქვემო ჯოჭო, ნიკიტაური//ნიქიტაური, კაპანდიბი//კაპანდიდი), მიეკუთვნება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს დასახლებათა რიგს, სადაც შემორჩენილია საინტერესო წერილობითი, ზეპირსიტყვიერი, ონომასტიკური, ნივთიერი მასალები. სალოცავების სიმრავლით, როგორც ირკვევა, თავის დროზე ერგეს თემში მოქმედებდა ცხრა საყდარი (ეკლესია) *[უზუნაძე, 2018:472]*.

კაპანდიბი – სოფელია ხელვაჩაურის რაიონში. ადგილობრივი მკვიდრის ლევან გორგოშაძისა და მისი მეუღლის ნაზი აბაშიძის ზეპირი ინფორმაციით, აქ, ადრე, კომუნისტებს მოსვლამდე, დუქნები, სასტუმრო, პურის საცხობი, სავაჭრო ცენტრი... ყოფილა. თურქეთიდან ნავებით მოჰქონდათ თურმე ყველაფერი: ზეთის ხილი, ყურძენი, სამშენებლო მასალები, სურსათი.

ართვინის მხარის კვლევის დროს ერთმა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილმა ფაქტმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მურღულის ერთ-ერთ სოფელში, ტრაპენში, ჩვენი მასპინძელი ისმაილ ბოლქვაძე სიამაყით აქებდა აქაურობის ხვავიან-ბარაქიანობას. პურის, ხილის, განსაკუთრებით კი ყურძნის დიდი მოსავალი მოდიოდა ძველადო. დაგვისახელა ჩხავერი და ლივანური, შავშური და ხარითვალა...

ისმაილ ბოლქვაძე: „ჯინეში მოდიოდა ჩვენში, ჰემ თეთრიც და ჰემ შავიც, შარაფის (ღვინის) ყურძენია. ბათუმ მიჰქონდათ. ჩემი ბაბა (მამა) იტყოდა, ნავით ჩავდიოდით ბათუმსო. აქედან 6-7 საათში ჩავდიოდით, იქიდან ძნელი იყო, 3-4 კაცი ხელით ეწიკებოდა (ზიდავდა) ნავსო“.

ეს იყო სამდინარო ნაოსნობა ჭოროხზე. სამდინარო ნაოსნობას დასავლეთ საქართველოში, წყალუხვი მდინარეებით მდიდარ მხარეში, დიდი ტრადიცია ჰქონდა. მდინარე ჭოროხის ქვედა დინება სატრანსპორტო კომუნიკაციის როლს ასრულებდა ართვინიდან ბათუმამდე. ეს იყო უმოკლესი და ხელსაყრელი დამაკავშირებელი გზა ტაო-კლარჯეთისა შავი ზღვის სანაპიროსთან, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო გაჭრილი გზა ჭოროხიდან და ბორჩხადან ჩხალის ხეობით ხოფამდე.

ჭოროხის თავისებურებათა გათვალისწინებით, აქაურმა ნავმშენებლებმა ნავის ჭოროხული ტიპი შეიმუშავეს, – გრძელი და ბრტყელძირიანი, რომელსაც წინა და უკანა კიბოები აწეულ-წამახვილებული ჰქონდა.

საუკეთესო მენავეებად კირნათელი და ქვედა მარადიდელი ცინცაძეები და ჯიხიძეები მიიჩნეოდნენ. ჭოროხულ ბრტყელძირიან ნავებში იყო განსხვავება სიდიდისა და ტვირთის ტევადობის მიხედვით (2-დან 6-7 საყენამდე).

სამდინარო ნაოსნობა სპეციფიკურია. წყალუხვობის პერიოდში, ართვინიდან ბათუმამდე ნავი 5-7 საათში ჩადიოდა, წყალმარჩხოების დროს კი 10 საათი მაინც სჭირდებოდა. აღმა დინების საპირისპიროდ კი, საუკეთესო შემთხვევაში, 2-3 დღეში ადიოდნენ, ხოლო ზამთრის წყალმარჩხოების დროს ეს გზა 6-7 დღემდე იწელებოდა.

XX საუკუნის ბოლოსთვის ჭოროხზე ორასი ნავი დაცურავდა, რომელსაც სამასზე მეტი მენავე ემსახურებოდა. ამ გზით ჩაჰქონდათ ტაო-კლარჯეთის სოფლებიდან ბათუმში გასაყიდად სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ხელოსნობის ნაწარმი. XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა კეთილმოწყობილი გზები ამოქმედდა, ჭოროხის სანაოსნო მნიშვნელობა შემცირდა, ხოლო ართვინიდან ქვედა მარადიდამდე საბოლოოდ შეწყდა 1921 წელს, როცა ჭოროხის ხეობის უმთავრესი ნაწილი თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა.

მკვლევარი აზ. ახვლედიანი საგაზეთო სტატიაში „შევარდენი სასირეყელზე“ მოგვითხრობს ერთ ნამდვილ ამბავს, წინაპართაგან გაგონილს, თუ როგორ ხდებოდნენ სასირეყელზე მეფეს ძველ დროში და ასეთ ისტორიას გვიყვება: „... პარმალზე შემდგარი ალხამუში ორმოცდაათ ნაბიჯზე დაშორებულ ჯიხურს უყურებდა, წაბლის მსხვილი მორებისაგან ნაშენი რომ იყო და სახურავის შეკეთება უნდოდა. კარგად იცოდა, შესაცვლელი იყო ყავრის სახურავი, მაგრამ ბორჩხიდან კრამიტს ელოდა, მენავეებს მოლაპარაკებოდა და ჭოროხის შესართავიდან ურმებით ამოზიდავდა“. აქვე მოვიყვანთ კაპანდიბის მკვიდრის როსტომ თავდგირიძის მონათხრობს იმის თაობაზე, თუ რით იყო ნაშენი მათი ძველი სახლი, სწორედ ბორჩხიდან ჩამოტანილი აგურით. ამ ადგილას (კაპანდიბში) შორი სავაჭრო გზიდან მოსულებს დაასვენებდნენ (მოასვენებდნენ), ცხენებს ნალებს შეუცვლიდნენ. აქ ადრე ბორანი ყოფილა, სადაც ნავეები შემოდის. თედო სახოკია მიუთითებს, თუ როგორ ათევდნენ ღამეს და აგრძელებდნენ გზას შორი გზიდან მოსულები. კაპანდიბი ბუნებრივი ნავმისადგომი ყოფილა. სადაც, როგორც ჩანს ადგილობრივ მკვიდრთ შემოქმონდათ სამშენებლო მასალები თურქეთიდან. 1934 წლამდე კაპანდიბი სასოფლო საბჭო იყო, მერე შეცვალეს და ხელვაჩაურის რაიონის შემადგენლობაში შევიდა. ამ ტერიტორიაზე ნაპოვნია ოქროს ფირფიტები და ვერცხლის მუზარადი. 2012 წლის 12 ივნისს კირნათში, ე.წ. „ინტერნატის“ ტერიტორიის მიმდებარედ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იპოვეს ნავი (დაახლოებით 4 მეტრი სიგრძის) კარგ მდგომარეობაში, რომელიც ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში გადაიტანეს. ამბობენ, ამ ნავით კირნათიდან კაპანდიბამდე გადაადგილდებოდნენ ხოლმე მენავეები (ინფორმატორი 18 წლის ბსუ-ს სტუდენტი მინდია ცინცაძე).

კაპანი – სულხან საბასთან ასეა განმარტებული: ქვა ღოჯი *[საბა, 1991:161]*. ღოჯი – დიდი კბილი პილოსა და მისთანა – ასეთ განმარტებას ვხვდებით საბასთან *[საბა, 1993:255]*. კაპანი დამრეცი, ციცაბო ადგილი. კაპანი-საგან არაერთი ადგილისა თუ სოფლის სახელია ნაწარმოები აჭარაში. ასევე მაგალითად: კაპნის თავი – სოფელი აჭარისწყლის სასოფლო საბჭოში, კაპანდიბი – სოფელია ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოში *[სიხარულიძე, 1958:145]*, კაპანი – სათესი ქედის რაიონი, სოფელი ასამბამდე *[იქვე, 60]*. კაპანი – სოფლის უბანი ქვემო მაჭახელში, კაპანი – სათესი საბრევეთში, ქვედა მარადიდი *[იქვე, 130-136]*, კაპანთი – სათესი სოფელ გორგამეთში, ზედა ჩხუტუნეთი *[იქვე, 132]*, კაპანთხევი – სათესი სოფელ ფარტენამდე, ქვემო მაჭახელი *[იქვე, 130]*, კაპანოღროკაი *[იქვე, 208]*, კაპანტყე – სოფლის უბანი, სოფელი გუნდაური, მე-

რისი *[იქვე, 62]*, კაპანჭალათი – სათესი გუნდაური, კაპნები *[იქვე, 62]*, კაპნები – ბალი სოფელი ფურტო, სხალთა *[იქვე, 98]*. რაც შეეხება „კაპანდიბი“-ს ეტიმოლოგიას, იგი რთული სიტყვა ჩანს, რომელიც შედგება „კაპანი“-ისა და „დიბი“-საგან. კომპოზიციის მეორე ნაწილი „დიბი“, დიბაჲ შ. ნიჟარამესთან განმარტებულია, როგორც თამბაქოს მცენარის ძირა ფოთლები; მისგან დაბალი ხარისხის თამბაქო გამოდის. ძველ ქართულში გვაქვს სიტყვა „დება“, რომელიც სულხან -საბასთან ასეა განმარტებული „დება“-მდებარეობა(დ) არს ქონებადადების, ვითარ იგი სხეული იდვის, ანუ მიყრდნობით, ანუ ჯდომით, ანუ დგომით *[საბა, 1991:213]*. სოფელი კაპანდიბი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია გზის ქვემოთა ნაწილი კაპანდიბისა და მეორე ფერდობზე შეფენილი, რაც შეეხება ტოპონიმ „კაპანდიბი“-ს ეტიმოლოგიას, ჩვენი ვარაუდით, იგი ერთგვარი მოსაბრუნებელი დანიშნულების ბოლო პუნქტია, მოსაბრუნე, მისაქციელი. ქართულ საისტორიო წყაროებში მისაქციელი XVI საუკუნიდან ჩნდება. სწორედ საფურცლე – მისაქციელზე გადიოდა ტიფლის მცხეთიდან შიდა ქართლისკენ (მუხრანი, ძალი, წილკანი) მიმავალი ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი გზა *[ბერძენიშვილი, 60:103]*. ძველ საქართველოში ამგვარი მისაქციელები არაერთი ყოფილა. მისაქციელის ტიპის მიკროტოპონიმები ხშირია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთსა და გურია-აჭარაში.

კაპანდიბში ჩვენი ინფორმატორის, ლევან გორგოშაძის საკარმიდამოში, თავად ვიხილეთ მიწაში ჩაფლული უზარმაზარი ქვები, სავარაუდოდ, ეს ის ადგილებია, სადაც ბუნებრივი ნავმისადგომი უნდა ყოფილიყო. აქ დღესაც მთელს ზოლზეა მიწაში ჩაფლული დიდი ქვები. ამდენად, კაპანდიბის ეტიმოლოგია, შესაძლოა, ასე განიმარტოს: დიდი ქვებით შემოსაზღვრული, შემოფენილი მოსასვენებელი ადგილი, რომელიც დანიშნულების ბოლო პუნქტს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, „კაპანდიბი“ ბუნებრივ-გეოგრაფიული დანიშნულების ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ, თუმცა თუ კვლევას გავყვებით, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვა უძველესი ხანიდან აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით. იგი იყო პირველი ძირითადი მასალა, რომლისგანაც ადამიანმა დაიწყო შრომისა და საბრძოლო იარაღების დამზადება *[უზუნაძე, 2018:473]*. ბრინჯაოს ხანიდან უზარმაზარი, დაუმუშავებელი და დამუშავებული ქვებისაგან (მეგალითები) აგებდნენ ციხესიმაგრეებს, საცხოვრებელ ნაგებობებს. ქვა აქტიურად გამოიყენებოდა წარმართული სარწმუნოების კულტმსახურებაში. აგებდნენ სალოცავებს (საყდარი), საკურთხეველ-სამსხვერპლოებს. აღმართავდნენ კერპებს – მენპირებს (დიდი

ზომის ვერტიკალურად აღმართული ქვის სვეტი), ვეშაპ-ვეშაპოიდებს (თევზის სახის ან მსგავსი მონოლითური სვეტი), ქვაკაცებს. აჭარის მთიანეთში მრავლადაა დადასტურებული ქვაკაცის კერპები *[უზუნაძე, 2018:474]*. წარმართობის პერიოდში რიტუალების შესასრულებლად გამოიყენებოდა ქვები, ქვა-ლოდები, რომლებზედაც სრულდებოდა სხვადასხვა რიტუალი.

სულხან-საბასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „კაპანი“ ქვა-ლოჯად არის განმარტებული (161). სვანურ ლექსიკონში იგი ნიკაპს ჰქვია, ქვედა ყბა, ე.ი. სახის დამამთავრებელ ნაწილს *[თოფურია ვ., ქალდანი მ. 2002:342]*. ტოპონიმი „კაპანდიბი“-ც თავისი დანიშნულებით იყო რაღაცის დამამთავრებელი. რაც შეეხება ტოპონიმის ადგილ-მდებარეობის განსაზღვრას, იგი მთის ძირს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ გასარკვევია რა დანიშნულებისაა ეს სახელწოდება, როდინდელია? ხომ არ არის მისი ფესვები წინაქრისტიანულ ხანაში სამიბე-ლი, როცა კოლხები კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და როგორც ლეგენდა მოგვითხრობს სათაყვანებელი კერპები ჰქონიათ, რომელიც მდგარა დიდ ჭყონთან (მუხასთან – ნ.ა.), სადაც შემდეგ ქრისტიანული ტაძარი – მარტვილის მონასტერი აიგო. თუჯის კერპს ხახადაბჩენილი და ხელებმოღერებული კაცის სახება ჰქონდა და „კაპუნია“ თუ „ყვაპუნია“ რქმევია. კაპუნიას ყოველწლიუ-რად დანიშნულ დროს ხახაში ატენიდნენ მსხვერპლს – ცოცხალ ბავშვს, რომელიც ჩაიხრწნებოდა კაპუნიის მუცლის ღრუში. სამეგრელოში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მარტვილში წმინდა ანდრია მოცი-ქულმა შემუსრა მუხასთან აღმართული კერპი „კაპუნია“ და მის ნაცვლად ჯვა-რი აღმართა, ხოლო მუხის ფიცრებისაგან ეკლესია ააშენა *[მენტეშაშვილი, 1937:2]*.

ტოპონიმი „კაპანდიბი“, შესაძლოა, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ ტოპონიმთა ნუსხაში შეიძლება განვიხილოთ (შდრ.: ტოპო-ნიმები ჯოჭო, ერგე, კიბე).

გამოყენებული ლიტერატურა:

- თოფურია, ქალდანი, 2002: – მ. ქალდანი, ვ. თოფურია, სვანური ენა, თბილისი.
მენტეშაშვილი, 1937: – სტ. მენტეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ჟურნ. „მოამბე“, II, თბილისი.
ორბელიანი, 1991: – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.
ორბელიანი, 1993: – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.
სიხარულიძე, 1958: – ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპო-ნიმიკა, ტ. I, ბათუმი.

უზუნაძე, 2018: – რ.უზუნაძე, ერგეს „ქვეყანაში“ ქრისტიანული წარსულიდან, ბალავარი, 15, ბათუმი.

Nargiz Akhvlediani (Batumi, Georgia)

Once Again on Extralinguistic Study of One Toponym in Batumi Vicinities

Summary

The article deals with the origin of one geographical name – toponym “Kapandibi”. It is an attempt to explain etymology of the geographical name of the above-mentioned location and prove the reason for motivation of nomination.

ბრიტანული საოკუპაციო ჯარის უმცლენლოგა ბათუმში (1918-1920 წწ.)

1918 წლის აპრილში ოსმალეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, ბათუმი და მთელი ოლქი დაიკავა. თუმცა, მცირე ხნით. 30 ოქტომბერს, საბერძნეთის საპორტო ქალაქ მუდროსში, ანტანტასა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე ოსმალეთმა ამიერკავკასიიდან საკუთარი ჯარების სრულად გაყვანა ივალდებულა. ამავე ხელშეკრულებით, ეს რეგიონი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა.

13 ნოემბერს ბრიტანეთის მთვრობამ მიიღო გადაწყვეტილება რეგიონში ჯარების გაგზავნის შესახებ. დეკემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო ბათუმისა და მთელი ქვეყნის ოკუპაცია ბრიტანული ჯარების მიერ. 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 5 ბრიტანული კრეისერი 15-20-ათასიანი სამხედრო კონტინგენტით. მანამდე ცოტა ხნით ადრე ბრიტანელებმა მოახდინეს ბაქოს ოკუპაცია და ნოემბერ-დეკემბერში მთლიანად დაუქვემდებარეს საკუთარ კონტროლს ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზი და ნავთობსადენი.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა წარმოშობით ირლანდიელი გენერალ-მაიორი კუკ-კოლისი *[ცუხიშვილი, 1996: 17]*. საქართველოში შემოსული საოკუპაციო ნაწილები მიეკუთვნებოდნენ 27-ე დივიზიას, რომელიც მონაწილეობას იღებდა პირველ მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტებზე და აქ შემოსვლამდე დისლოცირებული იყო მაკედონიაში. დივიზიის მეთაური ფორესტიე-უოკერი (რომელიც ამ პოსტზე დაინიშნა მას შემდრე, რაც მისი წინამორბედი გენერალ-მაიორი ჰარდის რავენშოუ, 1916 წლის დეკემბერში, ტყვედ ჩაუვარდა ავსტრიელებს) აცხადებდა, რომ ისინი მოვიდნენ წესრიგისა და არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად სამშვიდობო კონფერენციის გადაწყვეტილებამდე. მოგვიანებით, ფორესტიე უოკერი შეცვალა ჯერ გენერალ-მაიორმა ვ. ტომსონმა, შემდეგ გენერალ-მაიორმა ჯ. კორიმ.

ამიერკავკასიის ოკუპაცია ბრიტანელთათვის, რომელთაც არ ჰქონიათ ტრადიციული ინტერესი ამიერკავკასიისადმი, ურთულეს პერიოდში მიმდ-


ნარეობდა: ირლანდია დამოუკიდებლობას ითხოვდა, ინდოეთში მაჰატმა გან-
დი პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამდა, ავღანეთში დამაბულობა ომის
გამოცხადებაში გადაიზარდა, ეგვიპტეში ანტიბრიტანული კამპანია დაიწყო,
თურქეთში მუსტაფა ქემალი იკრებდა ძალებს. ყოველივე ეს ბრიტანელთათ-
ვის დიდი გამოცდა იყო და უდიდეს სამხედრო და პოლიტიკურ ძალისხმევას
მოითხოვდა. ამის გამო 1919 წლის აგვისტოში ბრიტანელებმა ამიერკავკასიის
დეოკუპაცია მოახდინეს და შეინარჩუნეს მხოლოდ ბათუმის ოლქი.

ლორდი კერზონი და საგარეო უწყება ბათუმს განიხილავდა ადგილად,
საიდანაც შეიძლებოდა გავლენის მოხდენა არა მარტო ამიერკავკასიაზე, არა-
მედ ახლო აღმოსავლეთზეც. ვუდრო ვილსონი კი ფიქრობდა, რომ ბათუმში
არსებული ძალები ძალიან მცირე იყო რაიმე სერიოზული მიზნების მისაღ-
წევად. მიუხედავად ამისა, ბათუმის დროებითი შენარჩუნება ბრიტანულმა
კაბინეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რადგან აქედან ბრიტანელთა გასვლა
გამოიწვევდა კონფლიქტს, ერთი მხრივ, დენიკინსა და საქართველოს რესპუბ-
ლიკას შორის, მეორე მხრივ – ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, რომელ-
თაც თვალი ეჭირათ ბათუმზე, რაც დაასუსტებდა რეგიონს და გაუადვილებ-
და ბოლშევიკებს აქ დამკვიდრებას.



საინტერესოა, რომ ბრიტანული ჯარების შემადგენლობის უმეტესობას ინდოელები შეადგენდნენ [Engelstein, 2018: 341]. არსებობს ფოტომასალაც ამის დამადასტურებელი. აქ წარმოდგენილია ორი ფოტო. პირველი, გადაღებულია ბათუმის რკინიგზის სადგურში და, სავარაუდოდ, ასახავს ინდოელთა დამატებითი კონტინგენტის შემოსვლას ქალაქში.

ბრიტანეთის ომის მუზეუმში დაცულია ფოტო, გადაღებული 1920 წლის 7 ივლისს, ბრიტანული ჯარების ბათუმიდან ევაკუაციის დღეს, რომელზეც წინა პლანზე ნათლად ჩანს ინდოელთა სამხედრო შემადგენლობა, მათთვის დამახასიათებელი თავსაბურავებით [https://www.iwm.org.uk/].



ოკუპაციის საწყის ეტაპზე ბრიტანული ინდოეთის არმია წარმოდგენილი იყო 24-ე პენჯაბის პოლკის სახით. ეს პოლკი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, 2018 წელს იმყოფებოდა სალონიკში, შემდეგ კი დაექვემდებარა მოკავშირეთა შავი ზღვის არმიას. ეპიდემიისა და მალარიის გამო ბევრი მათგანი დაავადდა. 1919 წლის სექტემბერში პოლკი ანატოლიაში, ბოსტანჯიკის პროვინციაში გადაიყვანეს, კონსტანტინეპოლის სამხრეთით [The Soldier's Burden]. თუმცა, ინდოელები ბათუმში კვლავაც რჩებოდნენ და პერიოდულად ხდებოდა როტაცია. მაგალითად, 1920 წლის 16 თებერვალს, კავკასიის ჯარე-

ბის სარდალმა მილნიმ მოახსენა მთავრობას, რომ ბათუმში დატოვა ინდოელთა ერთმა ბატალიონმა და დარჩა ერთი ბრიტანული და ერთი ინდური ბატალიონი *[Rose, 1980: 275]*.

ბათუმში არსებობს იმ პერიოდში გარდაცვლილ ბრიტანელთა სასაფლაო, სადაც რამდენიმე წლის წინ აღიმართა მემორიალი. აქ ინგლისელთა გვერდით დაკრძალულნი არიან ინდოელები და ეთნიკური ბერძნებიც, რომლებიც მსახურობდნენ მაკედონიის კორპუსში. სულ იდენტიფიცირებულია 68 მეომარი.

როგორც ირკვევა, იმ ძალებს, შორის, ვისაც დაევა ბათუმი-თბილისი-ბაქოს მაგისტრალის დაცვა ბრიტანელებთან ერთად, გარდა ინდოელებისა, იყვნენ ავსტრალიური, კანადური, ახალზელანდიური, სამხრეთ აფრიკული შენაერთებიც *[Report]*.

1920 წლის დასაწყისში, როცა დენიკინის მარცხი გარდაუვალი შეიქმნა, ბრიტანეთის მთავრობაში გაიჟღერა ბათუმის ევაკუაციის თემა. ლორდი კერზონი ამის წინააღმდეგი იყო და ფიქრობდა ბათუმის გამოცხადებას თავისუფალ ქალაქად, პორტო ფრანკოდ, ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ. იტალიური ბატალიონიც უნდა შემოსულიყო ბათუმში, თუმცა ბოლო მომენტში იტალიის მთავრობამ გადაიფიქრა. არგუმენტი იყო ის, რომ ბათუმის დაცვისთვის საჭირო იყო მინიმუმ ორი დივიზიონი და რაკი ამდენის გაგზავნა არ ხერხდებოდა, არ გაიგზავნებოდა საერთოდ *[Rose, 1980: 282]*.

ამრიგად, ბრიტანული ოკუპაციის პერიოდში ბათუმში არაერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს მოუწია სამხედრო ვალდებულების შესრულება. 1920 წლის ივლისში ოკუპაცია დასრულდა და ბათუმსა და მთელ ოლქზე გავრცელდა საქართველოს იურისდიქცია, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ცუხიშვილი, 1996: – ცუხიშვილი რ., ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.), თბილისი.

Engelstein, 2018: – Engelstein Laura, *Russia in Flames (War, Revolution, Civil War 1914-1921)*, Oxford, 2018.

Rose, 1980: – John D. Rose, *Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia*, *The International History Review*, 11, 1, January 1980, <http://georgia.tsu.edu.ge/files/06-History/First%20republic,%201918-1921/Rose-1980.pdf>

Swettenham, 1959: – Report compiled by Capt. J.A. Swettenham, 20.10.59, <http://www.cmp-cpm.forces.gc.ca/dhh-dhp/his/rep-rap/doc/ahqr-rqga/ahq084.pdf>

The Soldier's Burden – *The Soldier's Burden*,

<http://www.kaiserscross.com/304501/385643.html>

<https://www.iwm.org.uk/collections/item/object/205346078>.

<https://wartimememoriesproject.com/greatwar/allied/fartillery.php?pid=9698>.

Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze
(Batumi, Georgia)

**The Ethnic Composition of British Occupation Forces in Batumi
(1918-1920)**

Summary

By the Armistice of Mudros (30.10.1918) Transcaucasia was declared as a sphere of British influence. The occupation of Batumi and the entire country by British troops started in December. Irish General James Cooke-Collis was appointed as a Military Governor of Batumi. The occupying troops in Georgia belonged to the 27th Division, that took a part in various frontiers of the World War I and before their arrival in Georgia it had been deployed in Makedonia.

The majority of British troops were Indians. At the initial stage of the occupation, British Indian Army was represented by the 24th Penjab Regiment. Besides, among those forces, who were instructed to protect the Batumi-Tbilisi-Baku highway were also Australian, Canadian, New Zealand and South African units. At the final stage of the occupation, on May 17 of 1920, France sent an Algerian battalion to Batumi.

During the British occupation, many ethnic groups in Batumi had to carry out military obligations. In July 1920, the occupation was over and the jurisdiction of Georgia was spread over Batumi and the whole district, thus restoring historical justice.

ორი ინგლისური დოკუმენტი ბათუმის შესახებ (1856, 1857)

1. მაიორი კეთკარტი (Cathcart) ბრიგადის გენერალ მენსფილდს (ართვინი, 1856, 24 მარტი)

მაიორი 11 თებერვალს გაემართა კონსტანტინოპოლიდან ტრაპეზუნდისკენ. მიცემული ინსტრუქციით უნდა გაეგრძელებინა გზა ბათუმის, ართვინისა და სხვა პუნქტებისკენ გზების და ა.შ. შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. დიდთოვლობის გამო 3 მარტს გავიდა ბათუმიდან სამეგრელოსკენ და დაბრუნდა 14 მარტს. როგორც ამბობს, იქ მოინახულა ომერ-ფაშას არმია. ამ წელს ძალზე მკაცრი ზამთარი იდგა, თუმცა 15 და 16 მარტს უცარი თავსხმა მოვიდა და ბათუმი საბოლოოდ 17 მარტს დატოვა.

„გასვლამდე მოვიარე ახლო-მახლო მიდამოები. მთები, რომლებიც ქმნიან სანაპირო ჯაჭვს, ძალზე ციცაბოა და არათანაბარი ბუნების. ისინი ეშვებიან დაბლა ზედ ზღვამდე; დაღარულია მრავალი ხევით და ვიწრო ხეობით, რომლებშიც ჩანან სოფლები. მთები მიემართება ზღვის პარალელურად ნავსადგურის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირამდე. შემდეგ გრძელდება კიდევ უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით და გადადის დაახლოებით 9 მილის სიგრძისა და 1-7 მილის სიგანის კახაბერის დაბლობში. მის წინ არის ჭაობები და ეხება მცირე ყურეს, სადაც მდებარეობს სოფელი ბათუმი. ნავსადგური თითქმის ნახევარწრეა; მას ქმნის დაბალი მეჩეჩი, რომლის დასავლეთი მხარე მიმართულია ჩრდილოეთისკენ; აღმოსავლეთის მხარე ესაზღვრება ჭაობებს; ესაა უზარმაზარი სივრცე დასავლეთისკენ. ყურე იყურება ზუსტად ჩრდილოეთისკენ და მთლიანად ასუსტებს ყოველგვარი ქარის სიძლიერეს. ნავსადგური სავსებით უსფრთხოა. ძალზე ღრმა წყალი 10 იარდზე ნაპირთან აძლევს საშუალებას დიდ გემებს ნავმისადგომზე გადმოსხას ხალხი და ტვირთი ნაევების გამოყენებლად. მცირე რაუდენობის მისადგომები დიდად უწყობს ხელს გადმოტვირთვას; ხოლო მეჩეჩიდან გაყვანილი მისადგომი ნავსადგურს მეტ უსაფრთხოებას მიაწოდებდა და საკმაოდ გაზრდიდა გემებისთვის ხელსაყრელ პირობებს.

ხე-ტყე ჭარბადაა მთებში (წიფელი, სხვადასხვა ზომის კაკალი). ბათუმის უკან ჭაობებს ქმნიან წლიური წყალდიდობები თოვლის დნობისას მდინარე ჭოროხ-სუდან და სხვა პატარა ნაკადულებიდან. ესაა ბათუმისთვის, როგორც ნავსადგურისა თუ სადგურის, მთავარი დამაბრკოლებელი (გასაჭირი).. მაისის ბოლოდან სექტემბრის ბოლომდე განსაკუთრებით ფართოდ უტევს ციება. ამ პერიოდში მთელი ვაჭრობა წყდება ძირითადად დაავადების გამო; თუმცა ნაწილობრივ სუსტდება ვაჭრობა ჭოროხ-სუს წყალდიდობისას (ეს არის მთავარი არტერია შიდა კომუნიკაციებისა); ის მხოლოდ მცირე ადგილობრივი ნავებისთვისაა სანაოსნოდ გამოსადეგი. ციების პერიოდში მუსახლეობა ადის მაღალმთიან სოფლებში და ხოფაში, რომელიც მაშინ მთავარი სავაჭრო პუნქტია.

საუკეთესო წყალი ბათუმში პატარა ნაკადულიდანაა, რომელიც ნავსადგურში შედის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. წყალი შეიძლება ყველგან მოიპოვო ნახევარკუნძულზე რამდენიმე ფუტის სიღრმეზე, მაგრამ ის არაა ჯანსაღი თურქი ნაწილების დიდი ჯგუფების იქ ყოფნის გამო, რომელთა საპირფარეშოები წამლავენ ნიადაგს, გაჟღენთილს დიდ სივრცეზე. ჭაობები შეიძლება დაშრეს ვრცელ ფართობზე, თუ გაიჭრება მოზრდილი არხები ზღვისკენ, რადგან იქით კარგი დაქანებაა.

ნავსადგურის იმ ნაწილში, სადაც გემები ღუზას უშვებენ, სრულებით არ იცის წყალცემა. მე ვფიქრობ, რომ ის ერთადერთია ამისგან თავისუფალი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

ქალაქში არის ბაზარი ორასი დუქნით, რომლებიც ვაჭრობენ ცოტა ევროპული ნაწარმით, ძირითადად კი ადგილობრივი, საჭმელად ვარგისი პროდუქტებით. აქ არაა ოთხზე მეტი სახლი, რომელიც შეიძლება გამოიყენო ჰოსპიტალისთვის. დანარჩენი, ალბათ ორასი, არის ძალზე ღარიბი ადგილობრივი ხის შენობა. მომარაგება ძალიან არასაკმაოა. საფასის შოვნის იმედით გლეხებს მოჰყავთ ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი, მაგრამ შეზღუდული ოდენობით. თურქულმა თანამედროვე ძალადობამ ქვეყანა დიდად გამოფიტა; მცირე საკვები შემოდის ზემო ქვეყნიდან. უამრავი ხილი მოდის დაბლობებში (ყურძენი, ვაშლი, მსხალი და ა.შ. უხვადაა). ასევე საუცხოვოა ხე-ტყე – მთის ივანი, წიფელი, კაკალი, თხმელა და კოპიტის მრავალსახეობა, აგრეთვე ბზა.

ბათუმის მოსახლეობა დაახლოებით 2000-ია სამხედრო ნაწილების ჩათვლელად. ზაფხულობით ის კლებულობს რამდენიმე ასამდე, მოსახლეობის ჯანმრთელ რეგიონებში მიგრაციის გამო.

ბათუმიდან გავედი 17 მარტს დილის 11 საათზე თავსხმა წვიმაში. გზა გადიოდა ჭაობებზე სამხრეთ-დასავლეთისკენ; მიწა ზომიერად მყარი იყო...

11.30 ს-ზე გავედით ნაკადულზე, რომელიც საჭიროებს ხიდს... გზა ქვიანია... 15 წუთში გავედით კახაბრის დაბლობზე... 12.30 ს-ზე გავიარეთ ქუთთა ბანაკი, რომლებიც ზამთრობით ჩამოდიან აქ, მაის-ივნისში კი უბრუნდებიან იალაღებს ზემო აჭარაში და არტანუჯის ახლოს...”

2. პოდპოლკოვნიკ სიმონის მოხსენებიდან გრაფ კლარენდონისადმი (1857, 16 ნოემბერი)

სიმონსი უგზავნის მის უგანათლებულესობას თავის დაკვირვებებს სულთნის დომინიონების პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოების მდგომარეობის, აგრეთვე თურქეთ-რუსეთის აზიური საზღვრების შესახებ. ის ახლდა სასაზღვრო კომისიას და მისი ჩანიშვნები უცნობია რუსთათვის.

„ბათუმის პორტი, რომლის დიდი სურვილი აქვთ რუსებს, არის ერთადერთი უსაფრთხო ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ის მცირეა, მაგრამ უდიდესი ტონაჟის (წყალწყვის) მქონე ხომალდებს შეუძლიათ იქ დგომა; თითქმის ზედ მის რიყის ქვიან ნაპირზე აგებულია პატარა საცოდავი ქალაქი ბათუმი.

ძალზე მნიშვნელოვანია ბათუმის პორტის უსაფრთხოების დაცვა; განსაკუთრებით, რადგან მის სიახლოვეს მდინარე ჭოროხი ერთვის ზღვას. ესაა მდინარე, რომელიც სანაოსნოა დიდი ნაგებისთვის დაახლოებით 45 მილზე ართვინისკენ, საიტკენაც, თუ გაიყვანენ წესიერ გზებსა და კომუნიკაციებს, შეიძენს უზარმაზარ სტრატეგიულ დანიშნულებას ქვეყნის დასაცავად.

ბათუმის პორტი ერთადერთია, რომლის დაცვა შესაძლებელია მცირე ძალებით – 2-3000 ჯარისკაცით – შესაფერისად განლაგებული კინდრიშის პოზიციებზე, 15 მილზე მისგან. ამ ადგილას ტყეებით დაფარული მთები ციცაბოდ აღიმართებიან ზღვიდან. ისინი მიუდგომელია გარდა განსაზღვრული ბილიკებისა. ეს მთები წარმოადგენენ კონტრფორსებს (მისადგომებს) უფრო მაღალი მთებისას; ამდენად პოზიციებს ვერ შემოუვლი.

უკანასკნელი ომის დროს თურქებმა მიატოვეს ამ პოზიციების დამცავი სიმაგრეები, რომელთა მნიშვნელობა მოძველებულად მიიჩნიეს, რაზეც მიანიშნებდა ანტიკური ქვის სიმაგრის ნანგრევები. მათ აქ გახსნეს ჰოსპიტალი ბატალიონის ავადმყოფებისთვის, რომელიც განლაგებული იყო ორ მილზე ზღვის ნაპირზე სოფელ ჩორუკსუში... თურქთა დაუდევრობა და გულგრილობა ყოველივეს მიმართ ძალზე თვალში საცემია – მაგ., ამ ბატალიონის დისლოკაციის მანერა. ის განთავსებულია ცუდ ხის შენობებში ჭაობის ახლოს და

ნახევარ შემადგენლობას ციება ეყრება. ჩანს, რომ ჩორუკსუში განწირული არიან ლპობისა და სიკვდილისთვის.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შესაფერი სამუშაო ჩატარებულიყო 2000 კაციანი გარნიზონისთვის, რათა ყოფილიყვნენ ჯანმრთელად საზღვრის ახლოს და ყოველთვის მზადყოფნაში. 2000 კაციანი გარნიზონი ქობულეთელებისა და აჭარლების დახმარებით, რომლებიც ყველა შეიარაღებულია შაშხანებით (რასაც ძალზე ოსტატურად იყენებენ) და თურქეთის მოსახლეობაში ყველაზე კარგ მებრძოლებად ითვლებიან, ესენი დაიცავენ ბათუმს ყველა შემოტევისგან და ქვეყანა ზურგიდან სრულ უსაფრთხოდ იქნებოდა...

გზა ბათუმიდან მდინარე ჭოროხის გასწვრივ ართვინამდე 45 მილია; შემდეგ გადადის მთებზე არდაჰანისკენ (70 მილი)... და თოფრაყალემდე (180 მილი). ამ გზას დიდი ეფექტი ექნება – შეამოკლებს მანძილს ზღვიდან სპარსეთამდე და დააკავშირებს ბათუმის პორტთან, რაც ძალზე დიდ მნიშვნელობას შეიძენს ტრაპეზუნტთან ვაჭრობაში...”

Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia).

Two English Documents about Batumi (1856, 1857)

Summary

In our paper we offer a Georgian translation of an information given by Major Cathcart(1) and Lieutenant-Colonel Simmons(2) in their reports sent to Brigadier-General Mansfield (1) from Ardvin in 1856 and to the Earl of Clarendon (2) from Constantinople in 1857.

Cathcart describes harbour of Batumi, its Bazaar and shops, house building. Speaks about marshes close behind Batumi, Fevers at Batumi and its Population.

The report of Simmons we can entitle as “Memoire relative to the Political Condition and Military Defences of the Dominions of the Sultan adjoining the Frontier of Turkey and Russia in Asia”.

სოფლად ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები აჭარაში

საქართველოში ტურიზმი თითქმის ათეული წელია სახელმწიფო პრიორიტეტადაა აღიარებული. თანმიმდევრულად ვითარდება ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის განხორციელება ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. იზრდება ინვესტიციები ტურისტულ ინფრასტრუქტურაში როგორც სახელმწიფოს, ასევე, კერძო სექტორის მხრიდან. შედეგმა არ დააყოვნა, 2017 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა შვიდ მილიონს. ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლის დაახლოებით 68% ტურიზმზე მოდის. 2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მოცულობამ 2.70 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა და მისმა წილმა მშპ-ში 6.9%-ს მიაღწია [საქართველოს].

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018 ^ა
სულ	659,245	954,908	1,410,902	1,719,700	1,787,140	1,868,479	2,110,709	2,704,340	550,814

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იზრდება ქვეყნის როლი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე. 2017 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად, საქართველო მსოფლიო ბაზარზე ტურისტული კონკურენტუნარიანობის მიხედვით 70-ე პოზიციას იკავებს 136 ქვეყანას შორის (ქულა: 7-დან 3.70). ექსპერტთა უმეტესობა თვლის, რომ მომავალში ტურიზმის ინდუსტრია კიდევ უფრო მეტ სამუშაო ადგილს შექმნის და ქვეყანაც მეტ შემოსავალს მიიღებს.

უსამართლობა იქნება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში „ლომის წილი“ აჭარას ეკუთვნის. საქართველოს ტურიზმის

ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის ანგარიში 2017-ის თანახმად, ვიზიტების 50% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს ბათუმი 29.7%-ით. ყველაზე მონახულებად რეგიონად კი აჭარა (31,0%) გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (37.7%). აღნიშნული მიზნით ყველაზე მონახულებადი რეგიონების რეიტინგში პირველ ადგილზე აჭარაა (60,5%), ასევე, ლიდერობას არ თმობს ბათუმი (58,5%) *[საქართველოს, 2017]*.

ოფიციალური მონაცემებით, აჭარაში ჩამოსული ტურისტების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს: 2016 წელს ამ რეგიონში მილიონნახევარი ტურისტი ჩამოვიდა. 2017 წელს ვიზიტების რაოდენობა 1.9 მილიონამდე გაიზარდა. 2018 წლის პროგნოზით აჭარა უცხოელი ტურისტების რაოდენობის 15-20%-ით ზრდას ელოდება.

2017 წელს ბათუმი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ადგილად აღიარეს Numbeo Crime Index for Country-ს საერთაშორისო რეიტინგში, რომლის თანახმადაც, საქართველომ 125-ე ადგილიდან 119-ე ადგილზე გადაინაცვლა (ქვეყნები ნაკლებად უსაფრთხოდან უფრო უსაფრთხომდეა განლაგებული). საქართველოს პოზიცია მისი დანაშაულის ინდექსით (20.83) და უსაფრთხოების ინდექსით (79.17) არის განპირობებული. უშუალოდ ბათუმში დანაშაულის ინდექსი 22.92-ს შეადგენს, რაც დაბალ მაჩვენებლად მიიჩნევა *[მინსკიანი: 2018]*.

ულამაზესი აჭარის რეგიონი გამოირჩევა არაჩვეულებრივი ბუნებით: მთისა და ზღვის წარმტაცი პეიზაჟები, ბუნებრივი ნაკრძალებისა და ულამაზესი პარკების სიმდიდრე, საუცხოო სამზარეულო და თვითმყოფადი ტრადიციები ერთმანეთს ავსებს და ერთნაირად იზიდავს ქართველ და უცხოელ დამსვენებლებს. ავტონომიის ტერიტორიაზე 342 დასახლებული პუნქტია, მათ შორის ორი *ქალაქი: ბათუმი და ქობულეთი*; შვიდი *დაბა: მახინჯაური, ჩაქვი, ოჩხამური, ქედა, ხელვაჩაური, შუახევი, ხულო*; სოფელი – 333. აჭარის ადმინისტრაციულ ცენტრს – ბათუმს შავი ზღვის მარგალიტად მოიხსენიებენ; ქალაქის მოსახლეობა – 48%; ფართობი – 2,9 000კმ² (ქვეყნის საერთო ტერიტორიის 4,2%); მოსახლეობა – 400 000-მდე (82% ქართველი). ბოლო წლებში ბათუმი იქცა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად *ტურისტულ* ადგილად საქართველოში. ის პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. იზრდება ტურისტული ნაკადები *ევროპიდან* და ამერიკიდან. ბათუმი თავისი ძველი თუ ახალი არქი-

ტექტურული შენობებით, უძველესი პორტით, აკვარიუმითა და დელფინარიუმით, ბოტანიკური ბაღითა და ზღვისპირა ბულვარით, ევროპული მოედნებითა და ქუჩებით, მსოფლიო ბრენდის მაღალი კლასის სასტუმროებითა და კოლორიტული კაფეებით საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველს ქმნის *[აჭარა]*.

აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურიზმის სახეობა საზღვაო ტურიზმია. შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ, ბათუმის შემოგარენი “აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის” სახელითაა ცნობილი, სადაც ყოველწლიურად 1.000.000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება, რაც ბერდვოჩინგის უამრავ მოყვარულს იზიდავს და მათ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ჰპირდება. აჭარის მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, ასევე ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე საუკეთესო პირობებს ქმნის ეკოტურიზმის განვითარებისათვის. რეგიონი მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს საქმიანი (MICE) ტურიზმის მიმართულებით. განვითარებულია კულტურული ტურიზმი; სამთო-სათხილამურო ტურიზმი; სათამაშო ტურიზმი; გასტრონომიული ტურიზმი; ღვინის ტურიზმი, საკრუიზო ტურიზმი და ა.შ. *[აჭარა, ბათუმი: 2015]*.

აჭარის თვალწარმტაცი ბუნება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება და სტუმართმოყვარე მოსახლეობა სოფლად ტურიზმის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. აჭარის სოფლებში ტურისტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ სხვადასხვა საქმიანობებში, როგორიცაა: მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მებაღეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა. ასევე გაეცნონ ხალხური რეწვის სახეებს, იჯირითონ ცხენზე, ინადირონ, ითევზაონ, მონაწილეობა მიიღონ რთველში, მოაწყონ ლაშქრობები, დააგემოვნონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისგან დამზადებული ადგილობრივი კერძები, უნიკალური ჯიშების ყურძნისგან დაყენებული ღვინო; გაეცნონ აჭარულ სამზარეულოს და ხალხურ შემოქმედებას, შეიძინონ ადგილობრივი ხალხური რეწვის ნივთები და გაეცნონ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს *[სოფლად ტურიზმი]*.

სასოფლო ტურიზმი სულ რამდენიმე წლის წინ დამკვიდრდა საქართველოში და ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ ინსკიპის განმარტებით: „სოფლის ტურიზმი (Rural Tourism) არის ტურისტების მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციების და სოფლის ცხოვრების გასაცნობად“. ევროპაში სოფლის ტურიზმი თითქმის ნეხევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. მსოფლიო-

ში ტურიზმით მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლის ტურიზმზე მოდის. გამოკვეთილია ლიდერი ქვეყნებიც: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვ. აგროტურისტულ დასვენებას უპირატესობას ანიჭებს ევროპის მოსახლეობის თითქმის 35%.

სოფლის ტურიზმი განსაკუთრებით პოპულარულია განვითარებულ ქვეყნებში. ხმაურიანმა ცხოვრებამ, შმაგმა რუტინამ და სტრესმა ქალაქის მცხოვრებლებს უბიძგა, დროის რაღაც ნაწილი გაეტარებინათ სოფლად, სადაც მათ დახვდებოდათ მეგობრული გარემო, რომელიც ცოტა ხნით დაავიწყებდა ყოველდღიურ ყოფით პრობლემებს. სოფლის ტურიზმი ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენებას გულისხმობს. სტუმრებს საშუალება ეძლევათ იმოგზაურონ სოფლიდან-სოფელში, დააგემოვნონ ბიოლოგიურად სუფთა, სახლში მომზადებული სადილები, დაკავდნენ ტრადიციული აქტივობებით და შეიგრძნონ “სოფლის ცხოვრება”. სოფლის მძიმე რუტინა ტურისტებისათვის ერთგვარ ეგზოტიკას წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, განსხვავებული რელიეფი, მრავალფეროვანი და უნიკალური სამზარეულო, სოფლების მრავალფეროვნება, ტრადიციები და და სტუმარ – მასპინძლობის კულტურა სოფლის ტურიზმის განვითარების წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ *[გიგუაშვილი, 2017]*.

რა პერსპექტივა აქვს სოფლად ტურიზმის განვითარებას აჭარაში და რა ეკონომიკური შედეგები შეუძლია მოუტანოს მან რეგიონს? საქმე იმაშია, რომ აჭარა ძირითადად მთიანი რეგიონია. ვიწრო სანაპირო ზოლს მთლიანი ფართობის მხოლოდ 3% უჭირავს, ხოლო დანარჩენი 97% მთიანი და მაღალმთიანი სოფლებია. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები ციტრუსები, ხილი და ბოსტნეულია. საოჯახო მეურნეობებში ჰყავთ რქოსანი პირუტყვი. აჭარაში არსებული მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა ქვეყანაში არსებული რაოდენობის 7%-ზე მეტია, რეგიონში იწარმოება ქვეყანაში წარმოებული რძის 6%; იზრდება თხილის ფართობები; რეგიონში იწარმოება საქართველოში წარმოებული თაფლის 15% *[გიგუაშვილი, 2017:103]*.

სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი პოტენციალის მიუხედავად, მისი წილი რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში, დასაქმებასა და უცხოურ სავალუტო შემოსავლებში საკმაოდ მოკრძალებულია და არ არის საკმარისი სოფლის ყველა მოსახლისათვის დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობების შესაქმნელად. მაღალმთიანი აჭარის ოთხსეზონიზნ კურორტად

გადასაქცევად და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ გზად რეგიონში სოფლად ტურიზმის განვითარება სახელდება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტისათვის სოფლად ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიზნით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს: შეისწავლეს სოფლებში არსებული ტურისტული მეურნეობების პოტენციალი; შეიქმნა სოფლად არსებულ ტურისტული მეურნეობების ბაზა, რომელთაც ტურისტების მიღების გამოცდილება აქვთ; მათი მეპატრონეებისათვის ტარდება ტრენინგები; სოფლებში განთავსდა ტურისტული ნიშნულები; ყოველწლიურად გამოიცემა სოფლად ტურიზმის სარეკლამო ბროშურა, რომელიც ვრცელდება მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა შექმნა ეკო ტურისტული რუკის ონლაინ და ბეჭდური ვერსიები, ასევე, შეიმუშავა ის ტურისტული მარშრუტები, რომლებზეც გასვლა აჭარის სოფლებში ჩასულ სტუმრებს შეეძლებათ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი 2015 წლიდან გაწევრიანებულია სოფლად ტურიზმის ევროპულ ფედერაციაში „Eurogites“, სადაც ერთიანდება ევროპის 27 ქვეყნის 35 პროფესიული ორგანო. ბუნებრივია, ეს ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში სოფლად ტურიზმის განვითარებას და მისი ცნობადობის გაზრდას ევროპის მასშტაბით *[აჭარის, 2015]*.

აღსანიშნავია, რომ სულ უფრო იზრდება ტურიზმის სექტორის ინვესტირება. აჭარის რეგიონში ინვესტიციების 49% სწორედ ტურიზმზე მოდის. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2018 წელს აჭარაში ტურიზმის განვითარებისთვის 9,764,800 ლარი დაიხარჯება. მთიან აჭარაში ტურიზმის ხელშეწყობისთვის ბიუჯეტიდან 492, 500 ლარია გათვალისწინებული. მათ შორის მთიან აჭარაში ეკო და სოფლის ტურისტული მარშრუტების განვითარებას 75 000 ლარი, ხოლო პოპულარიზაციას 25 000 ლარი მოხმარდება. დაგეგმილია მაჭახლის ხეობაში ეთნო და აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით „ეთნოსოფელი“-ს მოწყობა. სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2018 წელს კვლავ ჩატარდება უკვე ტრადიციად ქცეული „სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია“, რომლის ორგანიზებისთვის ბიუჯეტიდან 50 000 ლარი გამოიყოფა. დაგეგმილია ფრინველებზე დაკვირვების, სოფლის ტურიზმის ფესტივალებსა და ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიებები. რეგიონში მყოფი ტურისტების საჭიროებების კვლევის მიზნით, 2018 წელს გაგრძელდება კვლევები ტურიზმის დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენ-

ციალის მიმართულებით. სულ, აღნიშნული კვლევებისთვის ბიუჯეტიდან 180 500 ლარის გამოყოფა იგეგმება *[აჭარის ბიუჯეტი, 2018]*.

ამრიგად, აჭარაში სოფლად ტურიზმის განვითარება წარმოადგენს სახელმწიფო პრიორიტეტს, გადადგმულია გარკვეული ნაბიჯებიც, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2016 წელს განხორციელებული აჭარის მაღალმთიანი რაიონების ბაზრის კვლევის თანახმად, რესპონდენტებმა მათი და მათი ოჯახის წევრების კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობის დარგების უმეტესობაში საშუალოზე მაღალი ქულით შეაფასეს. კვალიფიკაციის შეფასება ხდებოდა 5-ქულიან სკალაზე, სადაც 5 ქულა ნიშნავდა მაღალ მაღალ კვალიფიკაციას, ხოლო 1 – მაღალ დაბალს. კვლევა ითვალისწინებდა სხვა დარგების მიმართ ინტერესისა და კვალიფიკაციის შეფასებასაც:

**სხვადასხვა სფეროში რესპონდენტთა და მათი ოჯახის წევრების
კვალიფიკაცია**

დარგის/სერვისის დასახელება	ქედა	შუახევი	ხულო	სულ
კულტურული ტურიზმი	1.86	2.67	1.63	1.93
ეკოტურიზმი	1.78	2.66	1.54	1.86
აგროტურიზმი	1.85	2.57	1.53	1.86
გასტრონომიული ტურიზმი	1.74	2.57	1.45	1.79
სამთო-სათხილამურო ტურიზმი	1.21	2.62	1.81	1.76

წყარო: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, მიუხედავად იმისა რომ რესპონდენტები სოფლად ტურიზმის სფეროს განვითარებას მაღალი პოტენციალის მქონედ მიიჩნევენ, ეკო, აგრო და ტურიზმის სხვა სახეობებში საშუალო ქულა საშუალო კვალიფიკაციაზე უფრო დაბალ კვალიფიკაციას ადასტურებს, რაც სოფლის მოსახლეობის მოტივაციის და კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს *[ბაზრის კვლევა, 2016]*.

ექსპერტთა მოსაზრებით, სოფლად ტურიზმის განვითარება აჭარაში ხელს შეუწყობს:

- სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ გააქტიურებას, მათ დასაქმებას;
- დამატებითი შემოსავლების მიღებას;
- სოფლის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების თავიდან აცილებას;

- ადგილობრივი წარმოების პროდუქტის და მომსახურების რეალიზაციას;
- სოფლად დასახლებულ ადგილებში კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების შეთავაზებით ტურისტული ნაკადების ზრდას;
- ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარებას;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღდგენას;
- ხალხური ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას და ა. შ. *[ბერიძე, 2017:275].*

ექსპერტთა უმეტესობა თანხმდება, რომ სოფლად ტურიზმი უნდა განიხილებოდეს, როგორც ალტერნატიული ბიზნესი საქმიანობა და მას უნდა გაეწიოს როგორც პოლიტიკური, ასევე იურიდიული და ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. საჭიროა: შემუშავდეს სოფლად ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამა; კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ გათვალისწინებული იქნას ანარიცხები ტურისტული შემოსავლებიდან კულტურული ობიექტების, ისტორიული ძეგლების, ქალაქისა თუ სოფლის გარემოს რესტავრაციისა და მხარდაჭერისთვის; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნას მონაცემთა ელექტრონული ბაზა, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია კულტურული მარშუტების, ძეგლების, ისტორიული ადგილების, მუზეუმების, კერძო საცხოვრებელი სახლებისა და სხვათა შესახებ *[ცეცხლაძე, ხახუბია, 2017:235].*

საქართველოს სოფლების, მათ შორის აჭარის სასოფლო დასახლებების განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“-ის თანმიმდევრული განხორციელება. სოფლის განვითარების და სოფლის მეურნეობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოფლის იდენტობას და ტენდენციებს, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მეწარმეობის განვითარების, ინვესტიციების, ინოვაციებისა და დასაქმების ხელშეწყობა *[სტრატეგია 2017-2020].*

წინგადადგმული ნაბიჯია 2018 წლის 28 თებერვალს ევროკავშირის მხარდაჭერით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს მიერ რეგიონის სოფლის განვითარების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დაამტკიცება, რომლის მთლიანი ბიუჯეტი 214 მლნ ლარს აჭარბებს. ამ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად აჭარის სოფლები გაუმკლავდება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს და ხელს შეუწყობს სოფლად ისეთი არაფერმერული საქმიანობის განვითარებას, როგორიცაა მომსახურება, აგროტურიზმი და გადამამუშავ-

ბელი საწარმოები. სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინოვაციური ფერმერული ტექნოლოგიების სტიმულირებას; ტყეების მდგრად მართვას, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების კონსერვაციას, სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკურ განვითარებას *[სოფლის განვითარების]*.

ამრიგად, აჭარის მაღალმთიან დასახლებულ ადგილებში, სოფლად ტურიზმის განვითარება საკმაოდ პერსპექტიულია. სასურველი შედეგის მისაღებად კი აუცილებელია საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება; სოფლად ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა; სასოფლო ტურისტული კომპლექსების და ტურისტული სოფლების შექმნა, კვალიფიციური კადრების მომზადება; კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების ფორმირება; ინფრასტრუქტურის განვითარება; ერთი მხრივ, ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაცია და მეორე მხრივ, მათი დაცვა; უცხოური და შიდა ინვესტიციების მოზიდვა; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტ სივრცეში მარკეტინგული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ტურისტთა უსაფრთხოების პოლიტიკის სრულყოფა და სხვ.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

საქართველოს: – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – <https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/>

საქართველოს, 2017: – საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2017 – <https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/>

მინასიანი, 2018: – ეკატერინა მინასიანი, ბათუმი – საქართველოს საზაფხულო დედაქალაქი, <https://jam-news.net/?p=52619&lang=ka>, ივლისი 6, 2018.

აჭარა: – აჭარა, <http://travelingeorgia.ge/region/Adjara/>

აჭარა, ბათუმი: 2015 – აჭარა, ბათუმი, აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი – 2015, BATUMI BEST NEW DESTINATION; <http://gobatumi.com/files/plan-your-trip/free-maps-and-brochures/Introduction-to-Ajara-batumi-ge.pdf>

სოფლად ტურიზმი: – სოფლად ტურიზმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, <http://gobatumi.com/ka/type-of-tourism/rural-tourism>

გიგუაშვილი, 2017: – გიული გიგუაშვილი, შიდა ქართლის ძირითადი საკურორტო ზონები და სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა, მეათე საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენცია „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები“, გორი, 17-18 ნოემბერი, 2017.

გიგუაშვილი, 2017: – გიული გიგუაშვილი, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ძირითადი მიმართულებები აჭარაში, „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2017 წლის 1-2 სექტემბერი, გვერდი 103-110.

აჭარის, 2015: – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი, აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ევროპის სოფლად ტურიზმის ფედერაციის წევრი გახდა, 09 ივნისი, 2015. <http://www.adjara.gov.ge/description.aspx?gtid=254148#.W2Zmv9IzYdU>

აჭარის ბიუჯეტი, 2018: – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ, გვ.13. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3950679>

ბაზრის კვლევა, 2016: – აჭარის მაღალმთიანი რაიონების ბაზრის კვლევა, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2016. http://issa-georgia.com/files/Reports/Ajaristskali/Ajaristskali_2016.pdf, გვ. 41

ბერიძე, 2017:275 – როსტომ ბერიძე, სოფლად ტურიზმი და მდგრადი განვითარება, VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული, ბათუმი, 10-11 ივნისი 2017წ. გვ 275

ცეცხლაძე, ხახუბია, 2017:235 – ცირა ცეცხლაძე, ნინო ხახუბია, აგროტურიზმის განვითარების პოტენციალი და პრიორიტეტები აჭარაში, VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული, ბათუმი, 10-11 ივნისი 2017 წ. გვ. 235

სტრატეგია 2017-2020: – „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“ – <http://www.moa.gov.ge/m/Public/Strategy/9>

სოფლის განვითარების: – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა,

<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=628843&gid=4#.W3JCICQzYdU>, 28 თებერვალი, 2018.

The Main Directions of the State Policy of Rural Tourism Development in Ajara

Summary

In the article “The main directions of the state policy of rural tourism development in Ajara” are discussed the possibilities of development rural tourism in Ajara, the natural, economic and social features that prove the perspectives and priorities of rural tourism. The development of rural tourism in Ajara gives opportunity to fully use the potential of populated rural area. The development of rural tourism will assist to solve social and economical issues of rural populated.

For the development of rural tourism in high mountainous areas of Ajara, is necessary to coordinate activities of society, government and foreign and local investors; improve public policy; creation of agricultural tourist complexes and tourist villages, preparation of qualified personnel; formation of competitive tourism products; infrastructure development.

ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში სხვადასხვა მოგონებისა და ნარკვევის მიხედვით

მწერლისა და დრამატურგის ალექსანდრე ყაზბეგის (1848-1893) ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული თეატრის ისტორიასთან, რომელიც დაარსების დროიდან (1879 წ.) იწყებს იგი საგასტროლო მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (გორი, ქუთაისი, თელავი), მათ შორის, ბათუმშიც. მიუხედავად იმისა, რომ ალ. ყაზბეგის ბათუმის პერიოდზე არსებობს არაერთი მოგონება, იქ ვერ წავაწყდით ზუსტ თარიღს მისი ზღვისპირეთის უმშვენიერეს ქალაქში ჩამოსვლასთან დაკავშირებით და, სავარაუდოდ, 1882-1883 წლების მიჯნას მივიჩნევთ;

ალ. ყაზბეგის ბათუმში ყოფნის პერიოდზე არსებობს დავით კლდიაშვილის, ივანე მჭედლიშვილის მოგონებანი, მაგრამ წინამდებარე წერილში ჩვენი ყურადღება მახვილდება მწერალ კლიმენტი გოგიავას ნაშრომზე „ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში“, რომელიც 1948 წელს გამოსცა აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ (ბათუმი). მიუხედავად იმისა, რომ, სავარაუდოდ, ავტორს სურვილი უნდა ჰქონოდა ყოფილიყო ეს გამოკვლევა ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების აღნიშნულ პერიოდზე, იგი უნდა ჩაითვალოს უფრო მხატვრულ ნარკვევად (წარმოდგენილია მეცნიერული აპარატის გარეშე).

კლიმენტი გოგიავას ცხოვრებასა და შემოქმედებას თავისი დისერტაცია მიუძღვნა მკვლევარმა მედეა კვარაცხელიამ. წინამდებარე ნაშრომში კი შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ალექსანდრე ყაზბეგის იმ ნაწარმებზე, რომლებიც ბათუმსა და აჭარას უძღვნა შესანიშნავმა ბელეტრისტმა.

კ. გოგიავასთვის აჭარის თემისადმი მიძღვნილი ალ. ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები (როგორც თვითონ აღნიშნავს), მაგარყდიან საერთო რეველში მოთავსებული, მიუწოდებია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს შალვა გოზალიშვილს, დანარჩენი კი მოუგროვებია სხვადასხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციებსა და არქივებში. ამკარაა, აქ ვაწყდებით ერთგვარ გაუგებრობასაც. სავარაუდოდ, როგორც მწერალი-მემუარისტი სოფრომ მაგლობლიშვილი იხსენებს, ყაზბეგი მუშაობისას „...გაწეწილი იჯდა მაგიდასთან და ქაღალდის ნახევები ხრილივით ქონდა

შემოყრილი“ *[მგალობლიშვილი, 1938:115]*, ე.ი. თაბახ ფურცლებს იყენებდა, რათა ადვილად შეძლებოდა ერთი ვარიანტის შეცვლა მეორეთი, უკეთესით. ბათუმის პერიოდის რვეული კი, ალბათ, უფრო შავი სამუშაოსთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნულ რვეულში კ. გოგიავა წააწყდა ერთ მოთხრობას „დურსუნ ქობულეთელი ბეგი“ (დაახლოებით 13 გვერზე დაწერილი). კ. გოგიავას ცნობით, ჩასწორებები შიგვეა გაკეთებული. მეორე პატარა რვეულში, რომელსაც აწერია „დურსუნ ბეგ“ ათიოდე გვერდია დაწერილი. „ყველა ეს ნაწარმოებები არის სხვადასხვა ვარიანტები იმ დიდი თხზულებისა, რომლის შექმნაზეც ყაზბეგი გულდასმით მუშაობდა. მას საფუძვლიანად შეუსწავლია დურსუნი. შეიძლება მის პროტოტიპსაც იცნობდა კარგად. ამ გმირს მწერალი დიდი სიმპათიითა და სიყვარულით ხატავს. ჩვენ ვიცით დურსუნის გვარიც. იგი თავდგირიძეა“ *[გოგიავა, 1948:19]*.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტიც: რვეულებში (კ. გოგიავა არ აკონკრეტებს, რომელში შედიოდა პიესა „დურსუნ ქობულეთელი ბეგი“), რომლისთვისაც ავტორს მიუწერია „ისტორიული დრამა“. „ამ პიესის მოქმედ პირთა რაოდენობა არ აღემატება ათ კაცს. მწერალს წინასწარ გაუთვალისწინებია მაშინდელი თეატრის შესაძლებლობა“ *[გოგიავა, 1948:16]*. პიესის ტექსტს კ. გოგიავა არ აქვეყნებს, მას მხოლოდ მოჰყავს მოქმედ პირთა დასახელება და დიალოგი პერსონაჟ ლეილასი გამზრდელთან. სამაგიეროდ კ. გოგიავა თავის წიგნში პირველად აქვეყნებს მოთხრობებს: „დურსუნ ბეგ ქობულეთელსა“ და „დურსუნ ბეგს“. ორივე დაუმთავრებელია. მაგრამ, ეტყობა, პიესის ტექსტს სრულად უნდა მოეღწია, თუმცა კ. გოგიავას იგი არ შეუტანია თავის წიგნში.

მთავარი ერთია: ბათუმის საქართველოსთან შემოერთებას, როგორც ქართული საზოგადოებრიობის სხვა ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ისე აღუნთია აღექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი მუზა, რომ ერთდროულად პიესასა და მოთხრობაზე დაუწყია მუშაობა. თუმცა კ. გოგიავას პუბლიკაციებში გმირების მცირეოდენი ტრანსფორმაციაა: პიესაში დურსუნ ბეგ თავდგირიძე „ყმაწვილი კაცია, რომელიც ჰაიდარის სახლში იზრდება“, მოთხრობაში „დურსუნ-ბეგ ქობულეთელი“ კი არის იზმაილ ფაშას ვაჟი. თავად კ. გოგიავა კი აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ „დურსუნ ბეგ ქობულეთელი“ (ავტორი ხან „დურსუნ ბეგ ქობულეთელს“ წერს, ხან „დურსუნ ქობულეთელი ბეგი“) და „დურსუნ ბეგი“ ვარიანტები არ უნდა იყოს... ამიტომ შესაძლებელია ესენი სხვადასხვა მოთხრობა იყოს, რომელის დამთავრება ავტორმა ვერ მოასწრო“ *[გოგიავა, 1948:25]*.

ჩვენი აზრით, კი ეს უფრო გმირის სრულყოფილი ტიპაჟის დასახატად „შავი“ მუშაობისთვისაა განკუთვნილი. მით უმეტეს, რომ ალ. ყაზბეგი აქცენტს აკეთებს ქობულეთელთა ამაყ და დაუმორჩილებელ ბუნებაზე: „ქობულეთელები გურჯების გვარტომობის ხალხია, ტყვეობას აგრე ადვილად ვერ ეთვისებიან“ *[გოგიავა, 1948:24]*. დურსუნიც თავდგირიძეა, ქობულეთელი.

ალ. ყაზბეგის წერის მანერა აქაც განუმეორებელია, განსაკუთრებით ბუნების აღწერა, მაგ.: გაზაფხულის ღამის აღწერა („დურსუნ-ბეგ ქობულეთელთან“), ჭოროხი, რომელსაც ავტორი „მთის შვილს“ უწოდებს: „რომელსაც გაბრძოლებაში შედგომა არ ესმის, გზის გადამღობს შიგ გულში ეჭრება, აქაფებული, აზვირთებული, შეკრული კუმშ-კუმშად მედგრად მიქანავს შავი ზღვისაკენ და იქ, მოწინააღმდეგეს შეტაკებული, ცოფმორეულად, ლომად ღრიალი ჰგლეჯს და არყევს იქაურობას...

ლახტად შენატყორცნს ზვირთებს სცემს თავის მოწინააღმდეგესა, აპობს გზას და გულსახარის ჭყვილით იქამდის მიიბრძვის, სანამ უკანასკნელს წვეთს ბრძოლის ძალა შერჩება. ბოლოს თითქოს დუმდება, ჩუმდება და ცოტა მოშვიდობიანობის შემდეგ რამდენჯერმე თანასწორ ასულ-ჩასულს ზვირთებად ამომქმინავი თითქოს ამოიკვნესებს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,

სიკვდილი სახელოვანი!...“

[გოგიავა, 1948:20]

საყურადღებო და მნიშვნელოვანია, როგორი სითბოთი, სიყვარულითა და აღტაცებით აღწერს ალ. ყაზბეგი ბათუმს, რომელიც უკვე პუბლიცისტის ენითაა გადმოცემული გაზეთში გამოსაქვეყნებლად გამზადებულ მხატვრულ ნარკვევში „მგზავრის წერილები“. ბუნებრივია, ალ. ყაზბეგისათვის უკვე კარგად იყო ცნობილი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, მაგრამ იგი არ ერიდება გამეორებას, რამდენადაც ეს აჭარაში მოგზაურობაა და იქაური შთაბეჭდილებით სუნთქავს. თავად ალ. ყაზბეგი ბათუმს „ბათომად“ იხსენიებს და იქვე შენიშვნის სახით განმარტავს: „აქაურები ბათომ უწოდებენ და ამისთვის ბათუმად გადანათლულის მაგივრად მეც ბათუმს ვეძახი: „ბათომი, ბათომი, ეს საოცნებო ბათომი, რომელიც თითქოს მანქანებით იცვლება. შემკობილი ბუნებისაგან უწარჩინებულეს ნავთსაყუდარით ამ მხარის სიმდიდრეს შეადგენს. შემოზღუდული უზარმაზარი ტყით დაბურვილის მთებით შეუფასებელს სანახავადა ხდის.

აქ მვლელნი ურიცხვი გემები სხვადასხვა ქვეყნებიდამ, ურიცხვის ხალხით სხვადასხვა ფერ ტანისამოსებით თვალს ართობს და სურათების უწყვეტ-ლივი ცვლილება მაყურებლის გონებას მასალას აძლევს“ *[გოგიავა, 1948:28]*.

აქვე ალ. ყაზბეგი გულისტკივილსაც გამოხატავს ქალაქის, მძიმე ისტორიული თავგადასავლის შედეგად, დამახინჯებული იერსახის გამო, რომელიც ულამაზესი პატარძალი უნდა იყოს წესით თავისი ბუნებით: „ასეთი შეჰქმნეს, ასე შეამკეს ამ საედემო მხარის სახე, რომელიც მაინც ისეთის დაყვავებით და ალერსით იზიდავს თქვენს გულს, გაგონებთ ძველს, უწინდელს საქართველოს, თამარის სახელს ქართველთა გულზედ აღბეჭდილს, იმ თამარისა, რომელიც ამბობს:

„შავს ზღვაში რკინა ჩავაგდე

ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე... და სხვა“.

[გოგიავა, 1948:29]

ალ. ყაზბეგის სიყვარული ბათუმისადმი არ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრული შემოქმედებით. ბათუმიდან გაგზავნილი წერილებით „ივერიაში“ (ქ.შ.წ.კ.გ.ს. სკოლის მძიმე მდგომარეობის გამო იგი იბრძოდა): „რამდენიმე პირმა ზედვე ადგილზედ ვინახულეთ ბათუმის სკოლა, გამოვიკითხეთ, გავიცანით და შევიგნეთ მისი საჭიროება. ფაქტებმა დაგვიმტკიცა, რომ სმეტაში მოყვანილი ფული არა ჰყოფნის ამ სკოლას და დანიშნულიც - ისე ნახტომ-ნახტომად ეგზავნება, რომ თუ არ მოცადინეობა მასწავლებლებისა, სკოლა მოისპობოდა... სკოლის მოსწავლენი შეუძლებელნი არიან. მრავალთ არა აქვთ საკმაო რვეულები, წიგნები და წერა-კითხვის შესასწავლი საშუალებანი“ *[გოგიავა, 1998:12]* ამიტომ გამართა ჭიდაობაში შეჯიბრი ალ. ყაზბეგმა და მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილებით გადასცა შეგროვილი თანხა ბათუმის მასწავლებლებს, რასაც მაინც მოჰყვა უსიამოვნება „ივერიის“ რედაქტორისაგან და რის გამოც ყაზბეგს დასჭირდა წერილობითი ახსნა-განმარტება მიეცა მისთვის.

ალ. ყაზბეგის ბათუმში ყოფნის პერიოდზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის ივანე მჭედლიშვილი: „როდესაც ქართული დრამატული დასი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ბათუმსაც არ გვტოვებდა უნაწილოდ და უყურადღებოდ. ხსენებულ დასში მონაწილეობას ღებულობდა განსვენებული ყაზბეგი“ *[ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, 1988: 352]*.

სწორედ ამ პერიოდში ი. მჭედლიშვილი აქვეყნებს რეცენზიას ალ. ყაზბეგის „სამშობლოში“ ნათამაშევ როლზე, რამაც გაართულა მასა და ალ. ყაზბეგს შორის ურთიერთობა, მაგრამ მეგობრების (მ.ნ-ძისა და კ.ცა-მას) შემწეო-

ბით ისინი შერიგდნენ. ყაზბეგი თურმე მარტოდ დარჩენილა ბათუმში, სასტუმრო „ევროპაში“, სადაც უჭირდა მუშაობა, ამიტომ ი. მჭედლიშვილს შეუთავაზებია მასთან გადმოსვლა. ი. მჭედლიშვილი გადმოსცემს ალ. ყაზბეგის მასთან თანაცხოვრების პერიოდს და ახასიათებს მას, როგორც „მთის ვეფხვს“, „მწირს“, რომელსაც უყვარდა სამშობლო და მშობლიური ენა და, თუმცა შევიწროებულ ცხოვრებას ეწეოდა, მაინც არ იღებდა არავისგან დახმარებას.

სწორედ ბათუმში, ქართული დასის გამოსვლისას, გაუცვნია ალ. ყაზბეგი დავით კლდიაშვილს, რომელიც აღტაცებული იყო მის „განკიცხულით“. „მე ჩემი თვალით მინახავს, როგორ წერდა იგი თავის დრამას „ქეთევან დედოფალს“, როცა ბათუმის სასტუმრო „ევროპის“ ნომერში ცხოვრობდა“ *[ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, 1988:335]*.

სამწუხაროდ, მიუხედავად კ. გოგიავას მცდელობისა, გაურკვეველია, რა პერიოდებს მოიცავდა ალ. ყაზბეგის ბათუმის ხანა, სადაა ამჟამად „დურსუნ ბეგ ქობულეთელის“, „დურსუნ-ბეგის“ პიესის ხელნაწერები, „მგზავრის წერილები“, ამიტომ კ. გოგიავას ნაშრომი უფრო მწერლის თვალით აღქმული სინამდვილეა და აკლია დოკუმენტურობა, მაგრამ თავად წიგნი მაინც იშვიათობაა და სწორედ რომ მნიშვნელოვანია ალ. ყაზბეგის ბათუმის პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

გოგიავა, 1948: გოგიავა კ., ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში, აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.

მგალობლიშვილი, 1938: მგალობლიშვილი ს.; მოგონებანი, ფედერაცია, თბილისი.

ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, 1988: ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, „განათლება“, თბილისი.

**Alexander Kazbegi in Batumi in the Memories
and Essays of Different People**

Summary

The life of the writer and playwright Alexander Kazbegi (1848-1893) is closely related to the history of the Georgian theater, which from the time of its foundation (1879) started tour in different cities of Georgia (Gori, Kutaisi, Telavi) including Batumi. Although there are many memories on the period of Al. Kazbegi's being in Batumi, we could not find the exact date of his arrival in this beautiful city of the seaside and we think the period of 1882-1883 is the date.

There exist memories of Davit Kldiashvili, Ivane Mchedlishvili but in the presented article our attention is drawn to the work of Klimenti Gogiava "Al. Kazbegi in Batumi" which was published in 1948 by Publishing House of Adjara ASSR (Batumi). The material surveyed by K. Gogiava provides extensive, very important information

about Batumi of the 80s of the XIX century, about public-cultural life and it is very important not only from the historical point of view but from the point of view of studying the works "Mountain Cycle" created by Al. Kazbegi on the theme of Adjara.

კულტურული ცხოვრება ბათუმში 1878 - 1901 წლებში

აჭარელს დიდი ჭირ-ვარამი გადაუტანია, რაც ძირითადად მრავალრიცხოვანი მტრის სისტემატიური შემოსევებით იყო გამოწვეული. აჭარისათვის განსაკუთრებით ძნელად ასატანი აღმოჩნდა დედა საქართველოსთან სამასწლიანი დაშორება, რამაც განაპირობა რელიგიის შეცვლა, განათლებისა და კულტურის დონის დაქვეითება, არადა მშველელი კარგახანს არსაიდან ჩანდა. სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო თავიდანვე დაეძებდა მშველელს.

მაგრამ დადგა ნანატრი დრო 1878 წელი და აჭარა დაუბრუნდა საქართველოს. რუსეთ-თურქეთის ომმა ძირითადად აჭარას გადაუარა, რამაც სულ დააქცია ისედაც დაქუცმაცებული კუთხე. მაგრამ ახლად შემოერთებულ აჭარლებს მოძმე ქართველმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა იტყვიან “ძმა ძმისთვისაო” ბევრ გაჭირვებაში მყოფმა ქართველებმა ყველაფერი გააკეთეს მოძმეთა დასახმარებლად. ამ საშვილიშვილო საქმის ორგანიზატორები იყვნენ ქართველი ერის სასიქადულო შვილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი. აჭარაში იგზავნებოდა სურსათ-სანოვარე, ტანსაცმელი, ფული და სხვა საოჯახო საქონელი.

გარდა პირადი დახმარებისა, ფულის მოზიდვის მიზნით საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა საღამოები, თეატრალური წარმოდგენები, შემოსული თანხა აჭარაში იგზავნებოდა.

საუბედუროდ, ეკონომიური დახმარება საკმარისი არ იყო. ერთ დროს აყვავებულ, განათლებითა და კულტურით გამორჩეულ კუთხეში საჭირო იყო განათლების სწრაფი აღორძინება. აჭარა დაბეჩავებული დაუბრუნდა საქართველოს. არ ფუნქციონირებდა არცერთი სკოლა მშობლიურ ქართულ ენაზე, უცხო ენაზე სწავლა კი აჭარელი კაცისათვის გაუგებარი იყო. ეს სწორედ განჭვრიტეს ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა, სერგეი მესხმა, გრ.ვოლსკიმ, შერიფ ხიმშიაშვილმა, ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეებმა და სხვა. 1881 წელს ბათუმში დააარსეს პირველი ქართული სკოლა, რომელიც ფეხბედნიერი აღმოჩნდა, რადგანაც ყოველწლიურად სკოლას სკოლა ემატებოდა. 1891-1909

წლებში აჭარაში უკვე ფუნქციონირებდა 6 სხვადასხვა ტიპის სკოლა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საეკლესიო სამრევლო სკოლებს, რომლებიც ძირითადად კერძო იყო. აჭარაში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ყოველწლიურად მცირდებოდა. განათლების აღმავლობის პარალელურად აჭარაში მიმდინარეობდა კულტურული აღორძინებაც.

1879 წლიდან ბათუმში ქართველი პროფესიული მსახიობების ძალისხმევით დაიწყო თეატრალური ცხოვრების განახლება, რამაც ხელი შეუწყო ერის ისტორიული ბედუკუდმართობით დარღვეული სულიერი მთლიანობის აღდგენას *[კომახიძე, 1995:3-5]*.

ქართული თეატრის აღორძინება დაკავშირებულია ცნობილ ქართველ კომედიოგრაფ გ. ერისთავის სახელთან. 1850 წლის 2 იანვრის ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნა მისი ცნობილი კომედია “გაყრა” ამ პერიოდიდან ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა.

1879 წლის გაზაფხულისათვის თბილისში ჩამოყალიბდა მუდმივი ქართული დასი, რომელმაც იმავე წლის ზაფხულში საქართველოს ქალაქებში (ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) რამდენიმე გასვლითი წარმოდგენა მოაწყო. დასში შედიოდნენ იმ დროისათვის ცნობილი მსახიობები ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ზ. მაჩაბელი, ნ. ჯორჯაძე, გ. ყიფშიძე, ავქ. ცაგარელი, მ. საფაროვა-აბაშიძე, მ. ყიფიანი, ბ. კორინთელი, ნ. გაბუნია და სხვები.

თეატრალური დასი ახალი უჩვეულო მოვლენა იყო ბათუმისათვის და მცირერიცხოვანი, მაგრამ ქართული კულტურის ერთგული ბათუმელი ინტელიგენცია სიხარულითა და ხელგაშლით შეხვდა მას *[ჩხეიძე, 1959:131]*. პროფესიულ თეატრალურ ცხოვრებას აჭარაში საფუძველი ჩაეყარა მშობლიურ კერაზე ამ მხარის დაბრუნებისთანავე. ბათუმის პოლიცმაისტერის დურმიშხან ჟურულის ოჯახში, სადაც იკრიბებოდა ქართველი საზოგადოება – შესანიშნავი დიასახლისის – ქეთევანის ინიციატივით შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე. წრემ დიდი კულტურული საგანმანათლებლო მისია იკისრა და 1879 წ. 8(20) ივლისს პირველ წარმოდგენად დადგა ზ.ანტონოვის “განა ბიძიამ ცოლი შეირთო?”. გაზ. “დროების” ცნობით, მას ესწრებოდნენ ბათუმის წარჩინებული პირნი. ერთხმად ისმოდა დიდი მადლობა და თანაგრძნობა... “ახალ ქვეყანაში, ახალ ქართველებთან, პირველ ქართულ წარმოდგენას სკოლის გახსნის მიზნით, საკმარისი შთაბეჭდილება მოუხდენია” ამის გამო “ბევრისაგან ისმოდა თხოვნა, რომ ხშირად იყოს წარმოდგენაო”.

ბათუმს მაშინ რამდენადმე ვარგისი სათეატრო დარბაზი არ ჰქონდა. ამიტომ დასმა წარმოდგენა გამართა “სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ ერთ შენობაში, რომელშიც ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა”.

ამ ფაქტს დაემთხვა იმხანად 1879 წ. ივლისში ახლად აღდგენილი ქართული თეატრის გასტროლები ბათუმში. ქეთევან ჟურულის სცენისმოყვარეთა დასს უკვე იმდენად გაელვივებინა ინტერესი თეატრალური სანახაობისადმი, რომ ადგილობრივი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ქართულ თეატრს *[სდინ, III, 2008:569]*.

დავით კლდიაშვილი დიდი პატივისცემით იგონებს: დიდ დახმარებას უწევდა სკოლას ამ მხრივ ბათუმის პოლიცემისტრის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი. ეს უკანასკნელი არა თუ ამ სკოლას უწყობდა ხელს, იგი იყო ბათუმის ქართველი საზოგადოების თავმომყრელი და სულისჩამდგმელი. მისი ოჯახი იყო სადაც თავს იყრიდნენ ქართველები: მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართველობაში და გარეშეთა შორისაც. ბათუმში ჩამოსული ყველა ინტელიგენტი ქართველი მოვალედ რაცხდა თავს ამ ოჯახში მოსულიყო. ქეთევანმა დიდი დახმარება გაუწია დავითს ქართული ენის შესწავლაში. მისივე ხელმძღვანელობით მოამზადა დავითმა გიორგი ერისთავის კომედიის “გაყრა” მოქმედი პირის გაბრიელის როლი, როცა პიესა სკოლის სასარგებლოდ იდგმებოდა. აქვე გაეცნო დავითი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა-აბაშიძისას, სანდრო ანდრონიკაშვილს, ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს და სხვებს. ამ უკანასკნელთან შემდგომი სიახლოვე და მეგობრული მიმოწერაც ჰქონდა *[ნოღაიდელო, 1962:27-28]*.

პრესის ცნობით, ბათუმის სცენისმოყვარეებს ერთი წლის შემდეგ, 1880 წლის 23 მარტს, წარმოუდგენიათ მ. ტერ-გრიგორიანის ვოდევილი “ესეც შენი მაჰანკლობა” და ვ. აბაშიძის ვოდევილი “ცოლი თუ მინდა ეს არის”. გაზეთ “დროების” ცნობით (№70, 1880) წარმოდგენა რიგიანი ყოფილა და ხალხიც ბლომად დასწრებია. 1883 წლის 13 თებერვალს ითამაშეს გ.ერისთავის “გაყრა”. გაზეთ დროებაში (№39, 1883) ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელი მ.ნათაძე დიდ მნიშვნელობას უხდოდა ქეთევან ჟურულის სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვისათვის.

ამავე წლის 3 ივლისს ერთი სტუდენტის სასარგებლოდ წარმოდგენილი იყო აკ. წერეთლის ვოდევილი “ზუტიასა” და მ. ტერ-გრიგორიანის ვოდევილი “ესეც შენი მაჰანკლობა”. თბილისიდან ჩამოსულმა ალ.ყაზბეგმა დადგა ცოცხალი სურათები “ვეფხისტყაოსნიდან” და თავისი ახალი პიესიდან “ქეთევან წამებული” *[ზუზნიკაშვილი, 1979:10]*.

1884 წელს ბათუმს საკუთარი თეატრის ხის შენობა აქვს. იგი მოთავსებული იყო ე.წ. „საოჯახო ბაღში“. ეს ბაღი დროის გასატარებელი ადგილი იყო, მას ფლობდა ვინმე ლამარა. აქ ჩამოდიოდნენ დასები სხვადასხვა ქალაქიდან. ბათუმელმა მაყურებელმა ამ თეატრში იხილა ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობი იტალიელი ერნესტი როსი. „საოჯახო თეატრმა“ 1887 წლამდე იარსება.

1888 წელს ბათუმელი ვაჭარ ანანიევს (ანანიანს) თავის სახლში მოუწყვია თეატრი. თეატრი 60 მაყურებელს იტევდა. მის შენობაში მართავდა სპექტაკლებს ცნობილი ვასილევის დასი, რომელშიც ახალგაზრდა ლ.მესხიშვილი თამაშობდა.

ანანიევის თეატრმა ვეღარ გაუძლო „რკინის თეატრის“ კონკურენციას და 1890 წელს დაიხურა.

„რკინის თეატრი“ განთავსებული იყო დღევანდელი ცირკის ადგილზე. 1891 წელს თავისი რუსული დასის ჩამოყვანა დააპირა ანტიპრენიორმა ტომსკიმ. მან შესაფერისი შენობა ვერ მონახა და გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით მოეწყო. იმ დროს ბათუმში, ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე, ვინმე ფრანგ მიშოს ჰქონდა უზარმაზარი ფარღალალა შენობა, რომელსაც რკინეულობის საწყობად იყენებდა. ეს შენობა ტომსკიმ იჯარით აიღო და სახელდახელოდ თეატრად გადააკეთა. სამ თვეს მართავდა იგი თავისი დასის წარმოდგენებს ამ შენობაში. ამის შემდეგ შენობა ასევე იჯარით აიღო ვეკილმა იურკევიჩმა, შეალამაზა და წარმოდგენისთვის აქირავებდა. შენობას რკინის თეატრი შეარქვეს, რადგან რკინისგან იყო აგებული, ხოლო შიგნიდან კი შეფიცრული იყო. დარბაზი 900-მდე მაყურებელს იტევდა. ამ შენობაში მართავდნენ წარმოდგენებს ბათუმის სცენისმოყვარენი და ჩამოსული მსახიობები პროფესიონალები *[ზუხნიკაშვილი, 1979:17]*.

1891 წლის მარტში ბათუმში კონცერტები გამართა ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა ლუიზა ნიკიტამ, იმავე წლის პირველ ნახევარში ბათუმში კონცერტი გამართა ფრანგული ოპერის დასმა ცნობილი მომღერლის ანა ჟიუდიკის მონაწილეობით.

1893 წლის აპრილში სპექტაკლი გამართა ა.ანტონოვას დრამატულმა საოპერატო დასმა.

1829 წლის პირველ ნახევარში ბათუმში კონცერტი გამართა იტალიელმა მომღერალმა ევგენი ჯირალდინომ, მასთან ერთად კონცერტებში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერალი ნ.ფიგნერი და პიანისტი ფელდტი *[კომახიძე, 1996:146]*.

გამოჩენილი მომღერალი შალიაპინი (1873-1938) პირველი რუსია, რომელიც მილანის ცნობილმა თეატრმა “ლა სკალამ” თავის სცენაზე მიიწვია და ევროპის განებრივებულ მაყურებელს საშუალება მისცა დამტკბარიყვნენ მისი საუცხოო ხმით. შალიაპინი ადრევე ჩაერიცხა ვოლგისპირეთის ქალაქების კერძო და თვითმოქმედ პატარა დასებსა და წრეებში, როგორც გუნდის მომღერალი. 1892 წლის გაზაფხულზე დასი, რომელშიც იგი შედიოდა, ბაქოში ჩავიდა საგასტროლოდ.

კლუბრევი საქართველოს ქალაქებში, მათ შორის ბათუმში გასტროლების გასამართავად საკუთარ დასს აყალიბებს, რისთვისაც მსახიობებსა და მომღერლებს დაეძებს, მართალია, შენ მხოლოდ გუნდის მომღერალი ხარ და არა ცნობილი მსახიობი, მაგრამ მჯერა შენი ხმა მოეწონება მას, უთქვამს სემინიოვ-სამარსკის მეგობრისათვის. შალიაპინი მართლაც გამოცხადდა კლიუჩარევთან და კიდევ იმდერა. ასე გახდა (საოპერო მომღერალი) საოპერო დასის წევრი.

კლიუჩარევის დასმა გასტროლები საქართველოში ბათუმიდან დაიწყო. ეს მოხდა 1892 წლის ზაფხულში. მაშინ შალიაპინს ბათუმში შეუსრულებია ქურუმ ოროვეზის პარტია იტალიელი კომპოზიტორის ბელინის პოპულარული ოპერიდან “ნორმა”. აღსანიშნავია, რომ ეს პარტია მან პირველად სწორედ ბათუმში იმდერა. 1892 წლის ზაფხულში შალიაპინმა ბათუმში ასევე პირველად შეასრულა კარდინალის პარტია ჰელევის ოპერა “კარდინალის ქალიშვილი” *[ბეჩერიშვილი, 1978:23-24]*.

ტრადიციულად იმართებოდა საღამოები თუ თეატრალური წარმოდგენები საქველმოქმედო მიზნით. შემოსული თანხით ეხმარებოდნენ ბათუმის ქართულ სკოლას, ნიჭიერ და ღარიბ სტუდენტებს. დ. კლდიაშვილი იგონებს: მეტად საჭირო იყო ჩამოსახლებულთათვის (ვინაიდან სასწავლებელი უფასოა) ვინაიდან პატიმრები უსახლკარონი იყვნენ უმეტეს წილად, ბათუმში არსებობდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, მაგრამ იგი მეტად ღარიბი იყო და მოუწყობელი, ძლივს ღაფავდა სულს. მას ინახავდა წერა-კითხვის საზოგადოება და ხანდახან ადგილობრივ იმართებოდა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა, მაგრამ აქედან ისე ცოტა შემოდიოდა სასწავლებლებს, რომ ერთ მასწავლებელ-საც ძლივსძლივობით ისტუმრებდა. ამის დასაძლევად და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ და მესხმა გადაწყვიტეს ყოველწლიურად 14 იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამოს გამართვა. პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია. საღამომ დიდებულად ჩაიარა. ვეებერთელა საზოგადო საკრებუ-

ლოს დარბაზი ზღაპრულად იყო მორთული. ელექტრონი რაც იმ დროში იშვიათი იყო, უხვად ანათებდა მთელ საკრებულოს. საკონცერტო განყოფილება, რომელიც წინ უძღოდა სალამოს, შესამჩნევად იყო შემდგარი თბილისიდან მოწვეული ძალებით. ცალკე იყო მოწყობილი აზიური დარბაზი, სადაც უკრავდა თარს განთქმული მეთარე აბდდულ-ბალი თავისი ამხანაგებით. სალამოზე მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზე დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელიც, გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაშა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის. აკაკიმ სალამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და, რაღა თქმა უნდა, დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჰყედილმა დარბაზმა. ლამაზი, შნოიანი წარმოსადეგი პოეტი თავისი ტკბილი ხმით, მომღიმარი სახით, მომხიბლავი შეხედულებით, მართლაც საყვარელი იყო და ყველას თავი მოგვაწონა მისით იმ უცხოელებთან რომლებიც მრავლად დაესწრნენ სალამოს.

სალამომ დიდი ფული შემოიტანა – სამი ათასზე მეტი, დიდი შთაბეჭდილებაც დატოვა. თოთხმეტი იანვრის სალამო, ნინოობა მაცოცხლებელ წყაროდ შეიქმნა სასწავლებლისათვის, გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა *[კლდიაშვილი, 1984:53-54]*.

ნინოობის დღესასწაულის დ. კლდიაშვილისეულ აღწერილობას გარკვეულად ავსებს გაზ. "ივერიის" კორესპონდენტი, რომელიც პირადად ესწრებოდა სალამოს. გაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში იგი წერდა: "არტისტულმა სალამომ არისტოკრატიულად ჩაიარა, ძალიან ასიამოვნა საზოგადოება. მ.ძნელაძის პატარა, მაგრამ ხელოვნურად შემუშავებული ხმით და ლადო მესხიშვილმა, კოტე მესხმა თავიანთი სცენებით, ცეკვის დროს გურული მემუსიკეთა სიმღერამ და ფერხულმა დიდი ქება გამოიწვია საზოგადოებაში, მეტადრე უცხოელებში".

სხვათა შორის, კორესპონდენტი იმედს გამოთქვამდა, ამიერიდან ნინოობა ყოველ წელს აღინიშნებაო. მართლაც, 14 იანვრის დღესასწაული ბათუმში შემდეგაც არაერთხელ იზეიმეს. მასში სხვა და სხვა დროს, მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი: ლადო მესხიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, გ. არადელი-იშხნელი, ფილიმონ ქორიძე, ელ.ჩერქეზიშვილი, კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ზ. გომელაური, ნ. გოგიაშვილი, ა. ჯაყელი, მიხ. კავსაძე და მისი გუნდი, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ა. წუწუნავა, ვალ. გუნია და სხვა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმში სცადეს პროფესიული თეატრის დაარსება. საქმის მოსაგვარებლად თბილისიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდა თეატრალები (დ. რჩეულიშვილი, ი. მჭედლიშვილი, შ. საფაროვი და სხვა) მათ შეადგინეს რეპერტუარი, რომელშიც დასადგმელად შეარჩიეს აკ. წერეთლის “კინტო”, ავქ.ცაგარელის “ოინზაზი”, ერისთავის “სამშობლო”. 1891 წ. 27 ოქტომბერს მათ ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მონაწილეობით კიდეც გამართეს პრემიერა (წარმოადგინეს აკ. წერეთლის “კინტო”), ნოემბერში და 26-29 დეკემბერს რამდენჯერმე წარმოადგინეს სპექტაკლები, მაგრამ მომდევნო წლიდან დასს აღარ განუახლებია დადგმები და საქმეც ამით დამთავრდა.

პროფესიული თეატრის არსებობისათვის, როგორც ჩანს, იმხანად ნიადაგი ჯერ კიდევ არ არსებობდა *[სდსინ, III, 2008: 572]*.

ბათუმში ბიბლიოთეკა-წიგნსაცავის დაარსების მოთავეებად, იმ დროისათვის ბათუმში ახლადგახსნილი სკოლის მასწავლებლები, სასიქადულო ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, მიხეილ შარაშიძე და ტერენტი წერეთელი გვევლინებიან. ამის დადასტურებაა აღნიშნულ პირთა მიერ 1895 წლის 28 დეკემბრით დათარიღებული წერილი ქ.შ.წ. გამგეობისადმი. წერილის ავტორები გამგეობას თხოვდნენ დახმარებას სკოლის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფფასიანი საჯარო ბიბლიოთეკის გასახსნელად. შემოვიდა 600 მანეთი. იქვე მოცემულია ცნობა ბიბლიოთეკის დაარსების განუხორციელებელი ცდის შესახებ და ცნობა იმის შესახებაც, რომ ვინმე ქ. ნ. გურსკის ჰქონია ბიბლიოთეკა გახსნილი და იგი 1894 წ. დამწვარა.

აღნიშნული წერილი გამგეობამ განიხილა 1896 წლის 10 იანვრის სხდომაზე და სკოლასთან სახალხო საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა მიზანშეწონილად ცნო. 1896 წელს საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნა პირველი ბიბლიოთეკა, რომლის ფონდის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ. წიგნები გამოგზავნა ლევ ტოლსტოიმ.

1897-1898 წლებში „კვალის“ მიერ მრავალი კორესპონდენციის გამოქვეყნებამ საქმეს ვერ უშველა და ადვილი შესაძლებელია ეს საქმე კიდეც რამდენიმე წლით დაგვიანებულიყო, მაგრამ ბათუმში საჯაროდ ბიბლიოთეკის გახსნას სათავეში ჩაუდგნენ ”მესამედასელები” და მოახერხეს ქალაქში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა – იგონებს დ.კლდიაშვილი თავის მემუარულ ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“. სამწუხაროდ, მოგონების ავტორი თარიღს არ ასახელებს, მაგრამ ამ ხარვეზებს ავსებს გაზეთი “კვალი”, რომელიც ბეჭდავს მოკლე კორესპონდენციას, სადაც მითითებულია, რომ გასულ კვირაში

აკურთხეს პირველი სახალხო ბიბლიოთეკა ბაზრის ახლოს და მას ძალიან ბევრი მკითხველი ეხვევა. ბიბლიოთეკის გახსნას წინ უძღოდა 1894 წლიდან მოყოლებული ენერგიული ზრუნვა ქალაქის მოწინავე საზოგადოებისა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ინტელიგენციის საერთო კრება, რომელიც 1899 წლის ოქტომბრის დასაწყისში იქნა მოწვეული და მიემდგნა ბიბლიოთეკის დაფუძვნებას. კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორი ნინო ქორიძე, მოწვეულ იქნა ქართული სკოლის დარბაზში. ამავე წლის 31 ოქტომბერს სხდომაზე კრებამ ბიბლიოთეკის წევრებად მიიღო 105 ხელმომწერი. ბიბლიოთეკის მზრუნველად არჩეული იქნა ნ. ქიქოძე. წევრებად ანა სოლორაშვილი, ეფრ. საბაევა, ფ. მგელაძე, ა. ჩხაიძე, მ. ცეცხლაძე, ნ. გაბუნია, გ. ტუსკია *[კომახიძე, 1996:190]*.

1900 წლის მარტში ბათუმში გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთდა.

1894 წლის 8-9 მაისს თბილისის დრამატული დასის მსახიობებმა წარმოადგინეს ვ. გოთუას „და-ძმა“ და ერისთავის „სამშობლო“. ამავე წლის ივნისსა და ივლისში სამი კონცერტი გამართა ი. რატილის გუნდმა.

1895 წლის 25 მაისს ი.რატის კვლავ გაუმართავს კონცერტი ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. ამჯერად ერთი კვირით ადრე ჩამოსულა ბათუმში, ადგილობრივი ახალგაზრდობისაგან შეუდგენია გუნდი და მოუშაადებია სიმღერები.

1897 წლის 27-29 ივნისს ბათუმში კონცერტი გამართა სანდრო კავსადის მომღერალთა გუნდმა.

1898 წ. 9-10 იანვარს ბათუმს ეწვია ქუთაისის დრამატული დასი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. დასმა წარმოადგინა გენგოფერისა და ბროზინების დრამა „ბოშა ქალი ზანდა“ და შექსპირის „მეფე ლირი“.

ამავე წლის 14-15 მაისს ბათუმში კვლავ ქუთაისის დასს გაუმართავს წარმოდგენები. წარმოდგენიან დიუმას დრამა „ედმუნდ კონი“ და ვ.კარევის დრამა „ცხოვრების გმირი“. მეორე წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით ყოფილა გამართული.

ქუთაისის დასი 1899 წელს ესტუმრა ბათუმს და 21 თებერვალს წარმოადგინა დ.ერისთავის „სამშობლო“.

დროის შესაფერისი თეატრის შექმნის მიზნით ბათუმის მუშები თბილისის მუშების მსგავსად მოიქცნენ. თბილისში 1893 წლიდან უკვე არსებობდა მუშების მიერ შექმნილი სახალხო თეატრი, რომელშიც თვით მუშები იღებდნენ მონაწილეობას და საგანგებოდ შერჩეულ პიესებს დგამდნენ.

ბათუმის მუშებმა 1901 წელს დააარსეს სცენისმოყვარე მუშათა დრამატული წრე.

წრის მოთავე იყო მუშა მოსე წეროძე. წრეში შედიოდნენ მუშები და მათი ოჯახის წევრები: მაგდანა მელაძე, პელაგია სიხარულიძე, ნატალია კირთაძე, ირინე ქორიძე, მინადორა გორგილაძე, ედუკია ფირცხალაიშვილი, ევგენია სოლორაშვილი, სილოვან ივანიაძე, მათე გორგილაძე, ილიკო მანჯგალაძე, ილიკო მგელაძე, სანდრო აბზიანიძე, გერონტი ტუსკია, ელისო ლომინაძე, დომენტი ვადაჭკორია, ილარიონ დარახველიძე და სხვანი *[ბუხნიკაშვილი, 1979:29]*.

აჭარაში განათლებისა და კულტურის აღორძინების საქმე უშუალოდ დაკავშირებულია ქართველ მამულიშვილთა თავგამოდებულ შრომასთან.

თუ არა ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, ლუკა ასათიანი, გრიგოლ ეოლსკი, ივანე მესხი, სერგეი მესხი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე ანდრონიკაშვილი, მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, აბდულ მიქელაძე და სხვანი, წარმოუდგენელია, თუ როგორ წარიმართებოდა ბათუმში და მთლიანად აჭარაში კულტურული საგანმანათლებლო მუშაობა. ამიტომაც მათ მიერ გაწეული პატრიოტულ საქმეთა წარმოჩენის გარეშე სრული წარმოდგენა ვერ შეგვექმნება ბათუმში განათლებისა და კულტურის აღორძინების საქმიანობაზე *[კომახიძე, 1996:64]*.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბექირიშვილი, 1978:** – ბექირიშვილი ი., აჭარის სტუმრები, ბათუმი.
- ბუხნიკაშვილი, 1979:** – ბუხნიკაშვილი დ., ბათუმის თეატრი, ბათუმი.
- კლდიაშვილი, 1984:** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.
- კომახიძე, 1995:** – კომახიძე თ., აჭარის მოამაგენი, ბათუმი.
- კომახიძე, 1996:** – კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ბათუმი.
- ნოლაიდელი, 1962:** – ნოლაიდელი ჯ., დავით კლდიაშვილი ბათუმში, ბათუმი.
- სდსინ, III, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, ბათუმი.
- ჩხეიძე, 1969:** – ჩხეიძე ჯ., ბათუმი ისტორიული ნარკვევები, ბათუმი.

Cultural Living in Batumi 1878-1901

Summary

Theatrical group was a new and unusual fact for Batumi, intellectuals of Batumi, not numerous but devoted to Georgian culture, met it with gladness and opened hands. In Adjara, Professional theatrical live founded, when region returned to its native hearth. In the family of Batumi police-officer Durmishkhan Zhuruli, By the initiation of beautiful housewife Ketevani created circle of lovers of stage. A Circle got a great cultural and educational mission. In 1879, 8 (20) july, the first performance was Z.Antonov's play "uncle married, it's true?". According to information of newspaper "Droeba", the performance were attending famous people of Batumi, unanimously heard great thanks and sympathy..."in a new country, with a new Georgians, the first georgian performance for opening a school, was very impressionable", because of this, "many was asking to have performances at many times".

Özgün Günaydın

(Adapazari, Turkey)

Irma Bagrationi

(Batumi, Georgia)

THE WORLDVIEW ASPECTS OF SOME FOREIGN ESSAYS ON SOCIAL ISSUES OF BATUMI

It is well known that literature is a form of human expression. But not everything expressed in words – even when organized and written down – is counted as literature. Those writings that are primarily informative – technical, scholarly, journalistic – would be excluded from the rank of literature by most, though not all, critics. Certain forms of writing, however, are universally regarded as belonging to literature as an art. Individual attempts within these forms are said to succeed if they possess something called artistic merit and to fail if they do not. The nature of artistic merit is less easy to define than to recognize. The writer need not even pursue it to attain it. On the contrary, a scientific exposition might be of great literary value and a pedestrian poem of none at all. The purest (or, at least, the most intense) literary form is the lyric poem, and after it comes elegiac, epic, dramatic, narrative, and expository verse. Most theories of literary criticism base themselves on an analysis of poetry, because the aesthetic problems of literature are there presented in their simplest and purest form. Poetry that fails as literature is not called poetry at all but verse. Many novels – certainly all the world's great novels – are literature, but there are thousands that are not so considered. Most great dramas are considered literature. The essay was once written deliberately as a piece of literature: its subject matter was of comparatively minor importance. Today most essays are written as expository although there are still essayists in the great tradition who think of themselves as artists. Now, as in the past, some of the greatest essayists are critics of literature, drama, and the arts.

We must note here that many works of philosophy are classed as literature. "The Dialogues" of Plato (4th century BC) are written with great narrative skill and in the finest prose; the Meditations of the 2nd-century Roman emperor Marcus Aurelius are a collection of apparently random thoughts, and the Greek in which they are written is eccentric. Yet both are classed as literature, while the speculations

of other philosophers, ancient and modern, are not. Certain scientific works endure as literature long after their scientific content has become outdated. This is particularly true of books of natural history, where the element of personal observation is of special importance. An excellent example is Creative Essay the art of persuasion, was long considered a great literary art. The test in individual cases would seem to be one of enduring satisfaction and, of course, truth. Indeed, it becomes more and more difficult to categorize literature, for in modern civilization words are everywhere. Man is subject to a continuous flood of communication. Most of it is fugitive, but here and there – in high-level journalism, in television, in the cinema, in commercial fiction, in westerns and detective stories, and in plain, expository prose – some writing, almost by accident, achieves an aesthetic satisfaction, a depth and relevance that entitle it to stand with other examples of the art of literature [*A Companion to the Philosophy*, 2009:52-55].

As we know the culture of Georgian tea is a Northern product. Its history has been modelled by romantic dreams and energy of enthusiasts, talented entrepreneurs and hard working scientists, heroic efforts of usual workers and technical imagination of engineers. Through a long and difficult period of development, it came to a brilliant moment of flourishing which was immediately followed by degeneration and almost oblivion. However, wherever a tea bush was once planted by a hand of a man who cares – their common story surely has a continuation. Before some practical steps in this direction were made, there had been more than 30 scientific and popular researches published on this subject.

It is interesting for us “The Memories” by **Lao Jon-Jau** that played a great role in the history of Georgian tea. He tells us: "... This happy corner of subtropical climate where every tea bush is growing just as well as it would in China – is located at the southernmost borderlands of Georgian part of the former Soviet Union – previously, Batumi district. It is here, in between evergreen azaleas and rhododendrons, where the displaced Chinese migrant – teabush – found a new home. He – who would like to spend a summer holiday in an exotic subtropical environment, to rest in wonderful gardens in the shade of Japanese palm-trees, Zelanian dragon-trees and Australian eucalypts – is strongly advised to go to the new homeland of Soviet tea – Batumi Black Sea shore. Here he will see charming low slopes engirdled by stepped terraces of reddish soil with planted tea bushes. Tea bushes of low size – not above 1 arshin from the ground – are kept in perfect condition and gladden the eye of a tealover with their evergreen leaves. After a short period of winter standstill, the

teabushes start to grow again in March, and develop new leaves during all summer and then, all autumn which is amazingly clear and warm here as well... In XIX century tea became a very popular drink in Russia. It was imported by tens of thousands of tons (both legally and illegally), also it was faked and doctored. Expensive grades were sold by 10-12 roubles per lb, which was an equivalent of the price of 2 or 3 cows. This tremendous popularity made people think about opportunities to cultivate tea inside the country. The Caucasian coast was the best place for doing this in terms of climate. First tea bushes together with some other exotic species were planted in Russia immediately after the wars with Napoleon. Armand-Emmanuel du Plessis, Duc de Richelieu, Governor of Herson, ordered to bring first plants in then recently set up Imperial Government Botanical Garden in Crimea next to Yalta. The first experiment failed, all the transplanted bushes died. The new General-Governor Prince Michael Vorontsov made an order to bring a new batch of shoots from China. That time, the plants survived and brought seeds. The director of the Garden Nikolay Gartvis thoroughly studied conditions appropriate for their wellbeing, and recommended to move further experiments to the Caucasian coastlands of the Black Sea. In 1848, the tea shoots were sent from Nikitskiy Botanical Garden to Sukhumi. The first 200 bushes delivered to Sukhumi were planted in the State-owned garden, previously owned by Gurieli princes. During the military campaign of the 50-s, the Turks brought the garden to ruin, and there were only 25 of them left. The other batch was sent to Mingrel prince David Dadiani, replanted in his gardens and successfully cultivated. As a rare exotic plant, the tea bush attracted a lot of attention from botanical lovers and was very popular in the private gardens of Guria and Mingrelia, Sukhumi and Sochi, as well as other places all around. When properly attended, tea bushes could grow, blossom and bring seeds. But, there is a significant difference between growing a few tea bushes in one's private estate and winning an official budget from the government to organize a big scale production..."

[Jon-Jau, 1997:121-144].

It is noteworthy for us that the French Attache and traveller **Adrien Dupre** (1779-1831), in his publicistic letter "Traveller Historical Records" about "The Noble Genius of Batumi Coast", assumed: "The unique Botanical Garden of Batumi started by Andrey Krasnov is similar to the Garden of Eden from the Bible pages. There is no other way to name this amazing area where samples of the most rare, strange and beautiful plants of the world are collected! The huge territory of the garden hosts the collection of 2,037 tree species. Only 104 of them are of the Caucasian origin, the

others were brought from different corners of the planet. And all of them miraculously get on: Japanese sakura, Canary date palm, cactuses, bamboos, palm trees, magnolias, cypresses and so forth. The overwhelming majority of species are represented by subtropical plants – more than five thousand. The garden planted in the way similar to Semiramis Gardens goes down in tiers from the mountain top to the sea: on the top there is the zone of the Himalayan plants, at the bottom – Mediterranean flora” *[Dupre, 1918:47-65]*.

According to Adrien Dupré who visited Batumi in 1807, only small ships entered the harbour with a limited quantity of good. “No traces of historical harbour have been discovered until now in Batumi. However, the old toponym Bathus or Bathys that derives from the Greek phrase bathus limen or bathys limin meaning “deep harbour” clearly indicates that the town had a harbour from the very beginning.” There is no direct mention of the Batumi harbour in Medieval sources. However, Adrien Dupre says that “the Trapezuntine delegation that met prince Gurieli in Batumi had nine galleys and forty barques. According to the Adrien Dupre, Ottoman troops arrived in Batumi in large boats to fight prince Rostom Gurieli. Batumi remained a small port under Ottoman rule” *[Dupre, 1918:72-75]*.

It is interesting for us the famous Russian writer-novelist **Boris Pilnyak's** (1894-1938) Essay “The Black Sea”. The author points out: “The sunny Batumi personifies all the charm of a southern city and a sea resort. It is located on the Black Sea coast and is exquisitely framed by exotic subtropical flora. Palm trees, cypresses, magnolias, oleanders, bamboo trees, laurels, lemon and orange trees, thuyas and box trees spread their sweet fragrance literally everywhere. Batumi is located in a convenient natural Black Sea bay and is an important seaport for entire Georgia. The romantic picture of ships departure from the harbor is better seen from Batumi Quay. Batumi citizens name this place Seaside Park-Boulevard. It surrounds the city along its sea border for two kilometre and is at all times very crowded. This is the most popular place for both locals and visitors of the capital. There stands the city symbol – the Dolphin with a palm branch. Dolphins frolicking in Batumi harbor all year round, have become the integral a part the resort image. The city beach is next to the Boulevard. The beaches in Batumi and its vicinities are stony without sand. To the east from the beach there are theatres, cinemas, restaurants and other entertainments” *[Pilnyak, 1991:209-217]*.

The Venetian Diplomat **Ambrogio Contarini** in his Letters On The Ancient Batumi, points out that “Batumi’s initial form – Batus must have derived from the

Greek word meaning ‘*deep*’. Aristotle, Pliny the Elder and others called the place “*Pontus Bathea*”. In antique times the local population used to have active trade relations with the neighboring as well as distant countries...Batumi is purported to be located on the site of one of the Greek colonies on the coast of Colchis. Its environs the ancient Greeks named Bathus Limen or Bathys Limen i. e. "Deep Harbor", a description rightfully applicable to the gulf on which Batumi itself stands, whence the city's modern name. This Bathys is sometimes identified with Portus altus, possibly a Latin rendition of the locale's Greek name a road map from the Roman period. We must note here, that the earliest archaeologically confirmed settlement on the territory of Batumi is located along the Karolitskhali River and centered on a hillock which is now popularly referred to as Tamar's Fortress after the medieval Georgian queen Tamar. A number of unearthed imported items, fragments of amphorae among them, testify to the Greek influence there. The locale was a home to a Roman military fort during the reign of Hadrian, but was deserted for the fortress of Petra constructed under Justinian on the site of the Tsikhisdziri to the north of Batumi. Ambrogio Contarini calls Batumi Vati or Vathi. He reports it being one of the two ports of the lord "Bendian" (the other being Sebastopolis, i.e., modern-day Sukhumi), while Contarini describes it as a maritime town centered on a fortress. The "Bendian" of Barbaro is apparently a corruption of Bediani, the title of the Dadiani princes who governed several western Georgian provinces under the increasingly nominal authority of the kings of Georgia. A curious incident occurred when the Burgundian flotilla, after a failed crusade against the Ottoman Empire, penetrated the Black Sea and engaged in piracy along its eastern coastline until the Burgundians under the knight Geoffroy de Thoisy were ambushed during their landing raid at Vati/Batumi” [*Contarini, 1987:56-77*].

It is interesting for us also **Volan Vradis** Essay “On the Batumi Region and Kutaisi Province” that is induced with a desire for an auto-ethnographical self-interrogation. Images that feature in the essay are a constellation of personal and prosthetic memories, acquired through historical and cultural knowledge as exemplified by the poems of Osip Mandelstam among other cultural tropes. While making Batum, essay set to explore a certain displacement of identity that emerges when we encounter past experiences. The essay sought to experience how memories become fiction once recorded and how in this process of recording, the camera itself holds a mysterious agency. The essay also investigates how the complex relationship between

personal and collective memories often subverts the social and political identity constructions...

As the foreign author points out "Archaeological works on the fortress located at the northern entrance of the Batumi revealed that people inhabited there in the first millennium B.C. The earliest cultural layer should be dated back to the 8th and 7th centuries BC. Imported artefacts earliest of which date from the 6th century BC testify trade relations with the Greek colonies. Under Emperor Hadrian, the old citadel of the settlement was converted into a Roman fort with a harbour. It is believed that "so-called Deeps" mentioned by Aristotle in his *Meteorologica* refers to Batumi. Aristotle's information was later repeated by Pliny the Elder and Arrian. The copy of the fifth-century map known as *Tabula Peutingeriana* shows *Portus Altus* on the place of modern Batumi, which actually is the Latin translation of the Greek toponym and means "deep harbour. In the Middle Ages, Batumi doesn't appear in the chronicles up until the 14th century. However, some scholars think that *Megale Polis* mentioned in the seventh-century *Chronicon Paschale* may refer to Batumi. Garrisoned by the Roman and later Byzantine forces, Batumi was formally a possession of the western Georgian kingdom of Lazica until being occupied briefly by the Arabs. In the late 15th century, after the disintegration of the Georgian kingdom, Batumi passed to the princes Gurieli, governors of a western Georgian principality. After the Ottoman Turks conquered the city. It was recaptured by the Georgians several times, first – by Rostom Gurieli, who lost it soon afterwards, and again – by Mamia Gurieli. And Batumi again became part of the Ottoman Empire" [*Vradi, 1967:45-72*].

Thus, in early XX century up to some foreign authors with their essays were set up in order to demonstrating the trade-industrial and social and cultural interests of the representatives of their nations.

Bibliography:

A Companion to the Philosophy, 2009: – A Companion to the Philosophy of Literature, Edited by Garry L. Hagberg and Walter Jost, New Jersey, Published by "John Wiley & Sons", 2009 (In English).

Contarini, 1987: – Contarini Ambrogio, The Letters On The Ancient Batumi // Archives of Ancient History, Milan, Italy, Published by "Grolier" (In English)

Dupre, 1918: – Dupre Adrien, Travelling Through Ruins of Nicopolis, Attache of Ministry of Foreign Affairs // The French Consul Adrien Dupre, Attached to Gardane's

Mission [Voyage Aux Ruines De Nicopolis//En Epire, Dans L'annee, Attache Au Ministere Des Affaires Etrangeres – Adrien Dupre], Paris, Published by “Le Normant & Imprimeur-Libraire” (In English)

Jon-Jau, 1997: – Jon-Jau Lao, Memories, Tbilisi, Published by “Ganatleba” (In Russian)

Pilnyak, 1991: – Pilnyak Boris, The Black Sea // Essays and Articles//Series: “XX Century. Russia-Georgia, Plexus of Destiny”, Tbilisi, Published by “Merani” (In Russian)

Vradi, 1967: – Vradi Volan, The Negros of Batumi Region and Kutaisi Province, Published by “Printworks of G. S. Tavartkiladze Press”, The Second Edition, Batumi (In Russian).

ოზგუნ გუნაიდინი (ადაფაზარი, თურქეთი)

ირმა ბაგრატიონი (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის სოციალურ საკითხთა შესახებ ზოგიერთი უცხოური ესეის მსოფლმხედველობრივი ასპექტები

ანოტაცია

წარმოდგენილი სტატიის საკვლევი მონახაზით, მხატვრულ ლიტერატურაში – სამყარო – შემოქმედებითი სიტყვის მეშვეობით და კრეატიული კულტურის საფუძველზე მსოფლმხედველობრივად არის ათვისებული და გააზრებული. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კულტურის ცნება სოციალური შინაარსის შემცველია, ანუ კულტურა არსებობს საზოგადოებაში და საზოგადოებისთვის; მას ახასიათებს შემოქმედებითი კომუნიკაციურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა შეუძლია ადამიანებზე მხატვრული ზემოქმედება. სწორედ კულტურის ფუნქციის სოციალური ბუნება განაპირობებს იმას, რომ მას ჩვენამდე მოაქვს წარსული, რომელიც აქტუალიზდება აწმყოში და რომელიც აპროექტირებს მომავალს. კულტურით ხდება სოციალურ-ისტორიული გამოცდილების გადაცემა თაობიდან თაობაზე. ლიტერატურა კი კულტურის წიაღში არსებულ გამოცდილებას ამა თუ იმ ჟანრით ან დრამატულ მოქმედებად გადააქცევს, ან ნარატიულ მოვლენათა ეპიკურ თხრობად, ან ადამიანის შინაგანი სამყაროს ლირიკულ მონოლოგად.

სტატიაში წარმოდგენილია სულიერი კულტურის განცდით შესრულებული, ავტორთა მიერ მოპოვებული, გამოკვლეული, შეფასებული და თარგმნილი უცხოური ლიტერატურული ნარკვევები, რომლებიც ფასდაუდებელ

მსოფლმხედველობრივ მასალასა და ინფორმაციულ წყაროს შეიცავენ ისტორიული ბათუმის კულტურულ-სოციალური მდგომარეობის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პასაჟები რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიული ხასიათის “მოგონებებიდან”, რომელიც ეკუთვნის ჩინეთის სამხრეთ პროვინციის – კანტონის ძირეულ მკვიდრს ლაო ჯონ-ჯაუს (დაბადებულს 1870 წელს). “როგორც ჩაის კულტურის გამოცდილი სპეციალისტი, ჩაით მოვაჭრე რუსი კომერსანტის კონსტანტინ პოპოვის მიწვევით ჩინეთიდან ბათუმს ვეწვით. ის ამ კულტურით ძალიან დაინტერესდა და ბათუმის ოლქში, კერძოდ, თავის მამულებში ჩაის პლანტაციების გაშენების გადაწყვეტილება გამანდო. 1894 წლის 4 ნოემბერს ჩემს ათ თანამემამულესთან ერთად ბათუმში ჩავედი. ჩაის პლანტაციების მოშენების პროცესი დავიწყეთ ჩაქვის მამულიდან – “ოტრადნოე” და გავაგრძელე – ბათუმის შემოგარენში, კერძოდ, სალიბაურისა და კაპრემუმის მამულებში. 1897 წელს, ბათუმის მკვიდრთა თვალწინ, კავკასიაში გამოყვანილი პირველი ჩაის დაყენება შევძელი. საქმე კარგად მიდიოდა. 1900 წელს, პარიზის მსოფლიო სავაჭრო-საწარმოო გამოფენაზე, პოპოვის პლანტაციებში მოყვანილმა ჩაიმ დიდი ოქროს მედალი მიიღო წარწერით “კონსტანტინ პოპოვს მსოფლიოში საუკეთესო კავკასიური ჩაისთვის”. ამ გამოფენაზე მიწათმოქმედების მინისტრმა ერმოლოვმა (იგულისხმება ცნობილი რუსი სოფლის მეურნე და სახელმწიფო მოღვაწე, 1894-1905 წლებში მიწათმოქმედების და სახელმწიფო საკუთრების მინისტრი ალექსეი სერგის ძე ერმოლოვი), რომელსაც ჯერ კიდევ ბათუმიდან ვიცნობდი, საადგილმამულო უწყებაში გამიწია რეკომენდაცია. სახელმწიფო სამსახურში გადასვლის შემდეგაც ჩვენმა ოჯახმა პოპოვთან საუკეთესო ურთიერთობა შეინარჩუნა... საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო რუსეთის საადგილმამულო სამმართველოს უფროსმა, თავადმა კობუჩეიმ საგანგებოდ ჩემი ოჯახისთვის სახლის აშენების განკარგულება გასცა. ამჟამადაც ამ სახლში ვცხოვრობ. მისი ესკიზების, გეგმის შედგენასა და ფასადების გაფორმებაში თავადაც ვიღებდი მონაწილეობას... ისე კი, შენობის პროექტირება გერმანელი არქიტექტორის მიერ განხორციელდა. იგი გარეგნულად კლასიკური ჩინური სტილის ნაგებობას მოგვაგონებს (იგულისხმება სახლი ახლანდელი დაბა ჩაქვის რკინიგზასთან, ზღვის პირას)... 1911 წელს, იმპერატორის ნებართვით, ბათუმთან ახლოს მიწები შევიძინე და ჩემს პლანტაციაზე საკუთარი ეტიკეტით დავიწყე ჩაის გამოშვება. 1924 წელს ბათუმის პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩემს მიერ მოყვანილმა ჩაის კულტურამ დიდი ვერცხლის მედალი მიიღო...

მინდა ვისაუბრო ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის შესახებაც, რომლებიც ჩემი ღრმა რწმენით, ბათუმურ გარემო პირობებში ფეხს მოიკიდებდა და მხარეს დიდ შემოსავალს მოუტანდა. ასეთია რამი – ჩინური სელის განსაკუთრებული სახე. ჩინეთში მისგან უძვირფასეს ქსოვილს ამზადებენ, რომელიც აბრეშუმზე ძვირად ფასობს. რამისგან მზადდება ასევე ფარდები, გობელენები, თხელი ტილოები; თავისი სიმტკიცის წყალობით რამი საუკეთესო მასალაა ბადეების, ბაგირების დასამზადებლად (რამი, ანუ ჩინური ჭინჭარი, ჩაქვში პოპოვის მოურავმა ვლადიმირ სიმონოვმა ჩამოიტანა). აღსანიშნავია, აგრეთვე, ქაღალდის ხე, იაპონურად “მინუმიტა”, რომლისგანაც მაღალი ხარისხის ქაღალდს ამზადებენ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის გახსნის დროს ბათუმის ქალაქის ხელმძღვანელობას ჩინური შაქრის ლერწმის დანერგვა შევთავაზე. ეს კულტურა რომ თავის დროზე შემოეტანათ საქართველოში, ქვეყანაში შაქრის დეფიციტი არ იქნებოდა...

ბათუმში ცხოვრების მრავალი წლის მანძილზე ჩემი ერთადერთი გასართობი ნადირობა და ცხენოსნობა იყო. ხანგრძლივად ვეცნობოდი ამ მხარის ყოფასა და ადათებს და ქართველების ხასიათებსა და ჩვეულებებში ჩინელებთან მრავალი მსგავსება აღმოვაჩინე. ჩემმა შვილებმა ბათუმის გიმნაზია დაამთავრეს... ასე რომ, ჩვენს სახლში ქართველი და ჩინელი ხალხის ტრადიციული კულტურის ისტორიის საუკეთესო ნაწილია შემონახული” *[Jon-Jau, 1997:121-144]* – წერს ლაო ჯონ-ჯაუ თავის ნახევრადლირიკულ მოგონებებში.

ჩვენი კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენს აგრეთვე, ნარატივები ფრანგი მწერლისა და მოგზაურის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონების პირველი გეოგრაფიული ჩანაწერების ავტორი-დიპლომატის, ე. წ. გარდანის მისიის ატაშეს ადრიან დიუპრეს (1779-1831) პუბლიცისტური წერილიდან “ბათუმის სანაპიროს კეთილშობილი გენია” (ინგლისურ ენაზე): “[...] ის არც ელჩი იყო, არც სახელმწიფო მოღვაწე, არც ისტორიკოსი და არც გამომგონებელი, მას მხოლოდ ის სურდა, რომ ბათუმის სანაპირო ზოლი თვალწარმტაც ედემად გადაექცია [...] საუბარი გვაქვს ბათუმის ოლქში საერთოდ მებაღეობის კულტურის დამამკვიდრებელი პირველი პიონერის შესახებ. რომ არა ეს ფრანგი დიდგვაროვანი – მიხაილ დ’ალფონსი, არ იარსებებდა ბათუმის ბულვარი, დაბა მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე არ გაშენდებოდა რუს დიდგვაროვანთა მდიდრული ვილები, არც ტფილისის ინტელიგენცია დააცარიელებდა თავის საფულეებს და გაიღებდა იმდენს, რომ უხვად მიესაკუთრებია დასასვენებელი ადგილები შავი ზღვის სანაპიროზე. ჩემს კალამს ნამდვილად არ ძალუძს აღწეროს ამ მშფოთვარე გონების ნაფიქრალი და

ნაღვაწი [...] კალიკის კონცხის (ახლანდელი “მწვანე კონცხის”) პირველი მოაგარაკე და არაორდინარული ბინადარი ოცნებობდა შავი ზღვის სანაპიროზე შეექმნა მეორე რივიერა. ამ მიზნით ჩაიტანა თურმე მან საფრანგეთიდან მარადმწვანე მცენარეთა თესლები და პირველი ნერგები საკუთარი აგარაკის სიახლოვეს გააშენა. სწორედ მისი წყალობაა, რომ ეს კონცხი შემდეგში გადაიქცა “მწვანე კონცხად” [...] ბათუმიდან შვიდი ვერსტის დაშორებით გვირაბია გაჭრილი. ზედ გვირაბის შესასვლელთან პატარა მოედანი პლატფორმად გვევლინება როგორც ბაქანი “მწვანე კონცხი”. სადგურის შენობა ჩაფლულია ლავროლუბლებსა და დრაცენებში. ზუსტად სადგურის მოპირდაპირე მხარეს საცალფეხო ბილიკს მივყავართ აგარაკისკენ. იქვე ქვისა და კლდის ნატეხებით მოპირკეთებული მცირე ზომის კოხტად მოწყობილი აუზია... აგარაკის მიდამოებში ერთმანეთშია არეული სხვადასხვა სახის კაქტუსი, აგავა, ალოე, ოპუნცია... მცენარეულ ფორმათა ასეთი მრავალგვარობა უცხოა თავად ევროპისთვისაც და მას სხვაგან ვერსად ვერ იპოვით. ერთი სიტყვით, დ’ალფონსის “მწვანე კონცხი” ფანტასტიკური ველია მეზადე-დეკორატორის შემოქმედებითი ფანტაზიის დასამკვიდრებლად [...]” [Dupre, 1918:47-65].

XIX საუკუნის საწყისი წლების ბათუმის ოლქის შესახებ თავის 1807 წლის ჩანაწერებში ადრიენ დიუპრე მიუთითებს, რომ „ბაზრის შესასვლელთან მხოლოდ ერთი, უზარმაზარი ხის კოშკია, რომელიც ქვის ფუნდამენტზეა დაშენებული (*არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მსგავს ტექნოლოგიებს იყენებდნენ რომაელები აფსაროსის ციხე-სიმაგრეში – სტატიის ავტორები*)... აქ ქარებისგან დაცული საკმაოდ კარგი ნავსადგურია, სადაც 300-ტონიანი ხომალდები შემოდინან. ხალხი გამხმარი თევზითა და ხიზილალით ვაჭრობს. ერთი გამხმარი კობრი 2 თუ 3 ფარა (1 ფარა = $\frac{1}{4}$ რუსული კაპეიკის ექვივალენტი იყო – სტატიის ავტორები) ღირს...” ადგილობრივი მოსახლეობის სულიერი კულტურის თავისებურებებზე დაკვირვებით, დიუპრე დაასკვნის, რომ „თუმცა მათი უდიდესი ნაწილი მუსლიმია... ხალხი მხოლოდ ნომინალურად ინახავს მუსლიმანურ აღმსარებლობას – ეტანება ქეიფსა და ღვინოს და თუკი მოლა სადმე ახლო-მახლო არ ეგულება – დიდი სიამოვნებით სვამს...” [Dupre, 1918:72-75].

ჩვენთვის ასევე საყურადღებოა ფრაგმენტები რუსი მწერლის ბორის პილნიაკის ნარკვევიდან “შავი ზღვა” (1924, რუსულ ენაზე): “[...] ზღვისპირა ბულვარი სოჭით, ოლეანდრებითა და პალმებით ისეთივე სანახავია, როგორც ჯადოსნური ბაღები “ათას ერთი ღამიდან” [...] აქ იანვარში ერთგვარი ზამთრის სეირნობაა [...] ადამიანები სხედან პლაჟის თბილ ღორღზე, სულ ახლოს

ტალღებთან, ესაა რომ არ ბანაობენ. აქვე იწყება ზეიმი საპორტო თურქული ყავახანებისთვის – მთელი ქალაქის სული და გული რომაა: თავისი კლუბებითა და ბირჟებით. ყავახანები ნახევრადჩაბნელებულია და თამბაქოს კვამლითაა გაჟღენთილი. არომატული ყავის ორთქლი დიდხანს ტრიალებს ჰაერში. ყავახანის მოსამსახურე არაქათგამოცლილია წამდაუწუმ პატარა ყავის ფინჯნების აქეთ-იქით დატარებით [...] აი, შემოდის მეგაზეთეც: მომარაგებული გაზეთებით ყველა ენაზე. ყველას – თავისი უნდა ერგოს [...] მოხუცი საპატიო თურქი ყიდულობს თურქულ “კომუნისტს” და ნელა კითხულობს სხვების გასაგონად. რას გაიგებს ის – ვაჭარი და პატრიარქი, მისთვის შეთავაზებულ ახალ მოძღვრებაში? ასე იგი რომ მხოლოდ შუბლს ჭმუხნის, თუმცა ღიმილის გარეშე – კარგად არის აღზრდილი, მისი წარმომავლობის შესაფერისად, და მიჩვეულია პატივი სცეს სხვის აზრს [...] ყველაზე სასიამოვნო სანახაობა ვაჭრულ ბათუმში – ეს თავად სავაჭრო სახლებია. მათში ისეთი კეთილსახოვანება და კულტურა იგრძნობა, რასაც ვერ იპოვით სწრაფად აღზევებულ იტალიურ და სხვა ევროპულ სავაჭრო ფირმებში, რომლებშიც გაბატონებულია ქაოსი და უსიამოვნო მტაცებლური სული [...] ბინდი ჩამოწვება და ბათუმი მაინც არ იძინებს. ზღვისპირის ქუჩაზე (ახლნდ. გოგებაშვილის ქუჩა, სადაც რამდენიმე სასტუმრო [“აჭარისტანი”, “ცენტრალური”] და რესტორანი [“ტალღა”, “ფლორიდა”] იყო განთავსებული) გვიან ღამემდე მოძრაობს ერთიანი საზეიმო მასა – თითქოს თითოეულმა კუთვნილი “საქმე გააკეთა” და თავისი კომერციული სიმახვილის ნაყოფს იმკის [...]

[*Pilnyak, 1991:209-217*].

საგულისხმოა მე-16 ს-ის იტალიელი დიპლომატის, სპარსეთში ვენეციის რესპუბლიკის ელჩის, ამბროგიო კონტარინის “წერილები ძველი ბათუმის შესახებ” (ინგლისურ ენაზე), რომელშიც იგი მოგვითხრობს [შევნიშნავთ, რომ იმ დროისთვის ბათუმის ოლქის საზღვარი თამარის ციხიდან იწყებოდა]: “ბათუმის შემოგარენი გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, ვიდრე თავად ზღვისპირეთი [...] განსაკუთრებული ტკბობა სწორედ მაშინ ვიგრძენი, როცა მწვანე მაღლობ სანახებს მივუახლოვდი. მახუნცეთის იდუმალ ბუნებაში გამოიგნა დიდებული მქუხარე ჩანჩქერის იერმა. მისი სიმაღლე ოც საჟენამდეა. მთელ თავის გრანდიოზულობას ის თურმე ავლენს გაზაფხულზე და წვიმიან კლიმატში... მაშინ ჩანჩქერის ხმაური ხუთი ვერსტის მიღმაც კი ესმით. ქვედა და ზედა აჭარის საზღვარზე დანდალოა გადაფენილი თვალწარმტაცი ნანგრევებით ციხე-სიმაგრისა, რომელიც მთის კონუსზეა შემდგარი და შესანიშნავი ნამენართაა შემკული. ციხის სახელია “თამარის კოშკი”. სოფლის სახელი კი უფრო იტალიურ წარმომავლობას ამხელს, კერ-

მოდ გვახსენებს ვენეციელი დოჟების გვარს დანდალოს დინასტიიდან, ვენეციის რესპუბლიკის გაფურჩქვნის ხანაში, როცა მისი მკვიდრი ვაჭრები მოგზაურობდნენ შორეულ აღმოსავლეთში, უზარმაზარ მანუფაქტურულ ვაჭრობას აწარმოებდნენ მცირე აზიასთან და აღწევდნენ ძველი პონტოს შინაურ ქვეყნებში. ცნობილია, რომ მათ ძველი პონტოს ხეობებში ჰქონდათ პატარა ფაქტორიები ციხე-სიმაგრეებით, რომლებსაც იცავდნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან შექმნილი დაქირავებული პიკეტები. უნდა ვივარაუდოთ, რომ დანდალოს სოფელი თავისი ციხე-კოშკით ასეთ ფაქტორიას წარმოადგენდა, რომელსაც უნდა დაეცვა აჭარის ხეობით მიმავალი ქარავნები ფოცხოვის მთის ხეობის გავლით შორს სპარსეთისაკენ...” [Contarini, 1987:56-67].

სტატიაში აღნიშნულია, რომ ახალი დროის ბათუმში თავმოყრილი იყო უამრავი ეთნიკურ-კულტურული ჯგუფის წარმომადგენელი თითქმის ყველა კონტინენტიდან. ბათუმური კოლორიტის შექმნაში, როგორც ჩანს, თავის დროზე, წვლილი შეიტანეს აფრიკული კონტინენტის წარმომადგენლებმაც. ამასთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესოა ბერძენი ისტორიოგრაფისა და მოგზაურის ვოლან ვრადის ჩანაწერების კრებული “ბათუმის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის ზანგები” (რუსულ ენაზე), რომელიც მოგვითხრობს შემდეგს:

“ბათუმში, ადგილობრივი “საკურორტო საზოგადოების” ერთ-ერთ სხდომაზე ძალზე დამაინტერესა ქალაქის ექიმის, სობოლევსკის მონათხრობმა ბათუმის მიდამოებში ზანგთა არსებობის შესახებ. მათ, თურმე, ადგილობრივი მცხოვრებნი არაბებს ეძახიან. მეც შევეცადე სწორედ ქალაქის მკვიდრთაგან მიმეღო ინფორმაცია ზანგი თანაქალაქელების შესახებ. მაგრამ, ნურას უკაცრავად...! მაშინ მივმართე ბათუმის ოლქის უფროსს ნიკოლაი სატოვს. ამ უკანასკნელმა წერილობით შემომთავაზა შემევლო ოლქის გამგეობაში. სპეციალურად ზანგების შესახებ არანაირი ცნობა იქ არ არსებობდა, რამდენადაც ოლქის მოსახლეობის “საქმეებში” ზანგები შეყვანილი ჰყავდათ “ლაზების” ან “აჭარლების” რუბრიკაში. 1910 წლის “ბათუმის ოლქის მიმოხილვის” იმ თავში, სადაც საუბარია ოლქის მოსახლეობაზე, აღნიშნულია, რომ “[...] ოლქის საზღვრებში მცხოვრები სომხები, თურქები, ლაზები და ზანგები შეადგენენ მისი მოსახლეობის შედარებით უმნიშვნელო ნაწილს”.

მხოლოდ ქალაქის თავებთან პირადი საუბრებიდან გავიგე, რომ ბათუმში შემორჩენილი ზანგები თავმოყრილი იყვნენ კახაბერის დაბლობში. თავად კი, პირველად, ზანგი ბათუმში ვიხილე 1912 წლის 6 ნოემბერს: იმ დღეს თურქული ბაზრისკენ (მდებარეობდა ახლანდელი ქუთაისის ქუჩაზე, მეჩეთთან

ახლოს – სტატიის ავტორები) მივემართებოდი. ვვარაუდობდი, რომ რაიმე ახალ მასალას ვიპოვიდი ადგილობრივი ეთნოგრაფიული კულტურული ფონდისთვის. მარინის პროსპექტზე სწრაფად მიმავალი ზანგი შევნიშნე, თავზე ჟოლოსფერი თურქული ფესით. აშკარა იყო, რომ ზანგური ტიპაჟი მასში სრულყოფილად აღარ იკითხებოდა. ეს იყო უფრო ზანგურ-ლაზური ან ზანგურ-აჭარული ტიპი. მე მას ლაზებთან მოპოვებული ეთნოგრაფიული ფოტომასალა ვუჩვენე, ავუხსენი, რომ მსურდა პოპულისტური წიგნი დამეწერა ბათუმის ოლქის შესახებ და მისი ფოტოსურათი ვთხოვე...

– მაქვს, მხოლოდ “სახლში”, პაკეს კანტორაში, ტეფიქ-ბეგ ბეჟანიძის სახლში (იგულისხმება: ფრანგული საზღვაო კომპანია “პაკე და კა”, რომლის კანტორა მდებარეობდა ზღვისპირის ქუჩაზე #1-ში; იგი დააარსეს ფრანგმა ძმებმა პარკენტონიანებმა, წარმოშობით მარსელიდან).

ვთხოვე – ფოტოს გადაღების საშუალება მოეცა – იქვე პირდაპირ ფოტოსახელოსნოში... ასე გადავიღეთ ფრანგული სანავიგაციო კანტორის დარაჯი ზანგი, რომელსაც არაბ იოზეფს ეძახდნენ. სინამდვილეში მას ერქვა აჯი-აბდულ-ოღლი. რელიგიურად ის, როგორც სხვა აქაური ზანგები, მაჰმადიანობდა. თუმცა რუსულად ლაპარაკიც შეეძლო და ფრანგულადაც”... [Vradi, 1967:45-72].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ბათუმური კულტურისათვის დამახასიათებელი ინტერნაციონალური იდილია, თავისი მრავალფეროვანი მეტროპოლიური ვარიაციებით, მარადიულად იძლეოდა იმის სტიმულს, რომ ცალკეული უცხოური კულტურის წარმომადგენელს მასში ეპოვა მშობლიური იმპულსები, კერძოდ, რუსულ კულტურულ ფენომენს მასში დაეძებნა სლავური, ბერძნულს – ანტიკური, ჩინურს – აღმოსავლური, ფრანგულს – ევროპული და ზანგურს – ეგზოტიკური...

„ნავთის ქალაქი“ ბათუმში

ახლა, როცა ქალაქმა ბათუმმა დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა და უპირატესად მნიშვნელოვან საპორტო-საკურორტო, საგანმანათლებლო და ტურიზმის ცნობილ ცენტრად იქცა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს იმის ჩვენება, თუ რამ შეუწყო ხელი XIX საუკუნის დასაწყისში ერთი შავიზღვის-პირა უმნიშვნელო ქალაქური დასახლების, 80 წლის შემდეგ, უზარმაზარი რუსეთის იმპერიის წამყვან სამრეწველო-სანავსადგურო ქალაქად ამაღლებას. მართალია, ამ პრობლემისადმი არაერთი ნაშრომია მიძღვნილი, მაგრამ ჩვენ მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ამ დიდი პრობლემის ერთ კონკრეტულ საკითხზე, რომლის მოგვარებამ დიდი როლი ითამაშა ქალაქის მომავალ განვითარებაში და ამასთან, ვაჩვენოთ ახლადშემოერთებულ მხარეში რუსეთის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსი და ის, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მაშინდელი ქალაქის მესვეურნი ბათუმის მომავალი განვითარების საკითხების გადაწყვეტას. საკითხი ეხება ქალაქ ბათუმში „ნავთის ქალაქის“ შექმნას, რომლის გონივრულად გადაწყვეტამ არსებითი როლი ითამაშა მომავალში ქალაქის წარმატებით ზრდა-განვითარებაში. ბათუმში „ნავთის ქალაქის“ შექმნის საკითხზე საინტერესო წერილობითი წყაროა ე.წ. „ზაბუგინის კომისიის“ მიერ 1899 წელს შედგენილი უმაღლესი ხელისუფლებისადმი წარდგენილი დასკვნა; ცნობილი მწერლის დავით კლდიაშვილის მემუარები, რომელშიც, ავტორის ცნობით, მონაცემები პირველწყაროდანაა (ზაბუგინის კომისიის დასკვნა) მოტანილი და ის სტატისტიკური და საინფორმაციო მასალა, რომელიც მოცემულია 1906 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ, ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კოლექტიურ ნაშრომში „ბათუმი და მისი შემოგარენი“. მემუარების ავტორი დ. კლდიაშვილი წერს, რომ ზაბუგინის კომისიის „ეს მოხსენება ბედნიერი შემთხვევით ჩამივრდა ხელში და ვისარგებლე მასში მოყვანილი ძვირფასი ცნობებით“-ო *[კლდიაშვილი, 1995: 58]*. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე საკითხთან დაკავშირებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს (1878 წ.), რუსეთ-თურქეთის ომის საზავო პირობებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების, მათ შორის ქ. ბათუმის რუსეთის საზღვრებში მოქცევამ, ბევრად განსაზღვრა ქ. ბათუმის მომავალი განვითარების ბედი. ბათუმის ღრმა და ქარებისგან დაცული ნავმისადგომით რუსეთი ისევე, როგორც სხვა დიდი ქვეყნები, ადრევე იყო დაინტერესებული. ახლა მას საშუალება ეძლეოდა ჩანაფიქრი განეხორციელებინა. მით უმეტეს, რომ საამისო პირობებიც შემზადებული ჩანდა. კერძოდ, 80-იანი წლების დასაწყისში ბაქოში ნავთობპროდუქტების ამოღების მასშტაბები არნახულად გაიზარდა, რამაც უცხოეთის ქვეყნების ნავთობპროდუქტების გასაღების ბაზრისკენ იაფი და უმოკლესი გზის ძიების საკითხის მოკლე დროში გადაჭრა მოითხოვა. საქართველოში უკვე 70-იანი წლებიდან (1871-1873 წწ.) რკინიგზა მოქმედებდა თბილისი-სამტრედია-ფოთის მიმართულებით. 1883 წლის 22 აპრილს გაიხსნა ბაქო-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელმაც ამავე წელს სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო მონაკვეთის ექსპლოატაციაში შეყვანით, ამიერკავკასიის ეს უშორესი სამრეწველო ცენტრები ბაქო და ბათუმი დააკავშირა. ეს უდიდესი მოვლენა იყო ამიერკავკასიის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან ამიერიდან აქაური წიაღისეული: ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, ქვანახშირი და სხვა სიმდიდრეები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილება იყო მსოფლიო ბაზარზე, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით შეიძლებოდა გატანილიყო ევროპის, აზიის და სხვა კონტინენტთა მსხვილ ცენტრებში.

ქალაქ ბათუმის და მისი პორტის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბაქოს ნავთობის აქედან გატანამ. მართალია, ბაქოს ნავთობი საზღვარგარეთ სხვადასხვა გზებით 1881 და 1882 წლებშიც გაუტანიათ (926 405 და 985 130 ფუთი), ბათუმში ნავთობპროდუქტების შესანახი პირველი რეზერვუარი 1882-1883 წლებში ინჟინერ პალაშოვსკის დაუდგამს *[დაკიშვი-ჩი, 2011: 17]*, მაგრამ 1883 წელს, როცა ნავთობი რკინიგზით მიეწოდა ბათუმს, ნავთობპროდუქტების ექსპორტმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია რომ მალე რკინიგზა ვეღარ უზრუნველყოფდა ნავთობპროდუქტებზე საზღვარგარეთის მოთხოვნებს. ფართო იყო ნავთობპროდუქტების ექსპორტის გეოგრაფია: ევროპის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები. ბათუმზე მოდიოდა 1891-1893 წლების ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ექსპორტის 26 პროცენტი *[უზუნაძე..., 2013: 70]*. უკვე 1886 წელს შესრულდა პირველი სატვირთო რეისი ბათუმიდან შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისურმა გემმა „რიმფამ“ ინდოეთში ტარათი წაიღო 180 000 ფუთი (ფუთი=16,3 კგ.) ნავთი.

1893 წლიდან დაიწყო ნავთობპროდუქტების გატანა აფრიკის ქვეყნებშიც *[უზუნაძე..., 2013: 71]*. ბათუმიდან ნავთობპროდუქტების გატანის მასშტაბების მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 1902 წელს 1883 წელთან შედარებით იგი გაზრდილა 2339 პროცენტით *[Batym..., 1906: 311]*. ბაქოდან ნავთობპროდუქტების მიღებას და საექსპორტოდ მომზადებას შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ნავთის ქარხნები, რკინის რეზერვუარები, თუნუქის ყუთები და კასრები, საჭირო მასალების საწყობები...) სჭირდებოდა და იგი წლების განმავლობაში იქმნებოდა და შენდებოდა. 1892 წელს ბათუმში 97 რკინის რეზერვუარი- ცისტერნა იყო, რომელთა ტევადობა 9 800 000 ფუტის შეადგენდა *[Batym..., 1906: 298]*. ისინი თითქმის ქალაქის ცენტრში, ციხესიმაგრეების წინ იყო განლაგებული, რაც სამხედრო უწყებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მათი მიმართვის საფუძველზე მთავრობამ 1891 წელს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით აიკრძალა მოზრდილი რეზერვუარების აგება და ქარხნის პატრონებს სამი წლის ვადა მიეცათ ან ახალი კანონის მიხედვით მოეწყოთ თავიანთი ქარხნები, ან ქალაქ გარეთ გაეტანათ ისინი *[კლდიაშვილი, 1995: 58]*. ამ ბრძანების შესრულება დიდ ეკონომიკურ ზარალს მოუტანდა როგორც ქარხნის პატრონებს, ისე ქალაქს (ქალაქი ყოველწლიურად 150 000 მანეთს იზარალებდა). ამიტომ ქალაქის თვითმმართველობამ ქარხნის მეპატრონეებთან ერთად, მიმართა უმაღლეს ხელისუფლებას, ზარალისა და დიდი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, ცალკე დაარსებულიყო ნავთის ქალაქი იქ, სადაც უკვე მდებარეობდა ნავთის ქარხნები და რკინიგზის საქონლის სადგური, რომელიც ნ. დაკიშევიჩის მიხედვით, მდ. ბარცხანის მარცხნივ მდებარე ტერიტორია უნდა იყოს *[დაკიშევიჩი, 2011: 13]*. რეზერვუარებისთვის ადგილი სხვაგან უნდა გამონახულიყო.

უმაღლესმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ქალაქის თვითმმართველობის თხოვნა და შექმნა კომისია საკითხის შესასწავლად და წინადადებების მოსამზადებლად. თავის მხრივ, მთავარმა კომისიამ მცირე კომისია შექმნა ზაბუგინის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა: თვითმმართველობის მიერ მითითებული „ნავთის ქალაქის“ გეგმის შედგენა; ნავსადგურის ტვირთბრუნვისა და მასში ნავთობის ექსპორტის წილის განსაზღვრა მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით; რეზერვუარების გადასატანი ადგილის შერჩევა და ყველაფერ ამისთვის საჭირო ხარჯების განსაზღვრა.

1899 წლისთვის, ზაბუგინის კომისიას, თვითმმართველობის მიერ ნავთის ქალაქისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, დახვდა ნავთის 11 ქარხანა და ნავთის გასაგზავნი თუნუქის ყუთებისა და კასრების 9 სახელოსნო, რომელთაგან

ერთი ეკუთვნოდა ხაზინას, დანარჩენი კი უცხოელებს. ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის საქმეში ჩართული იყვნენ მსოფლიოს ცნობილი კომერსანტები მძებნი ნობელები, ალფონს როტშილდი, ალექსანდრ მანთაშევი, სიდერისიდი, რიხნერი და სხვები *[მოგზაურობა..., 2014: 54]*. ნავთობის შესანახი რეზერვუარების რაოდენობა 110-ს აჭარბებდა, რომელთა ტევადობა 15 მილიონ ფუთზე მეტი იყო. ბათუმში ნავთობპროდუქტების შემოზიდვის ასეთი ზრდა ბევრად იყო დაკავშირებული 1890 წელს სურამის სარკინიგზო გვირაბის და მოგვიანებით, 1900-1906 წლებში ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანასთან. 1902 წელს ბათუმის ნავსადგურის მთელი ტვირთბრუნვა 108 მილიონ ფუტს შეადგენდა, რომლის 71 პროცენტი ნავთი და ნავთობპროდუქტები იყო *[Батым..., 1906: 260]*. გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, ცნობადი და მიმზიდველი გახდა ბათუმი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის. 1903 წელს ბათუმის მოსახლეობა 35 000 ათასამდე იყო გაზრდილი. აქ 20-დე ქვეყნის (დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, თურქეთი...) საკონსულო და სანაოსნო კომპანიათა წარმომადგენლობა ფუნქციონირებდა.

ახლა ზაბუგინის კომისიის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ნავთობის რეზერვუარების ქალაქის ცენტრიდან გადასატანად ისეთი ტერიტორიის შერჩევა, რომ მათი ნავთობით შევსება და აქედან ნავთის ქალაქის ქარხნებსა და გემებში გადაქაჩვა მოხერხებული და იაფი ყოფილიყო. ამასთან, ანგარიში უნდა გაწეოდა იმას, რომ რეზერვუარების სიახლოვეს არ ევნო აქაური მდიდარი სუბტროპიკული გარემოსთვის, ახლადგაშენებული ჩაის, ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის პლანტაციებისთვის. როცა ვეცნობით კომისიის მიერ საამისოდ შერჩეულ ადგილებს და შემდეგ მსჯელობას მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, აშკარად ჩანს, რომ კომისია ცდილობს დაიცვას რეზერვუარებისთვის ადგილის შერჩევის ადრე შემუშავებული მოთხოვნები. კერძოდ, კომისიამ შესარჩევად ექვსი ადგილი გამოყო (ადგილები მდ. ჭოროხის ნაპირებზე და ართვინის შოსეს დაყოლება; ბარცხანის ხეობა; ყოროლის წყლის ჭალები; მახინჯაური; ჩაქვის არემარე; სადგურ ქობულეთის არემარე), მაგრამ ერთი – ბარცხანის ხეობა გამოუსადეგარად სცნო ამ მიზნისთვის, როგორც მთა-გორიანი ადგილები; სამი (ყოროლის წყლის ჭალები, მახინჯაური, ჩაქვის არემარე) ვერ გაიმეტა ამ მიზნისთვის, როგორც ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეებით და აგარაკებით დაკავებული ადგილები და მხოლოდ ორი (ადგილები მდ. ჭოროხის ნაპირებზე და ართვინის შოსეს დაყოლება; სადგურ ქობულეთის არემარე) ჩათვალა საამისოდ მისაღებად და გამოსაყენებლად. ორივე ეს ადგილი საკმაოდ იყო დაშორებული, როგორც

ნავთის ქარხნებს, ისე ნავთობის გასაგზავნ ნავმისადგომებს, ამიტომ, როგორც ჩანს, საბოლოოდ ეს ადგილებიც დაიწუნეს და რეზერვუარ-ცისტერნები „ნავთის ქალაქის“ უკან, ნაკლებად დასახლებულ „ხოლოდნაია სლობოდამდე“ (გოროდოკი – ბ.დ.) ტერიტორიაზე განათავსეს (შემდგომში ნავთობბაზის მიმდებარე ადგილები – ბ. დ.).

ზაბუგინის კომისიის მიერ რეზერვუარ-ცისტერნებისთვის გამოყოფილი ადგილების შეფასებისას საკითხისადმი მიდგომის უკეთ წარმოსაჩენად, ვფიქრობთ, მოვიტანოთ ვრცელი ამონარიდი ყოროლის წყლის ჭალების შესახებ დ. კლდიაშვილის მემუარებიდან, სადაც ნათლადაა ნაჩვენები, თუ რატომ ვერ გაიმეტა კომისიამ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ადგილი (ყოროლის წყლის ჭალები; მახინჯაური; ჩაქვის არემარე) რეზერვუარების განსათავსებლად. იგი თავის მემუარებში წერს: „ის ადგილი, სადაც შეიძლებოდა რეზერვუარების აგება, ერთი უმშვენიერესი ადგილთაგანი იყო თავისი მდებარეობით და სანიტარული პირობებით, მოფენილი მრავალი აგარაკით; ამ აგარაკების პატრონებს დიდძალი ფული ჰქონდათ ჩაყრილი მიწის დამუშავებაში, ათასნაირ ძვირფას ნაშენში. აქ მოყავდათ საუცხოო ხარისხის ხილი, ზრდიდნენ ძვირფას ტროპიკულ მცენარეებს, გაშენებული იყო პოპოვის ჩაის პლანტაციები სალიბაურში და კაპრემუმში. ნავთის რეზერვუარების აგება მათ მახლობლად საზარალოდ იმოქმედებდა; ნავთის ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი მეტისმეტად ავნებდა ამ ნაზ მცენარეების კვირტებს და ფოთლებს და ძირითადად შეცვლიდა ცხოვრების პირობებს ამ ადგილებში... კომისიის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, ჩაის მოსაყვანად გამოსადეგ ადგილებში, თუ ყველა დამუშავებული იქნებოდა, მოიწეოდა 500 000 ფუტამდე ჩაი, ე.ი. მესამედი ნაწილი იმისი, რაც მთელ რუსეთში იხარჯებოდა და რის საფასური აღწევდა 10-15 მილიონ მანეთამდე“ *[კლდიაშვილი, 1995: 65-66]*. მემუარებში ასევეა დახასიათებული მახინჯაური და ჩაქვის არემარე. ეს აღწერილობები იმითაცაა საინტერესო, რომ მრავალმხრივ მასალას იძლევა 900-იანი წლების ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ათვისების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, სამეურნეო ცხოვრების განვითარების, ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზე რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად.

ზაბუგინის კომისიის დასკვნის შესაბამისად, „ნავთის ქალაქი“ დაყოფილი იქნებოდა უზნებად, სადაც გაიყვანებოდა მოკირწყლული ქუჩები; განათება ყველგან ელექტრონის; ქუჩებისაკენ მოქცეული შენობების კედლები აგებული ცეცხლის გამძლე მასალისაგან; შენობები ერთი და ორსართულიანებიც,

მაგრამ უკანასკნელი არა უმაღლეს ექვსი საუენისა; სახლები ხისაც შეიძლება-
და; სახლების სახურავები კი უსათუოდ ან თუნუქისა, ან კრამიტისა. იმ შე-
ნობებს, სადაც ცეცხლი უნდა გაჩაღებულიყო, მზად უნდა ჰქონებოდა ცეცხ-
ლის გასაცალკეებლად რკინის ფურცლები. ყოველ ქარხანას ცეცხლის საქ-
რობლად ეზოში უნდა ჰქონებოდა ოთხ-ოთხი წყლის ონკანი“ *[კლდიაშვილი, 1995: 68]*. დასკვნაში განსაზღვრული ყოფილა მეთვალყურეთა და ღამის
ყარაულთა რაოდენობაც, მათი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის
გათვალისწინებით. ამ საკითხებზე იმიტომაც ასე დეტალურად შევჩერდით,
რომ ყველა დროში ექცეოდა ყურადღება უსაფრთხოების წესების დაცვას და
იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, როცა
ადამიანებს საქმე აქვთ ურთულეს ელექტრონულ ტექნიკასთან.

კომისიის დასკვნის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების
შესასრულებლად „ნავთის ქალაქის“ ქარხნის მეპატრონეებს ვადად ეძლეო-
დათ სამი წელიწადი მთავრობაში წარდგენილი გეგმის დამტკიცების შემდეგ,
მაგრამ მალე, 1900-1903 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა და შემდგომ პე-
რიოდში მსოფლიო ბაზარზე იაფი ამერიკული ნავთობის მოზღვავებამ, მძიმე
დარტყმა მიაყენა რუსეთის ნავთობმოპოვებისა და ექსპორტის საქმეს. ბაქოს
ნავთობმა დაკარგა პრიორიტეტი საგარეო ვაჭრობაში, დაეცა ბათუმის ნავსად-
გურით ნავთობის ექსპორტიც. თუ 1904 წელს იგი შეადგენდა 75,5 მილიონ
ფუტს, 1905 წელს იგი შემცირდა 37 მილიონ ფუტამდე, 1906 კი წელს – 28,2
მილიონ ფუტამდე *[სიორიძე, 2011: 34]*. ეს ტენდენცია გრძელდებოდა 1912
წლამდე. შემდეგ ცნობილი მოვლენები: მსოფლიო ომი, სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოში უცხოელთა (თურქეთი, გერმანია, ინგლისი) ინტერვენცია
უარყოფითად აისახა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის ბათუ-
მიდან ნავთობის ექსპორტზეც. შესაბამისად შეუძლებელი გახდა „ნავთის
ქალაქში“ გათვალისწინებული ცვლილებების შესრულებაც, მაგრამ მთავარი –
გასატარებელი ღონისძიებების გეგმა დარჩა, რომელიც მოგვიანებით 1927-
1929 და მომდევნო წლებში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აშე-
ნებითა და მისი ინფრასტრუქტურის შექმნით დასრულდა *[ინწკირველი, 1975]*.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

დაკიშევიჩი, 2011: – დაკიშევიჩი ნ., ბათუმი. წიგნი თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

ინწკირველი, 1975: – ინწკირველი ნ., ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბათუმი.

კლდიაშვილი, 1995: – კლდიაშვილი დ., თხზულებანი ორ ტომად, II, თბილისი.

მოგზაურობა..., 2014: – მოგზაურობა ძველ ბათუმში, შეადგინა ნანა კვაჭაძემ, ბათუმი.

სიორიძე, 2011: – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბილისი.

უზუნაძე..., 2013: – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი.

Батум..., 1906: – Батумь и его окрестности. Батумь, 1906.

Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia)

„Kerasine City“ in Batumi

Summary

Based on the review and analysis of written sources and scientific literature in the work, it is shown that Batumi became the main base of Baku oil transfer from the 80s of the XIX century," The essence of the Zabugin Commission's "kerasine city" project, which envisages the construction of the kerasine city around of Batumi, with all the necessary infrastructure (workers' housing, warehouses, auxiliary shelters, cisterns, etc.), but from the 900s years the unstable political processes and influx of new cheap oil interrupted implementation of this plan.

ბათუმი მეორე მსოფლიო ომში (1939-1945 წწ)

*ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ არ ექნება ხორთუმი,
ისე კავკასი კავკასად,
თუ არ იქნება ბათუმი.*

აკაკი წერეთელი

მეორე მსოფლიო ომი (1939 წ. 1 სექტემბერი – 1945 წ. 2 სექტემბერი) გააჩაღეს ფაშისტურმა გერმანიამ, იმპერიალისტურმა იაპონიამ და მილიტარისტულმა იტალიამ. ეს ომი მოიცავს სამ პერიოდს: პირველი – 1939 წ. 1.09 – 1941 წ. 22.06. გერმანიამ გააჩაღა ომი, დაიპყრო ევროპის 16 ქვეყანა და 190 დივიზია განალაგა სსრ კავშირის საზღვრებთან.

მეორე – 1941 წ. 22 ივნისი – 1945 წ. 9 მაისი, გერმანია ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მსოფლიო ომი შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. ომი დამთავრდა გერმანიის განადგურებითა და საბჭოთა კავშირის და მისი მოკავშირეების ძლევამოსილი გამარჯვებით.

მესამე პერიოდი – 1945 წ. 8 მაისი – 1945 წ. 2 სექტემბერი. საბჭოთა კავშირმა, მოკავშირეებთან (ინგლისი, აშშ) ერთად, დაამარცხა იმპერიალისტური იაპონია.

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. დიდ სამამულო ომამდე აჭარა განვითარებული მრავალდარგოვანი ეკონომიკის რეგიონი იყო, რამაც შესაძლებლობა მისცა მას მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში. ამ მხრივ დიდია ქალაქ ბათუმის როლი ომში, როგორც ადამიანთა რესურსებით ფრონტის შევსებაში, ისე ზურგში გაწეული თავდადებული შრომით, სამრეწველო პროდუქტებითა და სამხედრო იარაღით არმიის მომარაგებაში.

სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველო და მათ შორის, აჭარის მოსახლეობა მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის სამივე პერიოდში და თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში.

მეორე მსოფლიო ომის პირველ პერიოდში, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობდა საქართველოდან წარგზავნილი 130 ათასი მეზრდოლი,

მათ შორის 227 აჭარიდან, მათგან 186 ქ. ბათუმიდან *[სინ, 1980: 89; დუმბაძე, 2005: 56]*. ერთი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი (ალ. სულაბერიძე) *[დუმბაძე, 2005: 58]*.

მსოფლიო ომის მეორე და მესამე პერიოდში აჭარიდან ფრონტზე გაიწვიეს 25 ათასამდე კაცი (დაიღუპა 10 824 კაცი), მათ შორის ქ. ბათუმიდან მობილიზებული იყო 13560 კაცი, მათგან დაიღუპა 6000-მდე *[ართმელაძე, 1972: 213; დუმბაძე, 2005: 113]*. ხოლო მთელი ომის მანძილზე 12 მებრძოლი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი *[დუმბაძე, 2005: 113; Цома, 1995]*.

ისე, როგორც ფრონტზე გაწვეულები მამაცურად და გმირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, ასევე, ქალაქის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომლებიც დასაქმებული იყვნენ ქალაქში განლაგებულ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და ადგილობრივ მრეწველობაში, თავდაუზოგავად მუშაობდნენ ფრონტის ამოცანების დროულად შესრულებისათვის. მოქმედებდნენ დევიზით: “ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის”.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, გემთმშენებელი, ხის დამამუშავებელი, მომთუთიებელი, ქიმიური, კოფეინის ქარხნების, აგრეთვე, მსუბუქი მრეწველობის ობიექტების შრომითი კოლექტივების საქმიანობა *[დუმბაძე, 2002: 86-89]*, სადოქტორო დისერტაცია). კონკრეტულად ისინი ამ წარმატებებს ნავთობის გადამამუშავების მოწინავე მეთოდების დანერგვით, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით, საუკეთესო ხარისხის ბენზინის მისაღებად ნავთობის მეორადი გამოხდის მეთოდის დანერგვით და მისი ნარჩენების დანაკარგების მკვეთრად შემცირებით, ეკონომიკის რეჟიმის მკაცრად დაცვით, შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის, პატრიოტული შემართებით და შრომითი მამაცობით აღწევდნენ *[დუმბაძე, 2002: 86-92]*.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, ომის ოთხი წლის მანძილზე, 1941 წლის ივნისიდან 1945 წლის ივლისამდე, ქვეყანას მისცა 3 მილიონ 95 ათას 988 ტონა საწვავი მასალა. აქედან 171 818 ტ საავიაციო ბენზინი, 690 876 ტ ავტომობილის ბენზინი, 90 534 ტ ტრაქტორის ნიგროლი, 666 601 ტ ნავთი, 33 876 ტ რადარის ზეთი, 131 304 ტ ნავთობბიტუმი, 103050 ტ ძრავის საწვავი, 710 640 ტ სათბობი ზეთი, 470 628 ტ ფლოტის მაზუთი და სხვ. *[დუმბაძე, 2005: 93-94]*.

ომის წლებში განუზომლად დიდია ბათუმის ნავსადგურის და ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის როლი. 1942 წლამდე აქ არსებობდა გემთსარემონტო

სახელოსნო, კავკასიისათვის ბრძოლების მძიმე წლებში, ქ. ნოვოროსიისკიდან და სევასტოპოლიდან საქართველოში, ჯერ ფოთში და შემდეგ ბათუმში, ევაკუირებულ იქნა გემთსაშენი ქარხანა, რომელიც მოკლე დროში დაამონტაჟეს. ამასთან დაკავშირებით, გაფართოვდა ბათუმის გემთმშენებელი სახელოსნოს ტერიტორია და იქ განთავსდა ევაკუირებული ქარხნები. შემდეგ გადაკეთდა გემთსაშენ ქარხანად. მანამდე გემთსარემონტო სახელოსნო ბათუმის ნავსადგურთან არსებობდა, ხოლო 1943 წლიდან გემთსაშენ ქარხანად გადაკეთების შემდეგ, გამოეყო ნავსადგურს და უშუალოდ დაექვემდებარა შავი ზღვის ოდესის სანაოსნოს *[დუმბაძე, 2002: 97-103]*.

ქარხანამ დიდი სამუშაო შეასრულა. 1943 წლიდან შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა შეადგენდა 2 მილიონ 683 ათას მანეთს, რაც წინა წელს შესრულებული სამუშაოს ერთი მილიონით აღემატებოდა.

1943 წელს ბათუმელმა გემთმშენებლებმა მწყობრში ჩააყენეს 48 სხვადასხვა ტონაჟის გემი, არაფერს ვამბობთ მცირე მოცულობის გემების მიმდინარე რემონტზე. ამ ქარხანაში შეკეთდა ისეთი მძლავრი გემები და სახაზო ხომალდები, როგორიც იყო: „იუპიტერი“, „კრასნაია მოლდავია“, კრასნი კუზან“, „ჩაპაევი“, „კურსკი“, „ტოროსი“ და სხვ. ისიც სათქმელია, რომ ჯერ კიდევ ომამდე, სევასტოპოლში დაწყებული ნაღმოსნის „ოგნევის“ მშენებლობა ბათუმის ქარხანაში დაასრულეს *[დუმბაძე, 2005: 24-95]*.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა. ის ამზადებდა მეჩაიეების რაიონების ჩაის ფაბრიკებისათვის სხვადასხვა ტექნოლოგიურ დანადგარებს, ინსტრუმენტებს, ასევე, ქარხანაში დამზადდა მდ. ჭოროხზე (მახოსთან) კაპიტალური ხიდის ფერმების ლითონის კონსტრუქციები, სათანადო საჭირო დეტალებითა და მოწყობილობებით. ხიდის ექსპლუატაციაში გაშვებამ საშუალება მისცა ქვეყანას საპორტო მიმოსვლისათვის ჭოროხის მარცხენა ნაპირის სოფლებთან და სახელმწიფო საზღვართან კომუნიკაციისათვის.

ფასდაუდებელი როლი შეასრულა ომის წლებში ბათუმის კოფეინის ქარხანამ, რომელიც ერთადერთი იყო სსრ კავშირში. ქვეყანას კოფეინის დიდი რაოდენობა საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა, მაგრამ სახელმწიფოს ასეთ მძიმე პერიოდში არ ჰქონდა ფინანსური საშუალება უცხოეთში კოფეინის შესასყიდად. ამიტომ, ხელისუფლებამ, ადგილობრივი მთავრობის, თავკაცების და ჯანმრთელობის სამინისტროების თხოვნით, 1941-42 წლებში, ჩაატარა ქარხნის რეკონსტრუქცია: მოამარაგა სათანადო დაზგა-დანადგარებით, საჭირო ტექნიკით და 1943 წლიდან, ომის დამთავრებამდე მომზადდა მყარი ნიადაგი

სამხედრო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის. ქარანამ ომის პერიოდში ქვეყანას ააცილა ყოველწლიურად 30 ტონა კოფეინის საზღვარგარეთიდან შემოტანა *[დუმბაძე, 2002: 89]*.

ომის წლებში, ქ. ბათუმში გაჩერდა ზოგიერთი საწარმოს მუშაობა, შეფერხდა ან საერთოდ შეწყდა ნედლეულის უქონლობის გამო. ეს მას შემდეგ, როცა მტერმა ხელთ იგდო ქვეყნის ევროპული ტერიტორიის დიდი ნაწილი, მიაღწა კავკასიას და ამიერკავკასია მოწყვიტა ქვეყნის ნედლეულის რაიონებს. საჭირო იყო ნედლეულის ადგილზე გამონახვა, სამრეწველო საწარმოთა შეუფერხებელი მუშაობის, ფრონტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს ამოცანა ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების ძალისხმევით გადაწყდა. გამოინახა ადგილობრივი სანედლეულო რესურსები და წარმოება განახლდა (ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო კოფეინის ქარხანა, სადაც ჩაის ნარჩენებისა და ტუნგოსგან ამზადებდა კოფეინს, რომელიც უებრო სამუალეა იყო ავადმყოფთა და დაჭრილ მეომართა სწრაფად მკურნალობისთვის). შედეგად, ბათუმში სამხედრო ჰოსპიტალებში, რომელთა რიცხვმა 24-ს მიაღწია, ევაკუირებული დაჭრილი და დაავადებული მეომრების მკურნალობის შემდეგ, 70 პროცენტი ფრონტს დაუბრუნდა, 20% ზურგში მშვიდობიან პირობებში შრომობდა *[დუმბაძე, 2002: 90]*.

ომის წლებში ბათუმში ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. ტყავნედლეულის ქარხანამ, სამკერვალო და ფეხსაცმელების ფაბრიკებმა, გარდაქმნეს მუშაობა სამხედრო სტილზე, ასრულებდნენ სახელმწიფო დაკვეთებს, ფრონტს ამარაგებდნენ ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სხვა ნივთებით.

ომის წლებში ბათუმის საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურმა და ადგილობრივი საწარმოები, ფრონტისთვის საჭირო იარაღ-საჭურველის, თავდაცვითი მასალებისა და სხვა საშუალებების დამზადებას შეუდგნენ. ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ამზადებდა 89 მმ-იან ნაღმტყორცნებს, ჭურვებს, მანქანათმშენებელი ქარხანა – საზენიტო ჭურვებს, ნაღმებს, ხელყუმბარებს, ნაღმტყორცნებს და სხვა საომარი დანიშნულების ნაწილებს. ხის დამამუშავებელი კომბინატი საავიაციო მრეწველობას აწვდიდა სხვადასხვა სახის ნაკეთობებს, დეტალებს.

ომის ბოლო წლებში, წარმატებით საქმიანობდნენ ბათუმის სახელმწიფო კოოპერატივების საწარმოთა კოლექტივებიც. ისინი ძირითადად დასაქმებული იყვნენ სამოქალაქო ფართო მოხმარების საგნების დამზადებით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოსახლეობის მომარაგებისთვის.

ომის წლებში ბათუმის სამრეწველო საწარმოთა წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღოდან ბათუმის ენერგეტიკოსებს. 1945 წელს, აჭარაში ფუნქციონირებდა 20 დიდი და პატარა ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის “გოელროს” გეგმით დაგეგმილი და აშენებული, აღიარებული და საქვეყნოდ ცნობილი აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური (აწჰესი), ომის დროს მათ მიერ გამოშვებული ელექტროენერგია სჭარბობდა ომამდელ დონეს. ამ ჰესს შეუსრულდა 100 წლისთავი, რაც აღინიშნა მხოლოდ გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე.

მრეწველობამ, თავიანთი პროფილის მიხედვით, პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებასთან ერთად, გააფართოვა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეოგრაფია. ბათუმის მომთუთიებელმა ქარხანამ, რომელიც ომის პირველ წელს ამზადებდა ფრონტისთვის ხელყუმბარებს, ნაღმსატყორცნებს და სხვა საბრძოლო იარაღს, ომის ბოლო წლებში უმთავრესად აწარმოებდა ფართო მოხმარების საგნებს. ანალოგიური ვითარება იყო ბათუმის ქიმიური ქარხანაში. ომის მეორე ნახევრიდან ეს საწარმო გადავიდა მომსახურების საგნების წარმოებაზე, ხის დამამუშავებელი კომბინატი ამზადებდა ქოშებს ხის მასალისაგან, თხილამურებს და ჯოხებს სამთო-სამხედრო ნაწილებისათვის *[დუმბაძე, 2005: 95]*.

ომის დროს უდიდესი როლი შეასრულა ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ. ომის დროს მათ გამართულ, ოპერატიულ მუშაობაზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო და სამხედრო დავალებების შეუფერხებლად შესრულება.

ამ მხრივ, ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძმა და რკინიგზის სადგურმა. შექმნილი იყო სპეციალური ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა წევრები მუშაობდნენ დევიზით: „ჩემი და ფრონტზე წასულის წილი“. ისინი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას, ვაგონების მოცდენის შემცირებას, მწყობრიდან გამოსული თუ დაზიანებული ვაგონების შეკეთების საქმეს. სამამულო ომის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს შავი ზღვის ფლოტის, ბათუმის ნავსადგურს. იგი აქტიურად ეხმარებოდა სევასტოპოლისა და ოდესის დამცველებს. გადაჰყავდათ ჯარის ნაწილები, ევაკურიებული მოსახლეობა და დაჭრილი მეომრები. განკურნების შემდეგ, ფრონტზე აბრუნებდა მათ, გადაჰქონდათ სამხედრო საჭურველი, ტექნიკა, სურსათი, ზურგის მშრომელთა საჩუქრები მებრძოლი მეომრებისათვის, ფრონტს ამარაგებდა საწვავით. კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში, ოდესის აქეთ შავი ზღვის ფლოტს ამარაგებდა ბათუმის ნავსადგური.

ომამდე ბათუმში არსებული ერთი აეროპორტი ბათუმს საჰაერო გზით აკავშირებდა ქვეყნის ცენტრებთან, თუ სხვადასხვა ქალაქებთან. ომის დროს ქვეყნის სამსახური საჰაერო ჭიშკრის გაძლიერებისათვის ბათუმში აშენდა მეორე აეროპორტი.

ომის დროს, როგორც ყოველთვის შიდა მიმოსვლის საშუალება იყო საავტომობილო, სამდინარეო-საჰაერო ტრანსპორტი.

ომის დროს გაფართოვდა კავშირგაბმულობის გეოგრაფია ბათუმში. ქ. ბათუმიდან ყველა რიონულ ცენტრში, სასოფლო საბჭოში და არაერთ დიდ სასაზღვრო დასახლებაში მუშაობდა სატელეფონო კავშირი, რამაც ხელი შეუწყო და გაადვილა სახელმწიფო საზღვრის საიმედოდ დაცვა, სახელმწიფო დავალების ოპერატიული შესრულება *[დუმბაძე, 2002: 90-92]*.

საინტერესო და ბათუმის დიდმნიშვნელოვან როლზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კავკასიისათვის ბრძოლების დროს, საქართველო, მათ შორის, მისი დასავლეთი ნაწილი, დაიყო თავდაცვის ბრიგადებად. ერთ-ერთი ასეთი იყო ბათუმის თავდაცვის ბრიგადა, რომლის დაქვემდებარებაში შევიდა ბათუმი, ფოთი, ახალციხე, ქუთაისი, ქობულეთი, მახარაძე (ოზურგეთი), ახალქალაქი, სამტრედია, ცხაკაია (სენაკი), აჭარისწყლის ხეობა. დაწესდა შუქნიშნებისთვის №1 და №2 რეჟიმი, ბრიგადა იმართებოდა ქ. ბათუმიდან.

ომის წლებში ბათუმმა მიიღო და დააბინავა ევაკუირებული მოსახლეობა, სასწავლებლები, კულტურის დაწესებულებები; მატერიალური დახმარება გაუწია მტრის ოკუპაციისგან განთავისუფლებულ რაიონებს დანგრეული საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამრეწველო საწარმოების აღდგენასა და ტექნიკური აღჭურვისათვის, ეხმარებოდა ფრონტელთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ომის დროს ბათუმის მოსახლეობამ საკუთარ ოჯახებში მიიღო ევაკუირებული შვილები, ყურადღებით ეკიდებოდნენ მათ *[დუმბაძე, 2005: 105-112]*.

ამასთან, მოსახლეობას თავდაცვის ფონდში შეჰქონდა დანაზოგი თანხები, ამ თანხით აშენებული ლოკომოტივი, ბათუმში სავაგონო დეპოში მემორიალად დაიდგა, წონიარისში კი, ჯელალ ბერიძის სახელზე, მისი შეტანილი თანხით აგებული ტანკი დგას და ჯელალ ბერიძეს ამ დახმარებისთვის მიღებული ჰქონდა სტალინის პირადი მადლობა.

სათქმელია ისიც, რომ სახელმწიფო გეგმების, ფრონტისა და ზურგის ამოცანების, სახელმწიფო დავალებების, თავდაცვის ღონისძიებების, საზღვრების გამაგრება-დაცვის შესრულება უფრო ოპერატიული გახდა, 1942 წელს ბათუმის თავდაცვის კომიტეტის შექმნის შემდეგ.

თავდაცვის ფონდში აჭარის მშრომელთა მიერ სხვადასხვა ფორმით შეტანილი დანაზოგის თანხა 200 000 000 მანეთის 45% ქ. ბათუმის საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა შეიტანეს *[დუმბაძე, 2005: 135-144]*.

ამგვარად, ქალაქმა ბათუმმა, ქვეყნის სხვა ქალაქებთან ერთად, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მასზე ძლევამოსილი გამარჯვების საქმეში.

დიდების ისტორიის ფურცლები ადამიანთა მეხსიერებამ შემოინახა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გმირული ისტორიის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში არსებული ობელისკებისა და მემორიალების სურათები შეტანილია ნაშრომში *[დუმბაძე, 2005: 254, 257- 261]*.

ასეთი იყო საქართველოს სახელმწიფო კარიბჭის, ქალაქ ბათუმის ადგილი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში. რა დასანანია, ბათუმს, აჭარას, მთელ საქართველოს აღარ აქვს ესოდენ დიდი საუნჯე, მრავალდარგოვანი მრეწველობა და მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ართმელაძე, 1972: – ართმელაძე რ., სამშობლოს სახელოვანი შვილები, ბათუმი, 1972 (რუსულ ენაზე).

დუმბაძე, 2002: – დუმბაძე ს., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში (40-50-იანი წლები), სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2002.

დუმბაძე, 2005: – დუმბაძე ს., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ), ბათუმი, 2005.

სინ, 1980: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VIII, თბილისი, 1980.

Цомае, 1995: – Цомае К., Герои Великой Отечественной войны из Аджарии, Батуми, 1995.

Sergo Dumbadze (Batumi, Georgia)

**Batumi in the Second World War Period
(1939-1945 years)**

Summary

In the work, on the basis of archive documents, specialists and press materials, it's been analyzed the role of city Batumi against fascism during the period of the Second World War (1939-1945 y.y.).

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი დაცული რუსუდან დედოფლის მონეტები

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმი მეტად მდიდარ ნუმიზმატიკურ კოლექციას ინახავს, რომელიც 100 წლის განმავლობაში გროვდებოდა. ამჟერად ჩვენი განხილვის საგანია რუსუდან დედოფლის სახელით მოჭრილი მონეტები, რომელთა შესწავლა და კლასიფიკაცია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ჩარჩოებში მიმდინარეობს. მუზეუმში ამ ტიპის მონეტის 5 ერთეულია დაცული.

1. რუსუდანის (1222-1234) მონეტა (ტაბ.I,1), სპილენძი, კოლექციის ნომერი – აჭმ. №23352, შეძენილია 2005 წელს მოქალაქე ვიაჩესლავ ბარანიკოვისაგან (ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №11, ბ. 29).

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი ოსმ (რსნ). მის ზემოთ ამოკვეთილია მცირე ზომის ხვეული, დედოფლის „ხელრთვა“ (ფაქსიმილე). რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვამღევს შემდეგ ასოებს: ოსმ ე.ი. რუსუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: ჟღჟღჟჟჟ ქორნიკონსა 447 (1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملك والملكة
والدين الدنجل
الملك يظهر تمار ب ن نرو سدا
ان صاره الله اعز

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და არწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი [ტიპი, იხ. *დუნდუა, 2006: 223/4*].

2. რუსუდანის მონეტა (ტაბ.I,2), სპილენძი, კოლექციის ნომერი – აჭმ. №17557, ნაპოვნია ციხისძირში, მუზეუმს საჩუქრად გადასცა მოქალაქე ტ.მ. ნაკაშიძემ (1958 წ, აქტი №133).

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი ოსმ (რსნ). მის ზემოთ ამოკ-

ვეთილია მცირე ზომის ხვეული, დედოფლის „ხელრთვა“ (ფაქსიმილე). რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვაძლევს შემდეგ ასოებს: **ⴓⴒⴓⴥ** ე.ი. რუსუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: **ⴓⴒⴓⴥⴓ** ქორონიკონსა 447 (1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملكات و الملوك المملكة
والدين الدين يا جلال
الاسديح ظهر ت امار ب نت رو سدان
ان صاره الله اعز

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და არწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.

3. რუსუდანის მონეტა (ტაბ.I,3), სპილენძი, კოლექციის ნომერი – აჭმ №17473/19, მუზეუმს გადმოსცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტმა (1958 წ. აქტი №108).

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი **ⴓⴓⴥ** (რსნ). მის ზემოთ ამოკვეთილია მცირე ზომის ხვეული, დედოფლის „ხელრთვა“ (ფაქსიმილე). რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვაძლევს შემდეგ ასოებს: **ⴓⴒⴓⴥ** ე. ი. რუსუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: **ⴓⴒⴓⴥⴓ** ქორონიკონსა 447 (1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملكات و الملوك المملكة
والدين الدين يا جلال
الاسديح ظهر ت امار ب نت رو سدان
ان صاره الله اعز

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და არწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.

4. რუსუდანის მონეტა (ტაბ.II,1), სპილენძი, კოლექციის ნომერი – აჭმ №17473/15, მუზეუმს გადმოსცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტმა (1958 წ. აქტი №108).

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი **ⴓⴓⴥ** (რსნ). მის ზემოთ ამოკ-

ვეთილია მცირე ზომის ხვეული, დედოფლის „ხელრთვა“ (ფაქსიმილე). რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვამღევს შემდეგ ასოებს: **JOHN** ე.ი. რუსუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: **٤٤٧** (1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملكات و ملوك المملكة
والدين الدن يا جلال
الاسديح ظهر ت امار ب نت رو سدان
ان صاره الله اعز

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და არწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.

5. რუსუდანის მონეტა (ტაბ.II,2), სპილენძი, კოლექციის ნომერი – აჰმ №1542, შეძენილია ოლგა მიმინოშვილისაგან 1914 წელს.

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი **JOHN** (რსნ). მის ზემოთ ამოკვეთილია მცირე ზომის ხვეული, დედოფლის „ხელრთვა“ (ფაქსიმილე). რუსუდანის მონოგრამას წარმოადგენს მონეტაზე მოთავსებული რთული ორნამენტული ჩარჩო, რომლის გარე ხვეულების გახსნა გვამღევს შემდეგ ასოებს: **JOHN** ე.ი. რუსუდან. ორნამენტის ბუდეებში შემოკლებით თარიღია: **٤٤٧** (1227 წ.).

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملكات و ملوك المملكة
والدين الدن يا جلال
الاسديح ظهر ت امار ب نت رو سدان
ان صاره الله اعز

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსი და არწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის მიმდევარი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი.

ამრიგად, ხუთივე მონეტა ერთი ტიპისაა. ნუმიზმატიკური თვალსაზრისით მათში სიახლე არაფერია: ეს რუსუდან დედოფლის ფართოდ გავრცელებულ სამონეტო ტიპია *[დუნდუა, ჯალაღანია, 2009:135]*. ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მონეტებიდან 4 უპასპორტოა და ერთი ციხისძირშია ნაპოვნი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც აქამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართული მონეტების

აღმოჩენის შესახებ არაფერი ვიცოდით. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში კი ქართული მონეტების სოლიდური რაოდენობაა დაცული. რაც შეეხება რუსუდანის მონეტას, რომლის აღმოჩენის ადგილი ცნობილია, ციხისძირი, მეტად საიტერესო ნუმისმატიკური ძეგლია. აქ აღმოჩენილი ყველაზე ადრეული მონეტები ანტიკური ხანით თარიღდება, გვაქვს პართული, რომაული, ბიზანტიური, სასანური, სელჯუკური მონეტების განძები თუ ცალკეული ერთეულები *[იაშვილი, 1988: 72-75, ინაიშვილი, 1993: 98-114, ვარშალომიძე, 2001: 21-23, ვარშალომიძე, 2016: 66-69]*. წარმოდგენილი მონეტების ნაწილი უპასპორტოა, მაგრამ ეს ფაქტიც გარკვეული ინფორმაციის შემცველია, რადგან ცნობილია, რომ სპილენძის მონეტები აღმოჩენის ადგილიდან შორს არ მიდის და ადგილობრივ მუზეუმებში ილექება. რუსუდანის, და, საერთოდ, ამ მუზეუმში დაცული ქართული მონეტების შესწავლის შედეგად შეიძლება შეიცვალოს არ მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის სურათი, არამედ გარკვეული ცვლილებები შეიტანოს შუა საუკუნეების საქართველოს ფულადი მიმოქცევის კვლევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

დუნდუა, 2006: – დუნდუა გიორგი, ქართული ნუმისმატიკა, გამომც. არტანუჯი, თბილისი

დუნდუა, ჯალაღანია, 2009: – დუნდუა გიორგი, ჯალაღანია ირინე, ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი, გამომც. ნეკერი, თბილისი.

ვარშალომიძე 2001: – ვარშალომიძე ირინე, სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ. წ. I საუკუნიდან 1453 წლამდე, ავტორეფერატი, თბილისი.

ვარშალომიძე 2016: – ვარშალომიძე ირინე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმისმატიკური საგანძური, გამომც. კოლორი, ბათუმი.

იაშვილი 1988: – იაშვილი ირაკლი, პართული მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. – სდსპ 17, გვ. 72-75.

ინაიშვილი 1993: – ინაიშვილი ნინო, ციხისძირის ახ. წ. I-VI ს. არქეოლოგიური ძეგლები, მეცნიერება, თბილისი.

Irine Varshalomidze, Nino Dzneldze
(Batumi, Georgia)

**The Coins of Queen Rusudan Preserved in Khariton Akhvlediani
Museum of Ajara**

Summary

There are 5 coins of Queen Rusudan preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara. All of them are of one and the same type. From the numismatic point of view, there is nothing new in them. They belong to the widespread type of coins of Queen Rusudan. Four of the coins preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara are without passport and the fifth one was found in Tsikhisdziri. Tsikhisdziri is a very interesting numismatic monument. The earliest coins date back to antiquity, we also come across the Parthian, Roman, Byzanthic, Sasanian, Seljukian coin treasures or single items. Before this we knew nothing about the discovery of Georgian coins on the territory of southwestern Georgia. Khariton Akhvlediani Museum of Ajara is full of Georgian coins. In spite of four coins have no passport, it's well-known that the copper coins do not go far from the place of discovery and are preserved in local museums. Study of the coins of Rusudan and other coins preserved in this museum may result not only in change of the image of the coin circulation, but it can also make some changes in a study of the medieval Georgian monetary circulation.

ش. I



1



2



3

ՇՖ. II



1



2

ბრიტანელი ქართველოლოგი უილიამ დეივიდ ალენი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის და ბათუმის შესახებ

ინგლისელ ქართველოლოგებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს უილიამ დეივიდ ალენს (1901-1973 წწ.). მან მოღვაწეობა დაიწყო როგორც სამხედრო კორესპონდენტმა, არჩეული იყო ბრიტანეთის პარლამენტის წევრად, ხოლო კარიერა დიპლომატიურ სამსახურში დაასრულა. XX საუკუნის 30-იან წლებში ამიერკავკასიის და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესდა და ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველოლოგებთან: ოლივერ უორდროპთან და ჯონ ბედლისთან. 1930 წელს ო. უორდროპთან ერთად დაარსა საქართველოს საისტორიო საზოგადოება, რომელიც გამოსცემდა ჟურნალს „გეორგიკა“.

უ. ალენი არის შემდეგი წიგნების ავტორი: „თურქები ევროპაში, მოკლე ისტორია“ (1920), „რუსეთის სამხედრო კამპანიები, 1941-1943 წლებში“ (ნაწ. I, 1943), „რუსეთის სამხედრო კამპანიები, 1943-1945 წლებში“ (ნაწ. II, 1946, თანაავტორი პ. მურატოვი), „თურქეთის სახელმწიფოს ძალაუფლების პრობლემები XVI საუკუნეში“ (1963).

საქართველოს ისტორიის შესახებ უ. ალენს ეკუთვნის წიგნები: „ქართველი ხალხის ისტორია: დასაწყისიდან XIX საუკუნეში რუსეთის მიერ დაპყრობამდე“ (1932), „ბრძოლის ველები კავკასიაში. ომების ისტორია თურქეთ-კავკასიის საზღვარზე 1828-1921“ (თანაავტორი პ. მურატოვი, 1953) და „რუსეთის ელჩობები ქართველ მეფეთა კარზე 1589-1605 წლებში“ (ორ ტომად, 1970), XVIII საუკუნის I ნახევრის ორი ქართული რუკა, ადრეული კარტოგრაფიის მიმოხილვა, ტ. X, 1953 [*ესე, 1975: 288; www.archiveshub.jisc.ac.uk*].

ჩვენ განვიხილავთ უ. ალენის ნაშრომს: „ბრძოლის ველები კავკასიაში. ომების ისტორია თურქეთ-კავკასიის საზღვარზე 1828-1921 წლებში“, რომელიც გამოცემულია კემბრიჯში 1953 წელს. წიგნი მოიცავს 556 გვერდს, 4 განყოფილებას და 41 პარაგრაფს. 1-ლი განყოფილების სათაურია „რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა“ და მასში განხილულია კავკასიის ისტორიული გეოგრაფია, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომი, ბრიტანეთის ინტერე-

სები კავკასიაში 1830-1852 წლებში. მე-2 განყოფილებაში – „საომარ მოქმედებათა ასპარეზი კავკასიაში ყირიმის ომის დროს“ განხილულია თურქების შემოჭრა დასავლეთ საქართველოში, შამილის შეჭრა კახეთში და ყარსის აღება რუსეთის ჯარების მიერ. მე-3 განყოფილება – „1877-1878 წლების კავკასიური კამპანია“. მე-4 განყოფილების სათაურია „კავკასიური კამპანია პირველი მსოფლიო ომის დროს“. მასში განხილულია ამიერკავკასიის საზღვარი 1878-1914 წლებში და გერმანული ფაქტორი ახლო აღმოსავლეთში, თურქეთი I მსოფლიო ომის წინ, სარიყამიშის ბრძოლა და ენვერ ფაშას დამარცხება, არზრუმის აღება რუსეთის ჯარების მიერ, ბრიტანეთის და რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობა, თურქეთის მეორე არმიის შეჭრა ირანში 1916 წლის ივნის-აგვისტოში, თურქეთის შეჭრა ამიერკავკასიაში 1918 წელს. ეპილოგში ავტორი განიხილავს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის საქმიანობას და დაღესტანის აჯანყებას. ნაშრომს ახლავს 39 რუკა, ილუსტრაციები: ომერ-ფაშას ბანაკი ზუგდიდთან, ყარსის ციხე-სიმაგრე 1877 წელს, თურქეთის ფლოტის მიერ სოხუმის დაბომბვა 1877 წელს, არზრუმის ციხე-სიმაგრე 1877 წელს, ძველი ბაიაზეთი: დანგრეული ციხე-სიმაგრე ისაკ-ფაშას მეჩეთი, სარიყამიშის ფერდობები, ყარსის ციხე-სიმაგრე 1945 წელს და ტოპონიმიკის განმარტება. ნაშრომი ეყრდნობა კავკასიურ კოლექციას, რომელიც დაცულია ლონდონის ბიბლიოთეკაში და სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში. წიგნის თანავეტორია მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი პავლე მურატოვი, რომლის ამოცანასაც შეადგენდა რუსული წყაროების მოძიება-დამუშავება და შესაბამისი რუკების შეტანა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომს ეთმობა წიგნის III ნაწილი: „1877-1878 წლების კავკასიური კამპანია“ და მოიცავს VII-XV თავებს (გვ. 105-221).

აღნიშნული ომის კავკასიის ფრონტის ბათუმის მიმართულების საომარი ოპერაციები განხილულია VIII თავში: „შავი ზღვის სანაპირო. ოპერაციები ბათუმის წინააღმდეგ და თურქების შეჭრა აფხაზეთში“, XI თავში: „ბათუმის დაცვა და აფხაზეთში შეჭრა. მეორე პერიოდი, ივნისი-აგვისტო 1877“ და XV თავში: „ყარსის იერიში. საომარი ოპერაციები ჭოროხის ხეობაში 1877 ნოემბერი-1878 წლის იანვარი“. აღნიშნული თავები ეყრდნობა შემდეგ ლიტერატურას: სამნერი, ჰამფრი, რუსეთი და ბალკანეთი, 1870-1880, ოქსფორდი, 1937; უ. ნ. მედლიკოტი, ბერლინის კონგრესი და მის შემდეგ შექმნილი ვითარება, ლონდონი, 1938 (განხილულია ბათუმის და რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის საკითხი); ფ. ვ. გრინი, რუსეთის არმიის საბრძოლო მოქმედებები თურქეთში, ლონდონი, 1880; ა. ლ. გიზეტი, კავკასიური ჯარების ქრონიკები, ტფ. 1896; გ. მ.

ქუკოვი, 1877-1878 წლების ომი, ტ. 3; 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, კავკასია-მცირე აზიის ფრონტის აღწერის მასალები, ტ. 1, გამოცემული გენერალური შტაბის სამხედრო კომისიის მიერ, სპბ, 1904; ბ. კოლიუბაკინი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი კავკასიაში და მცირე აზიაში, გამოცემული გენერალური შტაბის აკადემიის მიერ, სპბ, 1906; ბ. კოლიუბაკინი, ქობულეთის რაზმის ოფიცრის მოგონებები, სამხედრო კრებული, 1881; ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათუმი, 1906-მასში მნიშვნელოვანია დერჟავინის, ჯანუაშვილის, სტეფანოვის და გენ. პოტტოს სტატიები.

ბათუმის პორტი და ციხესიმაგრე მდებარეობს ბუნებრივად გამაგრებულ ადგილზე. გარშემორტყმულია რა აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ციცაბო, ტყით დაფარული აჭარის მთებით, ბათუმი მისადგომია მხოლოდ ჩრდილოეთიდან შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლით, რომელიც 15 მილზე მეტია სიგანეში, დასერილია მრავალრიცხოვანი მდინარეებით და ნაკადულებით. 1877 წელს ბათუმამდე მიღწევის ბუნებრივ სირთულეებს კიდევ უფრო ართულებდა მოსაზღვრე მთების მოსახლეობის მეომრული ხასიათი. აჭარლები გურულების და მეგრელების მსგავსად საუბრობენ ქართულ დიალექტზე. მათ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღეს ისლამი და ბოსნიელების და ბალკანეთის მუსულმანი მოსახლეობის მსგავსად, რჩებიან სულთნის ფანატიკურად ერთგული (ამ შემთხვევაში ავტორი ცდება, რადგან აჭარის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ისლამიზაცია იწყება XVI საუკუნიდან, გ.ვ., ს.კ.). პასკევიჩის კამპანიის დროს (იგულისხმება 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი, გ.ვ., ს.კ.) აჭარლებმა ჩამოაყალიბეს მნიშვნელოვანი არარეგულარული რაზმები, რომლებიც თურქების მთავარი დასაყრდენი იყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე და ახალციხისათვის ბრძოლების დროს. საკვირველია, რომ რუსეთის გენერალური შტაბი, რომელიც ძალიან გადაჭარბებით აფასებდა დაღესტნის მუსლიმანი ხალხების საშიშროებას, ანგარიშში არ იღებდა აჭარლების ფაქტორს. ომის დაწყების წინ დ. ყაზბეგმა და დ. ბაქრაძემ დეტალურად შეისწავლეს გურია და აჭარა, მაგრამ შესაძლებელია მათი ცნობები სათანადოდ არ შეისწავლა კავკასიის რუსული არმიის გენერალურმა შტაბმა. რუსეთის არმიის დაზვერვის ოფიცრებს ჰქონდათ გარკვეული მცდელობა მოლაპარაკებოდნენ ქობულეთელ უზუცესებს, თუმცა უშედეგოდ. აპრილში 2 ათას ქობულეთელს და 1000 აჭარელს, რომელთაც დაურიგეს უახლესი მარტინი-პიებოდის შაშხანები, თურქების გარნიზონს შეუერთდნენ ბათუმში. ამ შესამჩნევი გაძლიერების შემდეგ, ჰუსეინ ფაშას შეეძლო 6 ბატალიონით დაეცვა ბათუმი. ომის პირველ კვირაში 6 ათასი ლაზი

მოხალისე შეუერთდა მათ და ამით ჯარის რაოდენობამ 12 ათასს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის გარნიზონის $\frac{3}{4}$ არ იყო რეგულარული ჯარი, მოხალისეები შესანიშნავი სწავებრები იყვნენ და ასევე მათ ტაქტიკას ხელს უწყობდა ბათუმის ირგვლივ ტერიტორიის სპეციფიკურობა.

რუსების იერიში ბათუმზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ვიწრო ფრონტის გასწვრივ ზღვას და ჭახათას მთის მასივს შორის. რუსული ჯარის შეტევის მიმართულებით, მარცხენა მხარეს იყო მიუდგომელი მთის მასივი, ხოლო მარჯვნივ, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, რუსებს ცეცხლი გაუხსნა თურქულმა სამხედრო გემებმა. ჩახათას მთიდან (1000 მ.) სათავეს იღებს მდინარეები: ჩოლოქი, ოჩხამური და აჭყვა, რომლებიც ხშირი წვიმების შედეგად ძალევა დიდდება. მათი ვიწრო, ღრმა ხეობები დაფარულია ხშირი სუბტროპიკული მცენარეებით და ლიანებით, რაც წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას შემტევი ჯარისთვის. მდინარეებს შორის მაღლობები შეიძლება ადვილად იქნას გამოყენებული თავდაცვითი პოზიციებისათვის. მუხა-ესტატეს პოზიცია აჭყვას და ოჩხამურს შორის გამაგრებული იყო თურქების მიერ წინა ომის დროსაც. მდინარე აჭყვას სამხრეთით, ხუცუბანის მაღლობები კიდევ უფრო ძლიერი თავდაცვითი პოზიციაა. ხუცუბანის სამხრეთით ღრმა ხევში მიედინება მდინარე კინტრიში, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება პერანგას მთის ქვიანი ფერდობები. სამების მთის ფერდობები კინტრიშის და მის შენაკად კინკიშას შორის ქმნიან ბუნებრივ თავდაცვით ტერასებს.

პერანგას მეორე განშტოება – კვირიკეს სიმაღლეები ქმნიან ქვიან ტერასას და მდინარე დეხვას სამხრეთ-დასავლეთით მესამე ტერასა ჩადის ზღვის სანაპირომდე. ამ ადგილზე იდგა ძველი სასაზღვრო ციხესიმაგრე ციხისძირი ან ბათუმის ციხე. კინტრიშის სამხრეთით მდებარე ყველა ეს სიმაღლეები და განსაკუთრებით დევას ზევით არსებული კლდოვანი ტერასა თურქების მიერ უნგრელი წარმოშობის ფეიზი ფაშას მეთაურობით, გადაქცეული იყო თავდაცვით ხაზებად, ხოლო ციხისძირის სიმაღლეებს იცავდა თანამედროვე კრუპის ფირმის მძიმე ქვემეხები.

ბათუმის შემოგარენი წარმოადგენდა ძალიან რთულად გადასალახ თავდაცვით კომპლექსს და შეუდარებლად უფრო მტკიცე იყო, ვიდრე პლევნას თავდაცვითი ზღუდეები, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ ოსმან ფაშას მეთაურობით შეიქმნა. თავდაცვის სისუსტეს წარმოადგენდა გარნიზონის სიმცირე, მაგრამ ჰუსეინ ფაშა ელოდებოდა 24 ბატალიონამდე დახმარების მიღებას, რომლის მობილიზება ხდებოდა შავი ზღვის სანაპირო ოლქებში, ასევე მას დაეხმარებოდნენ ახალი თურქული ჯავშნოსნები. უ. ალენი დეტალურად

გადმოგვცემს საომარ ოპერაციებს, რომლის მიზანი იყო მუხაესტატეს და ხუცუბანის დაკავება. რუსულ ჯარს მეთაურობდნენ გენერლები: ოკლობჟიო, დანიბეკოვი და შერემეტევი. აღნიშნულ ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმერეთის და გურიის მილიცია. ნაჩვენებია, რომ აჭარლების არარეგულარული ჯარის ნაწილები საკმაოდ წარმატებით ებრძოდნენ რუსებს.

ქართველი და სომეხი მოხალისეების როლზე და რუსეთის ჯარების გამარჯვებაში მათ დიდ დამსახურებაზე მითითებს ასევე ცნობილი ბრიტანელი ქართველოლოგი დეივიდ მარშალ ლანგი *[Lang, 1962: 104]*.

უ. ალენი გადმოგვცემს თურქების შეჭრას აფხაზეთში, სადაც მათ დახმარებას უწევდნენ ჩერქეზები მუსა კუნდუკოვის მეთაურობით და მუსლიმანი მუჰაჯირი აფხაზები. ისინი შეიკრიბნენ ტრაპიზონში და შეუერთდნენ თურქების რეგულარულ ჯარებს. გემებზე დატვირთული იყო 30 ათასი შნაიდერის ფირმის შაშხანა, რომელიც განკუთვნილი იყო აფხაზეთის მოსახლეობის შეიარაღებისათვის. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოხუმი სუსტად იყო დაცული რუსეთის ჯარების მიერ. ასევე არ იყო გამაგრებული სანაპირო ხაზი ნოვოროსიისკსა და ფოთს შორის. მხოლოდ 4 ათასი ჯარისკაცი, მათ შორის 500 აფხაზი მოხალისე, რომლებიც სანდო არ იყვნენ, დაქსაქსული იყვნენ ბიჭვინთას, სოხუმს, ოჩამჩირეს და წებელდას მთას შორის. თურქების შეჭრამ აფხაზეთში რუსულ ჯარში პანიკა გამოიწვია.

უ. ალენი დაწვრილებით გადმოგვცემს 1877 წლის ივნისში გენ. ოკლობჟიოს მცდელობას დაეკავებინა სამების, ხუცუბანის, დეხვას და კვირიკეს სიმაღლეები და მიახლოებოდა ბათუმს. აღნიშნული თავდაცვითი ხაზი ეფექტურად ჰქონდა გამაგრებული თურქებს დერვიშ-ფაშას მეთაურობით. იმ დროს, როდესაც გენ. ოკლობჟიო ბათუმს ემუქრებოდა ზღვის სანაპიროდან, პოლკ. კომაროვის მეთაურობით არდაგანიდან დაიძრა რუსეთის ჯარი ბათუმის მიმართულებით. რუსეთის მთავრობა თავისი გენერლებისგან დაჟინებით ითხოვდა, რომ ბათუმი დაეკავებინათ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებამდე. 1878 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით ბათუმზე შეტევას რუსეთის ჯარში საგრძნობი მსხვერპლი მოყვა. დერვიშ-ფაშა ბათუმის ხანგრძლივი წარმატებული დაცვისთვის თურქეთის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო მოღვაწე. ავტორის აზრით, ბათუმის წარმატებულმა დაცვამ გაამყარა თურქების პოზიციები ბერლინის კონგრესზე და ერთ-ერთი მთავარი პრინციპული საკითხი ბრიტანეთის და რუსეთის დელეგაციებს შორის იყო დისკუსიები ბათუმის შესახებ.

უ. ალენი იზიარებს აზრს, რომ ოსმალეთის არმია, მიუხედავად ყირიმის ომის შემდეგ მოდერნიზაციისა, მაინც ხარისხობრივად ჩამოუვარდებოდა რუსეთის კავკასიურ არმიას და საბოლოო ჯამში, თურქების სტრატეგია ამ ომში უფრო თავდაცვითი იყო. რუსეთის არმიის წარუმატებლობების მთავარ მიზეზად ავტორი ასახელებს მთავარსარდლობის და ზოგიერთი გენერლის სტრატეგიულ შეცდომებს: დიდი მთავარი (საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილზე, გ.ვ., ს.კ.) თავისი უპასუხისმგებლო მრჩეველებით, სვიატოპოლკ-მირსკი და შემდეგ ოზრუჩევი, მთავარსარდალი ლორის-მელიქოვი მთლიანად დამოკიდებული იყო დიდ მთავარზე, სამხედრო შტაბი მუშაობდა ცუდად ყველგან და ყოველთვის. უ. ალენი წარმოგვიდგენს 1877-1878 წლების ომის რუსეთის და ოსმალეთის არმიის სამხედრო მეთაურების ჩამონათვალს და მათ დახასიათებას: არაერთხელ გამომჟღავნდა ლორის-მელიქოვის ნაკლოვანებები და იგი ბევრჯერ გახდა კრიტიკის ობიექტი იმდროინდელ რუსულ სამხედრო ლიტერატურაში. მაგრამ იგი არასოდეს წირავდა მსხვერპლად ჯარისკაცებს თავისი სახელისათვის. ამ საკითხში მისგან მკვეთად განსხვავდებოდა გეიმანი. ებრაული წარმოშობის გენერალი სწრაფად დაწინაურდა რუსულ არმიაში, რასაც ხელი შეუწყო მისმა პიროვნულმა გამბედაობამ და მტკიცე ხასიათმა. ავტორი დადებითად ახასიათებს ასევე სომეხ გენერლებს: ტერგუკასოვს, ლაზარევს და შელკოვნიკოვს. უ. ალენი გამოყოფს პოლკოვნიკებს: ფადეევს, ამირეჯიბს და წიტოვიჩს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს აღნიშნულ ომში.

წინა სამხედრო კამპანიებთან შედარებით, თურქებს ჰყავდათ ბევრი ოფიცერი, რომლებიც უახლოვდებოდნენ ევროპულ სტანდარტებს. აჰმეტ მუხტარი იყო ერთ-ერთი პირველი ინსტრუქტორი სტამბულში ახლადდაარსებულ სამხედრო სასწავლებელში. აღნიშნულ ომში იგი სარდლობდა ანატოლიის კორპუსს. ჰუსეინ ფაშა – სამხედრო ინჟინრების მეთაური ყარსში, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ვულვიჩის სამხედრო სკოლა. ასევე ბევრ საზღვაო ფლოტის ოფიცერს განათლება ჰქონდა მიღებული ბრიტანეთში. ავტორი გამოყოფს ევროპული წარმოშობის ოფიცრებს: უნგრელი ფეიზი ფაშა და გერმანელი მეჰმეთ ფაშა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ასევე დიდი როლი შეასრულეს დერვიშ ფაშამ, ჰასან ფაშამ და ჰუსეინ ჰამი ფაშამ [Allen, Muratoff, 1953: 105-221].

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ქსე, 1975: – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბილისი.

Allen, Muratoff, 1953: – Caucasian Battlefields. A History Of The Wars On The Turco-Caucasian Border, 1821-1921, by W.E.D. Allen and the late P. Muratoff, Cambridge, At the University Press, 1953.

Lang, 1962: – David Marshal Lang, A Modern History of Georgia, London.

www.archiveshub.jisc.ac.uk

Goderdzi Vatchridze, Sulkhan Kuprashvili

(Kutaisi, Georgia)

**British Kartvelologist William Edvard David Allen
about Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi**

Summary

William Edvard David Allen was a British kartvelologist, Foreign Service Officer, politician. Best known as a historian of the South Caucasus, notably Georgia. In 1930, with Oliver Wardrop, he founded the Georgian Historical Society. This Society published its own journal, „Georgica“.

W. Allen books: „A History of the Georgian People from the Beginning Down to the Russian Conquest in the Nineteenth Century“ (1932), „Caucasian Battlefields: A History of the Wars on the Turco-Caucasian Border 1828-1921“ (1953), „Russian Embassies to the Georgian Kings: 1589-1605“ are about Georgian history and „Two Georgian maps of the first half of the eighteenth century“ – A Review of Early Cartography, vol. X (1953).

W. Allen reviewed Russian-Ottoman war of 1877-1878 in „Caucasian Battlefields: A History of the Wars on the Turco-Caucasian Border 1828-1921“. In the chapters VIII and XI W. Allen discussed the war operations toward batumi: „The Black Sea coast. Operation against Batumi and Turkish diversion in Abkhazia“ and „The defence and diversion in Abkhazia. Second phase, June-August 1877“.

რუსი მწერლები და მოღვაწეები ბათუმში

ჩვენი მკვლევრები ბათუმის გამოჩენილი სტუმრების შესახებ XX საუკუნის შუახანებიდან ფართოდ დაინტერესდნენ. მას შემდეგ, რაც რუსეთ-თურქეთის 1977-1878 წლების ომის შედეგად აჭარა დედاسამშობლოს დაუბრუნდა, ხოლო საქართველო რუსეთის შემადგენლობაში იყო, ცარიტული იდეოლოგია ფრთებს შლიდა ჩვენში. მიუხედავად ამისა, რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები – მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები გარკვეულ ყურადღებას ავლენდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. მეფის რუსეთი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებს კავკასიაში ასახლებდა. დიდი რუსი კრიტიკოსი და განმანათლებელი ბესარიონ ბელინსკი წერდა, კავკასია გახდა რუსი პოეტების შთაგონების აკვანიო. რა თქმა უნდა, როცა კავკასიას ახსენებენ, პირველ რიგში საქართველო მოიაზრება. სწორედ რომ ჩვენმა სამშობლომ შთააგონა პუშკინსა და ლერმონტოვს ბევრი პოეტური შედევრი. ცხადია, რომ ჩვენს მშობლიურ ბათუმსაც ხვდა გამოჩენილი ადამიანების მასპინძლობის პატივი. მართალია, პუშკინსა და ლერმონტოვს ბათუმი თვალთაყ არ უნახავთ, სამაგიეროდ, ჩვენი „თეთრი ქალაქის“ სტუმრები იყვნენ სერგეი ესენინი, მაქსიმ გორკი, ანტონ ჩეხოვი, მიხეილ ბულგაკოვი, დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი, პოეტი ოსიპ მანდელშტამი. ბათუმს დიდი ამაგი დასდო ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრია კრასნოვმა. დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის განაშენიანებასა და დაგეგმარებაში დმიტრი სვიშჩევსკის.

ჩემი ნაშრომის მიზანია არსებულ წყაროებზე დაყრდნობით წარმოვადგინო ბათუმში მათი სტუმრობისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები.

დავიწყებ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებლის ანდრია კრასნოვის აჭარაში მოღვაწეობით. იგი იყო გამოჩენილი მეცნიერი, ფიტოგეოგრაფი, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მიწათმოწყობის დეპარტამენტის მთავარი კონსულტანტი. „მისი თაოსნობით, ჩაქვის საუფლისწულო მამულიდან რამდენიმე დესეტინა მიწა გადაიცვალა ვიატკის სახაზინო მიწაზე და ჩაქვის შესაბამისი ფართი გადაეცა ხაზინას, სადაც „კრასნოვის თავგანწირული შრომით დაარსდა ბოტანიკური ბაღი“ [ქსე, 1983: 17]. 1912 წელს კრასნოვმა

ბოტანიკური ბაღის დაარსების ნებართვა და დაფინანსება მიიღო *[ზოიძე, 2017: 4]*.

კრასნოვი ბათუმში ჩამოვიდა 1911 წელს და მოკლე დროში შეძლო ბაღის დაარსება, რაც რუსეთის იმპერიაში მისმა მაღალმა მეცნიერულმა ავტორიტეტმა განაპირობა *[თურმანიძე, 2017: 150]*.

სამწუხაროა, რომ ბოლო დროს, როცა მოდამია ანტირუსული პროპაგანდა, დაიწყო კრასნოვის წინააღმდეგ ტალახის სროლა, სურთ ჩამოართვან ბზბის დამაარსებლის ტიტული და ხელოვნურად მიაკუთვნონ იასონ გორდეზიანს. მე მას პირადად ვიცნობდი. იგი დიდ პატივს მიაგებდა რუს მეცნიერს, როგორც ჩვენი მხარის მოამაგეს. ბზბ ოფიციალურად დაარსდა 1912 წლის 3 ნოემბერს. ამ დროს გორდეზიანი საქართველოში არ იყო. 1913 წელს მოიწვია კრასნოვმა მეზალე-დეკორატორად. საქართველოში რომც ყოფილიყო, ბაღს ვერ დააარსებდა, რადგან მას ამისი არავითარი რესურსი არ გააჩნდა, არც ავტორიტეტული და არც ფინანსური. გორდეზიანი არ იყო მეცნიერი და არავითარი სამეცნიერო ნაშრომი არ დარჩენია. იგი იყო პრაქტიკოსი მეზალე და ძალიან კარგი კაცი. ბაღის დამაარსებლის თემაზე პოლემიკაც კი გაიმართა ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. ოპონენტებმა, ანუ გორდეზიანის მომხრეებმა ვერავითარი წყარო ვერ წარმოადგინეს, რადგან იგი არ არსებობს ბუნებაში და ჩემი ლანძღვით შემოიფარგლნენ.

ბაღის გახსნიდან 2 წლის შემდეგ, 1914 წელს კრასნოვი გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მის მიერ დაარსებულ ბაღში დაკრძალეს. 1962 წელს კრასნოვის შვილიშვილმა, მსახიობმა ტატიანა ვერტინსკაიამ დიდ მეცნიერს საფლავზე ძეგლი დაუდგა.

შემდეგი რუსი მოღვაწე, რომელსაც დიდი დამსახურება აქვს ბათუმის წინაშე, იყო დმიტრი სვიშჩევსკი. იგი დაიბადა 1876 წელს, კიევის გუბერნიაში, 1902 წელს დაამთავრა პეტერგზურგის სამხედრო აკადემია და სამუშაოდ ბათუმში გამოიგზავნა.

დმიტრი სვიშჩევსკიმ დიდი ამაგი დასდო ბათუმის განაშენიანებას. მისი დაგეგმარებული ცენტრალური ქუჩების უმეტესობა ზღვის სანაპიროდან იწყება ან მთავრდება. „1908 წელს მან შეადგინა ნავსადგურის გაფართოების ესკიზური პროექტი. დაწერა შესანიშნავი ნაშრომი „ზღვის ნაპირის ნგრევა ბათუმის სანაპიროსთან“ *[კომახიძე, 1998: 139]*. 1927 წელს შეუდგენია ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმა. იგი მოიწონეს და 1956 წლამდე ბათუმი ამ გეგმის მიხედვით ვითარდებოდა. მას ეკუთვნის ბათუმის არაერთი შენობის პროექტი, ბათუმ-ყარსის რკინიგზის პროექტი და სხვა.

მადლიერების ნიშნად ბათუმში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი მიეკუთვნა.

როცა ბათუმის ქუჩებზე ვლაპარაკობ, თვალშისაცემია რუსი მწერლების სახელობის ქუჩების სიმრავლე. მათ შორისაა ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, სერგეი ესენინის, ვლადიმირ მაიაკოვსკის, ნიკოლოზ გოგოლის, ანტონ ჩეხოვის, მაქსიმ გორკის, ალექსანდრე ოსტროვსკის, ალექსანდრე გრიბოედოვის და სხვათა ქუჩები. ჩვენი აზრით, იმ მწერლების ქუჩები უნდა იყოს ბათუმში, რომლებსაც რაიმე შეხება ჰქონიათ მასთან: მაგალითად, გრიბოედოვის ქუჩა ბათუმში არ უნდა იყოს. სამწუხაროდ, დიდი მწერლის მაქსიმ გორკის ქუჩას სახელი გადაარქვეს და ერას ქუჩა უწოდეს. ბათუმში გვაქვს მაიაკოვსკის ქუჩა, ხოლო ქუთაისში მაიაკოვსკის ქუჩის სახელი შეცვალეს და ნიუ პორტი უწოდეს. თუ სადმე უნდა იყოს იგი, უნდა იყოს ქუთაისში. ჩამოთვლილი რუსი მწერლებიდან არცერთი არ არის რუსთაველის ხელა, მაგრამ მისი სახელობის ქუჩა მხოლოდ მოსკოვშია და რუსეთის სხვა ქალაქებში ვერ შეხვდებით. ამიტომაც ვამბობ, რომ პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გრიბოედოვის ქუჩები ბათუმში არ უნდა იყოს და პირიქით – უნდა იყოს ჩეხოვის, გორკის, ესენინის ქუჩები.

წყაროების მიხედვით, ანტონ ჩეხოვი რამდენჯერმე ყოფილა ბათუმში. ჩეხოვისა და სხვა რუსი მწერლების საქართველოში ყოფნის შესახებ გამოკვლევები აქვთ გამოქვეყნებული ვ. შადურს, გ. ბებუთოვს, გ. ტალიაშვილს, რ. სურმანიძეს, ი. ბეჟირიშვილს, გ. პირადოვს, ნ. ქაჯაიას, ტ. ტაბიძეს, მ. მიქაძეს, ი. ადეიშვილს, თ. კომახიძეს, ა. ნიკოლეიშვილს.

პირველად როდის ჩამოვიდა ჩეხოვი ბათუმში?

მკვლევარი რამაზ სურმანიძე წერს, რომ იალტიდან მომავალმა მწერალმა გზად ახალი ათონი, ფოთი და ბათუმი მოინახულა.

ჩეხოვი თავის მეგობარს ა. ლეიკენცს წერს: „გზა ბათუმიდან თბილისამდე ცნობილი სურამის უღელტეხილით, მეტად ორიგინალური და პოეტურია. ალტაცებაში მოდიხარ, როცა ხედავ მთებს, ხელოვნურ მღვიმე-გამოქვაბულებს, მდინარეებს, კლდეებს, ჩანჩქერებს“.

ახლანდელი რუსთაველის ქუჩის №17 სახლში, რომელშიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეპატრონე ჰყავდა, ახლა კი საბავშვო ბაღია განთავსებული, ცხოვრობდა ალექსანდრე შიშკოვი მეუღლე ნატალიასა და ორ ცოლისდასთან – კლავდიასა და სოფიასთან ერთად. ამ სახლს 1972 წელს რ. სურმანიძის მეცადინეობით გაუკეთდა მემორიალური დაფა. წყაროების მიხედვით, ჩეხოვი ბათუმში პირველად 1882 წელს ჩამოსულა და ცხოვრობდა მწვანე კონცხზე, ბარათოვის აგარაკზე, ხოლო მეორე (1888) და მესამე (1900) ჩამოსვ-

ლის დროს ჩერდებოდა, როგორც უკვე გითხარით, ა. შიშკოვის ბინაში. სწორედ აქ უნდა იყოს დაწერილი მისი პიესა „სამი და“, რომლის პროტოტიპები შიშკოვის მეუღლე ნატალია და მისი დები (მაშას, ირინას და ოლგას პროტოტიპები) კლავდია და სოფია არიან. „მწვანე კონცხიც“, რომელსაც მცირე რომანს უწოდებს ავტორი, ბათუმში დაიწერა და აქაური ცხოვრების სურათები და პერსონაჟებია წარმოსახული. ბათუმის შესახებ ლაპარაკია ასევე 1911 წელს დაწერილ მოთხრობაში „დუელი“.

ჩეხოვის მეუღლის ოლგა კნიპერის ცნობით, რომელსაც იმოწმებს მკვლევარი რ.სურმანიძე, 1900 წელს გორკი ჩეხოვთან, ვ. სენცოვთან და იალტელ ექიმ ა. ალექსინთან ერთად ჩამოსულა. გორკიც და ჩეხოვიც, როგორც უკვე ითქვა, ცხოვრობდნენ ახლანდელი რუსთაველის ქუჩის №17 სახლში. გორკის ბათუმში ყოფნის შესახებ წყაროები ძალიან მწირია. შემორჩენილია მხოლოდ მისი ბათუმში ყოფნის ამსახველი ფოტოები. ისინი მოიძია და გამოაქვეყნა რ. სურმანიძემ. სამწუხაროდ, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, მისი სახელობის ქუჩას სახელი გადაარქვეს და ერთხანს ერას ქუჩა ეწოდა. ამავე ქუჩაზე არსებული გორკის ბიუსტიც მოხსნეს, რომელიც 60-იანი წლების ბოლოს გაიხსნა. ჩემთვის ახლაც გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ბათუმში გრიბოედოვის ქუჩა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბათუმთან და რატომ არ უნდა იყოს გორკის სახელობის ქუჩა, რომელიც რამდენიმე თავით, როგორც მწერალი, მაღლა დგას გრიბოედოვთან შედარებით. მისი „ქალიშვილი და სიკვდილი“ და „არტამონოვების საქმე“ პოეზიისა და პროზის უმაღლესი საფეხურია. ეს რომანი მხატვრული ოსტატობით არ ჩამოუვარდება ტოლსტოისა და დოსტოევსკის პროზაულ ნიმუშებს.

დიდი რუსი მწერალი მიხეილ ბულგაკოვი არაერთხელ იყო ბათუმში, მაგრამ რამდენჯერ, ზუსტად არავინ იცის. ბოლოს იგი აქ ჩამოვიდა 1921 წლის მაისის ბოლოდან, დაახლოებით 15 სექტემბრამდე. ჩამოსვლის მიზანი იყო ბათუმის ისტორიული ადგილების მონახულება, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ბათუმზე პიესის შექმნა. წყაროების მიხედვით, მწვანე კონცხზე, ბარათოვის შემდგომ დალფონსის აგარაკზე ცხოვრობდა. საინტერესოა ისიც, რომ მისი გამოუქვეყნებელი პიესის „ადამის და ევას“ ახალდაქორწინებული პერსონაჟები გადაწყვეტენ თავლობის თვე მწვანე კონცხზე გაატარონ. მწერალი ბათუმში ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთი გადმოცემით, იგი ბათუმის ბაზარში „კერასინკებს“ ჰყიდდა, რათა მოსკოვში დასაბრუნებელი თანხა შეეგროვებინა. ისიც ცნობილია, რომ სწორედ ბათუმის ბაზარში შეხვდა და გაეცნო თავისი ბრწყინვალე რომანის „ოსტატი და მარგარიტას“ მთავარ პერსონაჟს,

რუსი მაღალჩინოსნის მეუღლეს მარგალიტა პეტრეს ასულ არხანგელსკაიას *[ჯაჯაია, 2012: 347]*.

აღსანიშნავია, რომ ბათუმზე პიესა მართლაც დაწერა, რომლის დადგმას შეუდგა მოსკოვის მცირე თეატრი. პრემიერა უნდა გამართულიყო 1939 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს. სტალინმა იკითხა, რა თემაზეა ბულგაკოვის პიესაო. უთხრეს, სტალინის ბავშვობა და ახალგაზრდობის წლებია ასახულიო. თუკი ასეა, მაშინ მისი დადგმა საჭირო არ არის, რადგან ბავშვობის წლები არაფრით არ არის გამორჩეულიო. ამის შემდეგ „ბათუმი“ მოიხსნა რეპერტუარიდან. ეს ამბავი ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი გორკის მიერ დაარსებულ და მისი სახელობის მოსკოვის ლიტერატურულ-მეცნიერულ პროფესორ ია ვიშნევსკაიასგან, ერთ-ერთ ლექციაზე.

აღსანიშნავია, რომ ბულგაკოვი თბილისში გაცნობია ოსიპ მანდელშტამს. ეს უკანასკნელი ბათუმში ძმასთან ერთად იალტიდან ჩამოსულა 1920 წელს. ამ დროს ბათუმში მენშევიკური ხელისუფლებაა. მწერალი ილია ერენბურგი წერს, რომ მაშინ ბათუმში შავი ჭირის გამო კარანტინი იყო და მენშევიკებმა იგი დააპატიმრეს, ხან ვრანგლერის, ხან ბოლშევიკების აგენტი ეგონათ. მკვლევარი რამაზ სურმანიძე ფიქრობს, რომ ბათუმში სტუმრად მყოფ თბილისელ მწერლებს გაზეთით გაუგიათ მანდელშტამის დაპატიმრება, რომელიც თავს მწერლად ასაღებდა და მოახერხეს მისი ციხიდან გამოშვება.

მეორე ვერსიით, ბათუმში მყოფ ტიციან ტაბიძესთან ბათუმელ ებრაელთა დელეგაცია მისულა თხოვნით, რომ ეშუამდგომლა ხელისუფლებასთან პოეტი მანდელშტამის გასათავისუფლებლად. პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს: „ტიციანი მართლაც მისულა გუბერნატორ ბენია ჩხიკვიშვილთან, რომელსაც დაპატიმრებული მანდელშტამი უპრობლემოდ გაუთავისუფლებია; „ერთი კვირის შემდეგ, მანდელშტამი თბილისში, ბინაზე, წვევია პოეტს. ტიციანი მისთვის ჩვეული გულითადობით გამასპინძლებია ახლად შეძენილ მეგობარს, რომელიც აქ ერთი თვე დარჩენილა, მოუტარებია კახეთი, გაუცნია ქართველი მწერლები და ხელმოკლედ მყოფ მწერლისთვის თავისი პალტოც კი უჩუქნია“ *[ნიკოლეიშვილი, 1997: 251]*. საქართველოდან მოსკოვში დაბრუნებულმა მანდელშტამმა 1920 წლის ჟურნალ „ოგონიოკის“ მე-20 ნომერში საქართველოს შეურაცხმყოფელი წერილი გამოაქვეყნა. ამის გამო აღშფოთებულმა ტიციანმა 1923 წლის 25 აგვისტოს გაზეთ „რუბიკონში“ ძალიან მკაცრი წერილი („გასტროლიორი ჟონტოლი“) გამოაქვეყნა. მოხდა ისე, რომ მანდელშტამმა საქართველოსთან და ქართველ მწერლებთან დამოკიდებულება შეცვა-

ლა და ქართველი მწერლების გულითადი მეგობარი გახდა *[ნიკოლეიშვილი, 1997: 251]*.

მანდელშტამმა ბათუმას ცხოვრების არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა, მათ შორის გამოირჩევა „მენშევიკები საქართველოში“, „ბათუმი“ და „დაბრუნება“. იგი ბათუმს „ქოთნის პალმების ქალაქს“ უწოდებს, იმასაც ამბოს, რომ „მენშევიკების ბათუმი იყო ცუდი ქართული ქალაქი“ *[Мандельштам, 1990: 315]*. ხელოვნების მუშაკთა საზოგადოებაში ლექციაც კი წაუკითხავს ა. ბლოკის შესახებ *[ქაჯაია, 2012: 348]*.

რუსი მწერლებიდან ბათუმთან ყველაზე უფრო ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა აკავშირებდა სერგეი ესენინს, რომელიც 1924 წლის დეკემბრიდან 1925 წლის იანვრის ბოლომდე დარჩა. იგი ჯერ ქუთაისის ქუჩაზე სასტუმრო „ნოეში“ მოეწყო, მაგრამ გაცივდა და ავად გახდა. სასტუმროში მიაკითხა ნაცნობმა ჟურნალისტმა ლევ პოვიცკიმ და თავის სახლში წაიყვანა, ბულვართან ახლოს, ახლანდელი მელიქიშვილის ქუჩაზე, სადაც ორ თვეს დარჩა. ესენინს სურდა თურქეთის გავლით სპარსეთში წასულიყო, მაგრამ დიდთოვლობამ გზები ჩაკეტა და პოეტი ბათუმში ჩატოვა. სწორედ აქ, პოვიცკის სახლში დაიწერა რუსული პოეზიის მარგალიტი „სპარსული მოტივები“. ბათუმში ჩაისახა „ანა სნეგინას“ იდეაც. ამ ციკლზე ბევრი თქმულა რუსეთშიც და ჩვენშიც. ქართულ ენაზე მისი ბევრი თარგმანი არსებობს, მაგრამ საუკეთესოა ბათუმელი პოეტის გიორგი სალუქვაძის თარგმანები, რომელიც ცალკე წიგნადაც ორჯერ ბათუმში გამოიცა.

ესენინმა ბათუმში გაიცნო თავისი პოეზიის ერთ-ერთი მუზა შაგანე (შაგანდუხ) ნერსეს ასული ტალიანი, ქალიშვილობაში ამბარცუმიანი. ტალიანი შაგანეს მეორე მეუღლის გვარია. იგი თბილისიდან ბათუმში სტუმრად იყო თავის დასთან ეკატერინესთან, რომელიც სომხურ სკოლაში მასწავლებლობდა. ეს სკოლა ახლოს იყო პოვიცკის სახლთან და მათი გაცნობაც შემთხვევით აქ მოხდა. შაგანე გარდაიცვალა 1976 წელს, 76 წლისა. „სპარსულ მოტივებში“ ერთ-ერთი საუკეთესოა მისდამი მიძღვნილი ლექსი „შაგანე“, რომლის ჩემულ თარგმანს აქვე გთავაზობთ:

„შაგანე, შენ ჩემო შაგანე,
მერე რა, რომ ვარ ჩრდილოელი,
მზად ვარ, გიამბო, როგორ აქანებს
ქარი ყანაში პურის თავთავებს,
შაგანე, შენ ჩემო შაგანე.

მერე რა, რომ ვარ ჩრდილოელი,
იქ მთვარე დიდია ათჯერ და ასჯერ,
რიაზანის მთვარეს გული არ დაწყდეს,
რითი სჯობია რიაზანის ცათამბჯენს,
მერე რა, რომ ვარ ჩრდილოელი.

მზად ვარ, გიამბო გაშლილ ველებზე,
პურის თავთავებს ჰგავს ჩემი თმები,
გაწეწე შენი თეთრი თითებით,
ტკივილით მე არ წამოვენთები,
მზად ვარ გიამბო გაშლილი ველებზე.

ყანა ღაღანებს მთვარის ნათელში.
ჩემი კულუღი აიღე ხელში.
გაიღიმე და გაბრწყინდი მზეში.
სევდას და ნაღველს ნუ აღძრავ ჩემში,
ყანა ღაღანებს მთვარის ნათელში.

შაგანე, შენ ჩემო შაგანე,
იქ, ჩრდილოეთში გოგონა ერთი,
შენსავით ნაზი და თბილი მკერდით,
იქნება ჩემზე ფიქრობს და დარდობს,
შაგანე, შენ ჩემო შაგანე!

როგორც ირკვევა, ესენინს ბათუმში სხვა რომანიც ჰქონია. ეს იყო გიმ-
ნაზიელი ოლგა კობოვა, მაგრამ ეს რომანიც მალე დასრულდა.

1923 წელს ბათუმის რკინის თეატრში უცეკვია ესენინის მეორე მეუღლეს,
აღიარებულ ამერიკელ ბალერინას აისიდორა დუნკანს, რომელიც ესენინზე 18
წლით უფროსი იყო. იგი ბათუმიდან ესენინს წერდა, თავის მოკლა თუ გინდა,
ბათუმში ჩამოდიო.

მე პირადად ვიცნობდი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში
ხანდაზმულ ქალბატონ ანა ჩაჩუას, რომელიც საბავშვო მოთხრობებს წერდა.
იგი ესენინის თანამედროვე და კარგი ნაცნობი იყო. პოეტი მის ოჯახში სტუმ-
რადაც ყოფილა. მისი საუბრიდან ვგრძნობდი, რომ ეს ქალბატონი პოეტის

თაყვანისმცემელი ყოფილა. ყველასთან ასაჯაროვებს, რომ ესენინმა პოემა „ანა სნეგინა“ მას მიუძღვნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

კომახიძე, 1998: – თეიმურაზ კომახიძე, ქალაქ ბათუმის ქუჩების ისტორია, ბათუმი, 1998.

ზოიძე, 2017: – შოთა ზოიძე, „არამკითხე მოამბენი“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №204, 2017.

თურმანიძე, 2017: – ოთარ თურმანიძე, „ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორიიდან (1912-1940)“, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, ბათუმი, 2017.

ნიკოლეიშვილი, 1997: – ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, II, 1997.

„რუბიკონი“ – გაზეთი „რუბიკონი“, 25 აგვისტო, 1920.

სურმანიძე, 2009: – რ. სურმანიძე, ბიბლიოგრაფია, ბათუმი, 2009.

ქაჯაია, 2012: – ნინო ქაჯაია, „ბათუმი ო. მანდელშტამის ნარკვევებში“, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), II, ბათუმი, 2012.

ქსე, 1983: – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1983.

Адеишвили, 2000: – И. Адеишвили, „Русская проза о Грузии“, Кутаиси, 2000.

Мандельштам, 1990: – Осип Мандельштам, „Стихотворения, переводы, очерки, статьи“, Тбилиси, 1990.

Микадзе, 1999: – М. Микадзе, „Булгаков и О.Мандельштам в Батуми“, Тбилиси, 1999.

Русские писатели и общественные деятели в Батуми

Резюме

По Белинскому Грузия и весь Кавказ был калибелю русской музой. Таков и наш родной Батуми. Наш приморский город стал источником вдохновения для Сергея Есенина, Осина Мандельштама, Антона Чехова и Михаила Булгакова.

С именем Андрея Краснова связана с созданием Батумского Ботанического сада, а дмитрия Свищевский представил план города Батуми, в 1927 году – генеральный план построения самого города, который просуществовал в плоть до 1956 года.

В этой статье освещены краткие, но очень ценные Батумские жизнеописания этих мыслителей того времени.

ზეთისხილის გეურნეობა ბათუმის ოლქში და ბანვითარების პერსპექტივები ალმოსავლეთ საქართველოში

ზეთისხილს ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ. მისი სამშობლოა საბერძნეთი, საიდანაც გავრცელდა იმ ქვეყნებში, სადაც საამისო ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. საქართველოში ზეთისხილის გავრცელების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა *[ვახუშტი, 1973:680]*. უძველესი მითოლოგიის მიხედვით, ზეთისხილი ითვლებოდა ქვეყნის აღორძინების, სიბრძნის, სიმწიფის, კეთილშობილების სიმბოლოდ. ძველი ბერძნები მისი ტოტებისაგან გვირგვინს წნავდნენ, რაც ზეთისხილის დიდ ღირსებაზე მიანიშნებს.

ზეთისხილი და მისგან დამზადებული ზეთიუხის ზეთი გამოიყენება როგორც კვების სფეროში, ისე მრეწველობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზეთისხილის სამკურნალო მნიშვნელობა. ზეთისხილის ნაყოფი შეიცავს ცხიმებს (56%), წყალს (23%), უჯრედის (9%), ცილებს (6%), A, B₁, B₂, B₄, E, PP ვიტამინებს, მაკრო და მიკროელემენტებს, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, სპილენძს, თუთიას, სელენს და სხვა. ამ და სხვა ნივთიერებების შემადგენლობის გამო ზეთისხილი შეუცვლელია სისხლძარღვების გაწმენდის, ქოლესტერინის დონის შემცირებისათვის, აღადგენს ღვიძლის უჯრედებს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, გამოიყენება ნაღველმდენის სამკურნალოდაც.

ამერიკელმა მეცნიერებმა (ნიუიორკი) 2015 წელს ზეთისხილში აღმოაჩინეს ახალი ელემენტი ოლეონკანტანოლი, რომელიც კლავს სიმსივნის უჯრედებს, აქრობს ანთებით პროცესებს, ძალზე ეფექტურია ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებისათვის, ხელს უწყობს სისხლის უკეთ მიწოდებას სასქესო ორგანოებში, აუმჯობესებს სპერმის ხარისხს (ვიტანიმი „E“), უშვილობის სამკურნალოდაც გამოიყენება.

კაპიტალიზმის დროს ზეთისხილმა ფართო სასაქონლო მნიშვნელობა შეიძინა და მწარმოებლები ვაჭრობით სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ. ზეთისხილსა და ზეთიუხის ზეთის მოხმარება საკმაოდ მაღალი იყო დასავლეთ

ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. რუსეთში ზეთისხილი და ზეთუნის ზეთი შემოჰქონდათ იტალიიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრია-უნგრეთიდან, სპარსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მაგალითად, 1888 წელს რუსეთში ზეთისხილის იმპორტი 63704 ფუტს შეადგენდა, ხოლო 1892 წელს თითქმის ორჯერ, – 124168 ფუტამდე გაიზარდა. ზეთისხილის შესყიდვისათვის ფულადი თანხა 207706 მანეთიდან 377718 მანეთამდე გადიდდა *[скупка, 1895:41-42]*.

ზეთისხილის გარდა რუსეთში საკმაოდ მაღალი იყო ზეთუნის ზეთის იმპორტი. 1886-1890 წლებში რუსეთში საშუალოდ წლიურად საზღვარგარეთ ყიდულობდა 580789 მანეთის ზეთუნის ზეთს. იმპორტის დიდი ნაწილი იტალიაზე მოდიოდა (293020 მანეთი), შემდეგ აღსანიშნავია თურქეთი – 124331), საბერძნეთი – 69883, ესპანეთი – 49618, საფრანგეთი – 45719 მანეთი *[скупка, 1895:41-43]*.

ზეთის ხის გაშენებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ბუნებრივი გარემო და კლიმატური პირობები. იგი კარგად ხარობს ქარებისაგან დაცულ ღრმა ხეობებში, მშრალ, კაშკაშა, ნათელი ცისა და მცხუნვარე მზის პირობებში. უძლებს 7-9 გრადუს ცინვას. საქართველოში ზეთის ხის გაშენებისათვის გამორჩეული ბუნებრივი პირობებია ართვინის მხარის ზოგიერთ სოფელში. მათგან აღსანიშნავია სოფლები: თოლგომი, ცრია, კურძული, იშხალბირი, ორჯოხი, ლომაშენი, ართვინი, არდალო, დაბა, გვერდა, უმანა, დოლისყანა, მამწმინდა, სვეტიბარი და სხვა. აღნიშნული სოფლები განლაგებულია ჭოროხის ხეობისა და იმერხევის ღრმა, ქარებისაგან დაცულ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ზეთის ხის ცალკეული ეგზემპლარები ხარობდა აფხაზეთში (სოხუმის მახლობლად და გაგრაში), ჩოხატაურში, სამეგრელოში, აჭარაში (ჩაქვი) და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე. 1880-1894 წლებში ზეთისხილი გააშენეს ახალ ათონშიც (აფხაზეთი). ნერგები და თესლი წაიღეს ართვინის მხარიდან და გაგრიდან.

მიუხედავად ამისა, ზეთისხილის გავრცელების ძირითადი ტერიტორია, შეიძლება ითქვას, ყველაზე საუკეთესო, ართვინის მხარე იყო. რუსეთის მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის აგრონომ ს. ტიმოფეევის ცნობით, ართვინის მხარეში ზეთისხილი გენუელებმა გაავრცელეს და შემდგომში მნიშვნელოვნად განვითარდა. მაგრამ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ნაწილი განადგურდა. მოსახლეობის მუჰაჯირობის შედეგად ზეთისხილის ხეების მნიშვნელოვანი ნაწილი, მოუვლელობის გამო, დაიღუპა, ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა

გულგატეხილი იყო, ზეთისხილის ხეების გადარჩენაზე აღარ ზრუნავდა და ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდა. ასეთ პირობებში ახალი ნარგავები აღარ დაურგავთ, ხოლო არსებული ხეების გადარჩენას საჭირო ყურადღება აღარ ექცეოდა [ссылок, 1895:35-36].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ართვინის მხარეში იწყება ზეთისხილის აღდგენა და განვითარება. მშვიდობიან პირობებში მოსახლეობის დაინტერესება ზეთისხილის განვითარებისათვის გაიზარდა, რადგან იგი მცირე დანახარჯებით დიდ შემოსავალს იძლევა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ართვინის მხარის მუჰაჯირების მიწები, მათ შორის ზეთისხილის ნარგავები სომხების ხელში გადიოდა. ამ პროცესის შემჩერებელი არავინ აღმოჩნდა. 90-იან წლებში თითო ოჯახზე საშუალოდ 10-15 ძირი ზეთის ხე მოდიოდა. მაშინ ართვინის მხარეში ხუთი ჯიშის ზეთის ხე ხარობდა: „ოთური“, „ბუტკო“, „გურვალა“, „ჩამიში“, „თბილისი“. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო გავრცელებული იყო. ზეთის ხეების მოვლაც დიდ შრომას არ მოითხოვდა. წელიწადში მხოლოდ ერთჯერ დაბარვასა და 6-8-ჯერ მორწყვას მოითხოვდა, აპრილის შუა რიცხვებიდან 15 მაისამდე, ყვავილობის დროს.

ზეთის ხე სრულ მოსავალს იძლევა 25-30 წლის შემდეგ. ნაყოფს შემოდგომაზე – ოქტომბერ-ნოემბერში კრეფდნენ. მოსავალი ცვალებადი იყო. XIX საუკუნის 90-იან წლებში ერთი ხიდან საშუალოდ იღებდნენ 10 ფუთამდე ნაყოფს. ადგილზე ერთი ფუთი იყიდებოდა 2-დან 3 მანეთამდე. ამის მიხედვით ერთი ხე საშუალოდ იძლეოდა 20-30 მანეთ ფულად შემოსავალს.

ზეთისხილს როგორც ადგილზე მოიხმარდნენ, ისე გასაყიდად გაჰქონდათ. ზეთისხილის ძირითადი ბაზარი იყო თბილისი, სოხუმი, ბათუმი, ნოვოროსიისკი, ქერჩი, ოდესა, შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქები. ზეთისხილი გასაყიდად ყარსის ოლქშიც გაჰქონდათ. XIX საუკუნის 90-იან წლებში ართვინის მხარიდან ყოველწლიურად გასაყიდად გადიოდა 10 000 ფუთი ზეთისხილი. არსებული ფასის მიხედვით ადგილზე ბითუმად გაყიდული ზეთისხილის ფულად შემოსავალი 20-30 ათას მანეთს შეადგენდა [ссылок, 1895:58-67].

ზეთისხილის განვითარების საკითხი, მისი დიდი მნიშვნელობის გამო, რუსეთის ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების არეალში აღმოჩნდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შრომა გასწია მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებულმა ს. ტიმოფეევმა. იგი რამდენჯერმე ეწვია ართვინის მხარეს, შეისწავლა ზეთისხილის გავრცელების პირობები და არეალი. ამის შემდეგ არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათი

წარადგინა სამინისტროს წინაშე, მოითხოვდა ამ ძვირფასი კულტურის დაჩქარებულ განვითარებას, ამისათვის სანერგე მეურნეობის დაარსებას.

რუსეთის მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის სამინისტროს მიწათმოქმედების განყოფილების ხელმძღვანელმა მასალსკიმ 1896 წელს იმოგზაურა ყირიმსა და საქართველოში, რომლის მიზანს შეადგენდა აღნიშნულ რეგიონებში სამხრეთული კულტურების განვითარების შესაძლებლობის დადგენა. ამ მოგზაურობის შემდეგ მასალსკიმ მთავრობაში შეიტანა წინადადება ართვინის ოკრუგში ზეთისხილის მეურნეობის განვითარების, ამ მიზნის განხორციელებისათვის სანერგეს დაარსების შესახებ. საკითხი უმაღლეს დონეზე დადებითად გადაწყდა. სანერგესათვის მიწის ნაკვეთი შეარჩიეს ართვინის უბნის სოფელ ლომაშენში, რომლის ფართობი 2 დესეტინას შეადგენდა.

აღნიშნული მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა ართვინელ მკვიდრს ახმედ ბაირახტაროღლის, რომელიც 1881 წელს მუჰაჯირობაში წავიდა და თავისი მეურნეობა ბედის ანაზრად მიატოვა. ახმედ ბაირახტაროღლის მიწებს მისი და ფატმა დაეპატრონა. რუსეთის მთავრობა, ოსმალეთის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, საერთოდ არ ცნობდა ყარსისა და ბათუმის ოლქებში მიწების კერძო საკუთრებას. აქედან გამომდინარე წაართვეს მიწის ნაკვეთი ფატმას და ხეხილის სანერგე მოაწყვეს. ზეთისხილის სანერგე 1898 წელს დაარსდა. ძირითადი ამოცანა იყო ზეთისხილის ნერგების მასობრივად გამოყვანა და ამ ძვირფასი კულტურის გავრცელება რუსეთის იმპერიის იმ რეგიონებში, სადაც ამის ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. ამასთან, ზეთისხილის ახალი ჯიშების გამოყვანა, ამ მიმართულებით საზღვარგარეთის გამოცდილების შეძენა და ადგილობრივ პირობებში გავრცელება.

სანერგებში გამოიყვანდნენ ხეხილის სხვა ნერგებსაც (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კომში, ჭერამი, ატამი, ყურძენი, ლეღვი და სხვა). სანერგეს თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები მოსახლეობას შეასწავლიდნენ ზეთისხილისა და სხვა ხეხილის გაშენების წესებს, მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევებს. სწავლება და ნერგების ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიწოდება უფასო იქნებოდა.

სანერგეს დაარსებისათვის რუსეთის მთავრობამ მნიშვნელოვანი თანხები გაიღო. საამისოდ 1898 წელს გაწეული ხარჯები 1800 მანეთს, ხოლო 1899 წელს – 1430 მანეთს შეადგენდა [სცსსა, გ. 243, ან. 7, ს. 313, ფურც. 1,2,44]. ამ თანხებით ჩატარდა პირველი სამუშაოები: სანერგესთან ააშენეს საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობა, საცხენე, შეიძინეს საჭირო ინვენტარი, სამიწათმოქმედო იარაღები, შემოაკავეს მიწის ნაკვეთი და სხვა.

სანერგე შტატში სულ 3 ადამიანი მუშაობდა (გამგე და 2 მუშა). მიმდინარე სამუშაოებისათვის სეზონური მუშახელიც გამოიყენებოდა. ლომაშენის სანერგეს გამგე დაარსებიდან იყო ა. ანდრონაკი. სანერგეს განვითარებისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფდა თანხებს. მაგალითად, 1901 წელს ლომაშენის სანერგეს დაფინანსებამ 1902 მანეთი, 1902 წელს–2022, ხოლო 1903 წელს – 2000 მანეთი შეადგინა. 1904-1906 წლებში ყოველწლიური ხარჯები 2100 მანეთს უდრიდა. ამ ხარჯებიდან გამგის წლიური ხელფასი 1000 მანეთს შეადგენდა, შტატიანი მუშების – 449 მანეთიდან 551 მანეთამდე აღწევდა. მიმდინარე სამუშაოებისათვის 1905 წელს გაწეული ხარჯები (ნიადაგის დამუშავება, გაწმენდა, სასუქებისა და დასარგავი მასალების შეძენა) 457 მანეთს შეადგენდა, სამშენებლო სამუშაოებისათვის გასავალი 1000 მანეთს უდრიდა. სანერგეს ჰყავდა ცხენი და ჯორი, რომლის შეძენასა და შენახვაზე 93 მანეთი დაიხარჯა [სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 436, ფურც. 27].

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზეთის ხისა და ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანასა და ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებას. სანერგეში სპეციალური ნაკვეთები გამოიყო საზღვარგარეთის ზეთისხილისა და სხვა ხეხილის ახალი ჯიშების ნერგებისა და თესლის გამოსაყვანად. 900-იან წლებში იტალიიდან (ტოსკანა) შემოიტანეს 11, ხოლო საფრანგეთიდან (მონპელიე) 10 სახეობის ზეთისხილის ნერგები. პირველ მსოფლიო ომის წინ ლომაშენის სანერგეში 15 სახეობის ზეთისხილი ითვლებოდა. ზეთის გამოსავლიანობით აღსანიშნავია „ბუტკო“ (25%), „ოთური“ (20%), „თბილისი“ (15%). 1908-1912 წლებში მიმდინარეობდა ზეთიუნის ზეთის ქარხნის მშენებლობა. მანქანა-დანადგარები საფრანგეთიდან შემოიტანეს. საწარმო ექსპლოატაციაში 1912 წელს შევიდა [ცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 575, ფურც. 3; ფ. 243, ან. 7, ს. 742, ფურც. 58].

ლომაშენის ზეთისხილის სანერგეში 1910 წელს მოეწყო სათბური, ხოლო უფრო ადრე შეიქმნა სკოლაც, სადაც მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას ასწავლიდნენ ზეთის ხის და სხვა ხეხილის გაშენების, მოვლა-პატრონობის, ზეთიუნის ზეთის, ხილის კონსერვების, ჩირის დამზადების წესებსა და ტექნოლოგიას, მცენარეთა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და მკურნალობის საშუალებებს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მაღალი ინტერესი გამოავლინა და წარმატებით აითვისა მთავრობის პროგრამით გათვალისწინებული მასალა, რასაც შემდგომში თავიანთ მეურნეობებში იყენებდნენ.

ზეთისხილის სანერგე ნერგებით ამარაგებდა არა მარტო ართვინის მხარის მოსახლეობას. აქედან ნერგები და თესლი იგზავნებოდა კავკასიის შესა-

ბამის რეგიონებში. სანერგეში საშუალოდ წლიურად გამოჰყავდათ 15000-20000 ცალამდე და ზოგჯერ კიდევ მეტი ნერგი. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ამ ნერგებს თურქეთი ყიდულობდა, ერთ ცალს 15 კაპიკად. სანერგეში გამოჰყავდათ ბალახის თესლიც *[pc, 1912: 263]*. მაგრამ სანერგე ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ჯერ კიდევ 1903 წელს რუსეთის მთავრობის წინაშე დაისვა საკითხი ზეთისხილის სანერგეს გაფართოების შესახებ. მაგრამ საკითხი ღიად დარჩა. ამიტომ ხეხილის ნერგების გამოყვანა შეწყდა და სანერგეში ძირითადად ზეთისხილის ნერგები გამოჰყავდათ *[სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 742, ფურც. 59]*.

მართალია, ზეთისხილის ხეების გამოზრდისათვის, საწარმო სრულმოსავლიანი გახდებოდა, წლებია საჭირო. XIX საუკუნის 80-იან წლებიდან მოკიდებული მოსახლეობამ გააშენა ზეთისხილის ახალი ხეები. პირველი მსოფლიო ომის წინ ართვინის ოკრუგში 110 ათასი ძირი ზეთის ხე ითვლებოდა. რომლებიც ხარობდა რეგიონის რამდენიმე სოფელში *[pc, 1917: 22]*. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, მოუვლელობის გამო, ზეთისხილის ნარგავები დაზარალდა. 1914 წლის ბოლოს ართვინის ოკრუგის 10 სოფელში 94190 ძირი ზეთის ხე აღირიცხა. მათგან 78510 ძირი (83,3%) ოთხ სოფელზე მოდიოდა. ეს სოფლებია: იშხილბირი (25922), ცრია (23443), ორჯოხი (17795), თოლგომი (11350). სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების გაძლიერებისა და მოსახლეობის მზრუნველობის შედეგად პირველ მსოფლიო ომამდე ზეთისხილის ხეების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მოსავალიც გაიზარდა. 1915 წლისათვის ართვინის ოკრუგში ზეთისხილის მოსავალი 50.000-60.000 ფუტს შეადგენდა. მათგან ნახევარი ბაზარზე გასაყიდად გადიოდა, რაც ხუთჯერ და ექვსჯერ აღემატებოდა XIX საუკუნის 90-იანი წლების მაჩვენებლებს. დანარჩენს ადგილზე მოიხმარდნენ. ზეთისხილის ფასი ცვალებადი იყო. პირველი მსოფლიო ომის წინ ერთი ფუტი ზეთისხილის საბაზრო ღირებულება 2 მანეთი და 40 კაპიკიდან 4 მანეთსა და 50 კაპიკს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ფასებს. საშუალო წლიური ფულადი შემოსავალი 100.000 მანეთიდან 200 000 მანეთს უდრიდა *[სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 508, ფურც. 12; pc, 1915: 32, 35]*.

ზეთისხილის ტრანსპორტირება ხდებოდა სამდინარო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტით. ართვინიდან ბათუმამდე გაჰქონდათ ჭოროხის სამდინარო გზით ადგილობრივი ნაგებით, ე.წ. კაიუკებით. ერთ ასეთ კაიუკზე ჩვეულებრივად 120 ფუტი ტვირთი თავსდებოდა. 900-იანი წლების ცნობით ართვინიდან ბათუმამდე ყოველწლიურად 200 კაიუკი ზეთისხილი ჩამოჰქონ-

დათ, სულ 24 ათასი ფუთი. აქედან კი გაჰქონდათ თბილისში, შავიზღვისპირა ქალაქებსა და იმპერიის სხვა რეგიონებში **[უზ, 1902]**.

დიდი მოთხოვნილება იყო ზეთუნის ზეთზე. ქარხანა წლიურად აწარმოებდა 150 ტონიდან 400 ტონამდე ზეთუნის ზეთს, რომელიც გასაყიდად რუსეთის სამრეწველო ცენტრებში იგზავნებოდა. როგორც ზეთისხილს, ისე ზეთუნის ზეთს ადგილზე ბითუმად ყიდულობდნენ თბილისიდან, როსტოვიდან, ნოვოროსიისკიდან, ტაგანროგიდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ვაჭრები და რეალიზაციას ახდენდნენ **[კსხ, 1900: 678]**. პროდუქცია ოდესაშიც იგზავნებოდა. მაგრამ ლომაშენის ზეთისხილი საწარმო ზეთუნის ზეთზე მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა.

ლომაშენის ზეთისხილის სანერგეს მიღწევები ჯეროვნად შეფასდა კავკასიის შავიზღვისპირეთის სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო გამოფენაზე სახელწოდებით „რუსკაია რივერა“, რომელიც გაიმართა პეტერბურგში 1913 წელს. გამოფენაზე ლომაშენის ზეთისხილის სანერგემ წარადგინა ზეთის ხის ცოცხალი ეგზემპლარები, ზეთუნის ზეთი, ხილი და კონსერვები. გამოფენა კომიტეტმა ლომაშენის ზეთისხილის სანერგე პატარა ოქროს მედლით დააჯილდოვა. საგულისხმოა, რომ სულ დაწესებული იყო 17 დიდი და 14 პატარა ოქროს მედალი **[КСХКПВЧПРР, 1913:60; ПВЧПКСРР, 1914:170]**. პირველი მსოფლიო ომის დროს ართვინის მხარეში ზეთისხილის მეურნეობა და ლომაშენის სანერგე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ომის პირველ წლებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. ზეთის ხის ნარგავები მოვლა-პატრონობის გარეშე აღმოჩნდა, მოურწყველობის გამო ნაწილი კიდევაც დაიღუპა. დანარჩენებს დალუპვის საფრთხე შეექმნა. ზეთისხილის არსებული ნარგავების გადასარჩენად რუსეთის მთავრობამ საგანგებო ღონისძიებები განახორციელა. 1915 წლის 26 მაისს ბათუმში გაიმართა სპეციალური თათბირი ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მონაწილეობით.

თათბირი ჩატარდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ინიციატივით და მიემდგვნა ართვინის ოკრუგში ზეთისხილის ნარგავების გადარჩენის საკითხს. მეორე სხდომა 2 ივლისს ჩატარდა. შეიმუშავეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელებისათვის 4.000 მანეთი გამოიყო. აქედან 3000 მანეთი რუსეთის მიწათმოქმედებისა და მიწათმოყვობის სამინისტრომ გამოყო, ხოლო 1000 მანეთი კავკასიის მეფისნაცვალმა. ამ თანხის გამოყენება ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს დაეკისრა, რო-

მელიც იმავე დროს ოლქის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარეც იყო.

ართვინის ზეთისხილის ნარგავების გადასარჩენად სპეციალური კომისია შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ბათუმის ოლქის საეროზო აგრონომს გ. გამხარაშვილს. მან ართვინის ოკრუგის ის სოფლები შემოიარა, სადაც ზეთისხილი ხარობდა. შეისწავლა რეალური ვითარება. ამის შემდეგ მუშათა რაზმიც ჩამოაყალიბეს, რომელიც ზეთისხილის ნარგავების მორწყვას და სხვა სამუშაოებსაც ახორციელებდა. ყველა სოფელში გამოიყო სპეციალური მეთვალყურეები, რომლებიც სამუშაოთა მიმდინარეობას აკონტროლებდნენ. ასეთი მუშაობის შედეგად ზეთისხილის ნარგავების დიდი ნაწილი გადარჩა *[სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 878, ფურც. 32-33]*.

ლომაშენის ზეთისხილის სანერგე 1915 წელს გადაეცა ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. სანერგეს არსებული მდგომარეობის შესწავლისა და მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობამ შესაბამის ინსტანციაში წინადადება წარადგინა ლომაშენის სანერგეს 8 დესეტინამდე გაზრდის შესახებ. წინადადება შესწავლის სტადიაში იყო, რომ 1918 წელს თურქებმა მეორედ დაიკავეს ლომაშენის სანერგე და საშინლად გაანადგურეს, ხოლო გამგე ა. ანდრონაკი წამებით მოკლეს. 1920 წელს ართვინის ოკრუგი, სხვა ქართული მხარეების ერთად, თურქებმა მიიტაცეს და დღემდე თურქეთის ბატონობაში იმყოფება.

ართვინის მხარის გარდა, ზეთისხილის გაშენების ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობს აღმოსავლეთ საქართველოში. რუსეთის მთავრობის მხრიდან XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იყო მცდელობა სამხრეთ კავკასიაში ზეთისხილის გაშენების შესახებ. სწორედ ართვინის სანერგეს დაარსების მიზანიც ეს იყო. მაგრამ მთავრობის გეგმები დიდი მასშტაბით ვერ განხორციელდა.

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ზეთისხილის გაშენებით არ დაინტერესებულა. არადა ამ კულტურის ნორმალური მოვლა-პატრონობის შედეგად მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავლის მიღება შეიძლებოდა. საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების 1927 წლის დადგენილებით ზეთისხილის წარმოება დაევალა აზერბაიჯანისა და თურქმენეთის რესპუბლიკებს. საქართველოში დაიგეგმა ჩაის, ციტრუსების, ხილის (ვაშლი, ატამი) და ყურძნის განვითარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ზეთისხილის განვითარებისათვის ყურადღება გაძლიერდა XXI საუკუნის დასაწყისიდან. ამ

დარგის განვითარებით დაინტერესდნენ საქართველოს საპატრიარქო და ბიზნესმენები. თბილისში, სამების ბაღში, 2006 წელს დაირგო 100-მდე ძირი ზეთისხილი. მომდევნო წლებში ზეთისხილი გააშენეს მარნეულში, გარდაბანში, კახეთში, გურიაში. ამ საქმის ორგანიზატორი იყო თურქეთის მოქალაქე, ეთნიკურად ქართველი, მამია დუმბაძე, რომელმაც ქართველ ბიზნესმენებთან ერთად ჩამოაყალიბა ფირმა „ჯეო ოლივი“. ფირმამ ზეთისხილი გააშენა სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბეში, რომელიც ზღვიდან 450 მეტრზე მდებარეობს.

პირველი მოსავალი 2017 წელს მიიღეს, სულ 8 ჰექტარზე 3 ტონა მოსავალი საპატრიარქოს და მოსახლეობას საჩუქრად გადასცეს. ზეთისხილის გაშენებით სხვა ბიზნესმენებიც დაინტერესდნენ. მათგან აღსანიშნავია გიორგი სვანიძე, რომლის ხელმძღვანელობით დაარსდა ფირმა „ქართული ზეთისხილი“. ამ ფირმის მეშვეობით ახალი პლანტაციები გააშენეს. 2017 წლისათვის საქართველოში 300 ჰექტარამდე მეტი ზეთისხილის პლანტაცია ითვლებოდა,, სადაც 250 ათასი ძირი ზეთის ხე ხარობდა.

ჰოლანდიურ-თურქული ინვესტირებით გიორგი სვანიძის ხელმძღვანელობის სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში ზეთსახდელი ქარხანაც გაიხსნა, რომლის მშენებლობაზე 5 მილიონი მანეთი დაიხარჯა. ქარხანამ პირველ წელს 30 ტონა ზეთისხილი გადაამუშავა და სავაჭრო ქსელს მიაწოდა. ზეთითუნის ზეთი მოთავსებული იყო 250 გრამიან, 500 გრამიან და 1 კილოგრამიან ქილებში. საწარმო აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც მაღალი ხარისხის ზეთითუნის ზეთის წარმოების საშუალებას იძლევა. ქარხნის სიმძლავრეებს შეუძლიათ საათში გადაამუშაოს 10 ტონა ზეთისხილი *[იშხს]*. მიღწევების ეს მასშტაბი მხოლოდ საწყის ეტაპად ჩაითვლება. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ზეთისხილის ფართობის და ზეთითუნის ზეთის წარმოების გადიდებისათვის.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 508 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, ანაწერი 10, საქმე №508.

სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 313 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 243, ან. 7, საქმე №313 (ამავე ფონდიდანაა საქმეები №№ 436, 575, 742, 878).

ვახუშტი, 1973:– ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი.

იმზს – ინტერნეტის მასალა: ზეთისხილი საქართველოში.

სსკპრკ, 1895: – Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, выпуск, I, Тифлис.

კსკპვჩპკრრ, 1913: – Каталог сельско-хозяйственной и культурно-промышленной выставки черноморской побережье Кавказа «Русская ривьера». С.-Петербург.

პვჩპკსპრრ, 1914: – Первая выставка черноморская побережья Кавказа в С-Петербурге под названием «Русская ривьера». С.-Петербург.

რს, 1912: – Журн. «Русские субтропики», 1912, № 5.

რს, 1915: – Журн. «Русские субтропики», 1915, № 8-9.

რს, 1917: – Журн. «Русские субтропики», 1917, № 7-8.

კსკ, 1900: – Журн. «Кавказское сельское хозяйство», 1900, №43.

ჩვ, 1902: – Газ. «Черноморский вестник», 1902, 18 мая.

Otar Turmanidze (Batumi, Georgia)

Olive Farm in Batumi District and Development Perspectives in Georgia

Summary

Olive farming has a long history in Georgia. It was mainly developed in the Artvin region. From the sale of its fruit, the population received significant cash revenues. The Russian government was also interested in the development of olives after the displacement of South-Western Ottomans. In 1890 olives nursery was founded in the village of Lomasheni, Artvin, and in 1912 the oil refinery was opened. The article deals with the olive farm, economical condition of the Lomasheni nursery and the oil refinery. The article also covers modern status of olive development and prospects of development after restoration of independence in Georgia.

კარლ ჰაინრიხ ემილ კოხის ცნობები ბათუმის შესახებ

იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბოტანიკოსმა კარლ ჰაინრიხ ემილ კოხმა 1836-1838 წლებში იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიაში. კარლ კოხი დაკვირვებული მოგზაური და სოლიდური ცოდნით შეიარაღებული მკვლევარია. ის კარგად იცნობს თავისი წინამორბედი ცნობილი ევროპელი მოგზაურების - შარდენის, რაინეგის, დიუბუა დე მონპერესა და სხვა მოგზაურთა თხზულებებს. კ. კოხი ხშირად ასახელებს მათ თავის „მოგზაურობებში“ და ასევე ხშირად სარგებლობს ამ მოგზაურთა ცნობებით. მის მიერ მოპოვებულ მასალებში უხვადაა წარმოდგენილი საკუთარი დაკვირვებები საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. იგი საჭირო შემთხვევაში მარჯვედ იყენებს ფოლკლორულ მასალასაც, ხალხის მიერ შემონახულ ძველ თქმულებებსა და გადმოცემებს *[მამაცაშვილი, 1981:17]*.

ამ მოგზაურობის დროს კ. კოხმა მოინახულა საქართველოს მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ადგილები, მათ შორის ქ. ფოთი, ნავსადგურები-სინოპი, ბათუმი, რედუტ-კალე. ავტორი დაწვრილებით აღწერს თითოეული მათგანის ადგილმდებარეობას, მანძილს ერთი პუნქტიდან მეორემდე, გვაცნობს ამ ადგილების ისტორიას და მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, მოსახლეობას, ბუნებას, გეოგრაფიულ გარემოს, ფლორას, ტერმინოლოგიას, ტოპონიმებს. კარლ კოხის ნაშრომი „მოგზაურობა რედუტ კალედან ტრაპეზუნდამდე (კოლხეთი და ლაზეთის ქვეყანა) ხუთი თავისაგან შედგება: 1. სამეგრელო; 2. გურია; 3. ბათუმი; 4. ლაზისტანი; 5. ოფი და ზღვაზე მოგზაურობა.

მართალია, XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის რუსეთ-საქართველოს და კავკასიის ურთიერთობის და, საზოგადოდ, კავკასიის ისტორიისა და პოლიტიკური ვითარების შესახებ ბევრი უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო წყარო და ისტორიული მასალა მოგვეპოვება, მაგრამ შესაძლოა, უცხო მოგზაურთა ამ ჩანაწერებშიც იპოვოს ისტორიკოსმა დამატებით ახალი და მისთვის საინტერესო ცნობები და ამ თვალსაზრისით მათ პირველწყაროს მნიშვნელობაც კი მიენიჭოს *[მამაცაშვილი, 1981 : 27]*.

კ. კოხს ქ. ბათუმი სინოპის შემდეგ ყველაზე საიმედო პორტად მიაჩნია. საქონელი ბათუმიდან ყარსამდე იგზავნება. იგი გადააქვთ უმთავრესად ცხენებით, რადგან ტრანპორტირების სხვა საშუალება არ არსებობდა. მდინარე ჭოროხის გაყოლებით მდებარეობს მნიშვნელოვანი ძველი სავაჭრო ცენტრი ქ. ართვინი, რომელიც ბათუმიდან 12 საათის სავალზეა. აქ განსაკუთრებით ყოფილა განვითარებული სამღებრო საქმე. ართვინის წითელი და მეწამულისფერი საღებავები, რომლებსაც ენდროს ძირებისაგან ამზადებდნენ, მთელს აღმოსავლეთში ყოფილა ცნობილი *[კოხი, 1881: 73]*.

ქალაქ ათინაში, ისევე როგორც ბათუმსა და ხოფში, დროდადრო იმართებოდა ბაზრობა. ვაჭრობა აქ წარმოებდა გაცვლითი წესით. ბაზრობაზე თავს იყრიდა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა. იცვლებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ცოცხალი პირუტყვი. ღია ცის ქვეშ იყო გამართული დუქნები, სახელოსნოები, რესტორნები. კ. კოხის დაკვირვებით, საქართველოში ვაჭრობა წარმოებდა გაცვლითი წესით. *[კოხი, 1881: 73]*. ვაჭრობის ძირითადი შემფერხებელი იყო ფულის ნაკლებობა და სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის დაბალი დონე. ამის გამო საქართველოში გაბატონებული იყო ნატურალური საქონელბრუნვა *[ანჩაბაძე, 1968: 101]*.

კარლ კოხი განსაკუთრებით აღაფრთოვანა ბათუმის ბაზრობის ხილვამ, რომელსაც ახლო თუ შორეული ადგილებიდან დიდძალი ხალხი მოეზიდა: „მათ შორის სულ სხვადასხვა ეროვნების ხალხი დაგვისახელეს. მაინც თითქოს ყველა მათგანს ერთნაირი სამოსი ჰქონდა და გარეგნობითაც ჰგავდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანს, ერთი წარმოშობისა იყვნენ და ერთ დიდ ხალხს, სახელდობრ, ქართველებს ეკუთვნოდნენ“ *[კოხი, 1881:185]*. როგორც ჩანს, მიუხედავად ოსმალთა ბატონობისა, ამ პერიოდში საქართველოს რეგიონებსა და ბათუმს შორის არსებობდა საკმაოდ ახლო ურთიერთობა *[უზუნაძე, 2001: 72-73; 2012: 14]*. კ. კოხს ყველაზე მეტად აჭარლები და ლაზები აინტერესებდა. „პირველები ცხოვრობენ ხეობაში, რომელიც მოიცავს 12 საათის სავალ ფართს. მასზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება ჭოროხის პირველი შენაკადი -- აჭარ-სუ ანუ აჭარის წყალი. აჭარლები საყოველთაოდ ცნობილი არიან თავისი მამაცობით და სილამაზით“ *[კოხი, 1881:185]*. კოხი ხაზს უსვამს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ „მართალია, ისინი თურქეთის სულთნის ბატონობას სცნობდნენ, მაგრამ გადასახდელი ხარკის რაოდენობას მუდამ თვითონ განსაზღვრავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ თურქები ამ ხარკს არ დასჯერდებოდნენ და მეტს მოითხოვდნენ მათგან, აჭარლები სულ უბრალოდ მიახვედრებდნენ ხოლმე თურქეთის ელჩებს ხარკის წასა-

ლებად თვითონ მთავარი მოვიდესო. ეს წინააღმდეგობა გრძელდებოდა მანამ-დის, ვიდრე თურქეთის სულთნის მიერ ტრაპეზუნტისფაშად დასმულმა თურქმა მთავარმა აბდულა ფაშამ (ტრაპიზონის ფაშა) არ სცადა არზრუმის ფაშის (იგულისხმება სულთანი მაჰმუდ II 1788-1804) ნომინალური ბატონობის ქვეშ მყოფი აჭარლების დამორჩილება. მხოლოდ მაშინ მოახერხა თურქეთის მთავრობამ ცოტაოდენი პატივისცემის მოპოვება მთის ხეობაში მოხინაძრე ხალხს შორის, თუმცა აჭარლებთან მაინც ვერ შეძლო ამის გაკეთება. ჩვენ არ ვიცით, რა შედეგი გამოიღო ამ პოლიტიკამ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აჭარლები ისეთივე დამოუკიდებულები დარჩნენ, როგორც წინათ იყვნენ, განსაკუთრებით აბდულას გადაყენების შემდეგ [კობი, 1881:185].

კარლ კობის აზრით, ბათუმი თავის კეთილდღეობას მხოლოდ ნაყოფიერ დაბლობს კი არ უნდა უმაღლოდეს, რომელიც კახაბეროვას სახელწოდებას ატარებს, არამედ უმთავრესად ნავსაყუდელს, რომელზეც ის მდებარეობს. სინუპს ანუ სინოპს შემდეგ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე არსად არ არის ასეთი საიმედო ნავსადგური, როგორიცაა ბათუმი, რომელიც ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამჟამად თურქების რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ბათუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ გადმოჰყავთ თურქეთის ჯარი რუსეთის საზღვრების სუსტ ადგილებში იერიშის მისატანად [კობი, 1881:185]. კახაბრი ბათუმის ყურესთან ერთად თვალსაჩინო როლს თამაშობდა ქალაქ ბათუმის ცხოვრებაში [კახაძე, 2017: 271].

კ. კობი დაინტერესდა ბათუმის მაზრის მახლობლად მოფუსფუსე ხალხით. „უმთავრესად ლაშაზი მამაკაცები გვხვდებოდნენ ტანზე. კარგად მორგებული ტანსაცმელი, რომელიც უფრო ჩერქეზულსა და მეგრულს ჩამოჰგავდა, ვიდრე ქართულს, ჩამოსხმული სხეულის ყოველ ნაწილს გამოკვეთდა. ლაზები თავიანთ მონათესავე მეგრულ და იმერულ მამაკაცებზე ცოტა უფრო დაბალი ტანისა და ნაკლებ მხარბეჭიანები ჩანან. მკვირცხლები არიან და სწრაფად მოძრაობენ, სახეც უფრო მხიარული გამომეტყველებისა აქვთ. ისინი კავკასიელებივით ყოველთვის შეიარაღებულნი არიან, თუმცა მკერდზე მიკერებული მასრები არ აქვთ“ [კობი, 1881:185].

კ. კობის გადმოცემით, ფოთიდან ჩურუქსუმდე მგზავრობას ოთხი საათი არ სჭირდება. ჩურუქსუს განაგებს ფაშა თავისი თულებით, რომელიც იმიტომ კი არ გააძწესეს აქ, რომ ამ ადგილებში რაღაც უმნიშვნელო მიწას ფლობდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ადგილმდებარეობა მნიშვნელოვან ობიექტად მიიჩნიეს. ჩურუქსუ, რომელიც ციხესიმაგრედ ითვლება, სინამდვილეში ერთი საკმაოდ გაშლილი, უმნიშვნელო ადგილია და მტრის შემოსევას ვერ გაუმკ-

ლავდება. მის მახლობლად ციხის ნანგრევებია. ამ ადგილის ნამდვილი სახელია **კინტრიში**, მაგრამ თურქებს მდინარის სახელი უფრო მოსწონთ, მით უმეტეს, რომ მას თურქული მნიშვნელობა შეიძლება დაედოს საფუძვლად. **ჩურუქსუ** თურქულად „დამპალ წყალს“ ნიშნავს. „**ჩურუქსუ ანუ კინტრიში**“ **დედაქალაქად** ითვლება, თუ კი შეიძლება ასეთ სახელწოდებას ატარებდეს მწირი ადგილი, რომელიც ასამდე სახლისაგან შედგება და, ფაშას რეზიდენციას წარმოადგენს [*კოხი, 1881: 182-183*].

კ. კოხის ცნობით, „**კინტრიშიდან** (ქობულეთიდან) **ბათუმამდე** გზა ექვსი საათის სავალზეა. აქედან შესანიშნავი სანახაობა იშლება: ერთი მხრივ, ზღვა, მეორე მხრივ, ქვეყნის სიღრმეში მდებარე ნაყოფიერი მიდამოები. შესაძლოა ეს ნანგრევები ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომების დროინდელია. ვინაიდან ისინი განსხვავდებიან ადგილობრივი წარმოშობის ციხეებისაგან. ერთი ასეთი სახელი, შესაძლოა დღევანდელი **ციხისძირი ბერძნების პეტრა იყოს**. პეტრა ზღვის მახლობლად მდებარეობს და რამდენადაც შეიძლება ამჟამად მისი ადგილმდებარეობის დადგენა. ახლანდელი ციხისძირის ნანგრევების ადგილზე უნდა ყოფილიყო აშენებული. დიუბუე დე მონპერე ნამდვილად სცდება, როდესაც პეტრას ადგილსამყოფელად რუსეთის გურიის ცენტრს-ოზურგეთს მიიჩნევს. ოზურგეთი სამი-ოთხი საათის სავალი გზით არის დაშორებული ზღვიდან, რაც ბიზანტიელების ცნობებს არ ემთხვევა“ [*კოხი, 1881: 183*]. როგორც ჩანს, კოხისათვის უცნობი არ არის სხვა წყაროებიც პეტრას ციხის შესახებ. „ბიზანტიური წყაროების ციხე-ქალაქი პეტრა ხანგრძლივი დავა-მსჯელობის შემდეგ გაიგივებულია აჭარის ციხისძირთან“ [*ნარკვევები, 1973: 208*].

ციხისძირიდან ერთი საათის სავალზე ჭოროხის შესართავია. ჭოროხი მთის სწრაფი მდინარეა. იგი ჰყოფს პონტოს მთას სომხეთს ზეგანისაგან და ძალიან ნაყოფიერია, აქაური მცხოვრებლებიც სხვებთან შედარებით, უფრო შრომისმოყვარე ხალხია. მათი სავაჭრო საქონელი-ბრინჯი და ხილი ჩააქვთ საკმაოდ დიდ და სტუმართმოყვარე ქალაქში - ბათუმში [*კოხი, 1881:1 84*]. კარლ კოხი აღწერს მდინარე ჭოროხზე ტივით მგზავრობას. „ნავები აქ არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ისინი არსად შეგვიმჩნევია. როგორც გვითხრეს, მდინარე ჭოროხი მეტად ჩქარია და სანაოსნოდ გამოუსადეგარო. მართლაც, ნავი უმკლავდება აზვირთებულ ტალღებს, მდინარის ხშირ ხვეულებს, ამომვერილ ლოდებს და სწრაფად იძირება. ტივი კი დიდი ძალის დაჯახებასაც უძლებს“ [*კოხი, 1881: 183*].

კ. კოხის დაკვირვებით, ჭოროხის მეორე ნაპირზე, რომელიც ზღვას სამ ტოტად ერთვის, ნაკლები მნიშვნელობის ციხესიმაგრე **გონიო** მდებარეობს. „საქმეში ჩახედული კაცისთვის აქაც შეიძლება ზოგი რამ საინტერესო გაირკვეს. გონიო თავადის რეზიდენციას წარმოადგენს. მართალია, თავადის მამული მხოლოდ დაბლობზე მდებარეობს, იგი მაინც **დერებაის**, ე. ი. ხევის თავადის სახელწოდებას ატარებს. ეს სახელი არა მარტო ლაზისტანში, არამედ მთელ პონტოს მთებშია გავრცელებული, ნაწილობრივ მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილშიც და ადგილობრივ გრაფს ნიშნავს, რომელიც, თავის მხრივ, სხვა უფრო მაღალი წოდების მთავარს ემორჩილება. ჩვეულებრივ ხევის მთავრები დამოუკიდებლები იყვნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ ისევე, როგორც ჩვენში შუა საუკუნის რაინდები“ *[კოხი, 1881: 194]*. ის შენიშნავს: „თუ ბათუმში სიცოცხლე ჩქეფდა და ქალაქში ჭრელი ხალხი ირეოდა, გონიოში, რომელიც სულ რამდენიმე ქუჩისაგან შედგებოდა, სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა. თუმცა ხევის თავადი თავაზიანად შეგვხვდა, მაგრამ რამდენჯერმე გვაგრძნობინა, რომ ევროპელები არ უყვარდა. თურქეთის მთავრობამ (რომელიც ფულის ნაკლებობას განიცდიდა და ვერ დაეხსნა თავი ამ გასაჭირისაგან). ხევის თავადებს მოსთხოვა ქვეყნის სიღრმიდან ხე-ტყე ზღვის სანაპიროსკენ გაეზიდათ და მათთვის გადაეცათ. თავისთავად ცხადია, რომ ეს მოთხოვნები არ გამოდგებოდა სიყვარულისა და ერთგულების დასამყარებლად. ხევის მთავრებმა ხე-ტყის გაყიდვის უფლება მოიპოვეს. მათ არ ეშინოდათ თურქეთისადმი თავიანთი სიმუღვილის აშკარა გამოხატვისა *[კოხი, 1881: 194]*.

კ. კოხი შთამბეჭდავად აგვიწერს ამ კუთხის ხალხის სტუმართმოყვარეობასა და ყოფა-ცხოვრებას. „ჩვენ შევჩერდით ლამაზ ადგილას გაშენებული კოხტა სახლის წინ. მთავრის და სტუმრის შესახვედრად ღია კარებიდან გამოვიდა სანდომიანი გარეგნობის ქალი, ხელში ლამაზი მუშუმწოვარა ბავშვით. დედის ძახილზე მოირბინა ორმა შედარებით მოზრდილმა ყმაწვილმა და ცხენები ჩამოგვართვეს. დიასახლისის ქმარი სანადიროდ წასულიყო და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდებოდა. სახლის მახლობლად წყლიდან წყარო ჩამოდიოდა. აქვე იდვა თასი მგზავრთათვის. წყაროს გვერდით დიასახლისის მიერ დაგებული ხალიჩაზე მოვკალათდით. მსახურმა ანკარა და სასიამოვნო წყლით სავსე თასი მოგვაწოდა. ჩვენში ამ ძველთაძველ სასმელს ჯეროვნად ვერ აფასებენ. ჩვეულებრივ უპირატესობას ანიჭებენ ლუდსა და ღვინოს, რომელიც უფრო ადვილიანებს და ისეთ სასიამოვნო გრძნობას არ ტოვებს, როგორც წყაროს წყალი *[კოხი, 1881: 207]*. მას მარჯვე დიასახლისმა ჯამით „**კარაქში შემწვარი ყველი**“ (ბორაო//ბორანო) და „**სიმინდის პურები**“ (მჭადი)

მიართვა. ქალს თან ახლდა ათი წლის საოცრად ლამაზი გოგონა, რომელსაც ხელში საუკეთესო თაფლით სავსე თევზში ეკავა. ამასობაში ბიჭებს ცხენები დაებათ. ერთი მათგანი რიგრიგობით დგამდა ტაშტს ფეხმორთხმული სტუმრების წინ და წყალს უსხამდა გაწვდილი ხელების დასაბანად. მას თან დასდევდა მეორე ყმაწვილი, ვიწრო პირსახოცით ხელში. თაფლმა მას ის დრო მოაგონა, როდესაც პომპეუსის ჯარისკაცები მოიწამლენ. აქედან გავრცელდა ამბავი მათრობელა თაფლის შესახებ და იელს, რომლის ყვავილებიდანაც ფუტკარი თაფლს აგროვებს, ნარკოტიკული თვისება მიაწერეს" [*კობი, 1981: 208*].

კარლ კობმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სწორედ ის ხალხი მასპინძლობდა ყველაზე კარგად, რომელსაც ყველაზე „ცუდი სახელი“ ჰქონდა იმ მხარეში. ამ „მოჩვენებით ცუდ სახელს“ კობი ასეთ ახსნას უძებნის. „თვით თურქი მოხელეები, რომლებსაც ხარკი ან გადასახადი აქვთ ასაკრები, ცდილობენ თავი აარიდონ იქ ჩასვლას, მით უმეტეს, თუ ერთხელ უკვე ცუდად შეხვდნენ მათ. სწორედ ამის გამოა, რომ აქაური მცხოვრებლები მიწას თავისუფლად ამუშავებენ და დიდ მოსავალსაც იღებენ. მოხელე მათ ვერ ჩაგრავს და ისე ვერ ავიწროვებს, როგორც ეს სხვაგან ხდება. მათ არ სჭირდებათ თავიანთი მოსავლის დამალვა გაუმამდარი მოხელეების შიშით. სხვაგან ასეთ ყაჩაღებს მართლაც უნდა ერიდოთ, მაგრამ თავის სამშობლოში უცხოელების მიმართ განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას იჩენენ [*კობი, 1981: 201*].

კარლ კობი საგანგებო გვაცნობს აჭარის ფლორას. „როგორც მაღლობი, ისე დაბლობი ხშირი ტყეებითაა დაფარული და ზოგან ზღვის სანაპირომდე აღწევს. მარადმწვანე ბუჩქები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ჭოროხის ჩრდილოეთით და სამეგრელოში. ველები მოფენილი იყო მშვენიერი **დეკას** ბუჩქებით, რომლებსაც აქა-იქ კიდეც შერჩენოდათ გვიანი ყვავილები (ისე კი უამრავი ყვავილით იყვნენ დახუნძლული). დაბლობ ადგილებში გავრცელებულ დეკას ხშირ ბუჩქებს შორის **მაყვლის** ბუჩქებიც გვხვდებოდა. შიგადაშიგ **წიფელი** მოჩანდა. ნაკლებად გვხვდებოდა **ბაბგი**, რომელიც თავისი წითელი კენკრებით ლამაზ ხასხასა სიმწვანესთან საოცარ კონტრასტს ქმნიდა და თვალს ახარებდა. აქა-იქ ნამდვილი **დაფნაც** გვხვდება. იქ, სადაც დაბლობი იწყება, საკმაოდ დიდი ფართობი უკავია **წყავს**, თავისი დიდი და მწვანე ფოთლებით. პონტოს **იელს** აქ უფრო იშვიათად ვხვდებით, ვიდრე სამეგრელოში" [*კობი, 1981: 182*].

საინტერესოა, კოხის მიერ უცხოური ტერმინების ქართული განმარტებები: **ქებაზი-მეყასპე და მზარეული ერთდროულად; ეთმექი -- ხაზაზი; კონაკი-სასტუმრო; პოლენტა ღომი.** კ. კოხის აზრით, ზღვის სანაპიროზე ბევრია ძველთაგან წამომდგარი და შემორჩენილი სახელწოდებები: **ბათუმი - ძველი ბათვისი, ხოფას მახლობლად მდებარეობს რიზე ძველად ციზედ წოდებული.** დასავლეთით, ზღვის ნაპირის გაყოლებით ერთმანეთს მისდევენ: **რიცუსი-ახლანდელი რიზა, ოფისი-ახლანდელი ოფი, ტრაპიზუნდი ანუ ტრაპიზონი** (ჩვენთანაც ტრაპეცუნტად წოდებული), **კერაზუსი-ახლანდელი კერასუნი, ტრიპოლისი-ახლანდელი ტირეპოლი** და სხვა *[კოხი, 1981:200]*.

ძველბერძნულ-რომაული წყაროებსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბათუმის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. აღნიშნავენ, რომ **მატიუმი** იგივე **ბათუმი** უნდა იყოს *[პლინიუს უფროსი, 1973: 31; ყაუხჩიშვილი, 1950-1951: 17-23; ყაუხჩიშვილი, 1969: 12-24]*. საგულგებელად გილას მსგავსი სახელის მქონე მდინარე (ბათისი) ყოფილა და სავსებით დასაშვებია, მის შესართავთან წარმოქმნილიყო მსგავსი სახელის ქალაქი *[გოგიტიძე, 2012: 7]*.

ამრიგად, კარლ ჰაინრიჰ ემილ კოხის ჩანაწერები მრავალმხრივ და საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმისა და ჭოროხის ხეობის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის, მოსახლეობის, ბუნების, გეოგრაფიულ გარემოს, ფლორისა და ტოპონიმების შესახებ.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ანჩაბაძე, 1966: - Анчабадзе З., Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси.

გოგიტიძე, 2012: - გოგიტიძე ს., ევსევი კესარიელის ცნობა ბათუმის შესახებ: ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი.

კახაძე, 2017: - კახაძე ნ., ქალაქ ბათუმის შემოგარენი (კახაბერი): ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, VIII, ბათუმი.

კოხი, 1981: - კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა): საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, XII, თბილისი.

მამაცაშვილი, 1981: - შესავალი და კომენტარები. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ: საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, XII, თბილისი.

პლინიუს უფროსი, 1973: - პლინიუს უფროსი, ბუნების ისტორია: ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევით და კომენტარითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბილისი.

ნარკვევები, 1973: - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 11, თბილისი.

უზუნაძე, 2010: - უზუნაძე რ., ბათუმი ძველ ევროპულ და ოსმალურ წყაროებში, აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში, ბათუმი

უზუნაძე, 2012: - უზუნაძე რ., უზუნაძე მ., ცნობები ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ (XIX ს-ის დამდეგი 40-იანი წლები): ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი.

ყაუხჩიშვილი, 1950-51: -- ყაუხჩიშვილი ს., ბათუმის ისტორიისათვის: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი.

ყაუხჩიშვილი, 1969: - ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი.

Mariam Koberidze (Gori Georgia)

Karl Heinrich Emil Koch's Notifications About Batumi

Summary

For the study of the socio-cultural, economic and ethnographic life of Batumi, it is important records of the travelling of the famous botanist for his time Karl Heinrich Emil Koch professor of Jena University, the traveling. He traveled to Georgia and the Caucasus in 1836-1838. Karl Koch first traveled to East Georgia in 1836. During this trip he visited the Caucasus (from Samegrelo to Batumi). He has published the results of his journey several times in Germany. In his memories special place has Batumi, its climate, trade relations, ethnographical life, toponymia (Batvisi, Kakhaberova, Batumi fortress...), hospitality, culture, fauna, cuisine... In the article is analyzed Karl Heinrich Emil Koch's information and evaluation about Batumi of the first half of the nineteenth century. Karl Koch's information is compared to other researchers' opinions, correspondent conclusions are represented.

„დავითის ფარის“ (მაგენ დავიდი) გამოსახულება II-III სს. ებრაულ საკინძზე (გონიო-აფსაროსი)

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გონიო-აფსაროსის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური გათხრების დროს სამხრეთ კარიბჭესთან, აბანოთუბანში (SW II სექტორის 69-ე კვადრატში) ახ. წ. II-III სს. კულტურულ ფენაში 0,50 მ სიღრმეზე მრავალფეროვან არტეფაქტებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძის ფრაგმენტი (სურ. 1, 2). შემორჩენილია 2,2 სმ დიამეტრის მქონე, ბრტყელი, მრგვალი თავი და ყუნწის ნაწილი. შუბლზე ამოღარული აქვს გეომეტრიული ფიგურა ჰექსოგრამა ანუ ექვსქიმიანი ვარსკვლავი (სურ. 3).¹ ესაა ებრაული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო – მენორასთან ერთად. ის „დავითის ვარსკვლავის“ სახელით (ებრაულად: მაგენ დავიდი) არის ცნობილი. სხვა ძველადმოსავლური ცივილიზაციებისგან განსხვავებით, მას არა მარტო ასტროლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ის განასახიერებდა ზებუნებრივ ძალას, სამყაროს ფილოსოფიურ გააზრებას. ებრაულ რწმენა-წარმოდგენებში „დავითის ვარსკვლავი“ ზეციური და მიწიერი, შეუთავსებელი სტიქიების – ცეცხლისა და წყლის ერთიანობის მაგიური სიმბოლოა, ამასთანავე მამაკაცური და დიაცური საწყისის საფუძველი. „ერეც – ისრაელის“ ნაყოფიერებისა და უსაფრთხოების მცველი. ამის გამოა, რომ ის თანამედროვე, აღორძინებული ისრაელის სახელმწიფო სიმბოლიკის ძირითადი წამყვანი ელემენტია [დაწვრილ ტექსტში: *Attias, Ben Bass, 1997; თოფჩიშვილი-გიგინეიშვილი, 2012: 146-163*]. ებრაულ „ბეით კნესეტი“ სალოცავებში (სინაგოგებში) ტრადიციულად „დავითის ვარსკვლავს“ გამოხატავენ ცენტრალურ კედელზე, იმ კარადის თავზე, სადაც თორა ინახებოდა. ის აქ „შხინას“ ღვთიური სულის არსობის მაჩვენებელია. ამიტომ, რომ სინაგოგაში ქალებისათვის კაცების საპირისპირო, ზედა საპატიო ადგილია გამოყოფილი. ისინი ცალკე ლოცულობენ, მაშინ როცა მოესურვებათ, ყოველგვარი რეგლამენტაციების გარეშე. „დავითის ვარსკვლავი“ შედგენილია ორი სწორკუთხა სამკუთხედის ერთმანეთის საპირისპიროდ,

¹ მაღლობას მოვახსენებთ პროფ. შ. მამულაძეს, გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორს პუბლიკაციის ნებართვისათვის [კახიძე, მამულაძე, 2004: 4-107; აქვე იხ.: ებრა-ლიძე, 2004: 108-116].

ერთმანეთზე დადების მეშვეობით. ის აღიქმება შესაქმის ექვსი დღის სიმბოლოდაც. ბიბლიური ტრადიციით, „მაგენ დავიდი“ ამშვენებდა დიდი დავით მეფისა და წინასწარმეტყველის (ძვ.წ. 1055-1015 წწ.) ძლევამოსილ, მძიმედ შეიარაღებულ ჯარისკაცთა ფარებს – „დემონთა დასაფრთხობლად“. ეს მოტივე ფართოდ იყო გავრცელებული ებრაულ სამყაროში, მათი გამოსახულებებით ამკობდნენ ამულეტებს, „მეზუზებს“ და მენორებს ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება ქალაქ სიდონის გათხრებისას ნაპოვნი ბეჭედ-საბეჭდვი... ებრაული წარწერა გვამცნობს, რომ ის ეკუთვნოდა ვინმე „იეხიშია ბენ ასაიახუს“ ცნობილ კაპერნაუმის სინაგოგაში, მის ფრიზს ამშვენებდა „მაგენ დავიდი“. იერუსალიმის შემოგარენში „იან ეალეში“ არქეოლოგებმა გამოავლინეს რომაული ხანის ვილა, რომლის იატაკის დეკორს „მაგენ დავიდი“-ს მოტივები ახასიათებს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი „დავითის ვარსკვლავის“ გამოსახულებიანი ბრინჯაოს საკიდი იუდაელ ლეგიონერს ან ვაჭარს ეკუთვნოდა. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია ისტორიული ფაქტი, რომ აფსაროსი ახ.წ. I-III სს. წარმოადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს. აქ იდგა რომაული X, XII, XV ლეგიონების ცალკე ვექსილაციები *[Мамуладзе ..., 2002: 38-41]*. სპეციალისტები არ გამორიცხავენ იმ გარემოებას, რომ აფსაროსში გადმოსროლილი ყოფილიყო იუდეა-პალესტინაში დისლოცირებული X ლეგიონის საინჟინრო-სამშენებლო ნაწილები აფსაროსის კასტელუმის წყალგაყვანილობის მოსაწყობად II ს. *[გამყრელიძე, თოდუა, 2006: 65-66]*. ამ ფონზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ იუდეასა და აფსაროსის კასტელუმს შორის პირდაპირი კონტაქტების არსებობაზე, აქ აღმოჩენილ სხვა რომაულ დენარებთან ერთად, მეტყველებს მისი იდუმალი სიკვდილის წინ, იერუსალიმში 44 წელს მოჭრილი იუდეას მეფის აგრიპა I ჰეროდეს მონეტაც *[ვარშალომიძე, 1999: 89]*.

ძნელია არ დაეთანხმო ახალგაზრდა მკვლევარს ემზარ კახიძეს, რომელიც თავის სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავდა: „რომის იმპერიასთან – „დასავლეთთან“ თანამშრომლობამ ქართველობის „თავისთავადობის შენარჩუნებას უფრო შეუწყო ხელი, ვიდრე ეს აშკარა დაპირისპირების პირობებში იყო შესაძლებელი“ *[კახიძე, 2002: 12]*.

რომაული პროვინციებიდან, იუდეა პალესტინა იერუსალიმ-კაპადოკიიდან შემოვიდა ჩვენში ქრისტიანობა, ჩვენი კულტურის საფუძველი.

**Image of David's Shield (Magen David)
on the II-III cc. Jewish Fastener (Gonio-Apsaros)**

Summary

In south-western Georgia, during the archaeological excavations in Gonio – Apsaros fortress-city, (in the 69th square of the SW II sector) in Abanotubani among the diverse artefacts at a depth of 0.50 m in the cultural layer of the II-III cc. AD there was found a fragment of the bronze fastener (fig. 1, 2). A 2,2 cm diameter flat, round head and part of the helve are preserved. On the forepart there is a milled figure hexagram that is a six-pointed star (fig. 3)². This is one of the main symbols of Jewish identity together with Menorah. It is known by the name of “David’s Star (in Hebrew “Magen David”). Unlike other ancient oriental civilizations, it did not have only astrological charge. It personified supernatural force, philosophical perception of the universe. In the Jewish faith-imaginings “David’s Star” is the symbol of heaven and earth, of incompatible disasters – a magical symbol of fire and water unity. Furthermore the basis of the masculine and feminine origin. “Erets – Israeli” productivity and safety guard. Because of this, it is the main element of modern, renewed Israeli state symbol [*for the details see: Attias, Ben Bass, 1997; თაყაიშვილი-გიგინეიშვილი, 2012: 146-163*]. Traditionally, in Jewish “Beith Kneset” chapels (in synagogues) “David’s Star is depicted on the central wall at the top of the cupboard where the Torah was kept. Here it is the symbol of existence of the divine spirit of “Shkhina”. That is why for the women in synagogue there is allocated the upper honorific place opposite of men. They pray separately when they wish, without any regulations. “David’s Star is composed of contrary to each other two right triangles, by putting one onto the other. It is perceived as a symbol of the creation of six days. According to the biblical tradition, “Magen David” adorned the shields of the powerful and heavily armed soldiers of David – the Great King and prophet (1055-1015 BC) “to keep demons away”. These motives were widely spread in the Hebrew world, with these images they adorned the amulets, “Mezuzies” and Menorahs. The signet found during the excavations of the city of Sidon dates back to

² We thank Prof. Sh. Mamuladze, head of the Gonio-Apsaros permanent archaeological expedition, Director of the Gonio-Apsaros Museum-Sanctuary for the publication permission [*კახიძე, მამულაძე, 2004: 4-107*; see also *ებრალოძე, 2004: 108-116*].

the VII c. BC ... The Hebrew inscription tells us that it belonged to certain “Yekhsheya Ben Asaiakhu” in the synagogue of the well-known Capernaum and his frieze was adorned by “Magen David”. Archaeologists have discovered a Roman villa in “Ean Eale” in the vicinity of Jerusalem, the floor décor of which is characteristic for the motives of “Magen David”.

It can be assumed that the bronze fastener with the image of “David’s Star”, that was found in Gonio-Apsaros, belonged to a Judaic legionary or a merchant. Archaeological excavations have confirmed the historical fact that Apsaros in the I-III cc. AD was one of the most important forepost of the eastern border of the Roman Empire. There stood separate vexillations of Roman X, XII, XV legions [*Мамуладзе ...*, 2002: 38-41]. Specialists do not exclude the fact that engineering and construction units of the X legion deployed in Judea-Palestine could have been thrown to Apsaros to arrange the water supply for Apsaros Castellum in the II c. [*გამყრელიძე, თოდუა, 2006: 65-66*]. On this background it can bravely be said that along with the other Roman dinars, a coin minted in the year 44 by the King of Judea – Agrippa I Herodias prove the existence of the direct contacts between Judea and Apsaros Castellum [*ვარშალომიძე, 1999: 89*].

It is difficult not to agree with Emzar Kakhidze, a young researcher who stated in his doctoral thesis the following: “Cooperation with the Roman Empire – the “West”, helped to preserve self-dependence, originality more than it was possible in confrontation conditions” [*კახიძე, 2002: 12*].

The basis of our culture – Christianity, was spread in our country from Roman provinces: Judea, Palestine, Jerusalem-Cappadocia.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

გამყრელიძე, თოდუა, 2006: – გამყრელიძე გ., თოდუა თ., რომის სამხედრო პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. „საუნივერსიტეტო გამოცემა“, თბილისი.

ებრალიძე, 2004: – იმპორტული კერამიკა, – კრ. “გონიო-აფსაროსი”, IV, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 108-119.

ვარშალომიძე, 1999: – ვარშალომიძე ირინა, გონიო-აფსაროსის ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №7, ბათუმი; იხილეთ მისივე: მაკედონური და იუდეური მონეტები გონიო-აფსაროსიდან, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1999, № 2, ბათუმი.

ვარშალომიძე, 2004: – ვარშალომიძე ირინა, სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩენილი მონეტები, – კრ. “გონიო-აფსაროსი”, IV, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 141-151.

თოფჩიშვილი-გიგინეიშვილი, 2012: – თოფჩიშვილი-გიგინეიშვილი ეთერ, ებრაული სიმბოლოები. სოხნუნტი – გამომცემლობა „ვიქტორია“, თბილისი.

კახიძე, მამულაძე, 2004: – კახიძე ამირან, მამულაძე შოთა, სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წწ. წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. – კრ. “გონიო-აფსაროსი”, IV, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 4-107.

კახიძე, 2002: – კახიძე ემზარი, რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი-ზღვისპირეთი ახ. წ. I-V სს., თსუ, ავტორეფერატი, თბილისი.

შალიკაძე, 2004: – შალიკაძე თამარი, მინის ნაწარმი, – კრ. “გონიო-აფსაროსი”, IV, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, გვ. 120-140.

Attias, Ben Bass, 1997: – Attias J., Ben Bass E., Dictionnaire de Civilisation Juive Larousse, Paris, 1997.

Мамуладзе ..., 2002: – Мамуладзе Ш., Халваши М., Асланишвили Л., Римские гарнизоны Апсара. Ж. “Вестник древней истории”, М., 2002, № 1.

ძველი ბათუმი და ბათუმელები (ნუგზარ ჯაფარიძის მემუარების „მოგზაურობა ბათუმში“ მიხედვით)

*„ჩემო ძვირფასებო, მე ვიწყებ მოგზაურობას ბათუმში.
გააღეთ თქვენი სახლის ფანჯრები და თუ ჩემი ხმა
თქვენს გულებამდე ვერ მოაღწევს, დაგმანეთ ისევ“.
ნუგზარ ჯაფარიძე*

ბათუმი და ბათუმელები არა ვართ განებივრებულნი ჩვენს შესახებ არსებული მემუარული ლიტერატურით, ამიტომ მსგავსი ტიპის ნებისმიერი ნაწარმოები მნიშვნელოვანია. ნუგზარ ჯაფარიძის „მოგზაურობა ბათუმში“ ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ტექსტია. ის ბიოგრაფიულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშია, პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ეკლექტიკურობით დაღდასმული. მასში შეხვდებით მოგონებებს, ანეგდოტებს [„ნამცეცები“] *[ჯაფარიძე, 1997: 276; ჯაფარიძე, 2003: 235]*¹. რომლებიც შესანიშნავად ასახავენ ეპოქას, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების ოსტატურად შესრულებულ პორტრეტებს, ამა თუ იმ საიუბილეო საღამოზე წაკითხულ მისასალმებელ სიტყვას, კომპარტიის პლენუმსა თუ პარტიის ყრილობაზე გამოსვლის ტექსტს, გარიტმულ თუ თეთრ ლექსს, მძაფრ პუბლიცისტურ წერილსა და იგავებს, ინტერვიუებს, ნეკროლოგებს, რეცენზიებს სპექტაკლებზე, ეპისტოლეებს ლექსად *[„წერილი რამაზ სურმანიძეს აგვისტოს თანხლებით“ – 2:19]*, მშვენიერ ნოველებს *[„მთვრალი ზაფხული“ – 1:396]*, ჩანახატებს, მინიატურებს, ავტობიოგრაფიის ფრაგმენტებს *[„ახლა კი ნამდვილად დავისვენოთ“ – 1:213]* და ა.შ. ყველაფერი ერთად კი ქმნის ეპოქის საკმაოდ რეალისტურ სურათს, წარმოდგენას გვიქმნის გასული საუკუნის შუა წლების (ზოგიერთ შემთხვევაში – კიდევ უფრო ადრეული – 20-30-იანი წლების) ბათუმის, ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ხასიათზე, ყოფა-ცხოვრებაზე. ავტორი ახერხებს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალების, თითქოს შემთხვევითი ფრაზის, ანეგ-

¹ შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან; მივუთითებთ მხოლოდ ტომს და გვერდებს.

დოქტის საშუალებით შექმნას იმ დროისათვის დამახასიათებელი განწყობა, სურათი, ემოციური ფონი.

მემუარები ხომ იქმნება იმ ადამიანის მიერ, ვინც მონაწილე და თვით-მხილველია აღწერილი ამბებისა, ვინც „პერსპექტიულ მზერას წარსულის მიაპყრობს და გარკვეული იდეური კონცეფციის თვალსაზრისით გადმოგვცემს დროის რაღაც მონაკვეთში მომხდარი მოვლენების ანალიზს“ *[გაფრინდაშვილი, 2011:311]*.

იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ წიგნში საკმაოდ ბევრია დროის კარნახით, კონიუნქტურის ძალით შექმნილი პორტრეტები, პანეგირიკული წერილები (ვფიქრობთ, ამაშიც იმ ეპოქის თავისებურება იკითხება), ნუგზარ ჯაფარიძის ორტომეული საინტერესო მასალას შეიცავს ძველი ბათუმის, უფრო ზუსტად, მისი ბავშვობის სახლის „აივნიდან დანახული ბათუმისა“ *[1:118]* და მის მკვიდრთა ცხოვრების შესახებ. ყველაფერი, რაც ბათუმის ისტორიასა და ჭეშმარიტ ბათუმელებს ეხება, ნიჭიერი შემოქმედის უცთომელი თვალითაა დანახული და ოსტატის კალმით აღწერილ-აღნუსხული, თანაც ემოციურად, გულწრფელად, მართლად.

ჩვენ შევეცდებით ამ ჭრელი მასალიდან ამოვიღოთ ყველაზე ღირებული, საინტერესო და ვნახოთ, როგორია ნიჭიერი ბათუმელი მემუარისტის თვალთ დანახული ჩვენი ქალაქი გასული საუკუნის შუა წლებში და როგორი ბათუმელები დადიოდნენ მის ქუჩებში.

„ახლო წარსულის მოგონებათა სამყოფელში დარჩენილან ჩვენი ბავშვური სულის უფაქიზესი მიმოქცევანი“ *[1:154]* – გვიმხელს ნუგზარ ჯაფარიძე. მაინც, როგორია „სულის ეს მიმოქცევანი“, რა ფერებით, ხმებითა თუ სურნელით შემორჩა მათ მშობლიური ქალაქი. აი, ისიც – მემუარისტის თვალთ დანახული ძველი ბათუმი და მისი მცხოვრებნი, თუმცა სიტყვათშეთანხმება „ძველი ბათუმი“ დაზუსტებას მოითხოვს, უფრო სწორად – დასაკონკრეტებელია, რას ვგულისხმობთ ამ წყვილის მსაზღვრელში „ძველი“. „ძველია“ მე-19 საუკუნის, მე-20 საუკუნის დასაწყისის, შუა წლების და, წარმოიდგინეთ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბათუმიც კი. ძველია ის 21-ე საუკუნეში მცხოვრებთათვის, თუმცა ბევრი ჩვენგანი სწორედ მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოვდივართ და კარგად გვახსოვს მართლა ქათქათა, კოპწია, მყუდრო, თბილი და ტკბილი ბათუმი. გვახსოვს ათასფერადი ყვავილებით მოქარგული ბულვარი – „სიყვარულის ბაღი“, ვგრძნობთ მათ თავბრუდამხვევ სურნელს: „მოვლილი, სუფთა, ყვავილების სურნელით ავსებული... აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს შეყვარებულები. აქ, ტუიას მაღალი ბუჩქების მიღმა ირჩეოდა

ბათუმის უბნებში დაწყებული ჩხუბი“, ღია ესტრადაზე უკრავდა სამხედრო გარნიზონის სასულე ორკესტრი, ფეხით სავალ ბილიკებზე სპეციალურად შერჩეული, გაცრილი და გარეცხილი ცისფერი კენჭები ეფინა [1: 71]. ბულვარში წასვლა კი ბათუმელებისთვის მთელი რიტუალი იყო; იქვე იყო ფასიანი და უფასო, საერთო და ქალთა პლაჟები.

გვახსოვს ზღვაში ხიმიჩგებზე შემდგარი ცისფერი „ტალღაც“, ბულვარში ჩასმული მშვენიერი „სალხინო“, „სუროს ფოთლებში გაბლანდული მაისის მზე, თუხთუხა ყავა და უფრო მწველი „ენისელი“ [1:36], რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობაზე შიშველ ბეტონზე ამოსული ტანაყრილი, დედოფალივით მშვენიერი ნაძვი [1:15], მრავალეროვნული ქალაქის კოლორიტული ე.წ. „იტალიური ეზოები“ – ბაბილონის გოდოლივით აჭრელებული, ცამეტ ენაზე რომ გაიგონებდი ლოცვასაც და წყევლასაც [1:41].

მემუარისტი იხსენებს ყოფილი კოლმეურნეობის [ე.წ. ბაზრის], ამჟამად თბილისის – „პოეზიის მოედანს“ – სავსეს სხვადასხვა მარკის ავტომობილებით, მარჩიელი ბოშა ქალებით, ჯიბის ქურდებით, ამ მოედნის რეალური ბატონ-პატრონით, მისი „შუბლით“, კეთილი და მამაცი მილიციის სერჟანტ ჩორნი მემედათი, რომლის სასტვენის ხმა იქვე აშეშებდა გაქცეულს, მოედანს, სადაც სოფლებიდან ჩამოსული ნენეები საპატარძლოებს ნახულობდნენ: „გოგო თუ შეხედულია, კაი გვარიშვილი და თანაც ახალგაზრდა, ბევრი ამბავი აღარ უნდა, მაგრამ საცოდავი, შეუხედავი თუა, მაშინ აქაქანდება ელჩი (მაშვალი): ცავ, იმფერი საქმე იცის, ყანა, ბახჩა, ახორი, ჭრა, კერვა, ენის უთქმელია, საღამოს ძმა აკითხავს და იმას მიყავს სახლში, მარტო არ იარება და ა.შ.მოკლედ, გავათხოვთ და ესაა ჩვენი მოანგარიშე-ბულალტერი. აშენდება ოჯახი, იმფერ ბაღნებს გააჩეჩებს, ავ თვალს არ დაენახვება“ [1:47]. ასეთი მსუბუქ-ირონიული ტონით იხსენებს მემუარისტი ელჩობის, გადანახულების არცთუ შორეულ ტრადიციას, მე-20 საუკუნის სოლომან მორბელაძეებს.

არც კინოთეატრი „ოქტომბერი“ ავიწყდება – ყოფილ ლენინის ქუჩაზე მდებარე, სეანსის დაწყების წინ რომ ორკესტრი უკრავდა, მშვენიერი დარბაზით, საზაფხულო პავილიონით, ბილეთების რიგებით [1:64].

გვახსენებს ღამის ქორწილებსა და ეზოებში გადაჭიმულ სეფებს, მუსიკოსებით: დოლ-აკორდეონი – აუცილებლად, ქართული ცეკვა-სიმღერა, გამშველებლები [თავში ღვინოავარდნილი და აყალმაყალის მოყვარული შარიანი სტუმრებისთვის [1:70].

განსაკუთრებული სევდიანი სიყვარულით იხსენებს ნუგზარ ჯაფარიძე ე.წ. „აკადემიას“ – რესტორან „აჭარის“ მესამე სართულს დიდი დარბაზით,

ქედურობით, ბარელიეფებით, სონას განთქმული შაურიანი ყავით, ბათუმელი და არა მარტო მათი, ნაღები ინტელიგენციის თავშეყრის ადგილს: „აკადემია – ეს სახელი ერთი და ორი კაცის დარქმეული არ გახლდათ, ქალაქმა შეარქვა ჩვენს ლამაზ კაფეს, მის ბინადრებს აკადემია. ბინადრებს იმიტომ, რომ თუ კაცის პოვნა გინდოდა, „აჭარაში“, მესამე სართულზე, აკადემიაში ნახავო, გეტყოდნენ“. ნუგზარ ჯაფარიძის თქმით, აკადემია იყო ბათუმის ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი განათლებისა და კულტურის კერა, რომელიც მის წევრებს ნელ-ნელა ხელში შაგრენის ტყავივით ჩაადნათ და ბოლოს სულაც დაიხურა (რაც პოსტკომუნისტურ პერიოდში ნიშნავს – გაიყიდა!) [1:192].

ყოველგვარი შეფერადების გარეშე იხატება საბჭოთა იმპერიის ნანგრევებში მოქცეული საქართველოს ყოველდღიურობა: ნავთობის, რკინის თუ სხვა ათასი ბიზნეს-მაფიის მიერ უშუქ-უგაზ-უწყლო-უპუროდ დარჩენილი ქვეყანა, „პრიხვატიზაციის“ შემზარავი პროცესი, კიდეც უარესი – ერთმანეთს დარეული მომძენი და ამით მოსარგებლე მტერი, რომელმაც საქართველოს მესამედი დღისით-მზისით, „შეშფოთებულ-აღშფოთებული“ მსოფლიოს წინაშე ისე მიითვისა, წარბიც არ შეუხრია... და ასე უღმერთოდ დაგლეჯილ-დაწიწილაკებული სამშობლოს პატრონი ოცნებობს დროზე, როცა ჩვენს ქვეყანას არც გრუზია ერქმევა, არც – ჯორჯია და არც – გურჯისტანი, ის მთელი მსოფლიოსთვის იქნება საქართველო! [1:311]. ეს ხომ ყველა ქართველის ოცნებაა.

მემუარისტი არც ქათქათა, თვალწარმტაცი, ზურმუხტისფერი ბათუმის სავალალო მეტამორფოზას ივიწყებს და ხატავს 90-იანი წლების ბათუმს: „დაღეწილი ქუჩებით, ნაგვის გორებით, მაწანწალა ძაღლებით, უპატრონო პირუტყვით, ახორხილი ჯიხურებით, თავღია ჭებითა და საყოველთაო სიბნელით“ [1:382].

განსაკუთრებულ ხიბლს ნუგზარ ჯაფარიძის წიგნს სძენს იუმორი და თვითირონია, რაც ავტორის ბავშვობისა და ახალგაზრდობის მოგონებებს გულწრფელობასა და სიმსუბუქეს ანიჭებს. აი, როგორი მწარე თვითირონიით აღწერს ის 90-იანების რეალობას: „არა, მაინც რა კარგი ყოფილა ლამფის შუქზე წერა. ზიხარ შენთვის, არც ტელევიზორი გაწუხებს, არც ლოგინში შეყუჟული ცოლ-შვილის ფორიაქი, აღარც მაცივარი კრიახობს და პარტიზანივით ენაჩაყლაპული ონკანი ნიკელიანი თვალებით განიშნებს, არიქა მოასწარი და დაწერე რამე თორემ, საცაა ვეღარ გავუძლებ და ენა წყლად მექცევო...“ [1:306].

ნუგზარ ჯაფარიძეს განსაკუთრებით კარგად ეხერხება ადამიანთა პორტრეტების შექმნა. რამდენიმე შტრიხით ისე მოხდენილად და ზუსტად იხატება

ესა თუ ის პიროვნება, რომ მკითხველს აღარასოდეს ავიწყდება ისინი, მათი გალერეა კი ბათუმელის ზოგად მომხიბლავ და კოლორიტულ სახეს ქმნის. ვის არ შეხვდებით აქ, აი, ისინიც:

კალაიჯები – რომელთა გამურულ სახეებში მემუარისტი თავის ბავშვობას ხედავს [1:12];

ფერიკ ქიქავა – ბაჯადლო გულის პატრონი, დარდიმანდი, მოქეიფე, დარ-ბაისლური სიტყვა-პასუხის მქონე – „ოდნავ ნაღვლიანი, ბათუმის ქუჩებზე შეყვარებული უბრალო მოქალაქე“ [1:14], რომელსაც არ სჭირდებოდა საპატიო (თუ ჭეშმარიტი) ბათუმელის ოფიციალური წოდების მინიჭება, რადგან ის დაბადებიდან ნაღდი ბათუმელი იყო;

თემელ მიქელაძე – „შინდისფერ ჩაქურაში გამოწყობილი“ „განდაგანას“ დიდოსტატი [1:55];

სერჟანტი ჩორნი მემედა – ავტორის ბავშვობის პირველი მილიციელი – გულიანი ადამიანი, ციხეში კაცი რომ არ ჩაუსვამს [1:48];

აზიაკცების განთქმული მკერავი – კვარაცხელია [1:122];

ართვინელი სომეხი სონა – ბათუმის ყავის დედოფალი – „აკადემიის“ სტუმრების მუდმივ მომღიმარი მასპინძელი, ყავის ჭიქაზე მკითხაობით გადა-რეული რომ ჰყავდა „აკადემიის“ სტუმრებიცა და მასპინძლებიც [1:50];

კოსტა წულაძე – კოლორიტული ბათუმელი, ვისი მოსწრებული სიტყვა-პასუხი თუ საქციელი უმაღლეს ანეგდოტებად რომ ვრცელდებოდა ქალაქში [1:280].

ჟორა ექიმი – გიორგი ალექსანდრიდი – ხალხის უსაყვარლესი „ყველაფ-რის ექიმი“, უშორეს სოფლებში ფეხით რომ დადიოდა, მედიკამენტებიც მიჰქონდა, პაციოსნებისა და პროფესიონალიზმის ეტალონი [1:330];

მემედ აბაშიძე – მტრის – მტრულად და მოყვრის მოყვრულად დამხვდო-მი, თავისი დროის უგანათლებლესი კაცი, თურქეთის სამხედრო მინისტრს რომ განუცხადა: „ბათუმი საქართველოა. თქვენ აქ სტუმრები ბრძანდებით, ჩვენ კი მასპინძლები ... იმედი მაქვს, მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთ“ [1:20];

გულო-აღა კაიკაციშვილი – სკოლებს რომ ხსნიდა და აქილიკებდნენ, აჭარის მცხოვრებთ ერთი საქართველოსთვის ანთებულ სანთელს უწვდიდა და „გავეშებით უქრობდნენ“ და რომელსაც მიუქცევლად სწამდა იმ უქრობი ვარსკვლავისა, სრულიად საქართველოსთვის მეგრძოლებს რომ უნათებდა გზას [1:158];

ნადიმ ნიჭარაძე – 23 წლის მეცნიერებათა დოქტორი – ბათუმის პედინს-ტიტუტის რექტორი, „აჭარის გულის ფეთქვის დიდ მცოდნე, პერსპექტივის დამნახავი, მიმნდობი, მიამიტი და ამასთან, ისეთი ჯიუტი და ფიცხი, თუ გულში რაიმე ღირებულს ჩაიდებდა, უკან ვერ დაახევინებდი“ [1:52];

მიტროფანე ღლონტი – აჭარის სოფლის მეურნეობის დიდი მოამაგე და მისი ვაჟი, ყველასათვის საყვარელი მსახიობი – ლევან ღლონტი [1:108];

შოთა ქურიძე – გაზეთ „აჭარის“ რედაქტორი, ლადო ასათიანის სიყრმის მეგობარი და შესანიშნავი მკვლევარი [1:118];

იუსუფ კობალაძე და მურად ხინიკაძე – ქართული სცენის მშვენიერები, რომლებმაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უანგაროდ, თავდადებით ზიდეს ბათუმის სახელმწიფო თეატრის „ნარეკლიანი, ხშირად ტკივილიანი და აუწონავი ტვირთი“ [1:159]; სწორედ ასეთ დიდებულ შემოქმედთა დამსახურება იყო, რომ ბათუმელები თეატრში წასასვლელად საგანგებოდ ემზადებოდნენ, ირთვებოდნენ (ქალები „ლაკის ფეხსაცმელებსაც კი აჭრევინებდნენ სპეციალურად“ – [1:160]), საზეიმოდ გამოწყობილნი და, რაც მთავარია, განწყობილნი მიდიოდნენ ხელოვნების დღესასწაულთან შესახვედრად;

ჯემალ ნოღაიდელი – ვის მიერ მოპოვებული ქართული პოლიფონიური სიმღერის ნიმუშები ავთანდილის ჯადოსნური სიმღერის მსგავსად აცოცხლებდა სამყაროს, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი [1:136];

მამია ვარშანიძე – „დიდი ბავშვი... საოცრად მიმნდობი და უღალატო კაცი, პოეტი, ვინც პირველად თქვა: „მოდით, მნახეთ, მე აქ ვსახლობ, მზე აქ შემოჩერდება“ [1:76];

ხასან ჰელიმიში – უამრავ ჭირვარამგამოვლილი, უნიჭიერესი მხატვარი, პოეტი, თავისუფალი, ტკბილი და სევდიანი ლაზური სულის მქონე, გულალაღი, კაცთმოყვარე შემოქმედი [1:196];

ალი სამსონია – ბათუმის ისეთივე განუყოფელი ნაწილი, როგორც ნაკადული მდინარისათვის, ბრწყინვალე იუმორისტი, ჟურნალისტი, რედაქტორი და უბრალოდ – დიდი ბათუმელი [1:221];

ალექსანდრე [შოშია] ჩხაიძე – ნიჭიერი დრამატურგი, ენაკვიმატი და კოლორიტული ბათუმელი [1:231];

სულიკო ჟღენტი – „ჯარისკაცის მამის“, „წუთისოფლის“, „ფესვების“, „ნერგების“ და სხვა მსოფლიო დონის კინოშედეგების სცენარების ავტორი, ბრწყინვალე კინოდრამატურგი, რომლის შემოქმედება ჰუმანიზმით, მაღალე-

თიკური ზოგადკაცობრიული ღირებულებებითა და ეროვნული ცნობიერებით გამოირჩევა [2:93];

გიორგი სალუქვაძე – „უღლის გამწევი კაცი... ბათუმის მოქალაქე, მისი შემნახველი და მომღერალი“ [1:246];

ნელი დუმბაძე – ბათუმის ულამაზესი ქალბატონი, პედინსტიტუტის პირველი ქალი-პროფესორი, რომელმაც უამრავი თაობა დააკვალიანა და რომელსაც ბათუმელების სახელით ასე ლამაზად უხსნის სიყვარულს ნუგზარ ჯაფარიძე [1:365];

ფრიდონ ხალვაში – აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვის პატრიარქი, სამშობლოს „მაჯის მცნობელი“, „უცვლელი ლიდერი“, „პირველი სიტყვის მთქმელი, ავტორიტეტი და პოპულარობის ეტალონი“, რომელიც „მთელი ცხოვრება ფავორში იყო“ და თავის ტალანტს საბრძოლო იარაღად იყენებდა [1:311];

ზურაბ გორგილაძე – ბათუმის ღვიძლი შვილი და განუმეორებელი მომღერალი, „ხატიმამულის წყაროსთვალიდან ამოსული“ ბუღბუღი: „პირველი პოეტი, პირველი თამადა, პირველი დენდი, პირველი მოჩხუბარი“ [1:336];

ზურაბ ხაბაძე – უნიჭიერესი მხატვარი – „მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერით“, ბოჰემური სულით სავსე, რომლის „პოტენციურ საცოლეებს პუშკინის უვაროვის ალბომიც ვერ დაიტევს“ და რომლის სახელოსნოც „თავისებური კულტურის ცენტრია, სადაც მხოლოდ სილამაზე, სიყვარული და გონიერება ზეიმობს“ [1:334];

და კიდევ უამრავ სახელსა და სახეს გვაცნობს ნუგზარ ჯაფარიძე ბათუმში მოგზაურობისას, თითოეულ მათგანს ქალაქის ცხოვრებაში თავისი ადგილი ჰქონდა და აქვს: მეყავესა და პროფესორს, მეწაღესა და მწერალს, მილიციელსა და მხატვარს, ექიმსა და აგრონომს, მსახიობსა და ინჟინერს ... ყველას შეჰქონდა და შეაქვს წვლილი ბათუმის განუმეორებელი იერ-სახის შექმნაში, მისი დღევანდელი დღის დამშვენებასა და ხვალინდელი დღის შენებაში. იხატება იმ ადამიანების პორტრეტებიც, რომელთაც ააშენეს ასაშენებელი და დაანგრიეს დასანგრევი, მაგრამ „შემდეგ დაიბნენ, გაუჭირდათ, გზა ვეღარ ნახეს“ [1:195].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მემუარების ტექსტი ჟანრობრივად არაერთგვაროვანი ნაწილებისგან შედგება, ასეთივე განსხვავებულია ავტორის სტილიც: პუბლიცისტურს – დოკუმენტური, ზოგჯერ – საკანცელარიო, ამ უკანასკნელს კი მხატვრული ცვლის. აი, მაგალითად, როგორ იხატება მშვენიერი მეტაფორებით, შედარებებით, ეპითეტებით კოლორიტული პეიზაჟები, უფრო

ზუსტად, ქართული პოლიფონიური სიმღერის მომაჯადოებელი ძალით გაცოცხლებული ბუნება: „ოთხნი მღეროდნენ. მიწის გახსნილი გულიდან ნაირფერი ყვავილები ამოდიოდა, კლდეთა შვერილებზე გადამსხვრეული ჩქერალის ბლონდში ზღაპრულად ბრწყინავდა და ვარვარებდა ცისარტყელა – იმედისა და სიხარულის ღვთიური გვირგვინი“ [1:136].

ტექსტში შეხვდებით ასეთ გულწრფელ და პოეტურ სადღეგრძელოს: „მე შენში გავჩნდი, ჩემო ქალაქო, ვიცხოვრე შენთვის, ვარ ბათუმელი, მოვედი, მინდა გელაპარაკო და სადღეგრძელო გითხრა უთქმელი. გითხრა, გასმინო შვილების შენის სიტყვა და საქმე როგორ აყვავდა, იმათი შუბლის ნაოჭი გშვენის, სხვა ბათუმელი ბათუმს არ გყავდა. რუსი, სომეხი, აფხაზი, ქურთი, კიდევ რამდენი ლეკი, ბერძენი, ყველას ნამუსის დახურე ქუდი, შეუძლებელი საქმე შეძელი და იმათ კერპებს, როგორც ეჟვანი, ძმობის თილისმა გულზე შეაბი. უხსოვარ დღიდან მოდიხარ ასე, გაღმა რამდენი მტერი აოტე, დარჩი ქართული ჯიქნებით სავსე, ტბელის წიგნით და „ვეფხისტყაოსნით“. დარჩი, გადარჩი, გაინაპირე ყანა, სამარგლი ქართულ ნადურით, თუ რამეს ვფიქრობ, შენთვის ვაპირებ, მომაქვს სურვილი ანდამატური.“

მე შენში გავჩნდი ჩემო ქალაქო...“ [1:402].

ასე ეფერება პოეტური პროზით თუ ლექსით, ნოველით თუ პუბლიცისტური ჟღერადობის სტრიქონებით ნუგზარ ჯაფარიძე ბათუმსა და ბათუმელებს, თავის „მზისფერ დედოფალს – საქართველოსა“ და მისი „თაობის სიყვარულის ზიარ ბათუმს“ [1:154].

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

გაფრინდაშვილი, 2011: – გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, გამ. „მერიდიანი“, თბილისი.

ჯაფარიძე, 1997: (1:)– ჯაფარიძე ნუგზარ, „მოგზაურობა ბათუმში“, წიგნი 1-ლი, გამ. „აჭარა“, ბათუმი.

ჯაფარიძე, 2003: (2:) – ჯაფარიძე ნუგზარ, „მოგზაურობა ბათუმში“, წიგნი მე-2, გამ. „აჭარა“, ბათუმი.

Shorena Makhachadze (Batumi, Georgia)

Old Batumi and Citizens of Batumi
(According to Nugzar Japaridze's Memoirs "Journey to Batumi")

Summery

Nugzar Japaridze's "Journey to Batumi" is one of the interesting examples of biographical and documentary prose. It is depicted by the eclecticity, which is characteristic for postmodernism. There you can see memories, anecdotes, fables, interviews, publicistic letters/articles, sketches, short stories, white or rhymed poems, etc. All this creates the rather realistic picture of the epoch, represents the last cetury Batumi, the nature and everyday life of the inhabitants of our corner.

Nugzar Japaridze is particularly good at creating portraits of people. The portrait of this or that person is beautifully painted with several strokes, and their gallery creates the general fascinating and colourful image of a Batumian.

Light humor and self-irony adds more charm to the text and gives sincerity and lightness to the author's memories.

საარქივო დოკუმენტები აზიზიუს მეჩეთის შესახებ

ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში არის თარიღები, რომელნიც დღესაც თავს გვახსენებენ და ჩვენში აღძრავენ როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციებს. XIX საუკუნის 60-იან წლებში თურქეთის სულთან აბდულ აზიზიუს მიერ აშენებული მეჩეთი იყო სამხედრო დანიშნულების და ის აჭარაში აიგო, როგორც თურქული სამხედრო ძალის გამარჯვების სიმბოლო. ეჭვს იწვევს აზრი იმის შესახებ, რომ თურქეთის სულთანმა აბდულ აზიზიმ აჭარაში მეჩეთი ააგო ქართველი დედის საპატივცემულოდ.

თავისუფლების მოედანზე, ყინვასა და ქარბუქში შეკრებილმა ბათუმის საზოგადოებამ გამოხატა თავისი ნება ქალაქში აზიზიუს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე, ბათუმში ჩატარებულმა რეფერენდუმმა დააფიქსირა აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, დღეს ისევ დადგა ქალაქში აზიზიუს მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ვილაცას სურს ქართველი კაცის მეხსიერებაში გააცოცხლოს სულთან აბდულ-აზიზიუს სახელი. ეროვნული ცნობიერების მქონე ჩვენებურმა ერეკლე (ერდოღან შენოლი) დავითაძემ ფეხით მოიარა თურქეთის უმაღლესი ინსტიტუტები და ხმამაღლა განუცხადა მათ, რომ მეჩეთის მშენებლობის საკითხი ქართველი ხალხის გადასაწყვეტია.

მიხაკო წერეთელი წიგნში „ერი და კაცობრიობა“ ხაზს უსვამს ქართველი კაცის გულმავიწყობას და დასძენს, რომ ქართველს რომ ახსოვდეს, ვინ რა გაუკეთა, ის ვერ შეძლებდა ურთიერთობას. ამ ბოლო დროს, სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, 200-ზე მეტი მეჩეთი აშენდა და ამას მშვიდად შეხვდა ქართველი კაცი, მაგრამ ვილაცას სურს მაინცდამაინც აზიზიუს სახელობის მეჩეთი ააშენოს და ამით ორ მეზობელ ხალხს შორის დაძაბოს ურთიერთობა.

ამ მიზეზის გამო გადაწყვიტე წარმომეჩინა საარქივო დოკუმენტები აზიზიუს მეჩეთის შესახებ.

1862 წელს სულთან აზიზის ფირმანის მიხედვით მხარდაჭერილი და დამტკიცებული იქნა პროექტი ახალი ბათუმის მშენებლობის შესახებ. ასევე გადაწყდა ქალაქის ახალ მშენებარე ნაწილში სახელმწიფო მიწის მეჩეთისთვის გადაცემა ისე, რომ იგი კერძო პირების სახელზე განეკერძოებინათ გარკვეული

საარენდო გადასახადის საფუძველზე, მუკატის სახელდებით, ყოველ 100 კვ. არშინზე 5 პიასტრის ოდენობით.

შარიათის და სავაყუფო მიწის სამართლის დებულების საფუძველზე მესაკუთრეს ენიჭებოდა სრული მემკვიდრეობა და მიწის განკარგვის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეიტანდა სამი წლის განმავლობაში გადასახადს მეჩეთის სასარგებლოდ. მიწის გამოუყენლობის შემთხვევაში იგი ჩამოერთმეოდა მესაკუთრეს და გადაეცემოდა სხვა პირს *[ასს, გ. ი-3, ან. 1, ს. 4, ფურც. 87-88]*.

მიწის საკუთრების ეს პირობები დაცული იყო ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთებამდე. 1879 წელს ბათუმში დაარსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ სახელმწიფო და კერძო მიწების განკარგვის მოწესრიგების მიზნით დაადგინა, რომ აზიზიეს მეჩეთი სამხედრო დანიშნულების იყო და მასში არ წარმოებდა ღვთისმსახურება.

რუსეთის იმპერიასთან ბათუმის ოლქის მიერთების შემდეგ, 1879 წლის 11 ივნისს პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება „ბათუმის მიწათსაკუთრების შესახებ“, სადაც მოითხოვდა სავაყუფო მიწების ქალაქის თვითმმართველობისთვის გადაცემას. გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლსკ მირსკის თანხმობის შედეგად სავაყუფო მიწები გადავიდა ქალაქის საკუთრებაში. აზიზიესა და ერგეს მეჩეთების სავაყუფო მიწები გასახელმწიფოვდა და შეუერთდა ქალაქს. რუსეთის ჯარების მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ, თავდაპირველად აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო ქონება გადაეცა პოლიციის სამმართველოს და ამას ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ ეს მეჩეთი გამოყენებული იყო სამხედრო დანიშნულებისთვის. რუსების მიერ აზიზიეს მეჩეთის უძრავი ქონება შეფასდა 3-4 მილიონი რუსული რუბლით, მაგრამ ნაადრევად მიღებული მათი ეს გადაწყვეტილება არ გამართლდა, რადგან სავაყუფო სამართალი რელიგიური ნიშნის მიხედვით აკანონებდა საკუთრებას კერძო და საზოგადო სარგებელში. ამიტომაც იკრძალებოდა მისი გაყიდვა და გადაცემა სახელმწიფო ხელისუფლებისთვის. ასე რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ ახალი კანონის მიღებამდე სავაყუფო მიწების მიმართ გამოცხადებული გადაწყვეტილება გამოცხადდა უკანონოდ და იგი გადაეცა მათ მიერ არჩეულ მუსულმანურ კომისიას, რომელმაც დიდხანს ვერ იარსება. სავაყუფო მიწებთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: Вакуфные в Карской и бывшей Батумской областях подчинить правилам установленным нашим законодательством для вакуфных имений у закавказских *[ასს, გ. ი-81, ან. 1 ს. 1, ფურც. 79]*.

აგიტაცია-პროპაგანდის გზით რუსები ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში მიწაზე კერძო საკუთრების უფლებების შეკვეცას. რუსეთის ხელისუფლება მოუწოდებდა მმართველ ძალებს, რომ სოფლის მოსახლეობაში მიწის მესაკუთრეთა მიმართ შეექმნათ არასასურველი, მტრული განწყობა.

რუსები ადგილობრივი მოსახლეობიდან კატეგორიულად მოითხოვდნენ მხარდაჭერას და აცხადებდნენ, რომ ისინი არ ცნობდნენ სავაყუფო საკუთრებას, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალაქსა თუ სოფელში, რადგან მათი აზრით ვაყუფი ქმნიდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებდა რომ: „мусульманское духовенство есть, бесспорно самый опасный враг в деле упрочения нашей власти в присоединенном крае. Поэтому необходима принять все меры к снижению его влияния на местное населения, что и должно заключаться прежде всего в недопущении его к землевладению в крае” *[ასს, გ. 1-81, ან. 1, ს. 1, ფურც. 114]*.

საქართველოს დასაპყრობად მოსული მტერი მიწაზე არსებული კანონებს აუქმებდა და საკუთრების მისეულ კანონებს აწესებდა.

ახალშემოერთებულ ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლებამ კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო: „К недвижимым вакуфным имуществом в присоединенном крае должно быть покончено раз и навсегда” *[ასს, გ. 1-81, ან. 1, ს. 1, ფურც. 104]*.

მიწის შესახებ მიღებული ახლი რუსული კანონი არ ცნობდა სავაყუფო საკუთრებას, ხოლო მიწათსარგებლობის დადგენილი წესი არ იძლეოდა მისი გადაცემის უფლებას იურიდიული პირების ხელში. კანონი მმართველ ძალას უფლებას აძლევდა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა ამა თუ იმ პირის ხელში მიწის გადაცემის საკითხი.

რუსეთის ხელისუფლება აჯილდოებდა იმ პირებს, ვინც საკუთარი ნებით უთმობდა მათ მიწებს. სავაყუფო მიწები წლების განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში, იცვლიდა 3-4 მესაკუთრეს, ბევრი ჰყიდდა მიწას და მიდიოდა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის 1895 წლის 6 სექტემბრის მმართვეაში მოითხოვდა სავაყუფო საკუთრების გაუქმებას და ამ მოთხოვნის მთავარ მიზეზად ასახელებდა სავაყუფო საკუთრებითი სამართლის შეუთავსებლობას ევროპულ საკუთრებით სამართალთან.

1903 წელს ქუთაისში არსებულმა მიხეილის სათავადაზნაურო სამიწათმოქმედო ბანკმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ბანკისთვის ნება დაერთო მისი ნამდვილი მფლობელისგან გირაოთ მიეღო

აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო ქონება, სავაყუფო მიწის მესაკუთრეთა უფლებებს იცავდა თურქეთის და რუსეთის მოქალაქე ნიკოლოზ იორდანიდი. მან რუსეთის ხელისუფლებას კონსტანტინეპოლიდან ჩამოტანილი აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო მიწების დამფუძნებელი სპეციალური ფირმანი წარუდგინა, მაგრამ მის ბრძოლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის ხელისუფლებამ აზიზიეს მეჩეთის სავაყუფო ქონება გამოიყენა აჭარაში საგანმანათლებლო საქმის განვითარებისთვის. ნიკოლოზ იორდანიდი კონსტანტინეპოლის გენერალურ საკონსულოში საქმიანობდა, 1898 წელს იგი გაანთავისუფლეს საზღვაო-სანაოსნო საზოგადოებასთან უსაფუძვლო გარიგების გამო, მორწმუნეების უკანონო გადაყვანისთვის. 1895 წელს ნიკოლოზ იორდანიდამ დაამთავრა მართლწარმოების სკოლა, ხოლო 1900 წელს მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტი, აღმოსავლური ენების სპეციალობით. ბათუმში იგი საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა. 1910 წლის 1 ოქტომბერს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი თავის საიდუმლო წერილში აღნიშნავდა, რომ თურქეთის გენერალურმა კონსულმა ჯაფარ-ბეიმ დაწერა თხოვნა ნიკოლოზ იორდანიდის სახელზე და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელს სთხოვდა კავკასიის სამხედრო რუკას, რომელსაც თანდართული ჰქონდა კავკასიის, თურქეთის, ირანის გეოგრაფიული საზღვრები. რადგან ნიკოლოზ იორდანიდი დაკავებული იყო მეცნიერული საქმიანობით და საუკეთესო მოხსენებებს აკეთებდა თურქეთის და ირანის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ, ამიტომაც თხოვნა მოტივირებული იყო სამეცნიერო დანიშნულების მიზნით, სინამდვილეში კი იგი მათ ესაჭიროებოდათ სამხედრო მიზნით. 1906 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანების საფუძველზე ნიკოლოზ იორდანიდს 5 წლით აეკრძალა ცხოვრება კავკასიის ოლქის საზღვრებში *[ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4, ფურც. 59-63]*.

1910 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალი თავის საიდუმლო წერილში აღნიშნავდა, რომ კავკასიის ოლქში ვრცელდებოდა პანისლამისტური იდეები და ამას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მუსლიმური ორგანიზაცია „ახალგაზრდა თურქეთი“, რაც უარყოფითად მოქმედებდა რუსეთ-თურქეთის გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე. მეფისნაცვალი მოითხოვდა ყოველდღიური მეთვალყურეობის დაწესებას რელიგიის აღმსარებლების მიმართ და კონტროლის დაწესებას მათ მიმოსვლაზე. ძირითადი მეთვალყურეობა დაწესდა „აზიზიეს“ და „ახმედიეს“ მეჩეთების მოღვაწეებზე. საეჭვო პირთა სიაში წარმოდგენილი იყო: ალი-შვილი ოსმან იან-ოღლის, იაკობ

შვილი ხოჯა რეშიდის, შუქრი შვილი მუსტაფა ჩალიყ-ოღლის, ოსმან მუსა, იბრაგიმ ხასანი, ხასან მეხმედი *[ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს.474, ფურც. 1-8]*.

1911 წლის 7 აპრილს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ბათუმის ოლქში პანისლამისტური სწავლება არ შეინიშნებოდა. 1912 წლის 12 იანვარს, მისი უდიდებულესობა გიორგი ლოგინოვიჩის დაწერილ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ პოლკოვნიკ პოზურსკის მიერ გამოძიებული იქნა მისიონერ იერომონახი გავრილის ხულოს მოღვაწეთან დაპირისპირების ფაქტი და ამის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ზემო აჭარის მუსლიმურ მოსახლეობაში რამდენადმე გამოცოცხლდა მოღვაწის და ხოჯების გავლენა და გამოითქვა ეჭვი აზიზიეს მეჩეთში პანისლამისტური იდეების ფარულად პროპაგანდის შესახებ *[ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 474, ფურც. 61]*.

1914 წლის 18 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ეზრუმში რუსეთის გენერალურ კონსულს აცნობებდა, რომ თორთუმსა და ოლთისიდან კავკასიაში გამომგზავრებას აპირებდნენ მუსლიმური ორგანიზაცია „ახალგაზრდა თურქეთის“ გაზეთ „ალ ბაირაკის“ რედაქტორი სელიმ პულადი და ვინმე ჯაფარბეი, ისინი ლაზების ტანსაცმელში იყვნენ გადაცმულნი, დავალებული ჰქონდათ აგიტაცია პროპაგანდის გაწევა კავკასიის მუსლიმებს შორის და ასევე სამხედრო მოქმედებების გართულების შემთხვევაში ამბოხების მოწყობა. *[ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 674, ფურც. 9]*.

ასევე სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა ბათუმში რუსების მიერ აშენებულ ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარს. (დღევანდელი სასტუმრო ინტურისტის ადგილას)

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საარქივო დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს როგორც თურქეთის, ისე რუსეთის სახელმწიფოების დამოკიდებულებას აზიზიეს მეჩეთის მიმართ და მათ მიერ რელიგიური დაწესებულებების გამოყენების ფაქტს სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების მიზნით.

გამოყენებული წყაროები:

ასს, ფ. ი-81, ან. 1, ს. 1 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე №1.

ასს, ფ. ი-6 ან. 1, ს. 590 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-6, ანაწერი 1, საქმე №590.

ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-3, ანაწერი 1, საქმე № 4.

ასს, ფ. ი-81, ან. 1. ს. 1 –აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე №1.

ასს, ფ. ი-3, ან. 1, ს. 4 –აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-3, ანაწერი 1, საქმე №4.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 474 –აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №474.

ასს, ფ. ი-1, ან. 1, ს. 674 –აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე №674.

Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)

Archived Documents about Aziziye Mosque

Summary

An analysis of the archival documentary material in the article has shown that both the Turkish and Russian attitudes towards the Aziziye Mosque and their use of religious institutions for military purposes.

ბათუმის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის

საქართველო, კერძოდ, აჭარა გამორჩეულია ტოპონიმთა სიუხვით. გეოგრაფიული სახელწოდებები ხშირად რეალურ ისტორიამდეც კი მიდის. საქართველოში არსებულ ტოპონიმებში იგრძნობა ქართველი ერის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების და გამოძახილი. ხშირად კი მათში გადმოცემული ამბები, წინაპირობაა არქეოლოგიური გათხრებისა და აღმოჩენებისა.

ოდითგანვე, ონომასტიკური მასალა ერის ენობრივ საგანძურად ითვლებოდა. ტოპონიმები წარსულის მეცნიერული რეკონსტრუქციის მდიდარი და ნაყოფიერი წყაროა, რასაც ენათმეცნიერებასთან ერთად ისტორიკოსიც იკვლევს და იყენებს. მკვლევარ გია ელიავას აზრით: „ტოპონიმი ლექსიკური ერთეულია. მას დიდი ენათმეცნიერული ღირებულება აქვს, მაგრამ მისი შესწავლისადმი მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით მიდგომა არაა გამართლებული. გეოგრაფიული სახელწოდება ემორჩილება ენობრივ ნორმებსა და კანონებს, მაგრამ იგი, ისევე როგორც ყოველგვარი ონომასტიკური ერთეული, ადამიანის ქმედების, აზროვნების, შეხედულებების, სულისკვეთების, მისწრაფებების გამოხატულებაა. ამიტომ მასში ჩადებულია აზრი, რომელიც ხაზს უსვამს ადგილის გეოგრაფიულ თუ სხვათა თავისებურებებს, ან კიდევ ამ ადგილზე მომხდარ თუ ამ ადგილზე შეპირობებულ სოციალურ მოვლენებს, ურთიერთობებს, ამიტომაც ტოპონიმით იშიფრება ხალხის ეთნიკური, სამეურნეო, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის მრავალი საკითხი“ *[ელიავა, 1987:64]*.

უძველესი ერების ეთნოკვლევებისას დიდი ყურადღება ეთმობდა ტოპონიმებს, განსაკუთრებით კი ეთნოტოპონიმებს. რომლებიც მეცნიერული კვლევა-ძიებისას, საჭირო და აუცილებელ მასალებს შეიცავდა.

საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს, აჭარას, არაერთი მოგზაური, ისტორიკოსი, მწერალი და საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწე სწვევია. მათ ნაშრომებში ვხვდებით ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის შორეულ თუ ახლო წარსულზე.

მართლაც, ბათუმი არაერთი მეცნიერის კვლევისა და შთაგონების წყარო ყოფილა. მის წარსულს მრავალი კვლევა უკავშირდება. ერთ-ერთ მათგანში კი ვკითხულობთ: „ის გაშენებულია ზღვისპირა დაბლობზე, რომელიც წარმოშობილა ქოროხის, მდინარე ყოროლისწყლის, ბარცხანისწყლისა და ქალაქის ტერიტორიაზე გამდინარე ღელეების მიერ შექმნილი დელტური მონაყრის შედეგად *[ნიჟარაძე, ჯიბუტი, 1957: 72]*.“

ისტორიულად, ბათუმის, როგორც ქალაქის, ტერიტორიაზე დასახლება XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებულია. სულთან ახმედ მეორის მეფობისას დღევანდელი ბათუმის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ზღვის ყურის გასწვრივ აშენებულა მიწაყრილიანი სახმელეთო სიმაგრეები. აქვე აუშენებიათ სამხედრო გარნიზონის ყაზარმები, რომელთა მახლობლად თანდათან თავს იყრიდა მოსახლეობა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმს ჯერ კიდევ არ ჰქონია ქალაქის სახე. ფრანგ მოგზაური ანდრიე დიუპრე, რომელიც ბათუმს 1907 წელს სწევია, აღნიშნავდა, რომ ბათუმი უფრო სოფელს წააგავდა, ვიდრე ქალაქს. თუმცა მცხოვრებთა რიცხვი ორი ათასს აღწევსო. ამ კუთხის ეკონომიკურ დაქვეითებას ასევე ხელი შეუწყო ოსმალთა ბატონობამ.

„აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ წიგნში აღნიშნულია, რომ ოსმალთა ბატონობის დროს, მძიმე გადასახადები ჰქონდა აჭარის მოსახლეობას, და შესაბამისად, ქალაქად ცხოვრება მათთვის ორმაგი სასჯელი იყო. ამიტომაც ისინი სოფლად ცხოვრებას ამჯობინებდნენ. წარმოდგენილ მასალებში წერია: „აჭარის მოსახლეობაზე უშუალოდ სახით გაწერილი იყო გადასახადები, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე...იმდენად, რამდენადაც უშუალოდ გადასახადი აგრარული მეურნეობის ყველა დარგს მოიცავდა *[აჭარის ლივის ..., 2011 : 47]*.“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი ცხოვრება ერთობ ძნელი ყოფილა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ოსმალები განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდა ქრისტიან მოსახლეობას. იძულებულს ხდიდა, ისლამი მიეღო. „ოსმალური საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტი რაოდენობის გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმანი“ *[იქვე, გვ. 50]*. ამიტომაც, გადატაკებული მოსახლეობა იძულებული გახდა ისლამი ეღიარებინა *[იქვე, გვ.52]*.

ინტერესშემცველია გიორგი ყაზბეგის მოგონებები ბათუმთან დაკავშირებით იგი წერდა: „ოცდახუთი წლის წინ ბათუმი ერთი უბრალო სოფელი ყოფილა. აქ კარგი სასმელი წყალიც კი არ ჰქონიათ. მძვინვარებდა ცხელება.

დაბლობი სანაპირო კი დაფარული ყოფილა ჭაობის ველებით, რომელზეც წარმატებით მოჰყავდათ ბრინჯი *[ყაზბეგი, 1995: 154]*.

არსებული მასალები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ აქაურები. მათ მძიმე სოციალურ მდგომარეობას დაერთო ოსმალთა ბატონობის დროს დაწესებული მძიმე გადასახადები, რომელმაც ძალიან გააღარიბა აქაური მოსახლეობა. მაგრამ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ამ კუთხეში სოფლის მეურნეობა მაინც მაღალ დონეზე მდგარა, რაზედაც თურქი ისტორიკოსის ქათიფ ჩელების საუბრობს: „ქენზეს ციხე, ყაზანის ციხე და სხვები ლალა ფაშას დაპყრობილია, ყმაწვილების სასწავლებლები, მცირე ბაზრები, აქა-იქ პატარა ფუნდუკები არის. რადგანაც მისი ჰავა ცივია, ბაღ-ვენახი არა აქვს. ხილი თორთუმისა და აჭარის ციხიდან მოდის *[ჩელები, 1978: 303]*.

1878 წელს რუსეთის სამხედრო ნაწილები როცა ბათუმში შემოვიდნენ, ბათუმი იმდროისათვის ძალიან ცუდ მდგომარეობაში ყოფილა. იმდენად გაუვალი და აუთვისებელი ყოფილა ბათუმის შემოგარენი, რომ მოსახლეობა ყურეს აღმოსავლეთ ნაპირთან, ამალღებულ ადგილას იყო შეჯგუფებული. ახლანდელი ბათუმის საუკეთესო ნაწილი – გარეული ღორის ჯოგებს ჰქონდათ დაკავებული. დიდი მოცულობის სანაოსნოზე და ნაოსნობაზე ლაპარაკიც კი არ იყო... რუსეთის კონსული მოუთხოვრებდა გიორგი ყაზბეგს, რომ მას, სახლი რომ აეშენებინა, ამისათვის ტყის გაჩეხვა მოუხდა. მისი სახლი ტყესთან იმდენად ახლოს ყოფილა, რომ მას მისი ფანჯრიდანაც კი შეეძლო ნადირობა“. ბათუმს კი განსაკუთრებული მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ ანიჭებენ, როცა აქ გაიხსნება რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოება. თურქეთის ხელისუფლება ქალაქს მხოლოდ ამის შემდეგ მიაქცევს განსაკუთრებული ყურადღებას *[ყაზბეგი, 1995: 154]*.

ისტორიულ ცნობების მიხედვით, ბათუმში, არათუ თუ სხვა რამ კარგი, დასაღვეი წყალიც კი არ მოიპოვებოდა. თუმცა სხვა კვლევები ადასტურებდა, რომ ბათუმი, როგორც ტერიტორიულად, ასევე სასმელ წყლად იყენებდა ამჟამინდელი ფერიის სასაფლაოების მიმდებარე მიდამოებს და იქ მოჩუხჩუხე წყალს. სასაფლაოების ანუ ფერიის გორაკებს ეკვრის ჩდილოეთიდან მომდინარე წყაროს წყალი, რომელსაც უხუცესები „ცივ წყალს“ ეძახდნენ. თურქების შემოსვლის მერე კი მას „სოუქ-სუ ერქვა, რაც თურქულად „ცივ წყალს“ ერქვა ან „ცივ წყაროს ნიშნავდა“. რითაც არა მარტო იქ დასახლებული მოსახლეობა, არამედ მთელი ბათუმი სარგებლობდა [მთქ. ვალიუტა ზაქარიადე, დაბ. და მცხ. სოფ ფერიაში, 78წ. ცავიწერე 2018 წლის ივლისში].

აღნიშნული გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიას, სხვა წყაროც ეხმიანება. წყლის თვისებიდან მომდინარეობს. თურქეთის ბატონობის დროს, ადგილს „ცივი წყარო“ სახელი შეუცვალეს და „სოუქ-სუ“ შეარქვეს. ტოპონიმის სახელდება, სავარაუდოდ, ძველი ქართული სახელის თურქული თარგმანი უნდა იყოს, რადგან აჭარის სინამდვილეში „ცივი წყარო“, როგორც ტოპონიმიკური სახელი ხშირად გვხვდება. ამის შესაბამისად, მეფის თვითმპყრობელობის დროს ოფიციალური საბუთების მიხედვით, ამ უბანს „სლობოდა ხოლოდნაია“ რქმევია [ჩიჯავაძე, 1958:80].

XIX საუკუნის 90-იანი წლებში, როდესაც ბათუმში მრეწველობამ სწრაფად იწყო განვითარება, „სოუქ-სუს“ ნაწილს „ნეფტიანოი გოროდოკი“ დარქმევია. შემდგომში კი ყველაზე მეტად ეს ადგილი დაწინაურებულა. აქ ცხოვრობდნენ როგორც ადგილობრივები, ასევე ჩამოსულები – გურიიდან, იმერეთიდან და სხვა რეგიონებიდან. შემდგომში კი მას სახელად „გოროდოკი“ შემორჩენია, რაც რუსულად ქალაქურ დასახლებას ნიშნავს. ბათუმის ამ მიდამოებში სხვა რამდენიმე უბანი არსებობდა, თუმცა მათ შორის გამორჩეული „სოუქ-სუ“ ყოფილა, ვინაიდან მაშინ მთელი ქალაქი ამ წყაროს წყლით სარგებლობდა. სასმელი წყალი ქალაქის სხვა უბნებშიც ყოფილა, თუმცა ისინი ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის წყალმომარაგების სისტემას [იქვე, 81].

ქალაქის წყლის მომარაგების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია დაცულია აჭარის სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფონდში, სადაც ვკითხულობთ: „რუსეთთან ბათუმის შეერთების პერიოდში ზემოაღნიშნული წყალსადენი ნაწილობრივად დაზიანებული იყო და 1879 წელს იგი შეაკეთეს [ასცა, ფ. 7, ს. 8, ფურც. 2]. რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მოქმელთა მონათხრობებს.

ასევე გასათვალისწინებელია უზუცესთა სხვა ნაამბობი: „ძველად, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჭის წყლებით სარგებლობდა. ჭა თითქმის ყველა ეზოში ჰქონდათ, მაგრამ გრუნტის წყლებს, ფაქტობრივად არ იყენებდნენ, იმის გამო, რომ ქალაქი დაბალი და უმეტესად ჭაობიანი იყო. მას არასასიამონვო გემო ჰქონდა და სასმელად არ ვარგოდა“. ასევე, „ჭის წყლებთან ერთად იყენებდა „ნურიე გიოლის“ ან „ნურიეს ტბის“ წყალს, როგორც სასმელად ისე სხვა საჭიროებისათვის“. თუმცა საეჭვოდ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რაზედაც ინფორმატორები ამახვილებენ ყურადღებას. შესაძლოა, ეშლებათ ან არასწორად ახსოვთ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.

ფაქტია, რომ დღეს უსარგებლოდ ქცეული ტბა, მაშინ საყოფაცხოვრებო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა. ამ ტბასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან

ინფორმაციას გვაწვდის ჟან მურიე თავის წიგნში „ ბათუმი და ჭოროხის აუზი“, სადაც წერდა: „ქალაქის სამხრეთით ერთ ვერს-ნახევრის მანძილზე თევზით ძალიან მდიდარი პატარა ტბა მდებარეობს, რომელიც, ალბათ, ზღვის მოქცევამ და ჭოროხის მიერ ჩამოტანილმა შლამმა წარმოშვა ისტორიულ ეპოქაში. ფიქრობენ ამ ტბისა და ზღვის გაერთიანებას და დიდი მოცულობის გემებისთვის დოკების აშენებას *[მურიე, 1962: 27]*.

წერილში „ძველი ბათუმის წყალმომარაგების ისტორიიდან“ ნ. ჩიჯავაძე წერდა: „ზოგიერთი თანამედროვე ავტორი, რომელიც პირდაპირ თუ ნაწილობრივად ბათუმის ისტორიის საკითხს ეხება, „ნურიე გიოლს“ ნურიე გელს უწოდებს (ვ. სიჭინავა, „ბათუმის ისტორიიდან“, ი. მაღაზონია „პიონერთა პარკი“) მის ეტიმოლოგიას უკავშირებს ლეგენდა, რომლის მიხედვით, თითქოს ტბაში ბავშვი, სახელად ნურიე, დამხვრვალყო. დაკარგულ ბავშვს დედა დაეძებდა და იძახდა „**ნურიე-გელ**“ ე. ი. ნურიე, მოდიო. ლეგენდას შეიძლება მართლაც რაიმე რეალური ამბავი ჰქონდეს საფუძვლად, მაგრამ ტბას „ნურიე გელის“ ტბა ამის გამო არ დაერქმეოდა. რადგან ამგვარი კონსტრუქცია – „ნურიე გელ“ მიუღებელია თურქული ენისათვის. თუ აღნიშნული ლეგენდა უდევს საფუძვლად ტბის სახელწოდებას, მაშინ სწორი იქნებოდა „ნურიეს ტბა“ ე. ი. „ნურიე გიოლი“ და არა „ნურიე გელი“ *[ჩიჯავაძე, 1958: 80]*.

ამ ტბის, ეთნოტოპონიმის, გენეზისს უხუცესები დღესაც იმავე შინაარსის ლეგენდას უკავშირებენ. კერძოდ, უწინდელ დროში, ამ ტბაში მცირეწლოვანი ბავშვი, სახელად ნურიე, დამხვრვალყო. დაკარგულ ბავშვს დედა ყოველთვის დაეძებდა და ეძახდა „**ნურიე გელ**“ ე. ი. ნურიე, მოდიო. თუმცა შემდგომ დედას რა ბედი ეწია, არავინ არ იცის *[მიქელაძე, 2018: 3]*.

არსებული მასალებიდან გამომდინარე, ამ ტბის სახელწოდება ვიღაც ნურის სახელის გელ(მოსვლას) უკავშირდება, თუმცა შესაძლებელია იყოს „**ნური გიოლ**“ (ნურის ტბა) და არა „ნურიეგელ“(ნურიე მოდი), როგორც ზემოთ აღნიშნულ წერილში მსჯელობდა მკვლევარი ნეჯათ ჩიჯავაძე.

სამხრეთ დასავლეთ საქართველოში დღესაცაა შემორჩენილი არაერთი ტბის სახელწოდება, რომელიც ტბის ნაცვლად თურქული წარმომავლობის სახელით – „გიოლით“ მოიხსენება: კერძოდ, „**ყარა გიოლი**“ (შავი ტბა), ქართულად – შავი ტბა, ხოლო ოსმალურად – ყარა-გიოლ (ყარა – შავი და გიოლ – ტბა) *[საბოკია, 1985: 271]*“, „**ბაზ გიოლი**“ (თეთრი ტბა), **ჩარხი გიოლი** და სხვა.

სავარაუდებელია, სიტყვა „ნური“, სხვა მხრივ შემდგარი სიტყვის ეტიმოლოგიას დაუკავშიროთ. შუშანა ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართულში“ ვხვდებით სიტყვა ნურის განმარტებას, რომელსაც არა მარტო ჩვენებურების,

არამედ აჭარის მკვიდრთა მეტყველებაშიც ვხვდებით. კერძოდ, „ნურ-ი“ (არ. nur) 1. შუქი, სინათლე, „ღმერთო, მეზელული ნური გუუხადე“ (ნ.) 2. მამაკაცის საკუთარი სახელი – “ნური ეფენდი დიდი კაცი იყო“(ინ) *[ფუტკარაძე, 1993: 529]*.

აჭარის ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით – კახაბრის მიდამოები, სტეფანოვკის, ნური გიოლის ტბის (ახლანდელი ალექსანდრიის) ბალის მიმდებარე ადგილები, ქურთების დასახლებით ყოფილა სავსე. ძველი ბათუმის მკვიდრები ამ ადგილებში გავლას ერიდებოდნენ *[მიქელაძე, 2017: 3]*.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ ტბის სახელწოდების გენეზისზე, რადგან ქურთები ნურიგელის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდნენ, გადმოცემით, სასაფლაო ადგილებიც იქ ჰქონიათ. შესაძლოა, მსგავსი სინათლე ქურთების სასაფლაოზე შეინიშნებოდა და ისინი მიაჩნებოდნენ „ნური-შუქი“, სინათლე ტბაზე//ტბასთან. ალბათ, სასაფლაოზე იყო შემთხვევები, როცა მიცვალებულის სამარეზე შუქი გამოჩნდებოდა. იქნებ, ამან ჩაუყარა საფუძველი და ის დღესაც ამ სახელით მოიაზრება. გასათვალისწინებელია, ასევე ზემო აჭარაში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები. რის თანახმადაც, „მაღლიანი ადამიანის სასაფლაოზე ღამით, ან გამთენიისას „ნური“ „გაინთება“, რაც იმის მიმანიშნებელია რომ ის „ჯენნეთში“ (სამოთხეში) მოხვდა“ *[მიქელაძე, 2017: 7]*.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები, ხშირად სინამდვილის გამოხატულებაცაა, თუმცა ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ვარაუდების კვალობაზე ვრჩებით.

ამრიგად, ეს და სხვა მრავალი ტოპონიმი დღესაც ინახავს აჭარის ტრაგიკულ ისტორიას, რომელთა გენეზისი არქაული შრეების საკუთრებაა, იმედია, ამ კუთხის მზეც ამოანათებს და ყველა გაუცემელ კითხვას პასუხი გაეცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარის ლივის ..., 2011: – აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, გამ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ასცა, ფ. 7, ს. 8 – აჭარის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი 7, საქმე 8.

ელიავა, 1987: – ელიავა გ., „სოციალური ხასიათის ტოპონიმები, მათი კლასიფიკაცია და შემეცნებითი ღირებულება“, – წიგნში „ონომასტიკა“, თბილისი.

მიქელაძე, 2017: – მიქელაძე ნ., ხულოს რაიონის ექსპედიციის მასალები.
მიქელაძე, 2018: – მიქელაძე ნ., ქ. ბათუმის ექსპედიციის მასალები.
მურიე, 1962: – მურიე ჟ., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი.
ნიჟარაძე, ჯიბუტი, 1957: – ნიჟარაძე ნ., ჯიბუტი ნ., აჭარის ასსრ, ბათუმი.
სახოკია, 1985: – სახოკია თ., მოგზაურობანი, გამ. „საბჭოთა აჭარა, ბათუმი.
ფუტყარაძე 1993: – ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი I, აჭარის
 ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.
ჩიჯავაძე, 1958: – ჩიჯავაძე ნ., ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1958, №5, ბათუმი.
ჩელეზი, 1978: – ჩელეზი ქ., საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან
 თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი.
ყაზბეგი, 1995: – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, გამ. „აჭარა“,
 ბათუმი.

Naile Mikeladze (Batumi, Georgia)

For Etymology of Some Geographical Names of Batumi

Summary

Batumi has been an important center of Georgia since ancient times. World famous travelers, researchers and some other specialists have always been interested in the history of Adjara for centuries; the main subject of their interest was Batumi. Today there are geographical names the etymology of which is controversial or unknown, e.g. “Dedabera”, “NuriGeli Lake”, “Souk Su”, etc.

The presented research is related to etymology of the geographical names of Batumi, which are important and valuable parts of the history of the city.

ბათუმი და ბათუმთან დაკავშირებული რეალიები ოთარ ჭილაძის რომანში „რკინის თეატრი“

ოთარ ჭილაძე (1933-2009 წწ.) მწერალთა იმ თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელსაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. გარდა პოეზიაში მოპოვებული დიდი შემოქმედებითი წარმატებებისა, მისი ლიტერატურული შესაძლებლობები მხატვრული პროზის ჟანრშიც ფართოდ გამოვლინდა. კერძოდ, ო. ჭილაძის რომანებში უმაღლესი მწერლური პროფესიონალიზმით წარმოჩინდა სიტყვიერი ოსტატობის გრძნეულებანი, მოვლენათა ფილოსოფიური აღქმა-გააზრების ინდივიდუალიზმი, ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვა უღრმესი ფსიქოლოგიზმით, სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით აზროვნების განსაკუთრებული ნიჭი, ტროპული აზროვნების ორიგინალური სტილი...

ო. ჭილაძის მხატვრული შემოქმედებიდან ყურადღება ამჯერად ერთ კონკრეტულ საკითხს მინდა მივაქციო – ბათუმთან დაკავშირებულ მოვლენათა წარმოჩენას მწერლის რომანში – „რკინის თეატრი“ (1981 წ.). ხსენებულ რომანში, რომლისთვისაც ავტორს რუსთაველის პრემია მიენიჭა, ისტორიული სიმართლით აისახა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი სოციალური და პოლიტიკური მოვლენები.

იმის გამო, რომ მოქმედება უმთავრესად ბათუმში ხდება, ავტორმა განსაკუთრებული ყურადღების საგნად, პირველ ყოვლისა, აჭარაში იმხანად არსებული მდგომარეობა აქცია. როგორც ცნობილია, აჭარა იმ პერიოდისათვის ახალი შემოერთებული იყო დედასამშობლოსთან და იქაურთა ცნობიერებაში ქართული თვითშეგნების შემდგომ გაღვივებას აქტიურად ცდილობდნენ ჩვენი ერის მოწინავე შვილები. ამ თვალსაზრისით არაერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დავით კლდიაშვილი (1862-1931 წწ.) თავის მემუარებში – „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (1925 წ.).

ო. ჭილაძის რომანთან მიმართებით დ. კლდიაშვილის ამ ნაწარმოებს განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც მინდა მივაპყრო, რომ „რკინის თეატრის“ არაერთი ეპიზოდი ზუსტად შეესაბამება დ. კლდიაშვილის მიერ

მოთხრობილ ბათუმურ ამბებს. ამას ემატება ისიც, რომ ბათუმთან დაკავშირებული ისტორიულ მოვლენათა მოთხრობის დროს ო. ჭილაძე დ. კლდიაშვილსაც არაერთხელ მოიხსენიებს ხოლმე შესაბამისი პერიოდის სხვა ცნობილ პიროვნებებთან (ი. ჭავჭავაძესთან, ა. ყაზბეგთან...) ერთად. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის – საბა ლაფაჩის სამხედრო განათლების მიღებისა და ბათუმის რევოლუციურ მოვლენებთან მისი დამოკიდებულების ეპიზოდი კი გარკვეულწილად დავითის ბიოგრაფიიდან კარგად ცნობილ მოვლენათა შინაარსობრივ ვარიაციადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

მაგალითად, მსგავსად დავით კლდიაშვილისა, მშობლების მიერ რუსეთში სამხედრო განათლების მისაღებად გაგზავნილი საბა შინ „პირველად რომ ჩამოვიდა არდადეგებზე, ქუთაისიდან თარჯიმანიც გამოიყოლა, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა... ბათუმში რომ განამწყესეს, ცოტათი დამშვიდდა, იმედი მიეცა, ხელახლა რომ იპოვიდა, აღადგენდა, გადაარჩენდა იმას, რაც ცხრა წლისამ დაკარგა. ბათუმიც, მისი არ იყოს, ახალი დაბრუნებული იყო სამშობლოში, იმასაც ბევრი რამე ჰქონდა საპოვნელი, გასახსენებელი, აღსადგენი... ბათუმს ბაძავდა, ბათუმთან ერთად მიისწრაფოდა დაკარგულისაკენ, წარსულისაკენ, საიდანაც ამოეთხარათ და სადაც სიმწრისაგან დაღვრაჭნული მისი ფესვი ჯერ კიდევ ფეთქავდა“ *[ჭილაძე, 1987: 120]*.

დამოწმებული ფრაგმენტი გამონაკლისი არ არის და დ. კლდიაშვილის ბიოგრაფიის ბათუმური პერიოდის ბევრი სხვა რეალიაც ფაქტოლოგიური სიზუსტით შეესაბამება საბა ლაფაჩის ცხოვრებისეულ თავგადასავალს. მაგალითად, სამხედრო განათლების დასრულების შემდეგ ბათუმში სამუშაოდ განმწყესებულ დ. კლდიაშვილს ქართული ენის ხელმეორედ შესწავლისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართვის პროცესში დიდი დახმარება გაუწია ამ ქალაქის პოლიცემისტერის – დურმიშხან ჟურულის მეუღლემ ქეთევანმა. მწერლის თქმით, მან მას არა მარტო სიტყვიერად მისცა „დედისეზური დარიგება, მშობლიური ენა რომ შეესწავლა“, არამედ „რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეშიც ჩააბა“ და მისი ორგანიზებით გამართულ ქართულ თეატრალურ წარმოდგენებშიც დაავალა მონაწილეობის მიღება.

აი, რას წერს თავად დ. კლდიაშვილი ამასთან დაკავშირებით: „ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირვებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენის გასატეხად, ცალკე რეპეტიციები მქონდა ხოლმე; ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. ათჯერ-ხუთმეტჯერ უნდა გამემეორებინა ჩემი მონოლოგი. გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არა ნაკლებ გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომძახებდა მოთმინებადაკარ-

გული: „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლოთ ქართული, ქართველი ხართ“ *[კლდიაშვილი, 1961: 30]*.

ფრაზეოლოგიურადაც და შინაარსობრივადაც მსგავს ინფორმაციას გვაწვდის ო. ჭილაძეც ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ საბა ლაფაჩთან დაკავშირებით. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, „ბათუმმა ერთბაშად გაახსენა მას ის, რაც უკვე დაკარგული ეგონა. ქალაქისა და მისი ბედის უცნაურმა მსგავსებამ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დაკარგულის საპოვნელად ალაგზნო და რწმენაც ჩაუნერგა, ყველაფრის დაბრუნება რომ შეიძლებოდა... ამ რწმენამ მიიყვანა ჟურნულების ოჯახშიც, „ქართველთა კუნძულზე“, როგორც ამ ოჯახს ემახდნენ, რათა ხელახლა ზიარებოდა დაკარგულს“ *[ჭილაძე, 1987: 121]*.

საბა ლაფაჩის ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდები აშკარად რომ მიესადაგება დ. კლდიაშვილის ცხოვრების ბათუმურ პერიოდს, ამის დასტურად აქ რომანის ის ადგილებიც მინდა გავიხსენო, სადაც ჩვენი ქვეყნის სახელოვან წარმომადგენელთა ბათუმში სტუმრობის შესახებაა საუბარი. მაგალითად: საბა ლაფაჩი „სხვებთან ერთად გულისფრიალით ელოდებოდა მატარებელს, რომელსაც ნინოშის სადამოზე მიპატიჟებული აკაკი მოჰყავდა, და იმასაც სიამაყის, სიხარულის ცრემლი მოაწვა ყელში, როცა ბათუმელთა გულისხმიერებით, ცოტა არ იყოს, შემცბარსა და ვაგონის ვიწრო კიბეზე დაბნეულად შეყოვნებულ მგოსანს ქალბატონმა ქეთევანმა უთხრა: თქვენი სახით ბათუმშიც შემოაღწია განთიადმაო. ისიც დამშვიდდა, იმანაც წინასწარ გამარჯვებულად ჩათვალა თავი, როცა ქალაქისთვის არჩევნების წინ საბჭოს დარბაზში ილია შემოვიდა მოულოდნელად და დინჯად, მედიდურად ჩაბრძანდა არჩევნების მეთვალყურის სავარძელში. და იმანაც აჭარის დედასამშობლოსთან სამუდამოდ დაბრუნების დამადასტურებელ ნიშნად აღიქვა, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის ეზოში პირველმა მაჰმადიანმა ბავშვმა შემოაბიჯა გაუბედავად“ *[ჭილაძე, 1987: 126]*.

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ბათუმის ეკონომიკური განვითარებისა და „დიდ საქართველოსთან“ ინტეგრაციის პროცესში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1883 წელს თბილისთან და ბაქოსთან დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის დასრულებამ. ო. ჭილაძის შეფასებით, „იმ დღიდან მოყოლებული, როცა ბათუმმა ოსმალეთის იმპერიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერიის უკიდურეს სამხრეთში გადაინაცვლა, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ ჯერ თბილისს გადააბა იგი რკინიგზით, მერე კი მიწისქვეშა მილებით ბაქოსაც დაუკავშირა, ერთბაშად იმდენი ხალხი მოაწყდა აქაურობას, სადმე წასვლა კი

არა, ისიც საკვირველი იქნებოდა, თავის წამოწევა რომ მოეხერხებინა ამ მოხეტიალე ქალაქს. ცხოვრება დულდა და გადმოდულდა. სატვირთო და სამგზავრო სადგურები დგანდარებდნენ. ორთქლმავლებს შხუილით გასდიოდა თეთრი ორთქლი. ნავსადგურში ახლა „სამუელ სამუელსონისა და ამხ.“ ფირმის ნავთსაზიდი, სამბაქანიანი გემები ღმუოდნენ – ერთი სული ჰქონდათ, როდის ამოივსებდნენ მუცლებს შავი, ცეცხლოვანი სითხით. ნავთის რეზერვუარები თვალსა და ხელს შუა ამოდიოდნენ მიწიდან, როგორც ნაწვიმარზე სოკოები. ნავთი ნავთად და მალე მწვანე კონცხამდე გადაიჭიმა ჩაისა და ჩინური ჭინჭრის პლანტაციები... ვიღას არ იზიდავდა „აღთქმული ქვეყანა“ *[ჭილაძე, 1987: 9].*

იმის ნათელსაყოფად, ბათუმის, როგორც მნიშვნელოვან სამრეწველო, სავაჭრო და სანავსადგურო ცენტრად ქცეული ქალაქის, ისტორიაში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარებულ მოვლენათა ამგვარი აღწერა არაერთი ნიშნის მიხედვით რომ შეიძლება შევუდაროთ დ. კლდიაშვილის მიერ ზემოთქმულთან დაკავშირებით მოწოდებულ ცნობებს, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს მისი მეტყარებიდან:

„1885 წელს გაუქმდა ბათუმის პორტო-ფრანკობა... ვაჭრობა დღითი-დღე მატულობდა, ქალაქში მოძრაობა თანდათან იზრდებოდა. ყველას ენაზე ეკერა ბათუმი. ბათუმი ყველასთვის საშოვარ ადგილად შეიქმნა აღიარებული. ყოველი მხრიდან მორბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩაედგათ და ჯიბე გაესქელებინათ. სულ მოკლე ხანში დაიყიდა ცარიელი მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი. ძველი, ზღვის ნაპირას მიკრუნჩხული შენობები საცოდავად გამოიყურებოდნენ თავიანთი ვიწრო, უშნო ქუჩებით ახლად გაყვანილ ფართო ქუჩების ნაპირებზე ახლად აღმართულ შენობებთან შედარებით. ქალაქი ღებულობდა სულ სხვა სახეს და რომ მოეშორებინათ მისი დამაუშნოებელი მინგრეულ-მონგრეული ქოხები, ერთ ღამეს მისცეს ცეცხლი და ერთიანად გადაბუგეს“ *[კლდიაშვილი, 1961:47].*

დ. კლდიაშვილის მოგონებათა წიგნთან ო. ჭილაძის რომანის ტექსტოლოგიური სიახლოვის დასტურად აქ აშკარად გამოხატულ იმ ფრაზეოლოგიურ მსგავსებასაც მინდა მივაქციო ყურადღება, ბათუმის ბულვარის გაშენებასთან დაკავშირებით ორივე მწერლის მიერ მოწოდებულ ეპიზოდებშიც რომ შეამჩნევს მკითხველი. კერძოდ, ბათუმში მიმდინარე მოვლენათა განზოგადებული ფორმით წარმომჩენი ის სიტყვები („ცხოვრება დულდა და გადმოდულდა“), რომლებიც ფრაზეოლოგიურ ლაიტმოტივად გასდევს ო. ჭილაძის რომანს, ფაქტობრივად დავით კლდიაშვილის მიერაც არაერთხელ გამოყენებული ამ

ფრაზების თავისებურ ვარიაციადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული: „ბათუმი, საოცარი სისწრაფით გაზრდილი, დულდა და გადმოდიოდა, რომ იტყვიან“ *[კლდიაშვილი, 19:428]*; „ამასობაში კი ცხოვრება მოძრაობდა და დულდა“ *[კლდიაშვილი, 1961:50]*.

ო. ჭილაძის რომანისთვის შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ წყაროდ დ. კლდიაშვილის მოგონებათა წიგნის მიჩნევის დასტურად აქ ის ფაქტიც მინდა გავიხსენო, ხსენებულ ტექსტებს არაერთი პერსონაჟიც რომ ჰყავთ საერთო. ერთ-ერთი მათგანია დ. კლდიაშვილის მიერ ფრაგმენტულად ნახსენები, ო. ჭილაძის რომანში კი გაცილებით უფრო დიდი ფუნქციის მატარებელი პოლკოვნიკი ვეზირიშვილი.

როგორც ო. ჭილაძის რომანიდან ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, ნაცვლად ადგილობრივი მოსახლეობისა, „აღთქმულ ქვეყნად“ მიჩნეული ბათუმის დასაპატრონებლად განსაკუთრებულ აქტიურობას უცხოელი კომერსანტები და მრეწველები იჩენდნენ. ქალაქის სასტუმროებში, უპირველეს ყოვლისა, ამ მხარის დასაზვერად ჩამოსულ სწორედ ამ ადამიანთა „ცილინდრები, ბერეტები და ფესკები“ ირეოდნენ. მწერლის ხაზგასმით, მათგან იმდროინდელი ბათუმის ეკონომიკური განვითარების საქმეში ყველაზე მნიშვნელოვან როლს სამი პიროვნება ასრულებდა – როტმილდი, მენთემევი და ნობელი. „აღთქმული ქვეყანა“ პირველ რიგში სწორედ ამ „სამი ვეშაპის ზურგზე იდგა.“

გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის ბათუმური ყოფის ასახვის დროს ოთარ ჭილაძის რომანში განსაკუთრებული ყურადღება იმხანად მიმდინარე დიდმნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებსაც აქვს მიქცეული. მათგან განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად ორ მოვლენას მინდა მივაქციო - მუშათა საყოველთაო რევოლუციური გამოსვლებისა და პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი ვითარების ამსახველ ეპიზოდებს. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მწერლის მიერ მოთხრობილი ეს ამბებიც არაერთი ნიშან-თვისების მიხედვით შეიძლება შევუსაბამოთ და დავუკავშიროთ დავით კლდიაშვილის მოგონებათა წიგნის ცალკეულ ეპიზოდებს. ამ თვალსაზრისს ავტორი იმითაც განგვიმტკიცებს, რომ მას ხსენებული ეპიზოდების პერსონაჟად დავით კლდიაშვილიც ჰყავს გამოყვანილი.

როგორც ითქვა, 1900-იანი წლების ბათუმში მიმდინარე მასობრივი ანტისახელისუფლებო გამოსვლები, რაც ო. ჭილაძის რომანში საკმაოდ ფართოდაა აღწერილი, ავტორის წარმოსახვის ნაყოფს არ წარმოადგენს და რეალურად არსებულ ვითარებას ასახავს. ხსენებული მოვლენები „რკინის თეატრში“

იმდროინდელი რეალობის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით რომაა ასახული, ამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს რომანიდან:

„ბათუმი ბარიკადებით მოიფინა. ჭრიდნენ ელექტრონის ბოძებს, ხეებს; ახლომახლო სახლებიდან ავეჯს ეზიდებოდნენ. ტომრებს მიწით ავსებდნენ. სამი დღე ქალაქი მუშების ხელში იყო. თბილისიდან ბრძანების მოლოდინში, სამი დღე ათრობდა და აქეზებდა ჯარს პოლკოვნიკი ვეზირიშვილი. ბრძანებამაც არ დააყოვნა და – „ძმებო, არწივებო, არ დაზოგოთ ტყვიებიო“ – აჭიხვინდა ძველებურად მხნე და გაუტეხავი – ულაყზე ამხედრებული ულაყი. „მოვდივარ, გამაგრდიო“ – ეძახდა ალიხანოვი და ცასა და მიწას მოაბნელებდა... მთვრალი ყაზახები დაწიოკებულ ბარიკადებზე ახტუნებდნენ ოფლში გახვითქულ ცხენებს. გვამებს ყაზარმის დროგებით ეზიდებოდნენ. დაჭრილებს კონდახით უჩეჩქავდნენ თავს... სახრჩობელებზე ფეხშიშველი გვამები ირწეოდნენ, ბზრიალებდნენ“ *[ჭილაძე, 1987: 96]*.

ანდა: „თოფი უნდა გავარდნილიყო და გავარდა კიდეც. პატარა, ზღვისპირა ქალაქს კიდეც ერთხელ მიეშხევა სახეში ადამიანის ცხელი სისხლი. „დაგვბოცეს, დაგვბოცესო,“ – ყვირილით მორბოდა შუა ქუჩაში თავფეხიანად გასისხლიანებული მუშა. ქალაქი გაილურსა, უფრო ღრმად შეიყუჟა ნესტიანსა და სანახევროდ ბნელ ბინებში. ციხესაც ენა ჩაუვარდა: ყველაფერს ელოდა, ამას კი არა... მოხალისე მოწყალების დები გათენებამდე აგროვებდნენ ქუჩებში მკვდრებსა და დაჭრილებს. მიირწეოდა, მიღრჭიალებდა, მიბაკუნობდა წითელი ჯარის ეტლი ღამის უკუნეთში, მიაპროწიალებდა მბჟუტავ ფარნებს და მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, დაჭრილის გმინვა რომ შემოესმებოდა ანდა გვამს რომ გადააწყდებოდა“ *[ჭილაძე, 1987: 55]*.

მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან გატარებული ამგვარი რეპრესიული ზომებისა, რასაც უამრავი ადამიანი შეეწირა მსხვერპლად, რომანში იმ გარემოებასაც ესმება ხაზი, ხალხის საბრძოლო სულისკვეთება ამით მაინც რომ არ ცხრებოდა და სამგლოვიარო მიტინგზე შეკრებილი უამრავი ადამიანი ახალი საპროტესტო გამოსვლებისათვისაც რომ იყო მზად.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ნაწარმოების ის ეპიზოდი, სადაც ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ დემონსტრანტთა დაკრძალვის ამბავია მოთხრობილი. ო. ჭილაძის რომანში საკმაოდ ვრცლად მოთხრობილ ამ ამბავთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დავით კლდიაშვილიც.

ო. ჭილაძის რომანის ბათუმურ რეალიებზე მსჯელობის დროს რამდენიმე სიტყვა იმ ეპიზოდებზეც მინდა ვთქვა, სადაც პირველი მსოფლიო ომის შედე-

გად ბათუმსა და რუსეთის იმპერიის მიერ ამ ომში თავდაპირველად მოპოვებულ წარმატებათა შედეგად მისაკუთრებულ შავიზღვისპირა რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე საუბარი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოების ის ფრაგმენტი, რომლითაც ავტორი ბათუმისა და ტრაპიზონის დამაკავშირებელ სარკინიგზო მაგისტრალთან დაკავშირებით გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას: „სიგიჟე იყო და მეტი არაფერი, ერთ წელიწადში რკინიგზის გაყვანა ბათუმიდან ტრაპიზონამდე, როცა ყველაფერი ინგრეოდა, იხრწებოდა, ფრონტიც მოშლილი იყო და ზურგიც... მაგრამ იმპერია მაინც ხავსს ეჭიდებოდა, მაინც მათრახითა და ბრიყვთა ერთგულებით აპირებდა გადარჩენას. ასეთი ერთგული ბრიყვის შედგენილი იყო ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის პროექტიც... იმდენი მუშახელი მოაყარა იქაურობას, ჭიანჭველების ბუდეებს დაამსგავსა პირონიტი, რიზა, ხოფა თუ ართვინი. ნაპირთან იმდენი კარჭაპი, სანდალი, ბარჯა და ბარკასი ირეოდა, თოლია ვერ მოიქნევდა ფრთას. მაგრამ საქმე მაინც არ მიდიოდა წინ“ *[ჭილაძე, 1987: 374]*.

რუსეთის მიერ ბათუმ-ტრაპიზონის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით ო. ჭილაძის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია რეალური რომ იყო და არა ავტორის წარმოსახვის ნაყოფი, ამის დასტურად აქ ამ ამბის უშუალო თვითმხილველის – დავით კლდიაშვილის მონათხრობიც მინდა გავიხსენო.

დ. კლდიაშვილის ინფორმაციით, ხსენებული პროექტის ავტორი ჩრდილოეთ რუსეთიდან კავკასიაში ახლად გადმოყვანილი სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკი ვერდერევსკი იყო. რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ პროექტის ნაჩქარევად დამტკიცებისთანავე, იგი „მათხრახით ხელში შეუდგა რკინიგზის შენებას. ერთი თვალის დახამხამებაში გაჩაღდა მუშაობა; ბათუმიდან ტრაპიზუნდამდე ერთბაშად მიაფინეს აუარებელი სამუშაო მასალა, მომუშავე ხელი, მოყარეს უამრავი ტექნიკები, ინჟინრები, მოსამსახურეები... ხალხი ჭიანჭველასავით ფუსფუსებდა, გაცხარებული მუშაობა იყო, მაგრამ... მაგრამ მხოლოდ სწორ ადგილებზე. სალი კლდეები ბევრ ადგილას დიდ მანძილზე ამაყად იდგნენ. რა შეარყევდა მათ? რა მანქანა შეამტვრევდა მათ სიმაგრეს? რა ძალა გაასწორებდა ამ სალ კლდეებს? ეს იყო ნამდვილი შანტაჟი, კლასიკური შანტაჟი, ზღაპარი“ *[კლდიაშვილი, 1961: 235]*.

ბათუმ-ტრაპიზონის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის გასაყვანად, რაც, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, ხაზინას იმ დროისათვის სოლიდური თანხა – 25 მილიონი

რუბლი – ჰქონდა გამოყოფილი; 1916 წლის 14 დეკემბერს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ ხელმოწერილი „დროებითი დებულებით“ კი მშენებლობის უფროსს შეუზღუდველი უფლებები ჰქონდა მინიჭებული მუშათა პერსონალის რაოდენობის, მათი ხელფასების, მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკისა და მოწყობილობათა ღირებულებისა და სხვა სახის ხარჯების განსაზღვრაში *[სიორიძე, 2005: 80]*.

მაგრამ რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვალში მომხდარი რევოლუციის გამო, რასაც შედეგად სამეფო ხელისუფლების დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა, 1916 წლის აგვისტოში დაწყებული ეს გრანდიოზული მშენებლობა შეჩერდა. ხელისუფლების სათავეში მოსულ დროებით მთავრობას ქვეყანაში იმდენად მძიმე ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები დახვდა მოსაგვარებლად, რომ ხაზინაში არათუ ხსენებული პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხა აღარ მოიპოვებოდა, არამედ სამხედრო ხარჯების დაფარვაც კი გახდა შეუძლებელი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, რამდენიმე სიტყვა აქ რომანის სათაურის შესახებაც მინდა ვთქვა. ო. ჭილაძისავე ხაზგასმით, ნაწარმოების სათაური – „რკინის თეატრი“ ბათუმის თეატრის სახელწოდებიდან მომდინარეობს. როგორც ცნობილია, ხსენებული სახელის მქონე ამ თეატრის ისტორია 1891 წლიდან შემდეგნაირად დაწყებულია: ბათუმში მცხოვრებ ფრანგ ვაჭარ მარშოს უზარმაზარი შენობა ჰქონია აგებული, რომელსაც იგი რკინულობის საწყობად იყენებდა. იმის გამო, რომ ქალაქში იმხანად თეატრისათვის გამოსადეგი სხვა შენობა არ არსებობდა, ამ საქმის მაშინდელ ინიციატორს – ტომსკის ეს ნაგებობა იჯარით აუღია და თეატრად გადაუკეთებია, სადაც სამი თვის განმავლობაში მართავდა წარმოდგენებს. სამი თვის შემდეგ შენობა თურმე ვექილმა იურკევიჩმა აიღო იჯარით, გაარემონტა და შიგ მაცურებელთა ცხრაასკაციანი დარბაზი მოაწყო. ამ დროიდან მოყოლებული 1924 წლამდე, სწორედ ამ შენობაში მართავდნენ წარმოდგენებს როგორც ადგილობრივი სცენისმოყვარენი, ისე ბათუმში გასტროლებზე მყოფი თეატრალური დასები. 1924 წლის ზამთარში მოსულ დიდ თოვლს თეატრის სახურავი ჩაუნგრევია და მის ადგილზე შემდგომში საცირკო ნაგებობა აუშენებიათ *[batumy.bloqspot.com/p/bloq-page 25.htm]*.

ბათუმის თეატრთან დაკავშირებულ ამ ისტორიას, რომელსაც ო. ჭილაძის რომანის ერთ-ერთი პერსონაჟიც ყვება, მწერალმა მისი მეორე პერსონაჟის – თბილისელი მსახიობის მიერ გამოთქმული ასეთი თვალსაზრისი დაუპირისპირა: „თეატრი რკინასავით გამძლე უნდა იყოს, რკინასავით მაგარი, რადგან

მარტო იქდა ფრიალებს ჩვენი დროშა, მტრების გულის გასახეთქად“ [*ჭილაძე, 1987: 26*]. ასეთია ნაწარმოების სათაურის თავად რომანის პერსონაჟისეული ახსნა-განმარტება.

როგორც რომანის შექმნის უმთავრეს საფუძვლად ქცეული ავტორისეული ჩანაფიქრის სიღრმისეულად გააზრების შედეგად ხდება ცხადი, ნაწარმოების სათაურს მწერალმა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე დიდი აზრობრივი დატვირთვაც დააკისრა. კერძოდ, თეატრალური სცენის რომანტიკულ პირობითობას აქ ცხოვრების ავანსცენაზე მთელი სისასტიკითა და ულმობელობით გათამაშებული ადამიანური ვნებები და ეროვნულ-სოციალური წინააღმდეგობანი ცვლის და უპირისპირდება. და თუ თეატრში კარგი თამაშისთვის უბედური და ტრაგიკული ადამიანის ცხოვრებისეული ხვედრის წარმომჩენი მსახიობი მაყურებლის მქუხარე ტაშსა და სიყვარულს იმსახურებს, რეალურ სინამდვილეში ამგვარი ბედის მტვირთველი ადამიანისათვის განკუთვნილი ჯილდო მისი პიროვნული ტრაგედიაა.

ო. ჭილაძის რომანში სწორედ ასეთი ტრაგიკული სპექტაკლი თამაშდება და რეალური ცხოვრების სცენაზე მწვავედ და ულმობლად უპირისპირდებიან ერთმანეთს ის ადამიანები, რომელთაც განგებამ ტანჯვა-წამებითა და ათასგვარი განსაცდელით დრამატიზებული პიროვნული როლების შესრულება დააკისრა. ეს ადამიანები ფართო სპექტრითა და მრავალფეროვნებით წარმოაჩენენ იმ ვითარების სიმკაცრესა და წინააღმდეგობრივ ხასიათს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში იყო დამკვიდრებული რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცეულ ჩვენს ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

კლდიაშვილი, 1961: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე. მოთხრობები, თბილისი.

სიორიძე, 2005: – სიორიძე მ., რკინიგზის მშენებლობა ლაზეთში 1916-1917 წლებში, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათუმი.

ჭილაძე, 1987: –ჭილაძე ო., რკინის თეატრი, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბილისი.

batummy.blogspot.com/p/blog-page_25.htm

**Batumi and Realities Related to Batumi
in Otar Chiladze's Novel "Iron Theatre"**

Summary

Otar Chiladze's novel – "Iron Theater" (1981) reflects the historical truth of the social and political situation in Batumi at the end of the XIX century and the beginning of XX century. During artistic imagination of these events a number of episodes of Chiladze's novel coincide with the stories related to Batumi described in David Kldiashvili's book of memoirs_ "On the Road of My Life" (1925). As it is evident from the novel by O. Chiladze, instead of local population foreign traders and industrialists actively tried to take possession of Batumi. The most significant of those involved were three people – Rothschild, Menteshvili and Nobel. The novel pays special attention to the most important events of those days such as revolutionary demonstrations of workers and the First World War. The title of the novel – "The Iron Theatre" is derived from the name of the theatre in Batumi the history of which begins in 1891 and continues up to 1924 when it was destroyed by heavy snowfall.

ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს ისტორიიდან ბათუმში

ამერიკასთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები სათავეს 1883 წლიდან იღებს, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ასევე ყურადსაღები ფაქტია ისიც, რომ აშშ-ის პირველი უპორტფელო საკონსულო აგენტი (Part-time Consular Agent) ფრედერიკ ედისონ გიბინსი (Frederick Edison Gibbins) არა თბილისში, არამედ ბათუმში მოღვაწეობდა. 1886 წელს კი ამერიკის საკონსულო ასევე ბათუმში იწყებს ოფიციალურად ფუნქციონირებას (9).

როგორც ამერიკული დიპლომატიური დოკუმენტებიდან ირკვევა, ხსენებული წარმომადგენლობა ბათუმში 1916 წლამდე აგრძელებდა საქმიანობას, რის შემდეგაც იგი უკვე თბილისში განაგრძობს ფუნქციონირებას (**Eckhoff, Mavro, 1958: 10, 27**). დროის ამ მონაკვეთში ბათუმში ამერიკის კონსულის რანგში მოღვაწეობდნენ: ჯეიმს ჩამბერსი (James C. Chambers – 1897-1904 წწ.), უილიამ ჰორვუდ სტუარტი (William Horwood Stuart – 1905-1906 წწ.), უილიამ მასტერსონი (William W. Masterson – 22.VI.1906-1908 წწ.), ალექსანდერ ჰეინგარტნერი (Alexander Heingartner – 10.VI.1908-1911), ლესლი ამერტონ დევისი (Leslie Ammertton Davis – 1912-1914 წწ.), რომელმაც თავის დიპლომატიური მოღვაწეობა სწორედ საქართველოში დაიწყო და ფელიქს ვილოუბი სმიტი (Felix Willoughby Smith), რომელიც ბათუმში მოღვაწე ამერიკის უკანასკნელი კონსული გამოდგა, რის შემდეგაც მან კარიერა თბილისში განაგრძო.

ბათუმში მოღვაწე აშშ-ის კონსულთა უფრო სრულყოფილი სიის დადგენა, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. თუმცა, როგორც მოძიებული ოფიციალური დოკუმენტებიდან ირკვევა, აღნიშნული წარმომადგენლობა, იმჟამად არსებული დიპლომატიური კლასიფიკატორით განსაზღვრული ცხრა კატეგორიიდან მერვეში შედიოდა ისეთ ქალაქებთან ერთად, როგორებიც იყო: აკაპულკო, ალჟირი, ლიდსი, მადრიდი, ვალენსია და სხვა. ხსენებული მერვე კატეგორიის საკონსულოთა სახელფასო ფონდი 2500 ამერიკულ დოლარს შეადგენდა. ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თბილისში გადასვლამდე,

ბათუმში არსებული საკონსულოს დიპლომატიური დაფარვის ზონას მთელი კავკასია წარმოადგენდა (*The Biographic Register of the Department of State, 1911: 25, 28*).

ამერიკასთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიიდან წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება 1906 წლის 20 მაისს მომხდარ იმ მკვლევლობაზე მინდა გავამახვილო, რომლის შედეგადაც სიცოცხლეს გამოასალმეს აშშ-ის ვიცეკონსული უილიამ ჰორვუდ სტუარტი. ვიდრე უშუალოდ ამ ტრაგიკულ ფაქტსა და მის ირგვლივ არსებულ ფართო გამობმარებებზე ვისაუბრებ, მინდა, რამდენიმე სიტყვით თავად ზემოხსენებული პიროვნების შესახებ წარმოვადგინო ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები.

უილიამ ჰორვუდ სტუარტი დაიბადა 1857 წელს ლონდონში. იგი გახლდათ ცნობილი დიპლომატის – რობერტ სტუარტის ძმისშვილი. სწორედ მასთან მუშაობით დაიწყო 1873 წელს უ. ჰ. სტუარტმა თავისი კარიერა პირადი მდივნის რანგში. იმ დროისათვის რობერტ სტუარტი ბრიტანეთის გენერალურ კონსულს წარმოადგენდა, რომლის დიპლომატიური დაფარვის ტერიტორიასაც იმდროინდელი რუსეთის იმპერიის საპორტო ქალაქები წარმოადგენდა შავ და აზოვის ზღვებზე, ცენტრით ქალაქ ოდესაში.

XIX საუკუნის 80-იან წლებში უ. ჰ. სტუარტი ჯერ რუმინეთში გადაჰყავთ სამუშაოდ, 1890-იანი წლებიდან კი იგი ბათუმში იწყებს მოღვაწეობას, სადაც რჩება კიდევ მის ტრაგიკულ აღსასრულამდე. როგორც მოძიებული წყაროებიდან ირკვევა, იგეგმებოდა მისი იაპონიაში კონსულად გადაყვანაც, თუმცა ყველაფერ ამას რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომმა შეუშალა ხელი (6).

ბათუმში უ. ჰ. სტუარტის მოღვაწეობა ძალზე მრავალმხრივი იყო და იგი, ხშირ შემთხვევაში, დიპლომატიური წარმომადგენლის საქმიანობას ცილდებოდა. როგორც საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურიდან ირკვევა, „ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში სტუარტი აქტიურად ლობირებდა რეგიონში ამერიკულ ინტერესს“ (Saul; 1996: 520). იგი იყო წარმომადგენელი რამდენიმე ბრიტანული კომპანიისა, მათ შორის ისეთისა, როგორიცაა მაკ-ენდრიუ ფორბსი (MacAndrew Forbes). გარდა ამისა, უ. ჰ. სტუარტი გახლდათ გემების ყველაზე დიდი ბროკერი და ექსპორტიორი ბათუმში (6).

უ. ჰ. სტუარტის დიდ პროფესიონალიზმსა და პიროვნულ ღირსებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ჯეიმს ჩამბერსის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ, ვიდრე უილიამ მასტერსონის კანდიდატურის დამტკიცებამდე, 1905 წლიდან 1906 წლის 22 ივნისამდე, დაახლოებით წელიწადნახევრის განმავ-

ლობაში, სწორედ იგი უნდა ასრულებდეს ბათუმში ამერიკის კონსულის მოვალეობას; თუმცა ოფიციალური დოკუმენტებით აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება და იგი ყველგან აშშ-ის ვიცეკონსულად მოიხსენიება. შესაძლოა, აღნიშნული ფაქტი იმით იყოს განპირობებული, რომ უ. ჰ. სტუარტს კონსულის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი სახელმწიფო დეპარტამენტისგან ოფიციალურად არ მიუღია და აღნიშნულ უფლებამოსილებას იგი ვიცეკონსულის რანგში ასრულებდა. ყოველივე ზემოთქმულს 23 მაისს, ჯორჯ მეიერის მიერ აშშ-ში ბრიტანეთის ელჩის სესილ სფრინგ რაისისადმი (Sir Cecil Arthur Spring Rice) გაგზავნილი ის ოფიციალური წერილიც ადასტურებს, რომელშიც ნათქვამია:

„... ვინაიდან იმჟამად ბათუმში კონსული არ გვყავდა, ბატონი სტუარტი სრულად ასრულებდა მის უფლება-მოვალეობას, თუმცა მომხდარის შემდეგ იქ წარმომადგენლის გარეშე დავრჩით.

თქვენი ინფორმაციის თანახმად, გაცნობებთ, რომ ჩემმა მთავრობამ უკვე მიმართა თხოვნით ბრიტანეთის ხელისუფლებას, ნება დართოს მის უდიდებულესობა კონსულს ბათუმში ბატონ პატრიკ სტივენსს (Patrick Stevens), რათა აღნიშნულ ქალაქში თავისი უფლებამოსილება ამერიკის საკონსულოზეც გაავრცელოს“ (1: №398). როგორც ცნობილია, ამერიკული მხარის ეს თხოვნა ბრიტანეთის მიერ უმალვე იქნა დაკმაყოფილებული და უილიამ მასტერსონის მიერ ბათუმში ჩასვლამდე სწორედ პატრიკ სტივენსი ითავსებდა ხსენებულ უფლებამოსილებას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთქმული ფაქტი პირველი შემთხვევა არ ყოფილა და აშშ-ის და ბრიტანეთის საკონსულოებს შორის მსგავს მჭიდრო ურთიერთობას მანამდეც ჰქონია ადგილი. კერძოდ, პატრიკ სტივენსის მოღვაწეობის დაწყებამდე, გარკვეული დროის განმავლობაში, სწორედ უ. ჰ. სტუარტი ასრულებდა ბათუმში ბრიტანეთის კონსულის მოვალეობას (6). რაც შეეხება მისი მკვლელობის ფაქტს, საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიულ დოკუმენტებში გავრცელებულ მოსაზრებათა თანახმად, იგი ამერიკელი დიპლომატის პოლიტიკურ წონადობასა და გავლენას უნდა უკავშირდებოდეს.

ხსენებულ ტრაგედიას, რომელიც 1906 წლის 20 მაისს, საღამოს 11 საათზე, მოხდა მის საცხოვრებელ სახლთან მახინჯაურში, ცხადია, მყისიერი რეაგირება მოჰყვა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან. კერძოდ, 21 მაისს რამდენიმე დიპლომატიური ნოტა იქნა გაგზავნილი აღნიშნული საქმის სიღრმისეულად მოკვლევის მოთხოვნის მიზნით. მაგალითად, საგარეო საქმე-

თა მინისტრის (1906-1910 წლებში) გრაფ ალექსანდრ იზვოლსკის მიერ აშშ-ში რუსეთის იმპერიის ელჩის (1905-1911 წლებში) – ბარონ რომან როზენისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„მისი აღმატებულება, საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი იზვოლსკი, ვაშინგტონში რუსეთის ელჩს ბარონ როზენს.

კავკასიის მეფისნაცვლის მიერ ჩემთვის ტელეგრაფით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 20 მაისს, საღამოს 11 საათზე, სოფელ მახინჯაურში, თავის სახლთან ახლოს, სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი ბათუმში აშშ-ის კონსული ბატონი სტუარტი. იგი შემთხვევიდან ერთ საათში გარდაიცვალა. დანაშაულის მოტივი უცნობია. გამოძიება გამალებით მიმდინარეობს. მე ვუბრძანე გუბერნატორს, მიიღონ ქმედითი ზომები დამნაშავის გამოსავლენად და შედეგები მაცნობონ“ (1: №395). ხსენებული წერილი 22 მაისს მიუწოდებიათ აშშ-ის სახელმწიფო მდივნისათვის, მას შემდეგ, რაც იგი ოფიციალურად უთარგმნიათ.

ზემოხსენებულ წერილამდე, ტრაგედიიდან მეორე დღესვე, 1905-1907 წლებში რუსეთში ამერიკის ელჩმა ჯორჯ მეიერმა (George von Lengerke Meyer – 1905-1907 წწ.) თავად შეატყობინა სახელმწიფო მდივან ელიუ რუთს (Elihu Root – 1905-1909 წწ.), რომ „ბრიტანეთის კონსულის მიერ მისთვის მიწვდილი ინფორმაციის თანახმად, გასულ საღამოს ბათუმში ამერიკის ვიცეკონსული მოუკლავთ, მკვლელთა ვინაობა კი უცნობი ყოფილა“ (1: №396).

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ წერილზე რეაგირება სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა რობერტ ბეკონმა (Robert Bacon) მოახდინა, რადგან ელიუ რუთი ამ დროისათვის სამხრეთ ამერიკულ ტურნეში იყო წასული ადგილობრივ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად. იმავე დღეს, საპასუხო კორესპონდენციაში, რობერტ ბეკონი შემდგომ დიპლომატიური ინსტრუქციას უგზავნის ელჩ ჯორჯ მეიერს: „მოსთხოვეთ ხელმძღვანელობას, დაუყოვნებლივ გამოავლინონ და დასაჯონ მკვლელები; აგრეთვე სთხოვეთ ბრიტანეთის კონსულს, დაიცვას ამერიკის ინტერესები და კურიერება გაუწიოს ამერიკის საკონსულოს ბათუმში“ (1: №397).

როგორც არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, გამოძიება მართლაც დაჩქარებული წესით წარმართულა, რის შედეგადაც გამოვლენილ იქნა როგორც მკვლელობის ჩამდენი პირები, ისე დანაშაულის მოტივიც. ყველაფერი ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ ბათუმში ბრიტანეთის კონსულის – პატრიკ სტივენსის 1906 წლის 21 მაისის კორესპონდენციას. აღსანიშნავია, რომ მასში მომხდარი მკვლელობის შესახებ ბევრი ისეთი დეტალია აღწერილი,

რომელზეც სხვაგან არსად მახვილდება ყურადღება. მიუხედავად ამგვარი მნიშვნელობისა, ხსენებული დიპლომატიური წერილის ნაკლად შეგვიძლია ის ფაქტი დავასახელოთ, რომ მასზე არ არის მითითებული კონკრეტული სახელი და გვარი აღნიშნული წერილის ადრესატისა. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს თავად ზემოხსენებული კორესპოდენციიდან:

„ჩემს მოვალეობას წარმოადგენს, გაცნობოთ სამწუხარო ინფორმაცია ბრიტანული წარმოშობის ამერიკის ვიცე-კონსულის – სტუარტის მკვლელობის შესახებ, რომლის თბილისში გადაყვანაც ველარ მოხერხდა...

დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მოკლულ იქნა სადამოს თერთმეტის ნახევარზე, მაშინ, როდესაც ფეხით ბრუნდებოდა მახინჯაურში მდებარე თავის რეზიდენციაში. მას ესროლეს გზის განაპირას, ბუჩქებში, დამალულმა პიროვნებებმა. სამი გასროლიდან მიზანს სამივემ მიაღწია. მათგან ერთი ტყვია სტუარტს მარცხენა მუხლში მოხვდა, მეორე – მარცხენა ბარძაყში, ხოლო მესამე მარცხენა მკლავის ქვემოთ, იდაყვში...

მომაკვდავი სტუარტი მალევე იქნა გადაყვანილი მისი მეგობრის მიერ, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა ვილაში, ხოლო მისი ორი მსახური იმ მიმართულებით გაიქცა, საიდანაც ცეცხლი იქნა გახსნილი. სტუარტმა მხოლოდ რამდენიმე დავალების მიცემა მოასწრო მათთვის და კიდევ იმის თქმა, რომ მას ორი კაცი დაესხა თავს.

ცხედარი ქალაქში მდებარე რეზიდენციაში შუადღის ორის ნახევარზე დაასვენეს, რა დროსაც დაუყოვნებლივ იქნა შეკრებილი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის: გუბერნატორი, ოლქის ხელმძღვანელი, პროკურორი, პოლიცია და ა. შ.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ შუადღით მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი კაცი იქნა დაკავებული, რომელთაც დანაშაულის შესრულებისათვის ფული აიღეს. თავად სტუარტი კი წარმოადგენდა პიროვნებას, რომელსაც პატივს სცემდა ყველა, ვისაც მასთან პირადი თუ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა.

სავარაუდოა, რომ დანაშაულის საფუძველი შუდლი, ან შურისძიება გახდა, რადგან ის მცირე თანხა, რომელიც გარდაცვლილს საფულეში ჰქონდა, აგრეთვე საათი და სამაჯური, ხელუხლებლად იყო დატოვებული“ (1: №401).

მომხდარ მკვლელობას პიროვნულ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულად მოიხსენიებს რუსეთში ამერიკის ელჩი ჯორჯ მეიერიც, რომელიც აშშ-ის სა-

ხელმწიფო მდივანს 24 მაისს გაგზავნილ ოფიციალურ კორესპონდენციაში მოახსენებს:

„... როგორც ჩანს, ბატონი სტუარტი ბიზნესში იყო ჩართული, წარმოადგენდა რა რამდენიმე ინგლისურ კომპანიას, მათ შორის, F. A. Matinevich & Co.-სა და MacAndrew Forbes Company-ის. გასულ შობას მას დაემუქრა დასაქმებულთა ნაწილი, რომელთაც 3 ათასი რუბლი ემართათ მისგან. მას ასევე პრობლემები ჰქონდა მის კომპანიაში დასაქმებულ გემის მტვირთავებთანაც. გამომდინარე აქედან, სავარაუდოა, რომ დანაშაული მოხდა პიროვნულ ნიადაგზე“ (1: №398).

სახელმწიფო დეპარტამენტში დაცული მასალების გარდა, ზემოხსენებულ ტრაგიკულ მოვლენას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამერიკულ პრესაშიც. კერძოდ, აღნიშნულ მკვლელობას სტატიები მიუძღვნეს ძველი და თანამედროვე ეპოქების ცნობილმა გამოცემებმა: „ივინგ სტარი“ (The Evening Star – გამოდიოდა 1852-1981 წლებში, ვაშინგტონში), „ფორტ მედისონ ივინგ დემოკრატი“ (Fort Madison Evening Democrat – გამოდიოდა 1897-1984 წლებში, აიოვას შტატში), „ბემიდჯი დეილი ფაინიერმა“ (The Bemidji Daily Pioneer – გამოდიოდა 1904-1971 წლებში, მინესოტას შტატში), „ბენინგტონ ივინგ ბანერმა“ (The Bennington Evening Banner – გამოდიოდა 1961 წლამდე, ვერმონტის შტატში) და „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ (The New York Times – გამოდის 1851 წლიდან დღემდე, ნიუ-იორკის შტატში).

მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 22 მაისის ნომერში გარდაცვლილი ვიცე-კონსულისა და მისი მკვლელობის შესახებ ნათქვამია:

„მეგობართან სადილობის შემდეგ ბატონი სტუარტი სახლში ბრუნდებოდა, რა დროსაც ხუთი მილის მოშორებით, მახინჯაურში, მას ცეცხლი გაუხსნეს... ბრიტანეთის ვიცეკონსული ნოვოროსიისკში, ბატონი სტერნი, რომელიც ამ დროს სტუმრად იმყოფებოდა მასთან, სროლის ხმაზე მსახურთან ერთად გარეთ გავიდა, რა დროსაც უკვე სტუარტი დაჭრილი იწვა მიწაზე, სიბნელეში კი მკვლელები ვერ შენიშნა...“

ბატონმა სტუარტმა, რომელიც 49 წლის გახდა, მისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი რუსეთში გაატარა, მათგან ბოლო თორმეტი წელი კი – ბათუმში.

გარდა ოფიციალური ურთიერთობებისა, მას ბიზნესკავშირებიც გააჩნდა მთელი კავკასიის მასშტაბით. იგი საუბრობდა რამდენიმე ადგილობრივ დიალექტზე და მიიჩნეოდა ავტორიტეტულ პიროვნებად“ (8).

უ. ჰ. სტუარტის პიროვნული პორტრეტის შესახებ ასევე უაღრესად საინტერესო წყაროს წარმოადგენს ბრიტანეთში აშშ-ის ელჩის – უაითლო რიდის

(Whitelaw Reid) მიერ აშშ-ის სახელმწიფო მდივნისადმი 1906 წლის 21 მაისს გაგზავნილი კორესპონდენცია, რომელშიც ამერიკელი დიპლომატი შემდეგნაირადაა დახასიათებული:

„მაკ-ენდრიუ ფორბსის კომპანიის მაღალჩინოსნის ინფორმაციით, ბატონი უ. ჰ. სტუარტი, რომელსაც იგი კარგად იცნობდა, კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიროვნებას წარმოადგენდა. იგი ლინგვისტური ნიჭით იყო დაჯილდოებული და თითქმის ყველა კონტინენტურ ენაზე შეეძლო საუბარი. სამი წლის წინ მან ბატონი ჩამბერსი შეცვალა ბათუმში ამერიკის ვიცეკონსულის თანამდებობაზე; თუმცა იგი წარმომავლობით ბრიტანელია, კერძოდ, ინგლისელი, სადაც ახლაც ცხოვრობს მისი დედა და ორი ძმა...“ (1: №399).

ასევე აღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამერიკულ მხარეს უ. ჰ. სტუარტის მკვლელობის გამო მისი ოჯახისათვის კომპენსაციის გადახდის საკითხიც კი დაუყენებია. ყოველივე ზემოთქმულის შესახებ უაითლო რიდის მიერ 1906 წლის 26 მაისს აშშ-ის სახელმწიფო მდივნისადმი გაგზავნილ კორესპონდენციაშია საუბარი. რაც შეეხება უშუალოდ უ. ჰ. სტუარტის მკვლელობაში მონაწილე პირთა დაკავებას, მის შესახებ, რუსეთში ამერიკის ელჩის - ჯორჯ მეიერის მიერ სახელმწიფო მდივნისადმი 1906 წლის 31 მაისს გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„საგარეო საქმეთა მინისტრმა მაცნობა, რომ სტუარტის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ იქნა ორი პიროვნება – კასიმ დიდჯავაძე (ჩიჯავაძე-ო. ნ.) და ალი ფოხალ ოღლი, რომელთაგანაც ერთმა უკვე აღიარა თავისი მონაწილეობა დანაშაულში... გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს და მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს შემდეგისდაგვარად მოკლე დროში მაცნობებენ“ (1: №400).

საბოლოოდ, კონკრეტულად, თუ რა სასჯელი განესაზღვრათ ამერიკის ვიცეკონსულის მკვლელებს, ეს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაცული მასალებიდან არ ირკვევა. მიუხედავად ამისა, ზემოთ განხილულ დოკუმენტთა გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხსენებული ტრაგედია ამერიკული მხარის მიერ ცალსახად იქნა შეფასებული, როგორც პიროვნულ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა და არა როგორც პოლიტიკური ნიშნით შურისძიება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://history.state.gov/historicaldocuments/frus1906p2/ch118> – უ. ჰ. სტუარტის მკვლელობის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაცული მასალები
2. List of Foreign Service Post Records in the National Archives, Compiled by Mark G. Eckhoff and Alexander P. Mavro, Washington, 1958.
3. The Biographic Register of the Department of State, Washington, Government Printing Office, 1907.
4. The Biographic Register of the Department of State, Washington, Government Printing Office, 1911.
5. Saul, Norman E. Concord and Conflict: The United States and Russia, 1867-1914, University Press of Kansas, 1996.
6. <https://www.revolvy.com/page/William-Horwood-Stuart>
7. <http://politicalgraveyard.com/geo/ZZ/GG-consuls.html>
8. The New York Times, May 22, 1906
9. <https://matiane.wordpress.com/2011/12/03/georgia-and-america-early-contacts-by-peter-bridges/> – Georgia and America – Early Contacts by Peter Bridges.

Otar Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)

From the History of American Consulate in Batumi

Summary

Diplomatic Relationships between United States and Georgia began in the end of the XIX century, in 1883, when our country was the part of the Russian Empire. First part-time consular agent of the United States in Georgia was Frederick Edison Gibbins and in 1886 US Consulate was officially opened in Batumi. As we see from the historical diplomatic documents, US consulate was based in Batumi until 1916, when it relocated in Tbilisi.

In this paper, I want to focus on the fact of assassination of the US vice-consul in Batumi William Horwood Stuart in May 20, 1906. This fact was widely-spread in the United States. Many official diplomatic correspondences are kept in the Department of States about this tragedy. Also, many American newspapers, for example “The Evening Star”, “Fort Madison Evening Democrat”, “The Bemidji Daily Pioneer”, “The Bennington Evening Banner” and “The New York Times” published the articles about it.

ხასან თხილაიშვილი ქობულეთურ-ბათუმურ ხალხურ გადმოცემებსა და ლექსებში

პიროვნების ეპიკურობის დამადასტურებელია ხალხში მის შესახებ შემორჩენილი თქმულება-გადმოცემები. ხასან თხილაიშვილი ამ მხრივაც წარმოჩენილია თავისი კუთხისათვის დამახასიათებელ ქობულეთურ ფოლკლორში.

„მფრინავი რაზმის“ წევრი, მურად ინაიშვილი, მოგვითხრობს: „1918 წელს ფიჭვნარში მოწვეული რეფერენდუმის წინა დღით რვა კაცი შევიკრიბეთ მყავნაძის ტყეში (ქობულეთი, ახლანდელი რუსული სკოლის მახლობლად), უნდა შეგვერჩია ერთი პიროვნება, რომელიც სიტყვით გამოვიდოდა რეფერენდუმზე. მას ქართულის გარდა თურქულიც უნდა სცოდნოდა. ასეთი ჩვენს რაზმში სამი კაცი იყო – მამუდ მყავანაძე, რიზა ბეჟანიძე და ხასან თხილაიშვილი. კენჭის ყრით სიტყვის თქმა ხვდა ხასანს...“ ამავე საკითხს ეხება ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის შვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი ბესირე გოგიბერიძე. იგი ამბობს: „ამ კუთხის საუკეთესო შვილები დაირაზმნენ სამშობლოს ინტერესების დასაცავად. მათ შორის იყვნენ – ძმები მემედ, ხუსეინ და რიზა გოგიბერიძეები, დურსუნ ჯაფარიძე (გოგიბერიძეების სიძე), ახმედ ჯაფარიძე, სეიდ ართმელაძე (გოგიბერიძეების მამიდაშვილი), ქემალ ნოლაიძე, ხასან (ხასია) თხილაიშვილი, სულეიმან ჭყონია და სხვები.

ქობულეთში 1918 წლის ივლისში დღევანდელი მე-4 საშუალო სკოლის მიდამოებში (ფიჭვნარი) დაინიშნა რეფერენდუმი. რეფერენდუმამდე აღნიშნულ პატრიოტთა ჯგუფი შეიკრიბა სოფელ სამების ტყეში, სადაც წილისყრით გამოვლინდა ის პიროვნება, რომელიც რეფერენდუმის დროს აშკარად განაცხადებდა ქართული ორიენტაციისადმი მხარდაჭერას, საქართველოსთან შეერთების სურვილის დაფიქსირებით. წილის ყრის შედეგად ეს მისია ერგო ხასან თხილაიშვილს, რომელმაც მას თავი ბრწყინვალედ გაართვა.“

აღნიშნულ მოგონებაში, მურად ინაიშვილის ნაამბობისაგან განსხვავებით, რეფერენდუმის წინა შეკრების ადგილად ქალბატონი ბესირე გოგიბერიძე სოფელ სამების ტყეს ასახელებს. მაგრამ ეს არცაა გასაკვირი და სრულიად

ნორმალურია, რადგან ისეთი სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად, რასაც ხსენებულ „რეფერენდუმში“ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა წარმოადგენდა, ქართული ორიენტაციის პატრიოტები არაერთხელ შეიკრიბებოდნენ და ერთ-ერთი შეკრება სამების ტყეშიც შეიძლებოდა მომხდარიყო...

ხოლო, რაც შეეხება ოსმალური რეფერენდუმის საწინააღმდეგოდ თავად ხასან თხილაიშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, მას რიზა გოგიბერიძე ასე გადმოგვცემს: „ძმებო, მეზობლებო! დღევანდელ კრებაზე საკითხი დგას, თუ ვისთან ერთად უნდა ვიყოთ, ჩვენს ძმებთან – ქართველებთან, თუ – ოსმალებთან. ჩვენ ქართველები ვართ ეროვნებით, სისხლით და ხორციით, ჩვენი სამშობლო საქართველოა და ჩვენი დედაენა – ქართული. ამიტომ ჩვენ, როგორც ქართველებს, არაფერი სართო არ გვაქვს თურქებთან. ისინი აქ მოსულან, როგორც დამპყრობლები, – უცხოელები და მათ უნდა დასტოვონ ჩვენი მიწა-წყალი, ეს კრება ნამალადევია, ჩვენ ჯარებითა და ზარბაზნებითა ვართ გარემემორტყმული.

მე პირადად, როგორც ქართველი მუსლიმანი, ხმას ვაძლევ ჩვენს დედა-სამშობლოს – საქართველოს!“

მემედ ჯაფარიძე კი თავის საგულისხმო მოგონებას, რომლის ჩვენ მიერ გადამუშავებული და რედაქტირებული ვერსია საიუბილეო კრებულში მთლიანად გამოქვეყნდა, ასეთი მრავლისმეტყველი პასაჟით ამთავრებს: „... მე გთხოვთ, ამ ხალხის სახელით, ის ხასან თხილაიშვილი, რომელიც თქვენი ბრძანებით გაკრულია ზარბაზანზე ზღვაში გასასროლად, ხალხს უნდა გვაპატიო. თქვენ დიდი კაცი ბრძანდებით, მთელი თურქეთის მმართველი, თქვენგან ჩემისთანა უბრალო კაცის და ამდენი ხალხის გაწვილება... არ შეიძლება. და თუ არ გვაპატიებ, სულერთია, ჩვენ აქ მყოფი ხალხი ცოცხალი არ წავალთ სახლში. უსუფ იზეთინს (მემედ ჯაფარიძის გადმოცემით აღნიშნული „რეფერენდუმის“ ჩატარებას ხელმძღვანელობდა ოსმალეთის სულთნის შვილი, უფლისწული უსუფ იზეთინი - უ. ო.) სიტყვა აღარ უთქვამს, განკარგულება გასცა ხასანი ზარბაზნიდან ჩამოეხსნათ და გაეშვათ. რაზედაც იქ მყოფმა ხალხმა მადლობა გადაუხადა და მალე დაიშალა.

ამგვარად დამთავრდა კენჭის ყრა და რეფერენდუმი ჩაიშალა. ყველამ „ამინ“ თქვა და მადლობა გადაუხადა უსუფ იზეთინს. უფლისწული, მემედ ჯაფარიძის გადმოცემით, ცოფებს ყრიდა პირიდან, რადგან გამარჯვებაში დაიმედებული იყო „სედაი მილეთის“ („ხალხის ხმა“) ხალხიდან, მაგრამ მას

პირისპირ შეხვდა მამაცი ვაჟკაცი, ლომგული ხასან თხილაიშვილი და აჩვენა სულთნის შვილს „ბაბუამისი ჩაქურაშო“.

აქ, შესაძლებლობის ფარგლებში, მოვიტანეთ ქობულეთური თქმულება-გადმოცემების მხოლოდ მცირე, ის ნაწილი, რომელიც წარმოაჩენს ხასან თხილაიშვილის პატრიოტული ქმედების ძირითადი შინაარსის ხალხის მიერ აღქმას. მაგრამ ამ ხალხურ საგანძურს თავისებური ახალი, ტევადი შტრიხებით ავსებს მის შესახებ არსებული ქობულეთური, ქართული ხალხური პოეზიის უმშვენიერესი ნიმუშები. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფოლკლორის ამ მიმართულებამ სრული სისავსით აღიქვა ხასან თხილაიშვილის რაინდულ-პატრიოტული თავგადასავალი და მხოლოდ ხალხისთვის დამახასიათებელი სრულყოფილებით უკვდავყო და გაანარატივა, ყველასთვის საამოდ სასმენ ეპიკურობით აღჭურვა იგი.

ერთგან მის შესახებ ვკითხულობთ:

მაგარი სიტყვით, სიყვარულით, მხარით გაშლილით,
შენაც იქნები, ძმაო, ხასან თხილაიშვილი!...
რაც არ უნდა იავდროს, მაინც რწმენით ივლი და ივლი,
თუ ერთგული ხარ, როგორც ხასან თხილაიშვილი!

ხოლო ხასან თხილაიშვილისადმი მიძღვნილ ხალხურ ლექსებში დაგემოვნებული ალუზიები, ყველა პოეტურ კრებულს დაამშვენებდა...

გახსოვდეს, რომ აქ მარხია
წინაპართა ჩვენთა ძვალნი,
დახოცილან მამულისთვის,
დღესაც ჩანა მათი კვალნი,
ჩვენც ვიბრძოლებთ მათებურა,
ავასრულოთ ჩვენი ვალნი, -
მათ პირნათლად შევეყაროთ
ჩვენც იქა ვართ მიმავალნი!...

„ხასან თხილაიშვილი, ვაჟკაცი, ლომგული წავიდა თავის წინაპრებთან, სამშობლოსათვის თავდადებული და ვალმოხდილი“ - წერს იქვე ამ ხალხური შედევრის ავტორი მემედ ჯაფარიძე, შემდეგ კი ამავე მოგონებას ამთავრებს შემდეგი სტროფებით:

„მე ღმერთსა ვთხოვ, ჩემო ხასან,
აქ დანაკლისს, მაქ გაკმარებს,
მოგაშორა აღმზრდელს, ცოლ-შვილს,
შეგაერთა წინაპარებს!...“

თამარ მეფე, ჩვენი დედა,
წმინდა სახელს მაქ ატარებს, -
ის მიგიღებს, თქვენი მხსნელი,
თავის კალთას მოგაფარებს!“

და ბოლოს, ხასან თხილაიშვილის გმირობით შთაგონებული ავტორი თავის პოეტურ წარმოსახვებს წერტილს ასე უსვამს:

„ბატონის დავ, ქვეყნისათვის
კაცმა თავი უნდა დადოს,
მამულს უნდა გამოადგეს
დედამ შვილი თუ დაბადოს,
ვინც მოკვდება სამშობლოსთვის,
თავის ვალი გადიხადოს, -
ის უკვდავად ჩაითვლება,
მან სიცოცხლე დაიქადოს!...“

აქვე მოყვანილია ხასან თხილაიშვილის საყვარელი გამოთქმა-აფორიზმი - „მთლიანი ვაშლის ბაღის გაჩეხვას, სჯობს ერთი ძირი ვაშლი მოიჭრას“, რაც ასე უნდა გავიგოთ, რომ თუ შენი სიცოცხლის შეწირვით შეიძლება მრავალთა სიცოცხლე იხსნა, ეს უნდა შეძლო და გააკეთო!...

ხასან თხილაიშვილის ამ თვისებებმა ათქმევინა პოეტს:

მე ვიცი, როგორ უტევდნენ ჭახათს
და როგორ ვჟლიტეთ მტერი კვეთებით -
ახლაც აჩნია კინტრიშის კალმახს
გმირ წინაპართა სისხლის წვეთები...
მე ვერ მაშინებს ვალი, ჩაუში,
ვერც თავსაკვეთის მაშინებს შიში!
დაე, ჩემი ხმა, იქ რომ ჩავუშვი,
გელანდებოდეთ შფოთიან ძილში!
ქართველი ვარ... და არც აუგია,
თუ დღემდე ვერ ვთქვი სიტყვა მალული, -
სულ ყველაფერი წყალს წაუღია,
ოღონდ ხარობდეს ჩემი მამული!

პოეტის ეს განწყობა კარგად აისახა თანამედროვე ქართულ ხალხურ პოეზიაშიც, სადაც თავის მშვენიერ, ხასან თხილაიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში, მისივე ნათესავი თემურ თხილაიშვილი თავისი ღირსეული წინაპრის სურათს ასე ხატავს:

შეჭირვების ჟამს გაუტეხელი,
 ხალხის წინ წარსდგა ქობულეთელი,
 დიდ გულს-აღას მკვიდრი დისშვილი,
 თხილაიშვილთა ამაყი შვილი.
 ხელში ეჭირა ილიას დროშა,
 ეურჩებოდა მუხანათ დრო-ჟამს,
 როცა სამშობლოს იღბალზე სწუხდა,
 მოწოდებები იმისი ჰქუხდა...
 შვილი ვარ ლალი ცისა და მიწის,
 ქართველი ვარ და ქობულეთელი,
 პატრიოტი ვარ თავდადებული,
 თუ მამულს უნდა – რკინის მკვნეტელიც.
 მეხის გაგარდნას ჰგავდა მისი ხმა,
 რეფერენდუმი ორჯერ ჩაშალა,
 ისე გულწრფელად ლაპარაკობდა,
 რომ მუშტად შეკრა დიდი-პატარა...
 „ახლა ვდგავარ და კინტრიშს გავცქერი,
 წყალში კენჭს ვაგდებ, ვიწყებ მისნობას,
 კინტრიში - ჩემი ჩქარი მდინარე,
 ფეხდაფეხ მისდევს მარადისობას!...
 ჰგავს მარადიულ მგზავრთა დინებას,
 ეს სიანკარე და ეს სინაზე, -
 მუხლზე ეცემა პატარა ბიჭი
 და უკვდავ სახელს აწერს სილაზე
 ხასან თხილაიშვილი
 P. S. ჩვენი მჩქეფარე კინტრიში
 ახლაც გვიმდერის ნანას,
 აქ ჩვენი ფესვი მარხია,
 აქ წინაპრები წვანან!!!

- ასე ამთავრებს ხალხური მოქმელი თავისი უღრმესი შთაბეჭდილებების
 გადმოცემას, მაგრამ ჩვენი წინაპრების ძვლებიც კი გრძნობენ ჩვენი სამშო-
 ლოს გულისცემას და ახალი იმედით აღავსებენ მომავალ თაობას სამშობლო-
 სათვის თავდადებულ რაინდთა საგმირო საქმეები, რასაც თანამედროვეობის
 შესანიშნავი ქართველი პოეტი, ბათუმელი შოთა ზოიძე ლექსში „სამშობლო-

სათვის თავდადებული რაინდის – ხასან თხილაიშვილის ხსოვნას“ შემდეგ-
ნაირად ეხმაურება:

... მე აქ მარტო ვარ, საკუთარ თავთან,
არ ვუშინდები სიკვდილის ფაფხურს,
ვემშვიდობები თოვლსა და ზამთარს
და ველოდები ქათქათა ზაფხულს!

დიახ, იმედებითა და ქათქათა ზაფხულის მოლოდინით აღავსებს შთამო-
მავლობას ხასან თხილაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია.
ამიტომაც დაიდო მან ბინა თავის თანამემამულეთა თქმულება-გადმოცემებში
და ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი გახდა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ნაშრომში გამოყენებულია უჩა ოქროპირიძის პირად არქივში დაცული მასალები:

1. წიგნი-ალბომი – ხასან თხილაიშვილი;
2. მემედ ჯაფარიძის მოგონებები;
3. მურად ინაიშვილის მოგონებები;
4. ხასან გოლიაძის მოგონება;
5. ბესირე გოგიბერიძის მოგონებები;
6. რიზა გოგიბერიძის მოგონება;
7. ნესტორ მაღაზონიას ლექსი – ხასან თხილაიშვილის სიტყვა;
8. თემურ თხილაიშვილის ლექსი – ეძღვნება ღირსეულ წინაპრებს;
9. შოთა ზოიძის ლექსი – ხასან თხილაიშვილის ხსოვნას.

Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)

**Khasan Tkhilaishvili in the Folklore and Poems
in the Regions of Kobuleti and Batumi**

Summary

Based on the materials obtained during the expedition in Kobuleti municipality in 2017, it is considered Ottomans referendum in Kobuleti in 14 July 1918 year and the role of the Kobuleti population in destruction of that referendum, especially by Khasan Tkhilaishvili. In the article it is emphasized too that in the folklore and poems of the regions of Kobuleti and Batumi reflected the great role played by Khasan Tkhilaishvili in this case.

ინგლისის ხელისუფლების პოლიტიკა ბათუმში 1919-1920 წლებში (ახალი საარქივო დოკუმენტების მიხედვით)

1918 წლის 30 ოქტომბერს, საბერძნეთის კუნძულ ლემნოსის ნავსადგურ მუდროსში, ინგლისური კრეისერის „აგამემნონის“ ბორტზე, ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტის ქვეყნებს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ზავის მიხედვით, ოსმალეთის მთელ ტერიტორიაზე ანტანტის წევრი ქვეყნების სამხედრო მისიები დაფუძნდა, ოსმალეთის ჯარი კავკასიიდან დაუყოვნებლივ უნდა გაეყვანათ, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები უნდა გახსნილიყო და მოკავშირეთა გემებს თავისუფლად მიმოსვლის საშუალება მისცემოდათ. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ, ბათუმის ოლქში ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმს წერტილი დაუსვა. მუდროსის ზავის მე-11 მუხლის ძალით, ოსმალეთს ამიერკავკასიიდან და, ცხადია, ბათუმის ოლქიდან, თავისი ჯარი უნდა გაეყვანა. ბათუმი, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის გაფორმებული 1918 წლის 4 ივნისის კაბალური ხელშეკრულების გამო, ოსმალების ხელში იყო, ინგლისელთა მფლობელობაში გადავიდა. საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში (ქ. ფოთსა და ქ. სოხუმთან) ბრიტანეთის ფლოტი 1918 წლის დასაწყისში გამოჩნდა. ინგლისელების საქართველოში შემოსვლას თავდაპირველად სადაზვერვო ხასიათი ჰქონდა. მათ უნდა შეემოწმებინათ ნავსადგურებში არსებული მდგომარეობა და შეესწავლათ პირობები მათი სამხედრო ნაწილების განლაგებისთვის (ცუხიშვილი, 1995:18). 3 დეკემბერს ბათუმში ინგლისური კრეისერი „ლივერპული“ შევიდა [სიორიძე, 2008:457]. 1918 წლის 30 დეკემბერს ბათუმის პორტში გენერალ ფორესტიე უოკერის ხელმძღვანელობით 4 გემი გამოჩნდა, სადაც 15 000 ჯარისკაცი იმყოფებოდა [Adkisson, 1958:24].

ბათუმის გენერალ-გუბერნატორად ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი დაინიშნა. ბრიტანეთის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ბათუმი საერთაშორისო პორტი და კვლავ ამიერკავკასიის საქონლის საწყობი გახდა, რაც ხაზს უსვამდა ქალაქის დიდ მნიშვნელობას და ხელსაყრელ გეოგრაფიულ

მდებარეობას. ზოგადად ვაჭრობა და ნაწილობრივ სპეკულაცია ბათუმში აყვავდა, სადაც ამიერკავკასიის და რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან სამუშაოს მსურველები მოემართებოდნენ. ბათუმის მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა, რამაც საცხოვრებელი ბინების კრიზისი შექმნა.

ბათუმში ინგლისელების გაბატონებას ეჭვის თვალით უყურებდა მათი მოკავშირე საფრანგეთის მთავრობა, რაც საიდუმლო მიმოწერიდან ნათლად ჩანს. 1920 წლის 13 აპრილს საფრანგეთის მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში, ამიერკავკასიაში საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე მარტელი წერდა: „...ბათუმში ინგლისელები სრული ბატონ-პატრონები არიან. ისინი მუშაობენ სხვა ქვეყნების ინტერესების საწინააღმდეგოდ და პირადი ინტერესების სასარგებლოდ“ *[Afanasyan, 1981:101]*.

ბათუმის მნიშვნელობაზე აქტიურად საუბრობდა ფრანგული პრესა. 1919 წლის 3 დეკემბერის ნომერში ფრანგული ოფიციალური გაზეთი „დრო“ („Le Temps“) წერს: „მდებარეობა ბათუმისა შავ ზღვაზე ისეთია, რომ იგი ითვლება არამც თუ ამიერკავკასიის მაგისტრალად, არამედ იგი ყურეა ცენტრალური აზიის და სპარსეთის. საქართველოსთვის ბათუმი ხომ სახლის კარია. ერთ წელზე მეტია, რაც ბათუმის ნავსადგური მოკავშირეების სახელით უჭირავთ ინგლისელებს, რომელთაც აქ ოსმალები შეცვალეს. მცირე აზიაში რუსეთის ფრონტის დარღვევამ, უკანასკნელთ შესაძლებლობა მისცა ბათუმში შესულიყვნენ, თუმცა მათ სახელდახელოდ შედგენილმა ქართულმა ჯარმა წინააღმდეგობა გაუწია. ბათუმი ამიერკავკასიაში ერთადერთი ადგილია, სადაც ინგლისელები დარჩნენ. მიუხედავად ბათუმის საზღვაო ვაჭრობისა, რომელიც სპეკულანტების მიერ ერთ დიდ საწყობად გადაიქცა, აქ ცხოვრება გაცილებით ძვირია, ვიდრე თბილისში. ფიქრობენ, რომ ინგლისელთა მმართველობა გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ბედი ამ ტერიტორიის არ გადაწყდება საბოლოოდ. ამასთან ერთად იზადება კითხვა – გადაეცემა თუ არა ბათუმის ოლქი საქართველოს მთავრობას, რაც საჭიროა მოხდეს თანახმად უფლებისა. ასეთია ყოველ შემთხვევაში სურვილი ამ ოლქის მცხოვრებლებისა, რომელთა უმრავლესობასაც ქართველები შეადგენენ და რომელთა სურვილიც გამოითქვა წინათ ყრილობაზე. სპეკულანტებმა, რომელთაც მხოლოდ მოგება აინტერესებთ, ეს ლამაზი ქალაქი, რომელიც ოდესღაც იყო მშვიდობიანი კუთხე და ამაყი თავისი „ზღვის მოედნით“, ზღვის მეკობრეების – ე. წ. „ინდუსტრიის რაინდების“, რომელთაც შავი ზღვის ტალღები ყოველი მხრიდან მოაქანებენ, ნადირების თავშესაფრად გადააქციეს. ხელოვნურად შექმნილი ადმინისტრაციული და საბაჟო ზღუდეები, ამ ნავსადგურს საქართ-

ველოსგან ყოფს, რომელიც არის მისი ბუნებრივი საზღვარი და რომლის მდგომარეობაც არაფრით არ მართლდება, თუმცა იგი გრძელდება ერთ წელზე მეტია“ [*“Le Temps”, 1919, №21314*].

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ბათუმში მყოფ ინგლისის წარმომადგენლობასთან კავშირის ოფიცრად ლეიტენანტი შ. მირიანიშვილი დაინიშნა. ინგლისელებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ თავის საანგარიშო მოხსენებაში იგი აღნიშნავს: „ამა წლის (იგულისხმება 1919 წელი – ლ. ს.) 20 ოქტომბერს თანახმად საგარეო სამინისტროს მოთხოვნილებისა და სამუსულმანო საქართველოს კომიტეტის შუამდგომლობისა, მე გამოგზავნილ ვიყავი ქ. ბათუმში აქაურ ორგანიზაციებში სამუშაოდ, ინგლისელებთან კავშირის დასაჭერად. ჩამოსვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრო ქართულ საზოგადოებასა და ინგლისელებს შუა უთანხმოებამ და არაკეთილგანწყობილებამ... დიდი დაბრკოლება და შევიწროვებანიც გამოვიარე, სანამ შევქმნიდი ერთგვარ კავშირს ადმინისტრაციულ პირებთან, რათა მათ ჩემთვის ანგარიში გაეწიათ, როგორც კავშირის ოფიცერისადმი და ჩემი მოთხოვნილებანი თუ თხოვნები სისრულეში მოეყვანათ. რასაკვირველია, ამ წინააღმდეგობის მიზეზნი იყვნენ ის „დენიკინელების“ ელემენტები, რომლებიც დღეს-დღეობით ინგლისელების სამსახურში იმყოფებიან. არ ეპიტნავებოდა მათ ჩემი აქ მუშაობა იმ მხრივადაც, რომ ბევრს მათს არაკანონიერ მოქმედებებს აშკარად ვაღიარებდი და მოვითხოვდი მათდამი სასჯელს...“ [*სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 238, ფურც. 36*].

ინგლისელებთან კავშირის ოფიცერს – შ. მირიანიშვილს დავალებული ჰქონდა, ურთიერთობა დაემყარებინა ბათუმში მყოფი ინგლისის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, მის მიერ წარდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ შ. მირიანიშვილს ურთიერთობა ჰქონდა ისეთ პირებთან, როგორიცაა ბათუმში ინგლისის გენერალ-გუბერნატორი – კუკ კოლისი, მისი ადიუტანტი, სამოქალაქო გუბერნატორი – გარისი, ინგლისელთა პოლიციის უფროსი და მისი თანაშემწე, საინფორმაციო ბიუროს და დაზვერვის გამგე – კაპიტანი ელერზი, საოლქო ადმინისტრაციის გამგე – კაპიტანი მათეუსი, საბაჟოს უფროსი – კაპიტანი ლიქსონი, ნავსადგურის გამგე – კაპიტანი ჯეუერი, სამხედრო სასამართლოს მოსამართლე – მაიორი ვებსტერი, პროკურორი – კაპიტანი კორნენი, ფოსტატელეგრაფის გამგე – კაპიტანი გოცსი და სხვა მოხელეები. ესენი იყვნენ ის პირები, რომლებიც მაშინ დიდი გავლენით სარგებლობდნენ ბათუმში. შ. მირიანიშვილი, ქართული მუსულმანური კომიტეტის დავალებით, გაზეო

„სამუსლიმანო საქართველოდან“ სხვადასხვა საკითხზე სტატიებს, ასევე, მემორანდუმებს, პეტიციებს თარგმნიდა ინგლისურ ენაზე და ბათუმში მყოფ ინგლისელთა ადმინისტრაციას აწვდიდა. იგი, როგორც თარჯიმანი, თან ახლდა, როგორც სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტის, ასევე, ქართული ეროვნული საბჭოს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს და მათ მიერ წამოყენებულ საკითხებს, ინგლისელთა წინაშე წარადგენდა, რათა ქართული მხარისთვის სასურველი საკითხები ინგლისის ადმინისტრაციას დროულად გადაეწყვიტა. შ. მირიანიშვილის გადმოცემით, რუსი და სომეხი თარჯიმნების მიერ მიწოდებული ყალბი ინფორმაციის გამო, ინგლისელებს თავდაპირველად არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ ქართულ მხარეზე. იგი, როგორც ინგლისელებთან კავშირის ოფიცერი, სწორედ, ქართველ პოლიტიკოსებზე ამ მცდარი შეხედულების გაფანტვას ცდილობდა. შ. მირიანიშვილი წერს: „...საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო ის მოვლენა, რომ ბათუმის ოლქში მყოფი ინგლისელები ახლად ჩამოსულნი არიან სხვადასხვა მხარეებიდან და საქართველოს შესახებ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, გარდა გამოგონილისა, რასაკვირველია, ჩვენი მტრებისგან. ის ფაქტი, რომ ბათომი თავის ოლქით, მათ ისტორიულადაც რუსეთისად მიაჩნდათ, დამამტკიცებელია მათი უცნობობის იმ კუთხისა, რომლის დროებით გამგეებათ დღეს არიან. რასაკვირველია, ეს აიხსნება იმ ინფორმაციით და ენატანობით, რომელსაც აქ დენიკინელების აგენტები ეწევიან. თვით, ინფორმაცია, რომელიც ყოველივე გავლენის გარეშე უნდა იყოს, მთლად ჩვენი მტრების ხელშია. ის ფაქტი, რომ ჩვენი სახელოვანი გვარდიის მეოთხე კონფერენციის მოწოდება, ზემოაღნიშნულ ბიუროში, წარდგენილ იქმნა, როგორც ბოლშევიკური პროკლამაცია, დამამტკიცებელია ამის...“ *[სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 238, ფურც. 37]*.

თავის მხრივ შ. მირიანიშვილი ცდილობდა, გაეფანტა ყოველი ცრუ ინფორმაცია და შეექმნა წრფელი განწყობილება ინგლისელებთან, მოეპოვებინა მათი ნდობა და რეალობაზე დაფუძნებული ინფორმაცია მიეწოდებინა. პოლიტიკური საკითხების გარდა, იგი ყურადღებას ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საკითხებსაც აქცევდა, როგორიცაა: ყოფილი ფოსტების მიწების ქართველებისთვის გადაცემა, შავ ზღვაზე ქართული გემების თავისუფალი ნაოსნობა, ქართული ყალბი ფულის მომჭრელთა და გამავრცელებელთა დევნა და ძიება; ვაჭარ-მრეწველთა ამა თუ იმ ჯარიმებისგან გათავისუფლება; ბათუმში მყოფი საქართველოს ადმინისტრაციისთვის დახმარების გაწევა, საქართველოს მოქალაქეთა გემებზე მოწყობა და უცხოეთში გამგზავრება; უსამართლოდ დასჯილი პატიმრების გათავისუფლება და მათი სიმართლის

აღდგენა, ბათუმში მყოფი ინგლისის ადმინისტრაციის მიერ დაკავებული საქონლის საქართველოსთვის დაბრუნება და სხვა. ინგლისელებთან აქტიურად თანამშრომლობდა ბათუმის კონსული ჩიმიჯიშვილი, რომლის უშუალო განკარგულებითაც შ. მირიანიშვილი თავის მოვალეობას ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „...მისი (იგულისხმება ბათუმის კონსული ჩიმიჯიშვილი – ლ. ს.) შრომა უფრო ოფიციალური ხასიათისა იყო, მე კი ვასრულებდი ამხსნელ-შუამდგომლობისა და დამაჩქარებლის როლს ამა თუ იმ საკითხის საჩქაროდ სისრულეში მოსაყვანად. ინფორმაციის სახის მუშაობას ვეწეოდი შეძლებისდაგვარად თუ ამის საშუალებას დრო მამლევდა, აგრეთვე, ამერიკელებსა და ფრანგთა მისიებს შორისაც“ *[სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 238, ფურც. 37]*.

შ. მირიანიშვილის მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ ბათუმში მყოფი ინგლისის ადმინისტრაცია, სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს, ქართულ მხარეს გარკვეულ ანგარიშს უწევდა.

როგორც შ. მირიანიშვილი აღნიშნავს, ბათუმში ცხოვრების სიძვირის გამო, იგი აუტანელ პირობებში იმყოფებოდა, რაც მისი თანამდებობიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ბათუმში ყოფნის პერიოდში, მას მატერიალურ და სულიერ დახმარებას უწევდნენ სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტის, ასევე, ეროვნული საბჭოს წევრები, რომლებიც საზოგადოებრივ სამსახურში ყოფნის პერიოდში მას ამხნევებდნენ.

ბათუმში ბოლშევიკების აქტიური პროპაგანდის და ანარქიის გამო, დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს არაერთხელ მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა, რადგან მათი თავაშვებული პოლიტიკა ხელს უშლიდა ბათუმი საბოლოოდ მის კანონიერ მეპატრონეს – საქართველოს ხელისუფლებას გადასცემოდა *[სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 239, ფურც. 1]*.

დენიკინელების თავაშვებულ მოქმედებაზე გაზეთი „ერთობა“ წერს: „მდგომარეობა ბათუმში თანდათან რთულდება. გაფაციცებით მუშაობენ დენიკინის აგენტები. თუმცა ცნობილი მასლოვის მთავრობა დაეცა და უზენაესი ძალაუფლება ინგლისელების ხელშია. მაგრამ მასლოვის აპარატი თავის ადგილას დარჩა. მოსამსახურეები, მოხელეები და ადმინისტრაცია თითქმის ყველა დაწესებულებებში, ქალაქში თუ ოლქში დენიკინელებისაგან შედგება. ესენი დიდ ძალას წარმოადგენენ საჭიროების დროს. ამით არ კმაყოფილდება თვითმპყრობელობის შავი გენერლების შავი ორგანიზაცია – ეკატერინოდარში სჩანს, გადაუწყვეტიათ, მოახდინონ ფაქტიური დაპყრობა ბათუმის ოლქისა.

ამისთვის მათ გამოგზავნეს ძველი რეჟიმის აქაური ადმინისტრატორები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც ადგილობრივ პირობებს კარგად იცნობდნენ. რომანოვსკი-რომაზკო, ყოფილი გუბერნატორი, ჟანდარმთა პოლკოვნიკი დიომინი, ძველი არტილერიისტები და სხვა მრავალნი აბამენ ქსელს, პროვოკაციის, მოტყუების და მოსყიდვის, ამზადებენ რეალურ ძალას, რათა საჭიროების დროს ყოველმხრივ მზად დარჩნენ. ამ ბოლო დროს ისინი მთლად გათავხედდნენ – ჩოლოქზე ააფრიალეს „ნიკილოზის“ სამფეროვანი დროშა და დენიკინის წარმოგზავნილმა გენერალმა ნათიევმა გამოაცხადა, რომ ის ადგენს ამიერკავკასიის „ტუხუმნი კორპუსს“, მოუწოდებს მცხოვრებლებს ჩაეწერონ; ნათიშვილის მოწოდება მთლად უშედეგოდ არ რჩება. მის „კორპუსში“ ეწერებიან, უმთავრესად სომხობა. არიან თითო-ოროლა ქართველებიც, რომლებიც ვერ ეგუებიან ჩვენს წყობილებას, როცა ვინმე ქუთათურ ბერიძეს შეეკითხნენ, რატო ეწერები ჩვენი მტრების ბანაკშიო, მან თავი იმით იმართლა, რომ მას თვრამეტი ქცევა არ ჰყოფნის, ზედმეტი კი ჩამომართვესო. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 8000-მდე კაცი. აქედან უმრავლესობა სომხები, შემდეგ რუსები და ბოლოს (ოციოდე) ქართველი. თუ როგორ უტყერის ამ ფაქტს ინგლისის გუბერნატორი, ამას ბათუმელები კარგად ხედავენ. კარგად გრძნობს ამას სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის განყოფილებებს ოლქში სდევნიან დენიკინის ადმინისტრატორები და ამას შვრებიან გუბერნატორის სახელით. ისინი ჩვენს მიმდევრებს აშინებენ იმით, რომ თითქოს ინგლისის სარდლობას განკარგულება აქვს გაცემული, სდევნონ ოლქში, როგორც ოსმალეთის პროპაგანდისტები, ისე ქართველების. ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ წარუდგინა გუბერნატორს მემორანდუმი – პროტესტი. ასეთია საერთო მდგომარეობა ბათუმში“ *[გაზ. „ერთობა“, 1919]*.

1919 წლის 25 ოქტომბერს, ბათუმში ინგლისის ადმინისტრაციის განკარგულებით, დენიკინელების გაზეთი „ნაშ კრაი“ დაიხურა, რომლის რედაქტორი ქ. ქუთაისში დაბადებული რუსი მწერალი და ჟურნალისტი ანდრეი მიტროფანეს ძე სელიტრენიკოვი, იგივე ანდრეი რენნიკოვი (1882-1957 წ.წ.) იყო *[Аврамченко, 2001:49]*.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმის დასაბრუნებლად აქტიურად მუშაობდა. 1920 წლის 31 იანვარს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფ საქართველოს დელეგაციის წევრებს, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი შემდეგ წერილს უგზავნის: „...მიიღეთ ზომები ბათუმის საკითხის საჩქაროდ დასამთავრებლად – ეს კითხვა საშინ-

ლად აღელვებს მთელს საზოგადოებას. დღიდან დღეზე ელიან, როგორც ბათუმის ოლქისათვის, ისე მთელი საქართველოსათვის კითხვის კეთილად დაბოლოებას. საქართველოს მთავრობა თანახმაა, ბათომი დარჩეს დიდი ბრიტანეთის ბაზად, მაგრამ მართვა-გამგეობა ოლქისა და ქალაქის უნდა გადაეცეს საქართველოს. ბათომში, ამჟამად, სწარმოებს გაძლიერებული აგიტაცია ბოლშევიკებისა და ოსმალეთის, ამ მხრიდან რესპუბლიკის საზღვრები სრულიად ღიაა. სასიკვდილო საფრთხე მოგველის ჩვენც და ბრიტანეთსაც, თუ არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები. ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სიმპათიაზე დაყრდნობით, საქართველოს შეუძლია, დაამყაროს სათანადო წესრიგი და საბოლოოდ უზრუნველყოს საზღვრები ოსმალ-ბოლშევიკთა მოსალოდნელ შემოსევისაგან“ *[სესია, გ. 1864, აღწ. 2, ს. 236 ფურც. 39]*.

მეტად საყურადღებოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის მიერ ო. უორდროპისთვის გაგზავნილი 1920 წლის 6 იანვრით დათარიღებული ნოტა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი არ დაეხმარა ქართულ მხარეს და ბევრ რამეში ავიწროებდა. ბათუმში ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წყალობით საქართველოს არ მიეცა საშუალება, გაემაგრებინა ბათუმის ოლქის საზღვარი.

1920 წლის 10 ივნისს, დიდი ბრიტანეთის მთავრობის სხდომაზე დაადგინეს, მოეხსნათ ბათუმის ოკუპაცია და მთელი ოლქი გადაეცათ საქართველოსათვის. 28 ივნისის შეთანხმებით ინგლისის მთავრობის მიერ ოლქის, პორტის და ქ. ბათუმის საქართველოს მთავრობისათვის გადაცემის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება გარანტიას იძლეოდა, რომ უზრუნველყოფდა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ტვირთების თავისუფალ ტრანზიტს ბათუმის პორტში და ვალდებულებას იღებდა, რომ აღნიშნულ რესპუბლიკებს ბათუმის პორტით თავისუფალი სარგებლობის უფლებას მისცემდა.

1920 წლის 20 ივნისს ბათუმიდან ინგლისის ჯარების ევაკუაცია დაიწყო. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა, რათა ბათუმის ოლქში საქართველოს სამხედრო ნაწილების შესვლა მოემზადებინა. 1 ივლისს საქართველოს სამხედრო ნაწილებმა გენ. გ. კვინიტაძის მეთაურობით, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ნატანებ-ქობულეთის რკინიგზის ხაზი, ქობულეთი, კინტრიშის ხიდი და 3 ივლისს ბარცხანაში შევიდნენ. 7 ივლისს, 12 საათზე საქართველოს ჯარი ქ. ბათუმში შევიდა. საღამოს 6 საათზე ინგლისის წარმომადგენლების მიერ ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსთვის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქში სამხედრო წესები გამოცხადდა. ოლქის განსაკუთრებულ კომისრად ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა. ივლისის შუა რიცხვებში ბრიტანული ნაწილების ევაკუაცია დასრულდა.

ინგლისელების მხრიდან ბათუმის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის გადაცემის ფაქტს გამოეხმაურა ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ მუხტარი *[სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 235, ფურც. 1]*.

1920 წლის 25 ივლისს მან საპროტესტო წერილი გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების ხელისუფლება სასტიკი წინააღმდეგი იყო ბათუმის საქართველოსთვის გადაცემის და საქართველოს მთავრობას მოსალოდნელ მძიმე შედეგებთან დაკავშირებით აფრთხილებდა. ინგლისის ჯარის საქართველოდან გასვლის შემდეგ, ქვეყანა ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ აღმოჩნდა, რასაც 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში საქართველოს დამარცხება და იძულებითი ანექსია-ოკუპაცია მოჰყვა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

გაზ. „ერთობა“, 1919 – „ბათუმი“, გაზ. „ერთობა“, №135, 21 ივნისი, 1919.

სიორიძე, 2008: – სიორიძე მ., ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პირობებში, წიგნში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, აჭარა, III, ბათუმი, 2008.

სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 238 – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე №238, ფურც. 36.

სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 236 – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე №236, ფურც. 39.

სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 239 – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე №239 (A son excellence le Haut Comimissaire de la Grande Bretagne, №1441, 21 Février, 1920).

სცსა, ფ. 1864, აღწ. 2, ს. 235 – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე №235 (Ahmed Mouhtar – Commissaire de l'intérieur pour les Affaire étrangères du Gouvernement de l'Assemblée Suprême National du Ottoman au Monsieur le Ministre des Affaires étrangères de la République Géoregienne. Angora, le 25 Juillet, 1920).

ცუხიშვილი, 1995: – ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წ.წ. გვ. 18, თბილისი.

Аврамченко, 2001: – Аврамченко Галина Руслановна, Ренников (Селитренников) Андрей Митрофанович (1882 - 1957), 2001 / Новый исторический вестник.

Adkisson, 1958: – Laura M. Adkisson, Great Britain and the Kemalist Movement for Turkish Independence, 1919-1923, p. 24, Michigan, 1958.

Afanasyan, 1981: – Afanasyan S., L'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir Soviétique 1917-1923, p. 101, Paris.

“Le Temps”, 1919, №21314 – La situation du port de Batoum, “Le Temps”, №21 314, p. 4, 3 Décembre, Paris, 1919.

Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)

The Policy of the English Government in Batumi in 1919-1920 (According to New Archive Documents)

Summary

On the basis of new archival and a press materials the history of activity of the British administration in Batumi, is discussed in this article. On 30 October 1918, a peace treaty was signed between the Ottoman Empire and the Allies of World War I. It was signed by the Ottoman Minister of Marine Affairs Rauf Bey and the British Admiral Somerset Arthur Gough-Calthorpe, on board HMS Agamemnon in Moudros harbor on the Greek island of Lemnos. Under the Article 11 of the Moudros Treaty, the Ottoman Empire must bring his army from South Caucasus, obviously, from the Batumi district. Because of the strained agreement of 4 June 1918 between the Democratic Republic of Georgia and the Ottoman Empire, Batumi was in possession of Ottomans. According to Moudros Agreement, it became a part of England.

After the arrival of the British Government, Batumi became an international port and the warehouse of the Transcaucasian goods, which highlighted the importance of the city and his favorable geographical location. The French official press often wrote about the significance of Batumi.

According to the archival documents, In October-November 1919, Lieutenant Sh. Mirianashvili was appointed as an officer in connection with the English

representation in Batumi. In his report he notes, that by assignment of the ministry of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia and with the mediation of the Muslim Committee he was been sent in Batumi for to work in the local organizations. He was actively negotiations with the English administration in Batumi. As a result of his work, the administration of England, which was in Batumi, during the resolution of various issues, the interests of the Georgian side were taken into consideration.

In july 1920, the Government of England gave Batumi to the Government of Georgian Democratic Republic. The country was faced to Bolshevik Russia, which resulted with the defeat and forced annexation-occupation of Georgia, after the war February-March 1921.

ერთი ბათუმური გვარის ეტიმოლოგია (ვარშანიძე)

საქართველოში მრავალი ქართული გვარი ერთ გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში წარმოიქმნა და სხვა გვარებს იმავე ტერიტორიაზე რიცხობრივადაც სჭარბობს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ბუდე-ადგილიდან მიგრაციის გამო, გვარი სხვა გეოგრაფიულ ადგილას უფრო მეტია. ასეთ გვარებს მიეკუთვნება ვარშანიძე, რომლის ბუდე ჩემი აზრით, ჯერ – კორიდეთი, შემდეგ – ქვემო აჭარაში ქედის რაიონის სოფელი ზუნდაგაა, მაგრამ ამჟამად ქვეყანაში მცხოვრები 2447 (2012 წ.) ვარშანიძიდან ქედის რაიონში მხოლოდ 169 ცხოვრობს (7%), ხელვაჩაურში – 449 (18%), ხოლო ბათუმში ვარშანიძეთა რიცხვი 1619-ს (66 %) აღემატება. ამიტომ პირობითად მას ბათუმური გვარი ვუწოდეთ.

როგორც ყველა ქართულ გვარს, ვარშანიძესაც აქვს თავისი წარმომავლობის წინამძღვრები. იგი ადამიანის სახელისგან – ვაშანა-სგან მოდის, ე.ი. ანთროპონიმული წარმომავლობისაა. ყველაზე ძველი საბუთი, სადაც შეგვხვდა სახელი **ვაშანა**, XII საუკუნისაა. მასში დასახელებულია ვაშანაი, ივანე მათეშვილის მიერ მიქაელ ხუცესისთვის ნაწყალობევი მიწის, დაწერილის მოწმედ **[პალ., 1989: 120]**. სამწუხაროდ, ჩვენ აქამდე არ ვიცოდით ამ პიროვნების სადაურობა. ნათელია, რომ მას გვარი ჯერ კიდევ არ აქვს.

XII საუკუნის კიდევ ერთ საბუთში ვნახე სახელი **ვაშანა**, რომელიც იგივე პიროვნებას და იმავე წყალობის დაწერილის მოწმედ ყოფნას უნდა ეხებოდეს, მაგრამ მისი მთლიანად მოტანა აუცილებლად მივიჩნიე, რადგანაც შინაარსი პირველი საბუთისაგან განსხვავებულია და მითითებულია მოწმეთა სადაურობაც: „დაწერილი ხუცეს მათეშელისა ხუცეს მიქაელ კვირიკესძისადმი: ფარსმანის გამგებლად ყოფნისას მათეშელს უყიდია „მიწა ნიგოზითა...“ „ამის დაწერილსა მოწამენი არიან: ვაშანაი და იანესა კორიდელი და თადუვი და ნადირბერი და პეტრე და სრულიად კორიდელნი. დაიწერა ნადირის ძისა ხელითა...“ **[კორიდეთი., 1989: 44]**.

ამ საბუთით გასაგები გახდა პიროვნებათა ვინაობა, მათი ნათესაური დამოკიდებულება და სადაურობა.

დასაწყისში ვიტყვი, რომ კორიდეთი მდინარეების – ჭოროხისა და მურღულის შესართავთან, ძანსულის თემში, ე.ი. ისტორიული ტბეთიდან არც-თუ ისე შორს მდებარეობს.

ორი დოკუმენტის შეჯერებით ირკვევა, რომ ივანე მათეშელი და ივანე მათეშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა. მიქაელ ხუცესის გვარი კვირიკაძეა. ფარსმანის გამგებლობის დროს ივანწმინდის მიმდებარე მამული შუადელეთი, მისი ნახევარი ნიგოზითა, უყიდია ივანე მათეშელს. ამ აღებ-მიცემობის საბუთი შეუდგენია ნადირისძეს, ხოლო მოწმეებად დასახელბულნი არიან **ვაშანაი**, იანესა კორიდელი, თადუევი, ნადირბერი, პეტრე და **სრულიად კორიდელნი**.

ვაშანა თავადაც კორიდელი უნდა იყოს, მაგრამ მას გვარი ჯერჯერობით არა აქვს, განსხვავებით მიქაელ ხუცესისა და ივანესი, რომელთაც უკვე აქვთ გვარები კვირიკაძე და მათეშვილი.

ამ საბუთზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ვარშანიძის გვარის ისტორია XIII საუკუნიდან იწყება, ხოლო ამ გვარის მატარებელნი ჭოროხ-მურღულის ხეობებში და შავშეთ-იმერხევში უნდა ვეძიოთ.

სხვათა შორის, ერთი მიქაელ კვირიკასძე „ტბეთის სულთა მატთანეს“ XV საუკუნის საბუთშიც შეგვხვდა. მას ჰყავს მეუღლე მარიამი. ეს ხელნაწერი 1874 წელს **გიორგი ყაზბეგმა** (1839-1921) ტბეთის ტაძარში აღმოაჩინა. ვრცელ ხელნაწერში, რომელსაც თინათინ ენუქიძემ „ტბეთის სულთა მატთანე“ უწოდა, ვხვდებით XII საუკუნიდან ვიდრე XVII საუკუნემდე ეკლესიის შემომწირველთა გვარებსა და სახელებს. ჩამოვთვლით ყველას, ვინც ვაშანა-დან ნაწარმოებ გვარს ატარებს.

ჩანაწერის რიგითი ნომერი:

471: სულსა **ვაშანიძისა** იორდანეს და მისისა მეუღლისა ნათელისა შეუნდვენ ღმერთმან (XIII ს.)

472: სულსა **ვაშანეთ** ბასილისა შეუნდვენ ღმერთმან (XIII ს.);

478: სულსა **ვაშანიძისასა** გიორგისასა და მისისა მეუღლისა მარიამის შეუნდვენ ღმერთმან (XV ს.);

59: სულსა **ვაშანიძისა** მიქაელისა და მისისა მეუღლისა ბორენასა შეუნდვენ ღმერთმან (XV ს.);

60: სულსა **ვაშანისძისა** წიქარისასა და მისისა მეუღლესა თინასა შეუნდვენ ღმერთმან (XV ს.);

111: სულსა ვაშანისძისა წიქარისასა, სულსა მისისა მეუღლისა თინი-
ნასასა, შეუნდვენ ღმერთმან (XV ს.)¹.

55: სულსა ვაშანისძისა ფოცხერასა შეუნდვენ ღმერთმან. სულს მისისა
მეუღლისა რუსუდანს შეუნდვენ ღმერთმან (XVI ს.)

93: სულსა ვაშანისძისა ივანასასა და მისისა მეუღლისა ესნას შეუნდ-
ვენ ღმერთმან (XVI ს.) *[ტბეთის., 1977: 15-24, 66, 72, 124].*

ამ უძვირფასეს საბუთში დასახელებული ყველა გვარი პატრონიმუ-
ლია, ე.ი. წარმოსდგება მამაკაცის სახელისგან – ვაშანა.* საზოგადოებრივი
განვითარების ეს ფორმა დამახასიათებელია პატრიარქალურ-გვაროვნული
წყობილებისთვის და ხშირად დაცულია მომდევნო პერიოდებშიც, თვით
იმპერიალიზმის ეპოქამდე. იგი წარმოადგენს თანამოგვარე ოჯახების
ჯგუფს, რომლებიც მათი დამაარსებლის სახელით იხსენიებიან.

ჩვენს შემთხვევაში გვარის ტრანსფორმაცია კლასიკურად ვითარდება.
დასაწყისში გვაქვს გვარის უძველესი ფორმა სუფიქს ეთ-ი. **ვაშანეთ-ი**,
ხოლო მომდევნო ჩანაწერებში ყველგან **ვაშანისძე** გვხვდება.

ზოგიერთი სხვა გვარის მატარებლებს თან ახლავს მათი სადაურობაც,
მოხსენიებულია სოფლის სახელიც. ასეთია 21 ტოპონიმი. ვაშანიძეების
გვარს სოფლის სახელი არ ერთვის, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა
მათგანი კორიდეტიდან უნდა იყოს; აქედან, როგორც ჩანს, მაჭახლის ხეო-
ბით გვარი თანდათან გავრცელდა ქვემო აჭარის სოფელ ზუნდაგაში. მარ-
თალია, იგი „ტბეთის სულთა მატიანეში“ არ არის, მაგრამ საბუთებში ამ
სოფლის სიძველევც დასტურდება (იხ. ქვემოთ). საყურადღებოა, რომ „ტბე-
თის სულთა მატიანეში“ ქვემო აჭარის ორი სოფლის სახელი გვხვდება:
ზენდიდი და **ბზათა**. ზენდიდი ცნობილი ისტორიული სოფელია. რაც
შეეხება ბზათას, იგი, ჩვენი აზრით, ქვემო აჭარის სოფელი ბზანა უნდა
იყოს, რომელიც როგორც ჩანს, გადაშენდა ან შეერწყა სოფელ ზუნდაგას
და ამჟამად, მხოლოდ ზუნდაგას ტერიტორიაზე მდებარე მდინარე **ზემო**
და **ქვემო ბზანა** შემოგვრჩა.

მატიანეში ერთი შემომწირველი ბზათადანაც არის: „სულსა ბზათე-
ლისა თათასძესა გიორგის და მისისა ძმისა კვირიკეს შეუნდვენ ღმერთ-

¹ 60 და III რიგითი ნომრით ჩაწერილი ვაშანისძე წიქარი და მისი მეუღლე თინა თუ
თინინა ერთი და იგივე პიროვნებები უნდა იყვნენ. ასე ფიქრობს ხელნაწერის გამოძ-
ცემელი თინათინ ენუქიძე.

* ამ სახელს ასევე მოიხსენიებენ გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ღლონტი, ილია მაი-
სურაძე.

მან“ *ტბეთის.., 1977: 116*], ეს კი ბზათა-ზუნდაგას იგივეობაზე უნდა მეტყველებდეს.

რაც შეეხება თვით გვარს, ვარშანიძე-ს, ეჭვს გარეშეა, რომ მისი საწყისი და სწორი ფორმა არის ვაშანის ძე (ვაშანიძე), რომელშიც ასო `რ~ს ჩამატება საქართველოს სხვადასხვა მხარისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. აჭარაში ამის მაგალითად ვარშალომიძეც გამოდგება, რომლის საწყისი და სწორი ფორმა ვაშალომიძე გურიასა და იმერეთში გვხვდება; გოგოშაძის ნაცვლად გორგოშაძე, გორგოშიძე, გივიშვილი – გივაძის ნაცვლად, გივრაძე და ა.შ.

საყურადღებოა, რომ გვარის უძველესი ფორმა ვაშანიძე, XX საუკუნის დასაწყისამდე მოვიდა. 1911 წელს წოდებრივ კომისიას აზნაურის პრივილეგიების აღსადგენად მიმართეს ხუსეინ, ომერ და ხურშუტ **ვაშანიძეებმა** *[სურმანიძე, 2016: 279]* ისინი ს. ურეხში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათმა ყველა მემკვიდრემ დაგვიდასტურა, რომ ისინი გადმოსახლდნენ სოფელ ზუნდაგიდან.

ვარშანიძეთა განსახლების თანამედროვე სტატისტიკური მონაცემები იხ. ტაბულაში.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

კორიდეტი.., 1989: – კორიდეტის საბუთები, გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბილისი.

პალ. 1989: - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბილისი.

სურმანიძე, 2016: – რ. სურმანიძე. თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ. თბილისი.


ტბეთის.., 1977: – ტბეთის სულთა მატთანე, გამოსაცემად მოამზადა თინათინ ენუქიძემ, თბილისი.

Etymology of One Surname from Batumi (Varshanidze)

Summer

Varshanidze belongs to the Georgian surnames, which is mainly found in one geographical environment. The nest of his origin is the village of Korideti of historical Georgia, as well as the Machakhela valley, but from the 16th century the surname moved to the village of Zundaga in „Qvemo Ajara”. From this the whole area was covered. Currently, 70% of surname of Varshanidze lives in Batumi. The author gives us the etymology of the surname, geography, its place in Georgia, the biographies of the visible representatives and so on.

ტაბულა.



ქორონიმები: „ბათუმის ოლქი“ და „ბათუმის მხარე“ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში

ქორონიმები: „ბათუმის ოლქი“ და „ბათუმის მხარე“ აშკარად სხვადასხვა ტერიტორიას მოიცავს¹, თუმცა, დღემდე ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში მაინც პარალელურად ან აღრევით გამოიყენება; მაგ., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (2008: 365) ვკითხულობთ:

„ოსმალეთის მიერ ოკუპირებული რჩებოდა მხოლოდ **ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი - ართვინის მხარე** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.). იგი მთაგორიანია და ძნელად გასავლელი. ამის გამო შეძლეს ოსმალებმა იქ გამაგრება. 1914 წელს დეკემბრის დამლევს ოსმალებს ამ რეგიონში 15 000-მდე მებრძოლი ჰყავდათ... ბათუმის ოლქის დროებით ოკუპირებულ ნაწილში ოსმალებმა მკაცრი რეჟიმი დაამყარეს... ოსმალებმა **ართვინის ოკრუგის** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.). უფროსად დასვეს პოლკოვნიკი მუსტაფა ანჩელოდლი“.

დამოწმებულ გამოცემაში სხვა შემთხვევებშიც „ბათუმის ოლქი“ და „ბათუმის ოკრუგი“ გამოყენებულია „ბათუმის მხარის“ პარალელურად, ანდა, „მხარე“ პატარაა, ოლქი კი – დიდი (2008: 399).

ამავე გამოცემიდან ტერმინოლოგიური აღრევის ნიმუშად წარმოვადგენთ კიდევ ერთ ციტატას:

„ტერიტორიულად ვრცელი ბათუმის **ოლქი** (6.500 კვ.კმ) 1903 წ. ადმინისტრაციული მოწყობით იყოფოდა ორ **ოკრუგად**: საკუთრივ ბათუმისა და ართვინის, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ უბნებად (რაიონებად); ესენია: კინტრიშის (ცენტრით ქობულეთი), გონიოს (ს. ზემო მარადიდი), ქვემო

¹ მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტყარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018.

აჭარის (ს. ქედა), ზემო აჭარის (ს. ხულო), ართვინის (ქ. ართვინი), არტანუჯის (ქ. არტანუჯი), და შავშეთ-იმერხევის (ს. სათლელ-რაბათი)².

აქ ოლქი დიდია, ოკრუგი – პატარა; სინამდვილეში, ყველა აკადემიური ლექსიკონის მიხედვით, რუსული ტერმინი (ჩვენს შემთხვევაში - ბარბარიზმი!) „ოკრუგი“ იგივეა, რაც „ოლქი“.

არაიშვიათად, სხვა შემთხვევებშიც ერთმანეთთანაა გაიგივებული ტერმინები: „ოლქი“ და „მხარე“; მაგ., შ. ვადაჭკორია წერს:

„საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, ავტონომია გამოცხადდა სამუსლიმანო საქართველოს მხოლოდ ნაწილზე, კერძოდ, **ბათუმის მხარეში, იგივე ბათუმის ოლქში**, რომელიც აჭარითა და კლარჯეთით შემოიფარგლა (2006: 260-262).

მსგავსი ტერმინოლოგიური მადეზორიენტირებელი „დაუდევრობა“ გვაქვს სხვა გამოკვლევებშიც, სახელმძღვანელოებშიც და ენციკლოპედიებშიც; მით უმეტეს, „ვიკიპედიის“³ გამოცემებში. იხ., მაგ.:

„ბათუმის ოლქი (რუს. Батумская область) — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1878 წელს, საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთმა შეიერთა ბერლინის 1878 წლის ტრაქტატით. ბათუმის ოლქი ადმინისტრაციულად დაიყო ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგებად... 1906 წლისთვის იყოფოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად.

ართვინის ოკრუგი — რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ისტორიულ-სამხრეთ დასავლეთ საქართველოში. შეიქმნა 1878 წელს ბათუმის ოლქის შემადგენლობაში მას შემდეგ, რაც ეს მხარე დათმო რუსეთ-ოსმალეთის ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა. ართვინის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქ. ართვინი. ფართობი - 3272 კმ².

ბათუმის ოკრუგი — რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ისტორიულ-სამხრეთ დასავლეთ საქართველოში. შეიქმნა 1878 წელს ბათუმის ოლქის შემადგენლობაში. დაიყო ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უბნებად. ადმინისტრაციული ცენტრი ბათუმი, ფართობი - 3703 კმ². დასახლებული პუნქტი - 274 (1882 წ.), 306 (1905 წ.). 1883 წლიდან ბათუმის ოკრუგი დაუქვემდებარეს ქუთაისის გუბერნიას, ხოლო 1903 წლის 1 ივლისიდან – ბათუმის ოლქს.

² ვრცლად იხ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), III, ბათუმი, 2008, გვ. 399

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსული ტერმინი „ოკრუგი“ ქართულად ნიშნავს „ოლქს“ და არა - „მხარეს“. ქართულ მხარეს რუსულად შეესაბამება „ობლასტი“. შესაბამისად, დამოწმებულ მონაკვეთებში გაუმართლებელია, შეუსაბამოა „ობლასტის“, „ოლქის“ და „ოკრუგის“ გაიგივება:

გამოდის, რომ „ბათუმის ოლქში“ შედის ართვინისა და ბათუმის ოლქები, რაც არალოგიკურია.

როგორც სხვა გამოკვლევაში გვაქვს აღნიშნული, „ბათუმის მხარე“ არის იგივე „სამუსლიმანო საქართველო“, ხოლო ბათუმის ოლქი დაახლოებით იგივეა, რაც დღევანდელი აჭარა³. ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი რუსული ოფიციალური დოკუმენტების ქართულ თარგმანებში აღრეულია ან მიზანმიმართულადაა გაყალბებული ტერმინები:

Батумская область, Батумский округ:

область და округ თარგმნილია „ოლქად“;

ანდა: **область** - ოლქი; **округ** - ოკრუგი (გამოყენებულია ბარბარიზმი).

ქართულ ენას აქვს რუსული ტერმინების შესაბამისი ორივე ტერმინი, შესაბამისად, ლოგიკური კი იქნებოდა, ასეთი მიმართება:

область- მხარე⁴ ----- **округ** - ოლქი.

ვფიქრობ, გასული საუკუნის პირველი მეოთხედის აღწერისას ისტორიკოსებმა უნდა გამოიყენონ ის ტერმინები, რომელიც გვაქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციში; „ბათუმის მხარე“ ასე განიმარტება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით:

„თავი 11. ავტონომიური მმართველობა; მუხლი 107: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს – სოხუმის ოლქი, **სამუსლიმანო საქართველოს – (ბათუმის მხარე)** და ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული /1918-1921/, 1990: 476).

³ მხარისა („ობლასტი“) და ოლქის („ოკრუგი“) გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ იხ.: ტ. ფუტყარაძე, 2018.

⁴ რუსულ ენაში „область“ ტერმინის სინონიმად ბევრ შემთხვევაში გამოყენებულია სიტყვა ფორმით – „Край“, რომლის პირველი მნიშვნელობაა „კიდე“, „ნაპირი“, მეორე – „ნაწიბური“, „ბოლო“, მესამე – „განაპირა“, მეოთხე – „პირი“ და მხოლოდ მეხუთე მნიშვნელობაა „მხარე“, „ქვეყანა“. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ ვაანალიზებთ იმ ორ რუსულ ტერმინს, რომლებიც გამოყენებულია ბათუმის კონტექსტში და არა როგორც - რუსული თუ თურქული ტერმინოლოგიის ქართულად თარგმანის ზოგად პრინციპებს.

ამ კონტექსტში საინტერესოა პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის კომისიის მიერ მომზადებული საქართველოს ტერიტორიის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილების პროექტი (იხ. „სახელმწიფოებრივი ტერიტორიის“ შესახებ პ. საყვარელიძის მიერ 1918 წელს მომზადებული „დებულება“), რომლის მიხედვით **სამუსლიმანო საქართველო** შემდეგი ტერიტორიული და ადმინისტრაციული ერთეულებით იყო წარმოდგენილი:

- სამცხე-საათაბაგო, ახალციხე-ახალქალაქის მაზრა (მესხეთი და ჯავახეთი),

არტაანის ოლქი - კოლა არტაანი,

ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთუმი, ისპირი, ჭანეთი;

ბათუმის ოლქი - ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა.

შემდგომში „სამუსლიმანო საქართველოს“ ტერიტორიული საზღვრები მხოლოდ ბათუმისა და ართვინის ოკრუგებით შემოიფარგლა. ამ გადაწყვეტილებას პ. ინგოროყვას მიერ შემუშავებული „პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილების ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად“ (ოლქებად) დაედო საფუძვლად⁵.

ქორონიმი „ბათუმის ოლქი“ არასწორად გამოიყენება 1918-21 წლების ზოგ დოკუმენტშიც; მაგ., 1919 წლის 25 მარტს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიმართა საქართველოს ხელისუფლებამ ნოტიო, სადაც ეწერა: „საქართველოს მთავრობას აუცილებლად მიაჩნია ბათუმის ოლქის დაკავება თავისი ჯარებით. ამავე მიზნით, საქართველოს გენშტაბის აზრით, საჭირო იყო არტაანსა და ოლთისში შესვლა“⁶.

ბევრი შეუსაბამოა სხვა ენებიდან ნათარგმნ მასალაშიც; მაგ., ანტანტის დოკუმენტებში გამოყენებულია ტერმინი „ბათუმის პროვინცია“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მესამე ტომის ავტორებისათვის ნიშნავს ბათუმის ოლქს“ (იხ., მაგ. გვ. 484); არადა, მართებული იქნებოდა, ეთარგმნათ როგორც „ბათუმის მხარე“⁷.


⁵ "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, 2018: 350.

⁶ "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, 2018: 485.

⁷ ბათუმის ოლქის საზღვრებში საქართველოში ბოლშევიკურმა საოკუპაციო რეჟიმმა 1921 წლის 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შექმნა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 14 მარტის ანტიქართული ხელშეკრულების შესაბამისად და გაცილებით მცირე ტერიტორიაზე.

ამრიგად, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალია: ბათუმის მხარე და ბათუმის ოლქი; შდრ.: მეფის რუსეთის შემადგენლობაში ბათუმის მხარისა და ბათუმის ოლქის საზღვრები ასე გამოიყურება:

ბათუმის მხარე /ობლასტი/⁸:



გაცილებით მცირე ტერიტორიას - მხოლოდ ამჟამინდელ აჭარას - მოიცავს ბათუმის ოლქი /ოკრუგი/ (დამატებულია მხოლოდ მაჭახელას ხეობის ზედა ნაწილი)⁹; შდრ., ბათუმის მხარის (ობლასტის) ზემოთ დამოწმებული რუკა, რომელზეც მხოლოდ ბათუმის ოლქი (ოკრუგი) დავტოვეთ დედნისეული ფონით:



ვფიქრობ, აუცილებელია:

1. მომავალში მაინც დავამკვიდროთ სწორი ქორონიმები:

⁸ https://en.wikipedia.org/wiki/Batum_Oblast;

https://commons.wikimedia.org/wiki/File:Batumskaya_oblast.jpg

⁹ https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D1%82%D1%83%D0%BC%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D0%BE%D0%BA%D1%80%D1%83%D0%B3

ბათუმის მხარე - „სამუსლიმანო საქართველო“ - სულ მცირე, ბათუმისა და ართვინის ოლქები. ბათუმის მხარე ინგლისურად იქნება „Batumi Area“ (და არა - Batumi Region“).

ბათუმის ოლქი - დაახლოებით ამჟამინდელი აჭარა. ბათუმის მხარე ინგლისურად იქნება „Batumi District“.

2. ხმარებიდან ამოვიღოთ ულოგიკოდ დამკვიდრებული ბარბარიზმები: „ოკრუგი“ და „რეგიონი“.

დამოწმებული ლიტერატურა:

ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), III, ბათუმი, 2008

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული /1918-1921/, 1990.

"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, 2018.

ფუტყარაძე ტ., ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018.

**Choronyms: "Batumi District" and "Batumi Area"
" in Historical Literature**

Summary

While discussing South-West Georgia in 1878-1921, the choronyms - "Batumi Area" ("ბათუმის მხარე"; "Батумская область") and "Batumi District" ("ბათუმის ოლქი"; "Батумский округ") are used in parallel with each other in historical literature. In fact, the "Batumi Area " includes Batumi and Artvin districts. I think it is necessary to establish right options at least in the future:

Batumi Area - "Muslim Georgia" - Batumi and Artvin districts;

Batumi District – approximately current Adjara.

At the same time, we should not use illogically established barbarism in the Georgian literature, such as "Okrug" (District).

ბათუმის სახე ნური-ეფენდი თავდგირიძის პოეზიაში

მუჰაჯირი ქართველი ნური-ეფენდი თავდგირიძე დაიბადა 1880 წელს შუახევის რაიონის მირათის ხევის მაღალმთიან სოფელ ლომანაურში ცნობილი თავადიშვილის ახმედ-ბეგ თავდგირიძის ქართული კულტურის მოსიყვარულე ოჯახში, რომელსაც ხშირად სტუმრობდა აჭარის ხევისბერად წოდებული შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, როგორც ახმედ-ბეგის ნათლია.

ახმედ-ბეგ თავდგირიძე შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს მირათის (ახლანდელი მარეთის) ხევში თავის წარმომადგენლად ჰყავდა მიჩნეული და საიმედო თანამოაზრედ, თანამებრძოლად ეგულებოდა სიცოცხლის ბოლომდე. ასეთი მამულიშვილი თანადგომის შედეგად მირათის ხევის სოფლებიდან 1879-1883 წლებში საკმაოდ მცირე რაოდენობის ქართველი წავიდა მუჰაჯირად ოსმალეთში.

ისტორიული წყაროების მონაცემებით, მუჰაჯირობა („მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა, ქართულად ნიშნავს სამშობლოდან იძულებით წასულს, გადახვეწილს; ემიგრანტს) ქართველი ხალხის ისტორიაში იყო ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია. არც ერთ შემოსევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმოდენა ზარალი ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგოს) მხარეებისათვის, რაც მუჰაჯირობამ მოუტანა. ძირძველი ქართული მიწა დაიცალა მოსახლეობისაგან. თითქმის დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. დაცარიელებულ სოფლებში გაჩანაგდა მეურნეობა *[ჭიჭინაძე, 1912]*. სამწუხაროდ, მუჰაჯირობის შედეგად გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არაა შემონახული მეფის რუსეთის ხელისუფლების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო *[ფუტყარაძე, 1993: 9]*.

აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილის უცხოეთში გახიზნვა იძულებით ხდებოდა. მეფის რუსეთის ხელისუფლების მოხელეები აჭარაში მმართველობის ბარბაროსულ მეთოდებს მიმართავდნენ, რასაც ვერ ეგუებოდა მოსახლეობა. ასე გრძელდებოდა წლობით... ომებით, არეულობით, შიმშილით განაწამები მოსახლეობა სიცოცხლის გადასარჩენად იძულებული იყო, უცხოეთის

გზას გასდგომოდა. მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა პირველი მსოფლიო ომის დროს. აი, რას წერს მემედ-ბეგ აბაშიძე: „დიდი ტანჯვა-ვაება უცდია ჩვენს ხალხს. დიდხანს უბატონებიათ ჩვენზე უცხოელებს, დიდი შეურაცხყოფა, დიდი წვალება მოუყენებიათ მათ ჩვენთვის... 1915 წელს ლიახოვები და გუბსკები ცეცხლითა და მახვილით შემოგვესიენ, ჩვენი ქვეყნიდან გადაგვრეკეს, ჩვენი ძმები ზოგი ჩამოახრჩვეს და ზოგსაც უცხოეთში აღმოხდა სული.

თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა სავსებით გავენადგურებინეთ, სავსებით ავეყარეთ ჩვენი საყვარელი მიწა-წყლიდან და ჩვენს სამოსახლოზე კაზაკები ჩამოესახლებინა“ *[აბაშიძე, 1973: 34]*. მართლაც, მოსახლეობის გადასახლების შემდეგ რუსეთიდან გადმოსახლეს დუხობორები და მალაკნები.

საქართველოში დატრიალებული ამ ეროვნული ტრაგედიით შეძრწუნებული დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე მწარედ კითხულობდა: „რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილობამდე?.. რამ და იმანო, ამბობენ ყველგან, რომ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმადლარი წვრილი ჩინოვნიკობა... საცა სამსახურიდამ გამოგდებული კაცი იყო, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზეხელაღებული იყო, ამ ახალ ქვეყანაში მოხელობა მიიღო. აბა, რა სიკეთეს დააყრიან ხალხსა?.. მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედ მისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნულარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, ვნახეთ რამდენიმე მაგალითი ხალხის მამა-პაპეული ბინიდან აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგ ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატთანში *[ჭავჭავაძე, 1987: 470]*.

აჭარაში პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა 1890 წლიდან. 1892 წელს გარდაიცვალა აჭარის ჭეშმარიტი ხევისბერი მერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. მისი ნათლული ახმედ-ბეგ თავდგირიძე ქვეყანაში შექმნილ აუტანელ პირობებს ვეღარ გაუმკლავდა და იძულებული გახდა, 1893 წელს ოჯახთან ერთად მუჰაჯირად წასულიყო. 13 წლის ნური თავდგირიძე ასე გახდა შუა ანატოლიის ზეგანის ერთი ლამაზი ქედის კალთაზე მუჰაჯირ ქართველთა მიერ ახლად გაშენებული სოფლის მკვიდრი.

თავდგირიძეების ოჯახი ბურსის მხარის, ინეგოლის რაიონის, სოფელ ბახჩაყაიაში სამაგალითო იყო. ახმედმა ვაჟიშვილს უმაღლესი განათლება მიადებინა სტამბოლის უნივერსიტეტში. ქართულ და არაბულ წერა-კითხვას ნუ-

რის აჭარაში ცხოვრების დროს ასწავლიდა ცნობილი სწავლული ლომან ეფენდი ქარცივაძე. განათლებულმა ახალგაზრდამ წარჩინებით დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ოსმალური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

მუჰაჯირ ქართველთა შორის იმ პერიოდში ძალიან ცოტა ვინმე ახერხებდა უმაღლესი განათლების მიღებას. ოსმალეთში განათლებული პიროვნების დამახასიათებელ სიტყვად, ტრადიციის თანახმად, გამოიყენებოდა არაბული წარმოშობის ლექსიკური ერთეული „ეფენდი“, რაც ქართულად ნიშნავს „ბრძენს“, „განათლებულს“, „საპატიო პიროვნებას“. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ნური თავდგირიძის სახელს დაემატა სიტყვა „ეფენდი“, რომელიც მას სხვა თანამოსახელეებისაგან გამოარჩევდა.

ნური-ეფენდი თავდგირიძე ათეული წლების მანძილზე ოსმალურ, თურქულ, არაბულ ენებსა და ლიტერატურას ასწავლიდა ბურსის მხარის სკოლებში. იყო ცნობილი თეოლოგი, წერდა ლექსებსა და დღიურებს. სამწუხაროდ, მისი დღიურები, ლექსების დიდი ნაწილი და მის მიერ შეგროვებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები სოფელში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა. მხოლოდ გადარჩა მაღალმთიანი აჭარის სოფელ ლომანაურში, მშობლიურ ოჯახში, ძმასთან, ზაბით-ბეგ თავდგირიძესთან და ძმისშვილთან, ზულფიე თავდგირიძესთან, გამოგზავნილი ლექსები და წერილები. იგი ამ მასალას თურქეთიდან არალეგალურად გზავნიდა 1968 წლამდე. ამ ძვირფას ამანათს, როგორც რელიქვიას, საიდუმლოდ ინახავდა ჩემი ბებია (დედის დედა) ზულფიე თავდგირიძე (ნური-ეფენდი თავდგირიძის ძმის – ზაბითის შვილიშვილი).

ამჟამად ნური-ეფენდი თავდგირიძის 70-მდე ლექსი ჩემ მიერ რედაქტირებულია და, შესავალ წერილებთან ერთად, გამზადებულია ცალკე კრებულის სახით დასაბეჭდად.

თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია მუჰაჯირი ქართველის პოეტური სამყარო. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ იმ ლექსებზე, რომლებშიც ქალაქ ბათუმის მონატრებით გამოწვეული გულისძგერა ისმის.

ნური-ეფენდი თავდგირიძის 1965 წელს ბურსაში დაწერილ ლექსში – „შენი ჭირიმი, აჭარავ“ – ჩანს, რომ ავტორს ვერ წარმოუდგენია საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოქცეული მშობლიური აჭარის თავისუფლად მონახულება. მოხუცი პოეტი სიკვდილს ნატრობს, რომ მისმა სულმა ზეციური სამყაროდან შეძლოს მშობელი მიწის მონახულება, მისი მოსიყვარულება.

„სამშობლოვ, შენი ხსენება
 გულში გვიდუღებს სისხლს...
 მოკითხვას ვატანთ მაქეთკენ
 მონაქროლ ქარს და ნისლს...
 შენი ნატვრით რომ მოვკვდები,
 მაშინ გიხილავ ძლივს...
 გადმოვფრინდები ბათუმში,
 ნატრული მთის და ზღვის...
 ზეციდამ მოვეფერები
 ბულვარს, ტბასა და ბაღს...
 ბავშვივით ცრემლებს დავაყრი
 ჩემს დაობლებულ სახლს...
 მშობელ ბათუმის ნატრული
 შევეკედლები ცას...
 მალ-მალე გადმოვფრინდები,
 ვინ დამიკავებს გზას?!“...

ქართველი ხალხის მატიანეში ცრემლითა და ოხვრით ჩაწერილი მუჰა-
 ჯირობის ისტორია გულს უკლავს თანამედროვე ქართველ მკითხველს და
 მწარედ ჩააფიქრებს წუთისოფლის ვერაგობაზე, საქართველოსთვის, ქართვე-
 ლი ერისთვის სამუდამოდ დაკარგულ იმ ასეულ ათასობით ქართველის
 ბედზე, რომელთა რაოდენობა, მიახლოებით მაინც, ჩვენდა გასამტყუნებლად,
 სავალალოდ, საქართველოში არავის აღურიცხავს. ისინი თვალცრემლიანნი
 სამუდამოდ განშორდნენ მშობლიურ კერას, მშობელ მიწას და აღარ ეღირსათ
 მშობლიური ცის ხილვა, საკუთარ ეზო-კარში გავლა. ერთ-ერთი ასეთი
 მუჰაჯირი ქართველია ნური-ეფენდი თავდგირიძე. მისი ცხელი ცრემლებით
 გამთბარი ლექსები მკითხველში აძლიერებს სამშობლოს სიყვარულს, მომა-
 ვალ თაობაში ნერგავს მშობელი მიწის ყოველი მტკაველის დაცვისათვის თავ-
 დადების გრძნობას. ლექსში „ბათუმურო სახლო“ ვკითხულობთ:

„შორი გზიდამ ვიყურებით,
 შემოვნატრით ვათანს,
 მონაქროლებ ნიავს
 მაქეთ ცრემლებს ვატანთ.
 ვენაცვალეთ ბათუმს,
 კახაბერს და მთა-ველს,
 თავსაც შემოვავლებთ

მშობელ მიწის მტკაველს...
ბათუმურო სახლო,
გადამდგარო ზღვაზე,
არ გეგონოს, გაგცვალო
სტამბოლზე ან სხვაზე“.

მეფის რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოხელეებისათვის აჭარა მარცვისა და გამდიდრების ობიექტი იყო. იმ ეპოქის ისტორიკოს-მკვლევართა ნაშრომებით ცხადი ხდება, რომ „მოხელეთა უმეტესი ნაწილი სარგებლობდა აჭარაში შექმნილი დამაბული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით და მუჰაჯირობის მთელ მანძილზე მათ თვითნებობასა და ბოროტების საზღვარი აღარ ჰქონდა. ცარიზმის მოხელეები არ იცნობდნენ ახალშემოერთებულ მხარეს, მის წარსულს, ხალხის ზნესა და ჩვეულებებს, არ ესმოდათ მათი ენა და ა. შ. ამიტომ იყო, რომ ცარიზმის მოხელეები ადგილობრივ, ძირძველ ქართულ მოსახლეობას „თათრებს“ ემახდნენ და თავმოყვარეობას უღახავდნენ. „ისე გვიყურებენ, ვითომც ჩვენ სრულებით უგუნურები, უცხონი ვიყოთ, – წერდა ერთი აჭარელი, – ამის გამო ჩვენ დავრჩით ობლად და ამისთვის აქ დარჩენას გასახლება და დაკარგვა ვარჩიეთ“-ო *[მეგრულიძე, 1964: 28]*.

მუჰაჯირად გამზადებული ხალხი ბათუმში იკრიბებოდა. ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ ხალხის გადასახლების პროცესი შეეჩერებინა, ბათუმიდან თურქეთის ტერიტორიაზე მათ გადასაყვანად გემიც კი გამოყო – „ოდესა“. აჭარიდან, შავშეთიდან, მურღულიდან, ბორჩხიდან ბათუმში ჩამოსული მუჰაჯირი ქართველები ოჯახებითურთ თურქეთისაკენ გასამგზავრებელ გემს ხშირად თვეობით ელოდებოდნენ ხოლმე, ბათუმის ქუჩებში მიმოზნეულები. ამ მოლოდინში ბევრს ფული უთავდებოდა; უკან დაბრუნებაც აღარ შეეძლოთ, რადგან სახლ-კარი ჩალის ფასად ჰქონდათ გაყიდული, აღებული ფული კი – დახარჯული. ბევრი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მშვიერ-მწყურვალნი რჩებოდა... ასეთ ვითარებაში თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ თავისიანებს, მშობლიურ მიწა-წყალს და მიდიოდნენ უცხო ქვეყანაში, სადაც უკეთესი ცხოვრება ეგულებოდათ. მუჰაჯირთა შთამომავლებში დღესაც ცოცხალია იმ მწარე დღეებში შექმნილი ერთსტროფიანი ლექსი: „ავდგეთ, წევდეთ მუჰაჯირად, რა ლამაზი დარიაო; ჩუენ რომ გემში ჩავყდებით, ჩვენი გული კდარიაო“ *[ფუტკარაძე, 1993: 16, 365-367]*.

სამშობლოდან სამუდამოდ შორს მიმავალი მუჰაჯირი ქართველების სევდა ნური-ეფენდი თავდგირიძის ბევრ ლექსშია ჩაქსოვილი. მათ შორის გა-

მოირჩევა „ზღვას ცრემლები დავაწურე“, „მომაბრუნე უკან, გემო“, „მომტიროდა მთა მტირალა“, „ბათუმი – დედის უბე“...

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და საერთოდ, მაშინდელი საზოგადოების გულცივობით შეწუხებული, გულმოკლული პოეტი ლექსში „მომაბრუნე უკან, გემო“ შთამბეჭდავად გვიხატავს მაშინდელი ცხოვრების მძიმე სურათს. უცხოეთში მიმავალი მუჰაჯირი ქართველებით სავსე გემი გულცივი საზოგადოებისაგან განსხვავებით, თითქოს, იზიარებს მგზავრთა დარდს, გულსაკლავ სევდას და ოხვრა-კვნესით მიაპობს შავი ზღვის ტალღებს:

„ბათუმიდან მიდის გემი,
ზღვას მიაპობს კვნესა-გვემით;
აქეთ მრჩება გული ჩემი...
ოსმალეთში მიმაცილებს,
სევდა სულის გადამრჩენი...
ოსმალეთში მივალ, მარა
სული სახლში გემეპარა...
სახლი ბიძას მიეზარა,
ჯიბეს მიწვავს სახლის ფარა...
მომაბრუნე უკან, გემო,
მომენატრა ჩემ წყლის გემო“...

ოსმალეთისკენ გემით მიმავალი მუჰაჯირების ცხელი ცრემლების გამო-მახილია ლექსში „მომტიროდა მთა მტირალა“. ავტორი იხსენებს ბათუმის ლიმანიდან ოსმალეთისკენ გემით გასვლის მწარე წუთებს და ლექსის რითმებში აქსოვს მუჰაჯირი ქართველების სევდას. იხსენებს, თუ როგორი ცრემლიანი თვალებით ეთხოვებოდა მშობლიურ მთა-ველებს. გემბანიდან მოჩანდა ატირებული მთა მტირალა, კახაბრის ველი, ლამაზი ქედები, ბათუმის შემოგარენი. თითქოს, ბუნებას არ ემეტებოდა მუჰაჯირი ქართველები უცხოეთისთვის და მამულში დარჩენას სთხოვდა.

„ბათუმში რომ გემში ჩავჯექი,
ზღვაში ცხელი ცრემლი ვყარე...
მომტიროდა მთა მტირალა,
კახაბერი – ჩემი მხარე“...

ლექსში „აკანკალდა ზღვა“ მხატვრულ ფერებში ჩანს ბუნების თანაგრძნობა მუჰაჯირი ქართველებისადმი. თითქოს, მუჰაჯირ ქართველთა უბედურებამ და მაშინდელი საზოგადოების გულცივობამ შეაჟრჟოლა და ააკანკალა

ზღვა, ხოლო გემბანიდან მუჰაჯირთა ცხელი ცრემლები რომ დაეწურა, შავი ზღვა კიდევ უფრო გაშავდა, აბობოქრდა, გაბრაზდა და ამით გამოხატა თანაგრძნობა მუჰაჯირი ქართველებისადმი. ლექსში ვკითხულობთ:

„რომ აველით გემზე, აკანკალდა ზღვა,
ჩვენც ზღვასავით ვკანკალებდით, რანდა გვექნა სხვა?!
ზღვას ცრემლები დავაწურეთ, უფრო გახდა შავი;
ამოვარდა ქარიშხალი, ძლიერი და ავი“.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ მუჰაჯირად მიმავალი ქართველების მძიმე სულიერ მდგომარეობაზე. ასეთი წერილები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“. დავიმოწმებთ გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის სიტყვებს. იგი უშუალო მოწმე ყოფილა აჭარიდან ქართველების ერთი ჯგუფის გასახლებისა. თვითმხილველი წერს: „ესენი ჰკოცნიან მიწას, ხეებს, ყველაფერს – სულიერსა და უსულოს; რასაც კი ტოვებენ, ცხარე ცრემლების ღვრითა და გულდამწვავ ტკივილით ეთხოვებიან ხოლმე... ატირებული მიდიან უცხო ქვეყანაში“ [*„დროება“, 1878: 3*].

იდეური სიღრმითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა ლექსი „ბათუმი – დედის უბე“. პოეტი შენატრის ბათუმის სილამაზეს და ნანობს, რომ აქედან მალე გავა მუჰაჯირი ქართველებით სავსე გემი და თვითონაც გაჰყვება მას. მოხუცი პოეტი 1960 წელს შექმნილ ლექსში აცოცხლებს მუჰაჯირობის ხანას ბათუმის სანაპიროზე, ბათუმის ლიმანში:

„ბათუმი სანატრელია, ის არ შენატრის სხვას,
ცალ მხარეს მთები ამშვენებს, ფეხებს უკოცნის ზღვა...
... გემი დგას ბოლაზ-ლიმანში... გული გამიხდა ჩილი...
თან მომენატრა ბულვარის ლამაზ ხეების ჩრდილი...
ბათუმო, შენი გულიდამ გემი საღამოს გავა...
ათი ათასი გურჯი შენი უბიდამ წავა“...

პოეტი დამაფიქრებელ კითხვას უსვამს საყვარელ ქალაქს:

„ნეტავ, რას ფიქრობ ამაზე? გული გეწვის და ჩივი?!
ეგ შენი თბილი ღიმილი რატომ გამხდარა ცივი?!...
...გულდაწყვეტილი დავტოვეთ ძველი აჭარის გული...
ბათუმი – დედის უბე, ღმერთიდამ მოცემული“.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით პასუხგაუცემელი კითხვები ჟღერდება ნური-ეფენდი თავდგირიძის სხვა ლექსებშიც: „მე თქვენიდამ ხატრი დამრჩა“, „მემღეპეთი სიზმრად ვნახე“, „კვესივით ლექსი“, „აჭარას“... ეს თემა ცალკე კვლევის საგანია და ამჯერად მათზე არ შევჩერდებით.

ნური-ეფენდი თავდგირიძემ საფლავში ჩაიყოლა მშობელი მიწის მონატრებასთან დაკავშირებული გრძნობები. იგი ვერ მოესწრო „სარფის კარის“ გახსნას. გარდაიცვალა 1969 წელს. სამშობლოს მონატრებით გამთბარი ლექსები დაუტოვა მომავალ თაობებს. იგი მუჰაჯირ ქართველთა შორის დღემდე გამოვლენილი ერთადერთი პოეტია.

ვინ იცის, უცხოეთის ცის ქვეშ კიდეც რამდენი სასახელო ადამიანის შემოქმედება ელოდება მომავალ მკვლევარს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჭავჭავაძე, 1987: – ილია ჭავჭავაძე, ოსმალთა საქართველო, ტ. 4, თბილისი.

მეგრელიძე, 1964: – შამშე მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, თბილისი.

ფუტყარაძე, 1993: – შუშანა ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

„დროება“, 1878: – გაზეთი „დროება“, 1878 წლის №40, თფილისი.

Shushana Phutkaradze, Roin Malakmadze

(Batumi, Georgia)

Reature of Batumi in the Poetry of Nuri Efendi Tavdgiridze

Summary

The poetry of a relocated Georgian poet – Nuri Efendi Tavdgiridze is distinguished with the thematic diversity. In one part of the poems the natural beauty of Batumi of the late 19th century is represented with tender love and care. The melancholy weaved in the poems related to Batumi by the Georgian poet, forced relocated to the Ottoman Empire, leaves the great impression on readers. The presented work gives the ideological and artistic analysis of the above mentioned group of poems, particularly – “Take me Back, Boat”, “A house of Batumi”, “Batumi Landform”, “Mount Mtirala Cried after me”, etc.

ახარის პრობლემები და ქართველი საზოგადო მოღვაწეები

ქართული საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის გამორჩეულად იყო მიჰყრობილი აქარისა და ლაზეთისაკენ, რადგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მუდამ გამორჩეულად მძიმე პრობლემები ჰქონდა. მუდმივ მტრულ გარემოცვაში მოქცეული მხარე არა მხოლოდ ფიზიკური განადგურების, ეროვნული ცნობიერების დაქვეითების საფრთხის წინაშე იდგა. ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის მძიმე ფურცლები ყველაზე მწვავედ აქ იშლებოდა.

ერთ-ერთი მძიმე პერიოდი ამ მხარისათვის პირველი მსოფლიო ომი იყო, რადგან საომარი მოქმედებების წინა ხაზზე აღმოჩნდა. ფიზიკურად და სულიერად უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი აქარლების დასახმარებლად ჰაიდარ აბაშიძის მოწოდებამ შეძრა სრულიად საქართველო. საპასუხოდ აქარლებისთვის დროული შემწეობის აღმოსაჩენად საქველმოქმედო საზოგადოება შეიქმნა, რომელსაც მიხეილ მაჩაბელი ხელმძღვანელობდა.

ეროვნული მთლიანობისთვის, ერთიანი ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაჰმადიანი ქართველობისთვის ქრისტიანი ქართველების ამ თანადგომას. ამ საკითხთან დაკავშირებით, საარქივო მასალის გამოვლენის ყოველი ახალი ფაქტი განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია და სწორ წარმოდგენას იძლევა იმ მასშტაბებზე, რომლითაც საზოგადოება აქარლების პრობლემების მოგვარებაში ჩაება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ცნობილი ექიმის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის – ივანე ელიაშვილის არქივში [ივ. ელიაშვილის არქ N189] დაცულია ვინმე სტეფანეს წერილი მასთან: „დიდათ პატივცემულო და ძვირფასო ძმავ ვანო, გიგზავნი ამასთან პერეგოდს 289 მანათისა, აქ ჩვენს შერგოვილს, აქარლების დასახმარებლათ. შემომწირველთა სიას გამოუგზავნის ბატონი სიმონ მაჭავარიანი გაზეთ „სახალხო ფურცელს.“ სხვა როგორ მშვიდობითა ხარ, ჩვენო დაუღალავო მეთავენიავ (იგულისხმება „მოთავე“- ე.ქ.). უფალი ღმერთი იყოს შენი მომხმარე და მწყალობელი.“

წერილის ახლობლური, თბილი ტონი სარწმუნოს ხდის ივანე ელიაშვილისა და ადრესანტის ახლო და საქმიან ურთიერთობას. წერილი გამოგზავნი-

ლია 1915 წლის 19 მაისს დონის როსტოვიდან. ადრესანტის ვინაობის იდენტიფიკაცია ვერ მოვახერხეთ. წერილის ავტორი სტეფანე არც აღნიშნულ პერიოდში მოღვაწე სტეფანე ახმეტელია და არც სტეფანე ზუბალაშვილი. თუმცა ეს ხელს არ უშლის ამ დოკუმენტით გადმოცემული ინფორმაციების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. იგი მიგვანიშნებს რამდენიმე ფაქტზე, რომელიც ავსებს ისტორიის ამ მონაკვეთის რეალიებს. ამ ბარათის მიხედვით ჩვენ ვიგებთ, რომ დონის როსტოვის, სავარაუდოდ, ქართველობამ გულთან ახლოს მიიტანა აჭარლების გასაჭირი და იმ დროისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა შეაგროვა; ცნობას გვაძლევს, აგრეთვე, ივანე ელიაშვილის ჩართულობაზე ამ პროცესებში; გვაცნობს კიდევ ერთ ქართველს – სიმონ მაჭავარიანს (ვერც მისი იდენტიფიკაცია შევძელით), რომლის ენთუზიაზმი ნათლად გამოიკვეთება. რაც მთავარია, ცხადყოფს, რომ ქრისტიანი ქართველების ენთუზიაზმისა და ქველმოქმედების ერთგვარი შესაკრებელი გაზეთი „სახალხო ფურცელი“ იყო. სოციალ-ფედერალისტების პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი „სახალხო ფურცელი“ (ყოფილი „სახალხო გაზეთი“) ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (1914-1917 წ.წ.) გამოდიოდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ვაჟა-ფშაველას არქივში *[ვაჟა-ფშაველას არქ. №6]* დაცულია ვაჟას ამ ქველმოქმედებაში მონაწილეობის დამადასტურებელი ქვითარი.

ქვითრის მონაცემები: „ბარათი №447, ტფილისი, 18 მაისი, 1915 წ. მიღებული ბატონ ვაჟა-ფშაველასაგან გადასაცემად აჭარლებისათვის 7 მანეთი და 25 კაპიკი.

რედაქტორ-გამომცემელი: (ხელმოწერა არა აქვს. – ე.ქ.)

კანტორის გამგე: (ხელმოწერა არ იკითხება. – ე.ქ.)“

უნდა ვივარაუდოთ, რომ იგულისხმება გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელი. საყურადღებოა და ვაჟას დიდ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს ეს აქტი, მით უფრო, რომ იმავე წლის 27 ივლისს მძიმედ დაავადებული მგოსანი გარდაიცვალა.

აჭარის მკვიდრი მოსახლეობისთვის ომით მიყენებულ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს თან ერთვოდა სულიერი და ცნობიერი დისკომფორტი, პოლიტიკური დაბნეულობა, უპერსპექტივობის განცდა, რაც მუდმივი საფრთხის შემცველი იყო მათთვის. ამ პრობლემებს მიემღვნა ბათუმის 1915 წლის ყრილობა. სრულიად საქართველოს საზრუნავი გახდა ის პრობლემები, რომელთაც ეს ყრილობა განიხილავდა. ამ ყრილობას გამოეხმაურა ცნობილი ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-

ერთი დამაარსებელი, იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იოსებ ყიფშიძე. იოსებ ყიფშიძის არქივში *[ლიტერატურის მუზეუმი, სკო №24090]* დაცულია მისი ერთი ბოლონაკლული წერილი „ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის გამო“, სადაც ვკითხულობთ: „ფრიად ღირსშესანიშნავ მოვლენად მიგვაჩნია ქართველ მაჰმადიანთა მომავალი ყრილობა. მან უნდა შეაკავშიროს ერთი მხრით თვით ქართველი მაჰმადიანები, სხვადასხვა კუთხეში გაბნეულნი და მეორეს მხრით ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები, როგორც ღვიძლი ძმები და ერთმანეთის თანასწორნი. იმის მტკიცება, რომ ასეთი კავშირი აუცილებლად საჭიროა ეროვნულად დაჩაგრულ ორივე მხარისათვის და რომ ეს კავშირი ამასთანავე სრულ თავისუფლებას უნდა უტოვებდეს ორივე მხარეს რწმენისა და სინდისის საქმეში, ამის მტკიცება უკვე საჭირო აღარ არის, ეს ყველა, ცოტად თუ ბევრად, შეგნებული ქართველისათვის – ქრისტიანია ის თუ მაჰმადიანი – ცხადხედ უცხადესია. მე ამ შემთხვევაში მაინტერესებს თვით ცნება „ქართველი მაჰმადიანი“ თუ რას შეიცავს და ვის გულისხმობს ის. კარგი იქნებოდა, ყრილობის მეთაურთ რომ ეცნობებინათ საზოგადოებისათვის, თუ ვის იწვევდნენ ისინი ბათომში, ანდა რა საკითხები იქნება განხილული ყრილობაზე, მაგალითად, მოწვეულნი არიან თუ არა ლაზების, ანუ ჭანების წარმომადგენელნი და რა და რა კუთხიდან. როგორც ქრისტიან ქართველობიდან ვერ გამოვყოფთ მეგრელსა და სვანს, ისე მაჰმადიანი ქართველობა გულისხმობს ლაზებსაც. ეს უკანასკნელნი რიცხვით არა თუ არ ჩამოუვარდებიან სხვა მაჰმადიან ქართველებს, არამედ გაცილებით სჭარბობენ მათ. აგრეთვე, ეჭვს გარეშეა, რომ ლაზებს ქართველებთან, ანუ როგორც ისინი გვეძახიან, გურჯებთან, სურთ დაახლოვება. ამ ომმა იმათშიაც გააღვივა მიფერფლილი ეროვნული ნაპერწკალი. ძმამ ძმა იცნო, განსაცდელმა ისინი დაახლოვა და მათ შორის თანაგრძნობის ძაფები გააბა. საჭიროა ეს თანაგრძნობა გაძლიერდეს და ნამდვილ კავშირად გადაიქცეს...“

ეს სტატია შევიდა ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებულ, 2015 წელს გამოცემულ იოსებ ყიფშიძის თხზულებათა კრებულში *[ყიფშიძე, 2015: 388]*. იოსებ ყიფშიძის ინტერესი ყრილობის მიმართ გარდა საკითხისადმი მაღალი მოქალაქეობრივი დამოკიდებულებისა, განპირობებული იყო მისი პროფესიით. მეგრულ-ლაზური ენების მკვლევარი იოსებ ყიფშიძე, უპირველესად, ყრილობის მუშაობაში ლაზების ჩართულობით დაინტერესდა. იგი მომავალი ყრილობის მესვეურთ ინფორმაციების სიმწირის გამო უსაყვედურებს. მას მიაჩნდა, რომ მაჰმადიანი ქართველების ყველა თემის მონაწილეობა გადამწყ-

ვეტი იყო საერთო მიზნის – მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის კონსოლიდაციის მისაღწევად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ელიაშვილის პირადი საარქივო ფონდი, №189.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვაჟა-ფშაველას პირადი საარქივო ფონდი, №6.

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, №24090

ყიფშიძე, 2015: – ყიფშიძე ი., თხზულებანი, თბილისი.

Eter Kavtaradze (Tbilisi, Georgia)

Problems of Adjara and Georgian Public Figures

Summary

At a time of World War I, to help the Adjarians, who were in heavy situation, a charity society was established in Tbilisi. Support of Christian Georgians to Moslem Georgians was of great significance for improvement of common Georgian awareness.

The article offers discussion of the archive documents dealing with the events in that period. The documents show the scales of charity of Christian Georgians, as well as the names of people engaged in charity activities

ივანე მესხი ბათუმში სახალხო განათლების მღვდელმთავრის უმსახეობა

(საიუბილეო კრებულში – „ბათუმი და მისი შემოგარენი“
გამოქვეყნებული ნარკვევის მიხედვით)

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, 1878 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა ქალაქ ბათუმის საერთაშორისო მნიშვნელობა. 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს თვითმმართველობის სტატუსი მიენიჭა. ივანე მესხი იყო ის პირველი ქართველი (სერგეი მესხის ძმა), რომელიც საპასუხისმგებლო პოსტზე, კერძოდ, ქალაქის საბჭოს მდივნად დაინიშნა [<http://www.nplg.gov.ge/bios/>]. სწორედ აქ მოღვაწეობის პერიოდში, სადაც ივ. მესხმა თითქმის სამი ათეული წელი იღვაწა, მოწინავე ქართულ საზოგადოებასთან ერთად, რომელსაც სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების, განსაკუთრებით კი სახალხო განათლების განვითარების საქმეში.

ბათუმის სახალხო განათლების სფეროში ქალაქის საბჭოს მიერ გაწეული პრაქტიკული საქმიანობის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ივანე მესხის ნაშრომი „ნარკვევი სახალხო განათლების სფეროში საქმიანობის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში - „ბათუმი და მისი შემოგარენი“. აღნიშნული ნარკვევი წარმოადგენს ივანე მესხის ნაშრომის - „ნარკვევი ბათუმის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ“ ერთ-ერთ ქვეთავს, რომელიც მთლიანობაში საკმაოდ მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს ბათუმის საქალაქო ცხოვრების შესახებაც. ამ მხრივ საყურადღებოა აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული ივ. მესხის ხელნაწერი ნაშრომი, რომელიც ბათუმის წარსული ისტორიის ამსახველია [*ნათაძე, 1943*]. ივ. მესხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად საინტერესო ნაშრომია „ივანე მესხი (ქალაქის მდივანი), რომლის ავტორია ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი, პროფესორი რამაზ სურმანიძე [*სურმანიძე, 2013*].

ივანე მესხი თავისი ნარკვევის შესავალში მოკლედ აღწერს ბათუმში სახალხო განათლების მდგომარეობას და ფრენკელის ცნობაზე დაყრდნობით

გვაუწყებს, რომ ბათუმში 1861 წლისთვის არსებული ერთადერთი „ევროპული“ ტიპის ბერძნული სკოლა უფრო მეტად საეკლესიო-სამრევლო ყოფილა, ვიდრე სამოქალაქო სკოლა [Mecxu, 1906:588]. იგივე ვითარება ჩანს დიმიტრი ბაქრაძის ცნობითაც, რომელიც XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისში ბათუმში მხოლოდ დაბალი ტიპის ორ - ბერძნულ და თურქულ სკოლას ასახელებს [ბაქრაძე, 1987:24]. ასევე ირკვევა, რომ წარუმატებელი აღმოჩნდა ვიცე-კონსულ ჯუდიჩის მცდელობა, ბათუმში საქალაქო სკოლის გახსნის თაობაზე, რომელსაც ამ მიზნით ნაკვეთებიც კი შეუძენია.

1879 წ. მეფისნაცვლის სურვილის საფუძველზე კომაროვმა ბათუმში სასწავლებელი დააფუძნა. მასვე აღუძრავს შუამდგომლობა ქალაქში სამკლასიანი საქალაქო სასწავლებლის გახსნის თაობაზეც. საგულისხმოა, რომ ბოქაულ გ. ჟურულის მიხედვით, ბათუმში ეკლესიის წიაღში, ბერძნული სკოლა ორ ოთახში ყოფილა განთავსებული, სადაც 40 ვაჟი სწავლობდა. მათ მხოლოდ ერთი მასწავლებელი ჰყოლიათ, რომელიც შეძლებული მშობლების ხარჯზე ღებულობდა ანაზღაურებას. მისივე ცნობით ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო სკოლისთვის იმხანად ბათუმში შესაფერისი შენობა არ მოიძებნებოდა [Mecxu, 1906:589].

1880 წ. 22 მაისს გადაწყდა ბათუმსა და ყარსში სამკლასიანი სასწავლებლის გახსნა. გარდა ამისა, გენერალი კომაროვი ერთკლასიანი სკოლის გახსნას ვარაუდობდა.

1881 წ. 1 სექტემბერს ახლად დაარსებული სამწლიანი სასწავლებელი განთავსდა მიხაილოვსკის ქუჩაზე ვინმე ბახმეტიევის შენობაში, თავად გურიელის სახლის მეზობლად. სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა მასწავლებელი ფ. ბოგდანოვი, მასწავლებლად კი - დ. ზედგინიძე. ამავე სასწავლებელთან, ქალთა სასწავლებელზე დახმარების მიზნით, დურგლებისა და ხარატების მოსამზადებელი სახელოსნო განყოფილებაც გაიხსნა.

1888 წ. ქალაქის სასწავლებლის ინსპექტორის განცხადებით კავკასიის სასწავლო ოლქში მომწიფდა ბათუმში ტექნიკური სასწავლებლის გახსნის იდეა. მალევე, 21 სექტემბერს, აღნიშნული სასწავლებლისთვის შენობის დასაქირავებლად ქალაქის სათათბიროს მიერ გადაწყდა 4000 მანეთის გამოყოფა.

1889 წ. სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ ქალაქ ბათუმის თავს გააცნო სახალხო განათლების მინისტრ დელიანოვის შეთავაზების პირობები, რომლის მიხედვითაც იმავე წელს შესაძლებელი იქნებოდა დურგლებისა და შემდგომელებისთვის - ჯერ ერთკლასიანი, შემდეგ კი - სამკლასიანი სახელოსნო სასწავლებლის გახსნა. აქედან გამომდინარე, ქალაქის სათათბირომ

დაადგინა ტექნიკური სასწავლებლის ნაცვლად სახელოსნოს გახსნა, რისთვისაც მას ყოველწლიურად 2000 მანეთი მიეცემოდა. ამასთან, ქალაქის სამმართველო დათანხმდა, 1887 წ. აღნიშნული სახელოსნოსთვის დაეთმო ბულვარის ქუჩაზე მდებარე ვაჟთა სასწავლებელთან მიშენებული ნაგებობა, რომლის აშენება 16000 მანეთზე მეტი დაჯდა. სამოქალაქო სასწავლებლის აშენებამდე კი იგი სმეკალოვის ქუჩაზე სპეციალურად დაქირავებულ შენობაში განთავსდა, რომელიც 1889 წ. ექვსკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. იმავე წელს სახელოსნო სასწავლებელიც გაიხსნა [*Месхи, 1906:591*].

1889 წ. პირველად გაჩნდა ქალთა სკოლის გახსნის იდეა. სამხედრო გუბერნატორის თანაშემწემ, გენერალ-მაიორმა, თავადმა ერისთავმა ქალაქ ბათუმის თავს აუწყა, რომ მეფისნაცვალს გადაუდებლად მიიჩნევდა ქალთა სასწავლებლის დაარსებას რამდენიმე პირობის გათვალისწინებით. ამაზე ქალაქის თავმა სამხედრო გუბერნატორს დადებითი პასუხი გასცა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ქალაქში ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საქმისადმი იყო საკმაოდ კარგი, რომ საკმარისად იყო ქალაქში სასკოლო ასაკის სხვადასხვა ეროვნების 50-მდე გოგონა (აქედან 15 – მუსლიმი), რომ შესაძლებელი იყო ქალაქის მოსახლეობის მხრიდან ქველმოქმედება სკოლის შესანახად, ხოლო ქალაქის მხრიდან – სათანადო სახსრების, კერძოდ, პირველ სამ წელიწადს 1000 მანეთის წლიურად გამოყოფა და ა.შ.

1881 წ. ოქტომბერში გაიხსნა ქალთა სკოლა, რომელიც ძირითადად ქალაქის ანგარიშზე არსებობდა. ამ საქმეს სათავეში ედგა განსაკუთრებული კომიტეტი კ.ა. სევერინის ხელმძღვანელობით, რომელიც ბათუმში საკმაოდ კარგად ყოფილა ცნობილი თავისი საქველმოქმედო საქმიანობით. მაგრამ აღნიშნული კომიტეტი და მისი თავმჯდომარე მალევე გადადგა და ამის შემდეგ სკოლა ქალაქის სამმართველოს დაქვემდებარებაში გადავიდა. სკოლის მზრუნველად აირჩიეს დ.ი. ბიკოვი.

ქალთა სასწავლებელი თავდაპირველად ტიფლისის ქუჩაზე არსებულ ძველ თურქულ სახლში განთავსდა, რომელიც მოგვიანებით ხანძარმა შთანთქა და ამის შემდეგ იგი გადაიტანეს „აზიზიის“ მოედანზე, სადაც მაშინ ქალაქის კუთვნილ შენობაში საეკლესიო-სამრევლო სკოლა იყო განთავსებული.

1890 წლის მაისში მიღებული დებულებით სასწავლებელი გადაკეთდა მარინსკის ქალთა (მარიამის დედათა – ავტ.) სასწავლებლად, რომელიც ქალაქის ხარჯზე არსებობდა. სასწავლებლისთვის შენობა სპეციალურად აიგო 1890 წ. და იმავე წლის 1 სექტემბერს დაიწყო მისი ფუნქციონირება. საქალაქო სა-

თათბირომ სკოლისთვის აირჩია მზრუნველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით: კ.ა. სევერინი, ო.პ. ლოპატო, დ.ი. ბიკოვი და გ.ა. სტეპანოვი. 1903 წ. კი 4 წლის ვადით აირჩიეს ს.ი. დრიაგინა, ს.ე. ვარშავსკაია, კ.ა. სევერინი და გ. ვოლსკი. რადგან ეს უკანასკნელი მზრუნველთა საბჭოში არ დაამტკიცეს, მის ნაცვლად საბჭოში გ.დ. ჟურული შეიყვანეს.

ივ. მესხი გვამცნობს, რომ ნარკვევის დაწერის მომენტისთვის ქალაქის ანგარიშზე ფუნქციონირებდა სამი სასწავლებელი: მარინსკის (მარიამის დედათა – ავტ.) ქალთა სასწავლებელი ერთსართულიან შენობაში (600 კვ. საჟენის ტერიტორიაზე), ქალაქის 6-კლასიანი სასწავლებელი ორსართულიან შენობაში და სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც საკუთარ შენობაშივე ყოფილა განთავსებული.

როგორც ცნობილია, 1879 წ. ჩამოყალიბდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის აქარის განყოფილებას 80-იანი წლებიდან სათავეში ედგა გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე) *[სცხი, 2008:531]*. ამ საზოგადოების აქტიური წევრი იყო ივ. მესხი *[<http://www.nplg.gov.ge/ilia/>]*. 1881 წ. ივანე მესხის ცნობით, ბათუმში დაარსდა ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოებრივი სკოლა. მისი მიზანი იყო ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის ბავშვების მოზიდვა, სადაც ვაჟი მოსწავლეები 15-ზე ნაკლები არასდროს ყოფილა და მათი რაოდენობა 100-მდეც კი აღწევდა. საგულისხმოა, რომ სასწავლებელში სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ახალგაზრდებიც სწავლობდნენ. გარდა ამისა, 1887 წ. ბათუმში ვაჟებისთვის სომეხ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო სკოლა გაიხსნა, ანალოგიური სკოლა გოგონებისთვის დაარსდა 1890 წ. ქალაქის კუთვნილ ნაკვეთზე, მარინსკის (მარიამის დედათა – ავტ.) ქალთა სასწავლებელთან ახლოს. ავტორის თქმით, უკანასკნელ პერიოდში იქ ქალთა პირველი საქალაქო დაწყებითი სკოლა და დაწყებითი სამთავრობო სკოლა განთავსებულია *[Месхи, 1906:596]*.

იმავდროულად, 1890 წ. ქალაქმა ბერძნულ სკოლას გამოუყო მიწის ნაკვეთი, სადაც ადგილობრივმა ბერძნულმა საზოგადოებამ 1890 წ. 1,5 სართულიანი შენობა ააგო.

1893 წ. მარტში დაისვა ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის გახსნის საკითხი. ამ მიზნით, ქალაქისთვის სახელზე მოტივირებულ განცხადებას ქალაქის სათათბიროს 21-მა ხმოსანმა მოაწერა ხელი. იგი შეხებია სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას, კერძოდ იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა შვილებს განათლების მისაღებად სხვადასხვა ქალაქში აგზავნიდა, მაშინ, როდესაც ქალა-

ქის მოსახლეობა 25000 ადამიანს შეადგენდა, რაც სასწავლებლის კონტინგენტისთვის გარანტირებული პირობა იყო. განცხადებაში ხაზგასმული იყო ისიც, რომ ბათუმში სასწავლებლის გახსნა მეზობელი მაზრებიდანაც მოიზიდავდა ახალგაზრდებს. სასწავლებლის შენობის აღჭურვის მიზნით, ხმოსნები თავის თავზე იღებდნენ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შუამდგომლობის საქმეს. ივ. მესხის შეფასებით, სასწავლებლის გახსნა შედიოდა როგორც ხმოსნების, ისე მაშინდელი ქალაქის თავის - გავრონსკის ინტერესებშიც, რომელმაც თავის მხრივ დაამოწმა, რომ მასთან სასწავლებლის გახსნის თხოვნით მშობლები დადიოდნენ.

გიმნაზიის გახსნასთან დაკავშირებით ქალაქის სათათბირო მიიჩნევდა, რომ ბათუმში თავდაპირველად უნდა გახსნილიყო არა პროგიმნაზია, არამედ გიმნაზია 4 პროგიმნაზიული კლასით ხაზინის ანგარიშზე. ივ. მესხი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ქალაქის თავის - გავრონსკის დამსახურებას, რომელმაც ბათუმში პირველი საშუალო სასწავლებლის აგური დადო, მაგრამ შემდგომ მისმა მოადგილემ, კოიანდერმა, ეს საქმე „თაროზე შემოდო“. ნარკვევის შემდეგ ნაწილში ჩანს, რომ წამოწყებული საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარევის შედეგად მაინც დასრულებულა *[მესხი, 1906:598]*. აღნიშნულ მოვლენას ფართოდ ეხმიანება გაზეთი „ცნობის ფურცელი.“ მასში ნათქვამია, რომ გიმნაზიის კურთხევის სადილზე ახალი გიმნაზიის დაარსების საქმეში ქალაქის თვითმმართველობის დამსახურების შესახებ მეტად საგულისხმო სიტყვა უთქვამს ბათუმის გამგეობის წევრს – გრიგოლ ვოლსკის. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთში საუბარია ამ საქმეში ივანე მესხის - ქალაქის მდივნის მიერ გაწეულ განსაკუთრებულ წვლილზეც, რომელმაც ჩააგდო „პირველი ქვა“ საძირკველში *[ფუტკარაძე, 2017:87]*.

საბოლოოდ, 1895 წ. იანოვსკისა და ლ. ასათიანის მოლაპარაკების შედეგად გარკვეულ დასკვნამდე მივიდნენ. იანოვსკი ფიქრობდა, რომ არაფერ შუაში იყო ქალაქის სამმართველოს მოწოდება გიმნაზიის შენახვის საქმეში მისი მონაწილეობის თაობაზე, თუმცა დასძენდა იმასაც, რომ მის გარეშე ვერც ერთი გიმნაზია ვერ გაიხსნებო. მანვე გამოყო თანხები ამ საქმისთვის და ამის შემდეგ 1895 წ. 27 ივნისს ქალაქის სათათბირომ ბათუმის ზღვისპირა ზოლში 2623,95 კვ. საუენ მიწის ნაკვეთზე *[მესხი, 1906:603; ფუტკარაძე, 2017:86]*, რომელიც მაშინ 132000 მანეთად შეიძინეს *[მესხი, 1906:603]*, გადაწყდა გიმნაზიის აშენება, რისთვისაც ყოველწლიურად შენობისა და მიწის ნაკვეთის შესანახად 5000 მანეთი უნდა გამოყოფილიყო *[მესხი, 1906:599.; ფუტკარაძე, 2017:86]*.

ოლქის მზრუნველის ცნობიდან ჩანს, რომ ფინანსთა სამინისტრომ იმ მოტივით, რომ ბათუმისთვის უფრო საჭიროდ მიიჩნია რეალური და სამრეწველო სასწავლებელი, უარი თქვა მის გახსნაზე *[Месхи, 1906:600]*. ამასთან, მინისტრმა რჩევა მისცა, ქალაქის ხარჯზე ჯერ – პროგიმნაზიის, შემდგომ კი – სპეციალურ ანგარიშზე გიმნაზიად გადაკეთების შესახებ. აღნიშნულის გამო ქალაქის ხმოსნებმა სხვა გზების ძიება დაიწყეს და პეტერბურგში მყოფ ს.ი. ზროდლოვსკის მიანდეს საქმის მოგვარება. საბოლოოდ, 1897 წ. 22 მარტს, სახალხო განათლების მაშინდელმა მინისტრმა – ანიჩკოვმა დეკრეტით დაუდასტურა თანხმობა ქალაქის თავს ბათუმში გიმნაზიის გახსნის თაობაზე. გიმნაზიას, რომელიც უნდა აგებულიყო ქალაქის კუთვნილ ნაკვეთზე, ყოველწლიურად 15000 მანეთით დაეხმარებოდნენ. იმავე წლის 26 მაისს ქალაქის სათათბირომ მიიღო გადაწყვეტილება ქართული და ბერძნული სასწავლებლების შენობათა გაერთიანების შესახებ, თუმცა ეს შეუფერებლად ჩათვალეს და გადაწყდა ინჟინერ სედელნიკოვის ხელმძღვანელობით მუდმივი შენობის აგება ციხის გვერდით ზღვისპირა ნაწილში. და, აი, 14 სექტემბერს სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც აკურთხა დეკანოზმა რალცევიჩმა *[ფუტკარაძე, 2017:86]*. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი ქალაქის სამმართველომ მოწვეულ სტუმრებთან ერთად საგანგებო სადილით აღნიშნა. დირექტორად დაინიშნა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ა.ი. სტოიანოვი. რაც შეეხება ახალი შენობისთვის საჭირო თანხებს, ქალაქს ნება მიეცა, ობლიგაციის სახით აეღო 600000 მანეთი, საიდანაც 200000 მანეთი გიმნაზიის აგებას მოხმარდებოდა. თითქმის 2 წლით გაჭიანურდა პროექტის (ხელმძღვანელი ტიფლისელი არქიტექტორი შიმკევიჩი) საკითხი. პროექტი დაამტკიცა ქუთაისის გუბერნიის სამმართველომ 1899 წ. ივნისში. შენობის საძირკველი 6 მაისს აკურთხეს. გარდა ამისა, სამხედრო ინჟინერ პომორსკის დაევალა 6-კლასიანი სასწავლებლის მშენებლობის ხელმძღვანელობაც *[Месхи, 1906:602]*.

გიმნაზიის პირველ პროექტში გათვალისწინებული იყო პანსიონის, საავადმყოფოს, აბანო-სამრეცხაოს, სამზარეულოსა და სხვ მშენებლობა, მაგრამ 1899 წ. ივლისში პანსიონისა და ფლიგელის აშენება პროექტიდან ამოიღეს. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა შენობის ბეტონის მასალით აგება. საბოლოოდ, შენობა დასრულდა და 1903 წ. სექტემბერში იქ გიმნაზია განთავსდა. მოგვიანებით, 1904 წ. 16 დეკემბერს კი გიმნაზიასთან აგებული ეკლესია აკურთხეს *[Месхи, 1906:602]*. ნარკვევში მითითებულია ვაჟთა გიმნაზიისთვის როგორც შეძენილი ნაკვეთის ფასი – 132000 მანეთი, ისე მთლიანად შენობის, ფლიგელისა და ეკლესიის აგებისთვის დახარჯული თანხაც – 220248 მანეთი.

როგორც ივარაუდეს ქალაქის სამმართველოში, მეზობელი მაზრებიდან იმდენი აღმოჩნდა გიმნაზიაში სწავლის მსურველი, რომ ჯერ – სათათბიროს ორმა ხმოსანმა – მ.ი. ნიკოლაძემ და ი.ბ. საბახტარაშვილმა, შემდეგ კი – ე.ა. ბოგოსლავსკიმ პირველ კლასთან პარალელური კლასების გახსნის საკითხი დააყენეს, მაგრამ უსახსრობის გამო სათათბიროსგან უარი მიიღეს *[Месхи, 1906:603]*. საბოლოოდ, 1899 წ. 31 მაისს სათათბირომ 16 ხმოსნის გადაწყვეტილებით მიიღო წინადადება, რომ ქალაქის ხარჯზე გახსნილიყო პარალელური კლასები *[Месхи, 1906:604]*. გარკვეული შეთანხმება შენობისა და მისი აღჭურვილობის ხარჯებთან დაკავშირებით მოხდა სამმართველოსა და სახალხო განათლების სამინისტროს შორის. 1901/1902 სასწ. წლისთვის გადაწყდა ბათუმის გიმნაზიასთან პარალელური კლასების გახსნა, თუმცა – ამაოდ *[Месхи, 1906:606]*.

ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა 198 მოსწავლეზე პროგიმნაზიის კლასების შემადგენლობით. 1904 წ. პირველი ნაკადი გამოუშვა, რომელიც დაასრულა 26-მა ადამიანმა, მათ შორის 13-მა ქართველმა. იმხანად გიმნაზიის დირექტორი იყო ი.ა. ვინოგრადოვი, ხოლო ინსპექტორი – რ.ი. ჰერცი.

რაც შეეხება ქალთა საშუალო-სასწავლო დაწესებულების გახსნის საკითხს, იგი პირველად ქალაქის სათათბიროს ხმოსანმა ნ.ა. დუმბაძემ წამოაყენა და წერილობითი სახით შეიტანა სათათბიროში *[Месхи, 1906:606; ფუტკარაძე, 2017:87]*. მას მიაჩნდა, რომ ქალაქისთვის შესაძლებელი იქნებოდა მარინსკის (მარიამის დედათა – ავტ.) ქალთა ოთხკლასიანი სასწავლებლის, ამავე სახელწოდებით, ექვსკლასიან პროგიმნაზიად გადაკეთება. ქალაქის სამმართველოს წევრმა გ. ვოლსკიმ შეისწავლა და მოიწონა კიდეც ნ. დუმბაძის წინადადება, და, უკვე 1898 წ. 30 აპრილს, სათათბიროში შეიტანა შვიდკლასიანად გადაკეთების მოთხოვნა *[Месхи, 1906:607]*. მიუხედავად იმისა, რომ სათათბირომ აღნიშნულ წინადადებას სრულად დაუჭირა მხარი, იანოვსკი ამ საკითხს სხვაგვარად მიუდგა. მან მიზანშეწონილად ჩათვალა გიმნაზიისა და პროგიმნაზიის გახსნა, თუმცა სავალდებულოდ მიიჩნია არსებული სასწავლებლების შენარჩუნებაც. მან ეს გარემოება პირველდაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურის სასწავლებლების განსხვავებული მიზნებითა და მოსახლეობის მოთხოვნების არაერთგვაროვნად დაკმაყოფილების შესაძლებლობებით ახსნა *[Месхи, 1906:608]*. ამ საკითხში სახალხო განათლების მინისტრი იანოვსკის დაეთანხმა. სწორედ ამის გამო დღის წესრიგიდან მოიხსნა 1899 წ. 18 ოქტომბრის სათათბიროს სხდომის დადგენილება პეტერბურგში სპეციალური წარმომადგენლის მივლინების თაობაზე *[Месхи, 1906:609]*.

1900 წ. იანოვსკიმ ქალაქის თავს აუწყა მინისტრის თანხმობა 1900/1901 სასწ./წ. ბათუმში ქალთა გიმნაზიის დაფუძნების თაობაზე. ასევე, იანოვსკიმ სათათბიროს სთხოვა გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს წევრების არჩევა, არა უმეტეს 12 ადამიანის შემადგენლობით. ამის შესაბამისად საბჭოში აირჩიეს: მ.ი. ელიავა, ს.ნ. ნაკაშიძე, ს.ე. პარონზეგოვი, კ.ა. სევერინი, პ.ს. ბიკოვი, ლ.ნ. ასათიანი, ე.ა. ბოგოსლოვსკი, გ.ი. ვოლსკი, ნ.ა. დუმბაძე, ს.ი. ილოვასკი, ლ.ს. ქიქოძე, შ.ო. შპოლიანსკი. საბჭოს თავ-რედ აირჩიეს პ.ს. ბიკოვი, დირექტორად კი დაინიშნა ნ.ნ. ტიბლენი.

1900 წ. 26 სექტემბერს გიმნაზია ჯერ – სმეკალოვისა და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში განთავსდა მდებარე სუკოიანის კერძო სახლში, რომელიც მოგვიანებით ხანძარმა შთანთქა, რის შემდეგაც ვაჟთა გიმნაზიის მთავარი კორპუსის მიშენებულ ნაწილში გადავიდა *[Месхи, 1906:610]*. როდესაც ვაჟთა გიმნაზიის მშენებლობა დასრულდა, მათ ყოფილ შენობაში დროებით ქალთა გიმნაზიამ დაიდო ბინა. ამავე დროს ქალაქის საბჭომ ვოზნესენსკისა და ეკლესიის ქუჩების შესახვევთან დაიწყო ქალთა გიმნაზიის მშენებლობა, სადაც 1904 წ. ივნისში გადავიდა. გიმნაზია გაიხსნა 5 კლასით 140 მოსწავლისათვის. მისი პირველი გამოშვება იყო 1904 წ., რომლის დროსაც 7-კლასიანი კურსი 27-მა მოსწავლემ დაასრულა. ამ მიმართებით გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, კერძოდ, გუბერნატორის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილი ანგარიშებიდან ჩანს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას „რუსული ენის უცოდინრობა ხელს უშლის მათ აქაური გიმნაზიის კურსის დამთავრებაშიც კი“ *[ვაჭრობე, კუპრაშვილი, 2015:81]*.

იმავე წლის სექტემბრიდან გაიხსნა 8 დამატებითი კლასი 14 მოსწავლით. 1902 წ. 15 ოქტომბრიდან გიმნაზიის ხელმძღვანელად ლ.ი. სახაროვა დაინიშნა. გიმნაზიაში მოსწავლის წლიური გადასახადი შეადგენდა 60 მანეთს. სწავლის საფასურიდან გაათავისუფლეს მოსწავლეთა 20%. გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო პ.ს. ბიკოვი, დირექტორი – ლ.ი. სახაროვა. საბჭოს 11 წევრს შორის რამდენიმე ქართველი იყო: ი.ზ. ანდრონიკაშვილი, ლ.ს. ქიქოძე, გ.დ. ჟურული, ელიავა და ს.ნ. ნაკაშიძე. საქალაქო სათათბირომ სასწავლებელს მიანიჭა იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას სახელი.

1898 წლამდე ბათუმის საზოგადოებრივი საქალაქო სამმართველოს ანგარიშზე არც ერთი დაწყებითი სასწავლებელი არ აღირიცხებოდა. 1898 წ. კი ქალაქმა პირველი ანგარიში - 2000 მანეთი პირველი დაწყებითი ვაჟთა სასწავლებლის ანგარიშზე შეიტანა, მაგრამ ხმოსანმა ნ.ა. დუმბაძემ დასვა ქალთა გიმნაზიის გახსნის საკითხი და ამიტომ საქალაქო სათათბირომ არჩია ქალთა

დაწყებითი სკოლის გახსნა. პირველი ქალთა სკოლა 1898 წ. 1 სექტემბერს გაიხსნა, სადაც სწავლას შეუდგა 50 მოსწავლე. სკოლის გამგედ დაინიშნა დ.გ. კეჟერაძე. სკოლის პირველი გამოშვება იყო 1900 წ., 10 მოსწავლით. მათი ნაწილი ჩაირიცხა მარინსკის (მარიამის დედათა – ავტ.) ქალთა სასწავლებელში. ამ სკოლას ეწოდა ქალაქის პირველი დაწყებითი ქალთა სკოლა. იგი განთავსდა ყოფილ სომხურ სკოლაში, რომელიც ქალაქის სამმართველომ იქირავა.

1899 წ. 1 სექტემბერს ვაჟთა მეორე დაწყებითი სკოლა გაიხსნა და პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო ეწოდა მისი სახელი. სასწავლებელში გახსნისთანავე 55 მოსწავლე სწავლობდა, რომლის გამგე იყო ფ.ბ. მგელაძე. მალე მეორე მასწავლებლად აიყვანეს ნ.კ. მგელაძე. მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის მიზნით სკოლასთან სამი განყოფილება ჩამოყალიბდა.

1903 წ. 1 სექტემბერს, ბათუმის რუსეთის იმპერიასთან მიერთების 25 წლისთავთან დაკავშირებით, ერთდროულად გაიხსნა რამდენიმე სასწავლებელი. მათ შორის აღსანიშნავია ქალთა მეორე და ვაჟთა მეორე სასწავლებლები. ქალთა სკოლაში 57 მოსწავლე ჩაირიცხა, სადაც გამგედ დაინიშნა ე.კ. ანდრიანოვიჩი *[Месхи, 1906:613]*. ვაჟთა მეორე დაწყებითი სკოლა გაიხსნა 52 მოსწავლით, რომელიც ქალაქის 6-კლასიან სასწავლებელში განთავსდა. გამგედ დაინიშნა გ.დ. შარაშიძე *[Месхи, 1906:614]*.

ვაჟთა მეორე სკოლის გახსნის პარალელურად ქალაქის ანგარიშზე სასწავლებელთან გაიხსნა პედაგოგიური კურსები, რათა სახალხო სკოლებისთვის მასწავლებლები მოემზადებინათ. ქალაქის დაწყებით სკოლებში, სადაც 3-წლიანი სწავლება იყო, მიიღებოდა 7-დან 12 წლამდე ასაკის მოსწავლეები, *[Месхи, 1906:614]*.

ბათუმის საქალაქო სამმართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მეტად ნაყოფიერი იყო იმ მხრივაც, რომ 1897 წ. 18 მარტს სამოქალაქო სასწავლებელთან დაარსდა სახალხო ბიბლიოთეკა *[ფუტკარაძე, 2017:85]*. ივ. მესხის ნარკვევიდან ჩანს, რომ 1904 წლიდან გიმნაზიაში სპეციალურად ფუნდამენტური ბიბლიოთეკის მოსაწყობად ქალაქის საბჭომ 2250 მანეთი გამოყო *[Месхи, 1906:611]*.

ივანე მესხის ნარკვევის დასკვნით ნაწილში მოცემული სქემიდან ჩანს, რომ ქალაქის საბჭო ბათუმის შემოსავლების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავდა სახალხო განათლების განვითარებისთვის *[Месхи, 1906:615-617]*.

ამრიგად, ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში - „ბათუმი და მისი შემოგარენი“, ივანე მესხმა ვრცელი და დეტალური ანგარიში წარმოადგინა სახალხო განათლების სფეროში

ქალაქის საბჭოს საქმიანობის შესახებ, რომლის სანდოობა ნათლად ჩანს სხვადასხვა წყაროსთან შედარების საფუძველზე. საგულისხმოა, რომ ივ. მესხი არა მარტო თვითმხილველია ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებისა, არამედ მის ხელთაა საქალაქო ცხოვრების ამსახველი ყოველწლიური თუ ყოველდღიური სახელისუფლო დოკუმენტური მასალები, რომლებიც დღესაც მეტად საყურადღებო, სტატისტიკური მონაცემებით მდიდარ ინფორმაციას წარმოადგენს არა მარტო მკვლევართათვის, არამედ ბათუმის წარსული ცხოვრების ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვისაც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბაქრაძე, 1987: – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.

ვაჭრიძე, 2015: – ვაჭრიძე გ., კუპრაშვილი ს., ბათუმი ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშებში, ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა. VI. გამომც. „ჯეოპრინტი“, თბილისი.

ნათაძე, 1943: – ივანე მესხის ბათუმის თავგადასავალი. აჭარის მუზეუმის არქივი, 1943. საქ. №36.

ფუტყარაძე, 2017: – ფუტყარაძე შ., მაღაყმაძე რ., ჩელებაძე ნ., ფუტყარაძე ე., ლომთათიძე თ., ფუტყარაძე შ. ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით). წერილები სტამბოლის ქართველთა სავანიდან, გამომც. „სამშობლო“, თბილისი.

სდსინ, 2008: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. ტ. III, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი.

სურმანიძე, 2013: – სურმანიძე რ., ივანე მესხი (ქალაქის მდივანი), თბილისი.

Месхи, 1906: – Месхи И.С., Батум и его окрестности (Очерк деятельности по народному образованию). Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе. Батумь.

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009485/>

<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004954/>

**Ivane Meskhi about the State Education in Batumi
("Batumi and its Surroundings" Published According
to the Essay in the Anniversary Collection)**

Summary

Ivane Meskhi, a well-known public figure, was one of the most distinguished and experienced members of Batumi self-government. The Jubilee essay presented by Ivane Meskhi clearly shows the work of the city self-government and personally the work he had done during the period of his work in Batumi: the establishment of schools, women's gymnasiums, various types of schools including workshops and libraries for the population, especially for non-Georgian ones. The essay pays a great deal of attention to help the local self-government, private schools.

Ivane Meskhi served faithfully for nearly three decades in the field of education, culture and public life in Batumi.

ნოდარ ჩხეიძე
(ბათუმი, საქართველო)
ზაურ ციხელაშვილი, პაატა გიორგაძე
(თბილისი, საქართველო)

ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის დაგეგმვის მათემატიკურ-დესკრიფციული ალგორითმის საკითხისათვის

1. შესავალი

წარმოდგენილი სისტემური ასპექტები ემყარება რეალური სიტუაციის მიხედვით მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების კომპლექსის ლაბორატორიულ პირობებში ტალღაგენერატორის დახმარებით ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის სხვადასხვა საპროექტო მდგომარეობის ფუნქციონირების ხარისხის დადგენას, კერძოდ:

- სისტემა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ მიზნებს;
- სისტემა ვერ უზრუნველყოფს საპროგნოზო შედეგებს;
- სისტემა ვერ ფუნქციონირებს ისე, როგორც ეს თავდაპირველად იყო დაგეგმილი.

2. ძირითადი ნაწილი

ჩამოთვლილ სიტუაციურ მდგომარეობათა გამოსაკვლევად გამოყენებულია დაპროექტების „სისტემური პარადიგმის“ მიდგომა, რომელიც ხორციელდება ე.წ. „ინტროსპექციის გზით“. ეს ნიშნავს, რომ მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების კომპლექსის ფუნქციონირების ხარისხის დადგენისათვის პირველ ეტაპზე ვსაზღვრავთ სისტემის ცალკეული შემადგენელი ელემენტის (ან ელემენტთა ერთობლიობის) მახასიათებელი პარამეტრების სიდიდეს და მათ შესაბამისად ვადგენთ დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელებს. შედგენილი დესკრიფციული მოდელები საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის მსვლელობის საგეგმო-რეალურ მდგომარეობათა სიმრავლე უგანჯომილებო ხარისხობრივ-კრიტერიალური შეფასების სკალეებში შემდეგი გრადაციების შესაბამისად: „ცუდი მდგომარეობა“, „შუალედური მდგომარეობა“, „კარგი მდგომარეობა“.

აქვე შევნიშნავთ, რომ სიტუაციურ მდგომარეობათა დაპროექტების ინტეროსპექციის მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია დროის მოცემულ მომენტში განისაზღვროს დამყარებული ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული პროცესის ნორმალური ან გადახრილი „მდგომარეობის ვექტორი“, ბმული მოდელების კომპლექსის შემადგენელ ელემენტთა ფუნქციონირების „აქტიური რეჟიმების“ შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნილ (სასურველ) მდგომარეობას. აღნიშნულის განსახორციელებლად მიზანშეწონილია წინასწარ საანალიზო პროცესგანმაპირობებელი ტექნოლოგიური მახასიათებელი პარამეტრების ველის შესაბამისად შედგენილ იქნას დესკრიფციული ტიპის მოდელები ე.წ. აზრობრივი „აქტიური ექსპერიმენტების“ დასაგეგმად, რაც საშუალებას მოგვცემს, ხელოვნურად ჩავატაროთ აზრობრივი „აქტიური ექსპერიმენტები“ მახასიათებელი პარამეტრების შესაძლო ცვლილების არეში. ამასთან, შესაძლო ცვლილების არე ფლუქტუაციას ექვემდებარება მანამდე, სანამ არ მივაღწევთ ერთიანი სისტემის ბმულში გაერთიანებული მოდელების მახასიათებელი ტექნოლოგიური პარამეტრების სასურველ მდგომარეობას. აქ უმთავრესი ისაა, რომ სისტემის სასურველი მდგომარეობა მიღწეულ იქნას ე.წ. „დაბალანსების“ პრინციპის აუცილებელი დაცვით, რაც აყენებს საკვლევი პროცესის როგორც მათემატიკური აღწერის მოდელის გადაწყვეტის შესაძლებლობას, ასევე საცდელი მოდელების ფუნქციონირების ადეკვატურობის ხარისხის შესაბამისობას პრაქტიკაში მოქმედი სისტემის კომპლექსთან.

დესკრიფციული მოდელი მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „description“, რაც ნიშნავს „აღწერას“. ამ კლასის მათემატიკური მოდელები, როგორც ეს სახელწოდებიდანაც გამომდინარეობს, ზოგადად განკუთვნილია ნებისმიერი საგნობრივი დარგის მიხედვით წარმოებული ტექნოლოგიური პროცესების აღსაწერად. მოცემულ კონტექსტში, როგორც აღვნიშნეთ, მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების კომპლექსის ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის დაგეგმვა და აღწერა სრულდება სტოქასტიკური განუსაზღვრელობის პირობებში წინასწარ შედგენილი დესკრიფციული მოდელების დახმარებით. ამ შემთხვევაში საანალიზოდ ჩნდება არა მარტო საკვლევი მიზნობრივი ფუნქციების სიმრავლე, არამედ თავად ერთიანი რთული სისტემის ფუნქციონირების ხარისხის გამოკვლევის პრობლემაც ზღვაზე დამყარებული ექსტრემალური შტორმული მდგომარეობის მახასიათებელი იმიტაციის შესაბამისად.

მიზნის მისაღწევად ექსპერიმენტების დამგეგმავი პერსონალის მიერ აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული ლოგიკური „არამკვეთრი მსჯელობები“, რომლებიც ფორმალურად წარმოადგენენ სპეციალისტ-ექსპერტთა ფსიქო-

ფიზიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს ასახვას ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასებების ვერბალურ კატეგორიებში. ეს კატეგორიები შეიძლება განისაზღვროს სპეციალური სკალების თანახმად (0 – შეესაბამება საკვლევი პროცესის აბსოლუტურად მიუღებელ სიტუაციურ მდგომარეობას, ხოლო 1 – პროცესის ძალიან კარგ სიტუაციურ მდგომარეობას).

ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების აღნიშნული სკალა ხასიათდება გარკვეული შუალედური მნიშვნელობებითაც, რომელთა მიხედვით შესაძლებელია, აიგოს საკვლევი პროცესის დიაგნოსტიკური შეფასების დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელები შემდეგი სკალური გრადაციების მიხედვით:

d € 1,00 –პარამეტრის მაქსიმალური შესაძლო (დასაშვები) დონე, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება იქნას მიღწეული;

d € 1,00÷0.80 – პარამეტრის დასაშვები და მაღალი დონე, რომელიც აგრეთვე არ შეიძლება ყოველთვის იქნას მიღწეული;

d € 0.80÷0.60 – პარამეტრის დასაშვები და კარგი დონე, რომლის მიღწევასაც ცდილობენ;

d € 0,37 –პარამეტრის მოცემული დონე (შეესაბამება პარამეტრის იმ მდგომარეობას, რომელიც ყოველთვის უნდა მიიღწეს);

d € 0,37÷0,0 –პარამეტრის არა დასაშვები (ცუდი) დონე.

ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების დესკრიფციულ მოდელს ვწერთ შემდეგი სახით [1]:

$$d_i = \exp\left[-\exp\left(-b_0 - b_1 H_i^{\text{ფაქტ}}\right)\right] i = \overline{1, m}$$

სადაც b_0 და b_1 საძიებელი კოეფიციენტებია, რომლებიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$b_0 = \left(H_1^{\text{კარგი}} \ln \ln \frac{1}{d_1^{\text{ცუდი}}} - H_2^{\text{ცუდი}} \ln \ln \frac{1}{d_2^{\text{კარგი}}} \right) / (H_1^{\text{კარგი}} - H_2^{\text{ცუდი}}),$$

$$b_1 = \left(\ln \ln \frac{1}{d_2^{\text{კარგი}}} - \ln \ln \frac{1}{d_1^{\text{ცუდი}}} \right) / (H_1^{\text{კარგი}} - H_2^{\text{ცუდი}}).$$

აქ $H_2^{\text{ცუდი}}$ არის საკვლევი ტექნოლოგიური პარამეტრის შესაბამისად, აღებული სასაზღვრო არასასურველი ანუ „ცუდი“ სიდიდე (როდესაც $d_1^{\text{ცუდი}} = 0,2$); $H_1^{\text{კარგი}}$ არის საკვლევი ტექნოლოგიური პარამეტრის შესაბამისად, აღებული სასაზღვრო სასურველი ანუ „კარგი“ მდგომარეობის ამსახველი სიდიდე (როდესაც $d_2^{\text{კარგი}} = 0,8$); H_i არის ფაქტიური საკვლევი ტექნოლოგიური პარამეტრის სიდიდე.

ტექნოლოგიური პარამეტრების შესაბამისი დიფერენციული ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასებები ხასიათდება შემდეგ სკალურ გრადაციებში: როდესაც $d \in [0, 0 - 0,37]$, აღინიშნება ტექნოლოგიური პარამეტრის „ცუდი“ სიტუაციური მდგომარეობა; როდესაც $d \in [0,37 - 0,63]$, აღინიშნება ტექნოლოგიური პარამეტრის „შუალედური“ სიტუაციური მდგომარეობა; როდესაც $d \in [0,63 - 1]$, აღინიშნება ტექნოლოგიური პარამეტრის „კარგი“ და „ძალიან კარგი“ სიტუაციური მდგომარეობა.

რეალურ სიტუაციაში დაგეგმილი ტექნოლოგიური პარამეტრების ერთობლივი ინტეგრირებული მდგომარეობის შეფასება- D_i აიღება ანალოგიურად ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების იმავე სკალურ გრადაციებში, როგორც დიფერენციული შეფასების საშუალო გეომეტრიული შეწონილი სიდიდე, და რომელიც დროის მოცემულ მომენტში მაქსიმუმისაკენ უნდა მიისწრაფოდეს:

$$D(H) \rightarrow \max_{H \in \Omega},$$

სადაც $H \in \Omega$ ტექნოლოგიური პარამეტრების არამკაფიო სახის უნივერსალური სიმრავლეა.

3. დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი სისტემური ასპექტები ემყარება რეალური სიტუაციის მიხედვით მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების კომპლექსის ლაბორატორიულ პირობებში ტალღაგენერატორის დახმარებით ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის სხვადასხვა საპროექტო მდგომარეობის ფუნქციონირების ხარისხის დადგენას, კერძოდ:

- სისტემა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ მიზნებს;
- სისტემა ვერ უზრუნველყოფს საპროგნოზო შედეგებს;
- სისტემა ვერ ფუნქციონირებს ისე, როგორც ეს თავდაპირველად იყო დაგეგმილი.

მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელების გამოყენება, რომელიც ექსპერიმენტების დამგეგმავ პერსონალს საშუალებას აძლევს აქტიურად გამოიყენოს სპეციალისტ-ექსპერტთა ფსიქო-ფიზიკური ხასიათის ლოგიკური „არამკვეთრი მსჯელობები“ ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის მსვლელობის შესაძლო საგეგმო-რეალურ მდგომარეობათა სიმრავლის ასახვაში უგანზომილებო ხარისხობრივ-კრიტერიული შეფასების სკალებში, შემდეგი გრადაციების შესა-

ბამისად: „ცუდი მდგომარეობა“, „შუალედური მდგომარეობა“, „კარგი მდგომარეობა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

З.И.Цихелашвили, А.И.Прангишвили, Б.Дж.Чхенкели. Основы построения интеллектуальных систем управления пространственно-временными сетевыми потоками. Под редакцией академика В.В. Чавчанидзе, „Мецниереба“, 1997, стр.264

Nodar Chkheidze (Batumi, Georgia)

Zaur Tsikhelashvili, Paata Giorgadze (Tbilisi, Georgia)

For the Mathematical Description of the Experimental Exam Process of Link Models

Summary

The systematic aspect of a mathematical-descriptive census of the planning process of laboratorial-experimental examination on the Floating wave-softening hydro-technical buildings chain models complex in laboratorial conditions using wave-generator.

For completing the goal, the use of descriptive models is offered, which gives the planning personnel of the experiments opportunity to actively use the psycho-physical logical „unclear discussions” of specialist-experts in reflecting of the abundance of possible planned-reality states of the examination process procession of chain models experimental examination, in dimensionless degree-criteria assessment scales, according to the following rankings: „bad condition”, „medium condition”, „good condition”.

Key words: Chain model complex of floating wave-softening hydro-technical buildings, wave-generator, the planning of the process of laboratorial-experimental examination, the systematic aspects of mathematical-descriptive census, the degree-criteria assessment scale.

საბჭოთა პერიოდის ერთი ელიტარული სახლის შესახებ ბათუმში

უმთავრესად XIX-XX საუკუნეების დასაწყისში ჩამოყალიბებული მემედ აბაშიძის ქუჩის ისტორიული განაშენიანება გასულ საუკუნეში საბჭოთა პერიოდის შენობებით იქნა განახლებული. განაშენიანების კაზმულობით გამორჩეული პროსპექტი წარმოადგენდა ქალაქის საქმიან ნაწილს. აქ თავმოყრილი იყო ბანკები, სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოები, კინოთეატრები, ფოსტა, სამხედრო გუბერნატორის რეზიდენცია, ცხოვრობდნენ ქალაქის წარჩინებული ფენის წარმომადგენლები. საბჭოთა პერიოდშიც, რეგიონისა და ქალაქის უმაღლესი ელიტის საცხოვრებელ ადგილებად სწორედ მემედ აბაშიძის (ადრინდელი სახელწოდებებით III ინტერნაციონალის, კომინტერნის, სტალინის) ქუჩა იქნა შერჩეული. ქალაქის ამ ღერძის ურბანულ მნიშვნელობას და პრესტიჟულობას ქალაქის ძველი უბნების დამაკავშირებელი ქუჩის მოგებიანი მდებარეობა, არქიტექტურული კაზმულობა განსაზღვრავდა.

არქიტექტურული ნიმუშებისა და საარქივო მასალების ანალიზით ირკვევა, რომ საბჭოთა მმართველობის 30-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ქუჩის გარკვეული მონაკვეთების განახლება საბჭოთა პერიოდის შენობებით. ერთ-ერთ ასეთ ნაგებობას წარმოადგენდა ყოფილი კომინტერნის ქ. №55 (დღევანდელი მ.აბაშიძის ქ. №53, ვაჟა ფშაველას ქ. № 20) მდებარე 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასასრულიდან. ბათუმის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული საპროექტო ბიუროს მასალებით, საცხოვრებელი სახლი განკუთვნილი იყო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლებისათვის. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, შებრუნებული “II“-ს ფორმის შენობა მოიცავდა მთელ კვარტალს ვაჟა-ფშაველას (მარქსის), მ.აბაშიძისა (კომინტერნის) და 26 მაისის (კიროვის) ქუჩის კუთხეების ჩათვლით [ასს, ფ. ტ-1196, აღ.3, ს. 2].¹ შენობის აბრისს ქმნიდა სადარბაზოსა და

¹ საქმე დათარიღებულია 1946 წლით, მაგრამ საპროექტო ნახაზები შედგენილია 1934 წელს, საპროექტო ბიუროს ხელმძღვანელი ნ. მეგრელიძე, დამპროექტებელი ბ. კირაკოსიანი, ნახაზები კოპირებულია მიხაილუვისა და აკულინინას მიერ.

კიბეების უჯრედებით აქცენტირებული კუთხის მოცულობები და მემედ აბაშიძის ქუჩის მხარეს, პერიმეტრის ხაზის სიღრმეში განვითარებული ცენტრალური ნაწილი. შენობის არქიტექტურული გეგმარების ხასიათს განსაზღვრავდა, ასევე, კუთხის შეტეხილი აბრისები და სადარბაზოსა და კიბის უჯრედებისათვის განკუთვნილი რიზალიტები. ნაგებობის ფასადს ამკობდა მოზრდილი, ოვალური ფორმის აივნები, დეკორირებული სვეტებით შედგენილი სარტყელი, ჰორიზონტალურ ვოლუტებიანი ფრიზები, ლარნაკების მოტივები.

არსებული მასალებით არ ირკვევა შუა, სიღრმეში შეწყული ცენტრალური ნაწილის თითოეული სართულის გეგმარებითი ფუნქცია, თუმცა, ამავე ნახაზებით, საცხოვრებელი სახლის მე-4 სართულზე, შუა ბლოკში, განთავსებული იქნებოდა ბიბლიოთეკა და საბილიარდო.

შენობის გეგმარებითი სტრუქტურა მსგავსებას ამჟღავნებდა ამავე უბანში, ზ.გორგილამის, 26 მაისისა და პ. მელიქიშვილის ქუჩების არეალში მდებარე, 1931 წელს აგებული კონსტრუქტივიზმის სტილის 4-სართულიანი სახლის გეგმის კონცეფციასთან.

1938 წელს ავტორთა იგივე ჯგუფის მიერ შემუშავდა ამავე საცხოვრებელი სახლის (კომინტერნის ქ. № 55) მიშენების პროექტი *[ახს. ფ. ტ-1196, აღ. 3, ს.5]*. წარმოდგენილი ნახაზები შეიცავს საცხოვრებელი სახლის, მხოლოდ მ.აბაშიძის ქუჩის მხარეს განვითარებულ ნაწილს, კუთხისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩის მხარეს განთავსებული კორპუსის გარეშე. პროექტის თანახმად, 4-სართულიანი შენობა, განსხვავებით წინარე პროექტისაგან, მდებარეობს ქუჩის პერიმეტრის ხაზზე, სიღრმეში შეწყული ცენტრალური ნაწილის გარეშე. გეგმისა და მთავარი ფასადის სიმეტრიული კომპოზიციის ბირთვს შეადგენს სადარბაზოების ვიწრო, მოცულობებით ფლანკირებული, შედარებით მძლავრად შვერილი ცენტრალური ნაწილი, რომელიც, შენობის საცხოვრებელი კორპუსის მსგავსად, სადარბაზოსა და იზოლირებული ბინებისაგან შედგება. ნაგებობის დღევანდელი სახე მოწმობს, რომ სახლის ფასადი და შიდა წყობა ფაქტობრივად ჩამოყალიბდა წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ სახლის მშენებლობა არ იყო დასრულებული 1941 წლისათვის, რადგან იგივე სამუშაო ჯგუფის მიერ (დამპროექტებელი ბ.კირაკოსიანი, აჭარის საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. მეგრელიძე, ნახაზები – ს. აივაზიდი, ასლები – ზ. აკულინინა) შესრულდა მიშენების პროექტი. სახლის მდებარეობა, აბრისი, გეგმარება თითქმის შეესაბამება შენობის გადაწყვეტას. მის

გეგმარებას ახასიათებს ცენტრალური და სადარბაზოსა და კიბის უჯრედებისათვის განკუთვნილი ვიწრო რიზალიტები. პროექტის ეს ნაწილი ითვალისწინებს ერთიან მხატვრულ ჩანაფიქრს დაქვემდებარებულ ნაგებობას სამი სადარბაზოთი და მეტ-ნაკლებად სტანდარტული სახით დაგეგმარებული იზოლირებული ბინებით. პროექტის თანახმად, სამშენებლო ფართი შეადგენდა 448,25 მ², შენობის სასარგებლო ფართი 1413,20 მ², სამშენებლო კუბატურა 7705,60. წინარე პროექტისაგან განსხვავებით, ცენტრალურ ნაწილი საცხოვრებელი ფუნქციისაა. ბინების სექციები შედგება ეზოსა და ქუჩის მხარეს განაწილებული, ერთმანეთთან დერეფნით დაკავშირებული ორი ოთახისა და დამხმარე კვანძებისაგან (სამზარეულო, სველი წერტილი, სააბაზანო). ბინების დადებით მხარეს წარმოადგენდა შენობის ორიენტაცია სამხრეთ-დასავლეთით, ოთახების მოხერხებული ინსულაცია და ვენტილაცია. ელიტარული საცხოვრებლის იდეა განხორციელებული იყო არა მარტო ბინების ფართობსა და წყობაში, არამედ საცხოვრებელი სახლის მოცულობაში, საზოგადოებრივი სივრცეების ჩართვით. მაგალითად, შენობის შუა ნაწილში, პირველ სართულზე ცენტრალური რიზალიტის მარცხენა მხარე ეთმობოდა 28 ადგილზე გათვალისწინებულ სასადილოს – სასადილო დარბაზს, სამრეცხაოს, სამზად ფართს, სამზარეულოს, საწყობსა და სველ წერტილს. თავად სასადილოს მარჯვენა მხარეს, შესასვლელთან ახლოს, თავსდებოდა ბუფეტი, საწყობი, ტამბური, გასახდელი. სასადილო, ფასადის მხარეს, იხსნებოდა ფართო, სამმაგი ფრამუგის მქონე შემინული ვიტრინებითა და კიდეში გაჭრილი ერთმაგი კარით. პირველი სართულის მარჯვენა მხარეს, ანალოგიური დარაბების მქონე სივრცე ეთმობოდა მაღაზიას, სავაჭრო დარბაზით, საწყობითა და დახლებით. ორივე სადგომი (სასადილო და მაღაზია) ეზოსთან დაკავშირებული იყო კარით. ამდენად, შენობა შეიცავდა მრავალფუნქციური სახლის ელემენტებს და ქმნიდა ხელშემწყობ გარემოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აქ მცხოვრები თანამშრომლებისათვის.

პროექტის მიხედვით, სართულებად დაყოფილი ეზოს ფასადის კედელი დანაწევრებულია ჰორიზონტალურ სარტყელზე დამყარებული ერთმაგი და ორმაგფრამუგიანი ფანჯრების რიტმით, კიდეებში განთავსებული ბალიასინებიანი მოაჯირების მქონე აივნებით. შუა სადარბაზოს თავზე გათვალისწინებულია ლითონის სახანძრო კიბეც. მხატვრული ელემენტების გამოყენების თვალსაზრისით, რამდენადმე განსხვავებულია მარჯვენა ნაწილი, სადაც ფანჯრების გამაერთიანებელ დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს ჰორი-

ზონტალური პროფილირებული თავსართები, მაღალი ორმაგი და შედარებით დაბალი ცალფრთა ფანჯრების რიტმი. ანალოგიური პროფილები უარყოფილია ეზოს ფასადის ცენტრალურ და მარცხენა ნაწილში. აქ მინიმალურ დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს სარკმელთა ძირებსა და თავზე განთავსებული, პროფილირებული სარტყელები. აივნები განთავსებულია მხოლოდ კუთხის სეგმენტებში. ადრინდელი რიტმული და დეკორატიული აქცენტების უარყოფა ეზოს ფასადის პრაგმატული, ეკონომიური, სადა, გამართივებული გადაწყვეტით არის ნაკარნახევი. შენობის II-III-IV სართულები საცხოვრებელი დანიშნულებისაა. შუა სადარბაზოს ორივე მხარეს განთავსებულია 58-60 მ² საერთო ფართის მქონე იზოლირებული ბინები. კიდის სადარბაზოების მხარეს თავსდება 95 მ² სამოთახიანი ბინები [ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს.2, 5, 14]. შედარებით დიდი ფართის ოთახები, სრული ფორმით წარმოდგენილი დამხმარე სათავსოები (სამზარეულო, ტუალეტი, სააბაზანო), თითოეული სათავსის ინსოლაცია, განიავება, საცხოვრებელი უჯრედების დერეფნებით დაკავშირება, შენობის მოგებიანი ორიენტაცია მზისა და ჩრდილის მხარეს და საზოგადოებრივი ობიექტების განთავსება ადასტურებს ელიტარულ მიდგომას საცხოვრებელი სახლისადმი.

პროექტების ანალიზის საფუძველზე თავდაპირველად აშენდა შენობის კუთხის ნაწილი – ვაჟა-ფშაველას ქუჩის მხარე, ხოლო 40-იან – წლებში მემედ აბაშიძის ქუჩის ნაწილი, რომელიც გადაეჯაჭვა აშენებულ კოპრუსს და შეიკრა ერთიანი მხატვრული ჩანაფიქრით გამთლიანებული ნაგებობა, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა ქუჩის ურბანული სახე და სამომავლო მასშტაბი.

საცხოვრებელი სახლის დღევანდელი სახე მოწმობს, რომ საბოლოო პროექტი განხორციელდა ცვლილებებით, კერძოდ, საზოგადოებრივი ობიექტების უარყოფის და საცხოვრებელი სექციების დამატების გზით.

შევნიშნავთ, რომ საბჭოთა პერიოდის ადრინდელ ეტაპზე, 20-30-იანი წლებში აგებულ სახლებთან შედარებით, მ.აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ნაგებობა წარმოადგენდა საცხოვრებლის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რაც მნიშვნელოვანწილად სათავეში მდგომი ელიტარული მოხელეებისათვის კომფორტული პირობების შექმნით იყო განპირობებული. ზოგადად, გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებული საცხოვრებელი სახლები არ არის დამაკმაყოფილებელი არც ბინათა დაგეგმარებით, არც ფასადთა არქიტექტურით. ინტერესს იწვევს მხოლოდ კომპლექსური განაშენიანება და ტიპობრივი სექციების გამოყენება. ასეთია მაგალითად, 30-იანი წლების ბა-

თუმში აგებული საცხოვრებელი სახლების კომპლექსური განაშენიანება: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დასახლება (1930), მთავარნავთობტრესტისათვის განკუთვნილი სახლები მაიაკოვსკის ქუჩაზე, რკინიგზის მუშებისათვის აგებული შენობები პუშკინის ქუჩაზე (1927) და სხვ. ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარე ე.წ. ბნქ-ს დასახლების კორპუსებს და სიმწვანეში განვითარებულ შიდა კვარტალურ საცხოვრებელ სახლებს, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა კორპუსებს ახასიათებს სრულიად სადა საფასადო გადაწყვეტა (1930 წელი, არქიტექტორი გაუზნერი). საცხოვრებელი სახლების გეგმარებას ახასიათებს რიგითი და გვერდითი ბინების ტიპობრივი საცხოვრებელი სექციები, რომლებიც შედგება ორმხრივი განიავების მქონე ოროთახიანი ბინებისაგან.² ბინების დადებით მხარეს წარმოადგენს ქუჩის მხარეს არსებული აივანი, დიდი ოთახების კვადრატული ფორმა, თუმცა ამ ბინებს არ გააჩნდა აბაზანის ფართი, ლოჯიები, სამეურნეო-ყოფითი მომსახურეობის ვერანდები *[ჯანბერიძე, 1971:49]*.

მინიმალური გაფორმების მქონე ამ სახლებისაგან განსხვავებით, მაიაკოვსკის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების კორპუსებს (№ 55/15. 8. 6) ახასიათებს ეკლექტურ-ბუტაფორიული ხასიათის ელემენტები - შეისრულთალებიანი სარკმლები, ისრულთალებიანი ხის აივნები, წინ გამოწეული კიბის უჯრედი, რომელსაც, ორივე მხარეს, აივნები ერწყმის. ნაგებობის ფასადის გადაწყვეტაში ერთმანეთს ეხამება კონსტრუქტივიზმისა და ბათუმისათვის სრულიად უცხო აღმოსავლური (ისრულთალოვანი ფორმები), ან კლასიციზმის სტილის ელემენტები. მორთულობის ელემენტთა მასშტაბი, ვიწრო ღიობები, ფორმათა შეუსაბამობა, ქუჩისა და ეზოს ფასადის ერთნაირი გადაწყვეტა ან აივნების უგულვებელყოფა აუარესებს ბინათა ხარისხს. ტიპობრივი სექციების არამოგებიანი წყობა (ლოჯია, ოთახი, სამზარეულო და საპირფარეშო), ერთ მხარეს განთავსებული საცხოვრებელი ოთახები, განიავება სამზარეულოს საშუალებით, ვიწრო საძინებელი, აივანი საძინებლის ოთახთან, ლოჯია არა ეზოს მხარეს, არამედ სადარბაზო შესასვლელის წინ და მის გაგრძელებაზე აუარესებს ბინათა ხარისხს *[ჯანბერიძე, 1971: 51]*.

გასული საუკუნის 20-იანი წლების დასასრულის სახლებისათვის საერთოა კონსტრუქტივისტული არქიტექტურული სტილის ფასადები. თითქმის ყველა სახლში, რომელიც ორი ქუჩის გადაკვეთაზეა განთავსებული, ხაზ-

² ოროთახიანი ბინების დიდი ოთახები ეზოს მხარესაა (23 მ²) მიმართული, პატარა ოთახი (14,5მ²) და სამზარეულო (6 მ²) ქუჩისაკენ. ოთახები ერთმანეთს უკავშირდება - ტაბუროთ. სამოთახიანი ბინების განიავება კუთხურია, საერთო ფართობი 110 მ²,

გასმულია კუთხე ან მარტივი ჩამოჭრით ან აივნებით და სხვა სივრცობრივი ელემენტებით.

კუთხის გამოვლენას ემორჩილება კ.გამსახურდიასა და ვ.გორგასლის ქუჩების გადაკვეთაში მდებარე ორსართულიანი სახლი (ინჟინერი ცუკანოვი, 1929 წ). ფასადების შეტეხვით შექმნილი კუთხე აქცენტირებულია კიბის შემინული ნაწილითა და ვერანდით. გვერდის ფასადებიდან კუთხეზე გადასვლა ხორციელდება შეწყვილებულ პილონთა მოწყობით. სიმაღლეთა და მოცულობათა მონაცვლეობა, ფასადების გადაწყვეტის აბსოლუტური სისადავე და ერთგვარი ასკეტიზმი, გამარტივებული გვერდითი აივნები, ლითონის ცხაურებიანი მოაჯირები და სხვა დეტალები გამოხატავს კონსტრუქტივიზმის სტილის ნიშნებს *[ჯანზერიძე, 1971:54]*. ასეთივე სტილისტურ თავისებურებებს ავლენს ზ.გორგილაძის, 26 მაისისა და პ.მელიქიშვილის ქუჩებზე განთავსებული 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი - 1931-1932 წლები. თუმცა აქაც, ზემოთ განხილული საცხოვრებელი სახლების მსგავსად, დამახასიათებელია ოთახების ორმხრივი განლაგება, ყოველი ოთახისათვის დერეფანში ცალკე გამოსასვლელის მოწყობა (სხვადასხვა ოჯახების შესახლებსათვის), ოთახთა მკაფიო ფუნქციური დიფერენციაციის უქონლობა, სანკვანძის პრიმიტიულობა (აბაზანის გარეშე), აივნები მხოლოდ ქუჩის მხარეს, სამეურნეო ვერანდების უქონლობა, ფასადთა სადა არქიტექტურა, ყოველგვარი დეკორატიული მორთულობის გარეშე, რომლის ერთადერთი გამოჩაღისია თარიღის აღნიშვნა შენობის პარაპეტზე. შენობის მხატვრული გადაწყვეტის საერთო ნიშანია კუთხის აქცენტირება გეომეტრიული მოცულობების საშუალებით, კიბის უჯრედების გამოვლენა რიზალიტებით, ფასადის შეწეული და შვერილი ნაწილების დინამიკა. შენობის კონსტრუქტივისტული ელემენტები სრულიად უპრეტენზიოა. საცხოვრებელი სახლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით, რადგან იგი აერთიანებს შიდა კვარტალურ განაშენიანებას *[ჯანზერიძე, 1971:55]*.

20-30-იანი წლების ბათუმის საცხოვრებელი სახლებისაგან განსხვავებით, მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე შენობის გეგმარება და ბინის სექციები, წინარე ეტაპის განხილული სახლებისაგან განსხვავებით, უფრო სრულყოფილია, როგორც ბინების განლაგების, ორიენტაციის, ფართის, ასევე სანიტარული კვანძის კომფორტულობის თვალსაზრისით. თავდაპირველი ჩანაფიქრით გათვალისწინებული საზოგადოებრივი კვების ობიექტი და მაღაზია, თავის მხრივ, ადასტურებს მცხოვრებთა მომსახურებისადმი ელიტარულ დამოკიდებულებას. თუმცა შევნიშნავთ, რომ საცხოვრებელი სახლი საბოლოო ვა-

რიანტით აიგო სწორედ საზოგადოებრივი ობიექტების ნიველირებისა და ბინების გაზრდის პრინციპით – მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქციით. შენობის მოცულობა, პროპორციები მონუმენტურია, იგი განსაზღვრავს უბნის მასშტაბს და განაშენიანების ხასიათს. ქუჩის ფასადები გადაწყვეტილია არქიტექტურული ალლოთი, მხატვრულ-კონსტრუქციულ ფორმათა ლოგიკური გააზრებით და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ზომიერებით.

მ.აბაშიძის ქუჩის მხარეს ოთხი სადარბაზოა განთავსებული, ხოლო ვაჟა-ფშაველას ქუჩის მონაკვეთში – ერთი. კიდევ ერთი სადარბაზო და კიბის უჯრედი განთავსებულია შენობის კუთხეში, სადაც მის აბრისს ქმნის შეტეხილი კუთხეები სწორკუთხა ბალიასინებიანი მოაჯირების მქონე აივნებითა და კვადრატულ ბოძებზე დაყრდნობილი ვერანდით. კუთხის ნაწილი დაგვირგვინებული იყო სვეტებითა და მოაჯირებით შემოსაზღვრული შპილიანი ფანჯრებით. შენობის ეს ნაწილი ამჟამად მოხსნილია.

შენობის გრძივ ღერძზე გამოიყოფა ცენტრალური რიზალიტი, რომელიც, ასევე, ფლანკირებულია სადარბაზოსა და კიბის უჯრედისათვის განკუთვნილი ვიწრო რიზალიტებით. ზოგადი მონახაზით, კუთხის გადაწყვეტის პრინციპით ნაგებობა სიახლოვეს ამჟღავნებს ბათუმში გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებულ კონსტრუქტივიზმის სტილის შენობებთან. სახურავის ხაზს აცდენილი რიზალიტების მძლავრად შვერილი კარნიზები და პარაპეტები დინამიკურობას სძენს ფასადს. შენობის მხატვრულ სახეს, ფასადის სტრუქტურას განსაზღვრავს ფანჯრის ღიობების რიტმი, რუსტიკის წყობა, ვიწრო და განიერი რიზალიტების გრძივი შემინული ღიობები. შენობას პარადულობას მატებს ბეტონის რიკულებიანი აივნები, ქვის იმიტაციის ეფექტები, კრონშტეინებიანი კარნიზები.

კონსტრუქტივიზმის სტილის სადა ფასადებთან შედარებით, აქ მეტია დეკორატიული ელემენტები – რუსტიკის იმიტაცია, გლუვი და “რუსტირებული” კედლის მონაცვლეობა, ფასადის კიდეების რელიეფური ქვის წყობით მოპირკეთება, ბეტონის ბალიასინებიანი ოვალური და სწორკუთხა აივნები, ფანჯრის საპირეების პროფილები და ალაგ-ალაგ ჩართული მცირე ბაზისები, კარნიზის საყრდენი კრონშტეინების სარტყელი და სხვ. რამდენადმე განსხვავებულია კუთხის ნაწილის დეკორი, სადაც აივნების ძირებს ამკობს პროფილირებული სწორკუთხედების მოტივები, ასევე, გლუვი პილასტრები.

ქუჩების მიმართულებით განვითარებული შენობის დინამიკური აბრისი, ვერანდითა და აივნებით შეტეხილი კუთხე, მაღალი, ვიწრო, შემინული რიზალიტები და დამატებითი დეკორატიული დეტალები ავლენს პოსტკონსტრუქ-

ტივიზმის სტილის ნიშნებს და 30-იანი წლების კონსტრუქტივიზმიდან სტალინური კლასიციზმის სტილზე გარდამავალი ეტაპის თავისებურებებს. ფასადების გადაწყვეტის არქიტექტურული ლოგიკისა და მხატვრული ელემენტების გამოყენების კლასიკური პრინციპის მიუხედავად, შენობის ფასადი ინდივიდუალობით არ გამოირჩევა, იგი, საბჭოთა კლასიციზმის პერიოდში, გარდამავალი ეტაპის რამდენადმე ტიპურ ნიმუშად აღიქმება. შენობის გარეგნული მხარე დღემდე, მცირე დაშენებების მიუხედავად, მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ავთენტურობას. ეზოს ფასადი მცხოვრებთა სურვილისა და გემოვნების მიხედვით უამრავი აივნისა და ლოჯიის ტიპის მინაშენებით ქოთურადაა წარმოდგენილი.

საცხოვრებელი სახლი XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორი ქუჩის სივრცითი ორგანიზების სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს.2 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1196, აღწერა 3, საქმე 2;

ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს.5 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1196, აღწერა 3, საქმე 5

ასს, ფ. ტ-1196, აღ. 3, ს.14 – აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ტ-1196, აღწერა 3, საქმე 14

ჯანზერძე, 1971: – ნ. ჯანზერძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბილისი, 1971.

ჭიჭილეიშვილი, 2016: – მ. ჭიჭილეიშვილი, ბათუმი. დროში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. (კულტურული მემკვიდრეების ძეგლები). ბათუმი, 2016.

On an Elite House of Soviet Period in Batumi

Summary

According to the Project Bureau materials preserved in the Batumi Archive funds, a four-storied dwelling house at the junction of M. Abashidze and Vazha-Pshavela streets was assigned for the staff of the Central Executive Committee. Compared to the houses constructed at the early stage of the Soviet period – 1910-20s, it represented an improved version of dwelling houses, provided by creating more comfortable conditions for the state officers. The building constructed at the end of 1930s and in the beginning of 1940s determines the scale of the district and nature of greenery. In terms of artistic style, it reveals some traits of postconstructivism.

ილუსტრაციები



ბათუმის ოლქის მილიციის ისტორიისთვის 1922-1925 წლებში (ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

საქართველოში ახალი ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვეყნის მმართველი პარტია ყველანაირად ცდილობდა მის გამყარებას, გადამჭრელი ზომები მიიღო ისეთი ახალი სახელმწიფო ორგანოების შესაქმნელად, რომლებიც დაამყარებდნენ წესრიგსა და სახელმწიფო უშიშროების დაცვას.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო ქვეყნის განაპირა, საზღვრის-პირა ოლქებში. მათ შორის ბათუმის ოლქშიც, 1921 წლის ივნისში ბათუმის ოლქის შინაგან საქმეთა მმართველობის გამგე მოხსენებაში „აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“, წერდა: „ქემალის ჯარის ნაიბები, რომელთაც დატოვეს ქალაქი ბათუმი, ისევ ოლქში იმყოფებიან. აჭარაში მათ გააჩაღეს ანტიკომუნისტური და ანტი-ქართველური პროპაგანდა და მოუწოდებდნენ ხალხს შეიარაღებისკენ....ისინი ეუბნებოდნენ ხალხს, რომ აჭარას ქემალმა მიანიჭა სრული ავტონომია, რომ ერთმორწმუნე ოსმალეთის გარეშე აჭარის მუსულმანობას არ შეუძლია არსებობა, რომ კომუნისტური ხელისუფლება აღუკრძალავს აჭარლებს მუსულმანობას და სხვა პროვოკაციებს მიმართავდა“ *[სცსა, ფ. 1861, ან. 3, ს. 62, ფურც. 3ა]*. ოლქში ახლად ჩამოყალიბებული მილიციის სამმართველო შეძლებისდაგვარად მუშაობდა, მაგრამ მაინც დასაწყისში მუშაობა ყველგან გაძნელდა, რადგან „...მილიციის შემადგენლობა-პოლიტიკური თვალსაზრისით ყველგან საეჭვოა. ჩვენი ყოველგვარი ცდა, პოლიტიკურად საიმედო მოლიციის შექმნისა, უშედეგოდ დარჩა, გარდა ამისა, რომ პოლიტიკურად მილიცია არაკეთილსაიმედოა, ზნეობრივადაც ვერ სდგას თავის სიმაღლეზე“ *[სცსა, ფ. 1861, ან. 3, ს. 62, ფურც. 4]*.

1922 წლიდან კი საქართველოში მილიციის მთავარი სამმართველოს რეორგანიზაციის შედეგად აჭარაშიც ახალი, გაუმჯობესებული სამილიციო განყოფილება ჩამოყალიბდა.

1921 წლის აგვისტოში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სხვადასხვა ეროვნების და სხვადასხვა

სარწმუნოების მოქალაქეებით დასახლებულ მაზრებში (რაიონებში) სიტუაციის განსამუხტავად, ემსახურათ ამავე ეროვნების და სარწმუნოების მილიციელებს *[სუიკა, გ. 285, ან. 4, ს. 7, ფურც. 121]*. ბათუმის ოლქის მილიცია ძირითადად დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი ქრისტიანი და მუსულმანი ქართველებით. საქართველოს ეროვნულ არქივში არსებულ ფონდებში დაცულია 1922-1925 წლების მთლიანი აჭარისა და ქალაქ ბათუმის სამილიციო განყოფილების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, რომელებიც ნათელს ფენენ ბათუმის ოლქის სამილიციო განყოფილების მუშაობას. აჭარისტანის ახლად შექმნილი მილიციის ძირითადი შემადგენლობა 1922 წლის იანვრითვის მთლიანად დაკომპლექტებული იყო 311 სამტატო ერთეულით და დაყოფილი იყო ოთხი განყოფილებად: 1. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება; 2. სამნეო ნაწილი (განყოფილება), რომელშიც შედიოდა ბუღალტერიაც; 3. სამხედრო გაწვრთნის მარქაფი; 4. სამძებრო განყოფილება; ამ დროისათვის მილიციის უფროსი იყო ამბერკი ურუშაძე. ქალაქ ბათუმის მილიცია დაყოფილი იყო ხუთ სამილიციო რაიონად, თუმცა ზოგიერთ დოკუმენტში მხოლოდ სამი განყოფილება მოიხსენიება. თითოეული სამილიციო რაიონის შტატი განისაზღვრებოდა მილიციის უფროსის, მისი თანაშემწის, საქმის მწარმოებლის, მემანქანის, რეგისტრატორის, დამლაგებლისა და შიკრიკისაგან. სამილიციო რაიონები დაკომპლექტებული იყო დაახლოებით 45 უფროსი და უმცროსი მილიციელისაგან. ქალაქ ბათუმის პირველი სამილიციო რაიონის უფროსი იყო კოკო ებრაღიძე; მეორე რაიონის – კოლია ოდილაძე; მესამე რაიონის – თომა ჩიქვილაძე; მეოთხე რაიონის – პროკოფი მეფარიშვილი; მეხუთე რაიონის – გაბრიელ ჩანგიშვილი *[სუიკა, გ. 285, ან. 1, ს. 249, ფურც. 17-19]*. გარდა ამისა, ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დამაბული სიტუაციის გამო შტატის გარეშე აყვანილი ჰყავდათ 42 უმცროსი მილიციელი, 5 – უფროსი მილიციელი და 3 – პოლიტკომი *[სუიკა, გ. 285, ან. 1, ს. 249, ფურც. 15]*. ფაქტიურად, ამ პერიოდისათვის ავტონომიური რესპუბლიკის მილიციაში 400-მდე ადამიანი იყო დასაქმებული.

1921 წლის 25 ნოემბერს საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო და ერთ კვირაში ძალაში შევიდა №102 დადგენილება – საქართველოს სსრ რესპუბლიკის სანავთსადგურო მილიციის შექმნის შესახებ *[სუიკა, გ. 600, ან. 1, ს.130, ფურც. 53]*. წყლის მილიციის სამმართველო დაკომპლექტებული იყო 49 თანამშრომლით, სათავეში ედგა ფ. სპრინკველი. 1921 წლის შემოდგომიდან 1922 წლის გაზაფხულამდე წყლის მილიციამ რამდენიმე ხელმძღვანელი გამოიცვალა: სპრინკველი შეცვალა ემელიანე წერეთელმა (თუმცა

ზოგიერთ დოკუმენტში ამ თანამდებობაზე უკვე ჟორდანია მოიაზრებოდა). ზაფხულში წყლის მილიციის უფროსად ოფიციალურად დაინიშნა ა. ჟორდანია, თანაშემწედ – დავით დადიანი.... „თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი შავი ზღვის სანაპირო მილიციაში რაიმე ბოროტმოქმედებას, რადგან ახლობელ ხელმძღვანელობას უწევენ პასუხისმგებელი ამხანაგები და თვით მილიციის სათავეში სდგას გამოცდილი და ენერგიული ამხ. ჟორდანია“ *[სუიკა, გ. 285, ან. 7, ს. 22, ფურც. 13]*. წყლის მილიციის თანამშრომლებს საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა „...თანამშრომლები მატერიალურად ძალიან შეწუხებულები არიან, ღებულობენ დღეში მარტო ორ გირვანქა პურს, რაც, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილებთ, მათი სხეული სრულიად დაუძლურებულია“ *[სუიკა, გ. 285, ან. 7, ს. 22, ფურც. 5ა]*. მათი ხელფასი განისაზღვრებოდა 121-412 ათას მანეთამდე, თუმცა ანაზღაურება რამდენიმე თვეში ერთხელ ხდებოდა. თანამშრომელთა სიმცირე გავლენას ახდენდა სამსახურის ხარისხიან შესრულებაზე. ხშირი იყო უბედური შემთხვევები, მარტო 1922 წლის ივლის-სექტემბერში, წყლის მილიციის პატაკის მიხედვით, ზღვაში დაიხრჩო (უგზოუკვლოდ დაიკარგა) 8 ადამიანი.

საქართველოს სსრ შსსკ 1923 წლის 7 მარტის დადგენილებით ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების ნავსადგურების გაერთიანების გამო, წყლის მილიცია გაუქმდა და ნავსადგურების ტერიტორიის დაცვა გადაეცა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას *[სუიკა, გ. 600, ან. 1, ს. 130, ფურც. 48]*.

1922 წლის სექტემბრისათვის ავტონომიური რესპუბლიკის მილიციის შტატებში მოხდა ცვლილება, მაგრამ უწყება შინაარსობრივად უფრო მრავალფეროვანი გახდა. კერძოდ, დაემატათ საადმინისტრაციო-სამწყობრო განყოფილება, ცხენოსანთა ასეული, პოლიტ-სეკრეტარიატი, ექიმი, ფოტოგრაფი, მილიციის მომზადების კურსების განყოფილება, საერთო კანცელარია, სისხლის სამართლის ძიების განყოფილება. ამ დროისათვის აჭარის მთავარი მილიციის უფროსად უკვე გვევლინება ზეექერია ლორთქიფანიძე.

ავტონომიური რესპუბლიკის მილიციას ცხენოსანთა ასეულს 24 ცხენი ემსახურებოდა, ყველა მათგანი დალდასმული იყო და ყველას სახელი ჰქონდა: „კომხოზი“, „კუკლა“, „მარუსია“, „ალი“, „კოლია“, „თედე“, „თამარა“, „კირიზ“, „მალდავანი“, „ბაკური“, „ელენა“, „მალჩიკი“, „ალისა“, „კალმახა“, „არაბიკა“, „დობრა“, „აბხაზა“, „ჩუბალკინა“, „დეპეშა“, „შავლუხ“, „ცური“, „ალი“, „ყარაჩი“, „გრიშა“, „ვაბლა“ *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 87, ფურც. 10]*. „1922 წლის დეკემბერში ცხენოსან ასეულის ცხენებს დაემატა ბანდიტ მანწყავასთვის ჩამორთმეული ცხენი „ყაჩადი“.ბანდიტ მანწყავასგან ჩამორთმეული ცხენი სახე-

ლად „ყაჩაღი“ ჩარიცხულ იქმნას საკვებზედ ჩემდამი რწმუნებულ ოლქის მილიციის ცხენოსან ასეულში“ *[სუიცა, გ. 285, ან. 5, ს. 87, ფურც. 2ა]*.

1923 წლის იანვრიდან ბათუმის ოლქის მილიციის ცხენოსანთა ასეული დაიშალა და ყველა ცხენი გადანაწილდა ბათუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე. „ბათუმის ოლქის ცხენოსანი ასეულის ცხენები, თავისი მოწყობილობით განაწილებულ იქმნას ბათუმის ოლქის მაზრებში:

1. ბათუმის მაზრაში – 4 ცხენი: „მარუსია“, „რადიო“, „მალჩიკი“ და „თავადი“;

2. კინტრიშის მაზრაში – 6 ცხენი: „ყაჩაღი“ (ყაჩაღ მანწკავასი), „დეპეშა“, „კირგიზი“, „მალდავანი“, „დობრა“ და „მიშა“.

3. აჭარისწყლის მაზრაში – 3 ცხენი: „ელიჩკა“, „ბაკურა“ და „ნერა“.

4. ქვედა აჭარის მაზრაში – 4 ცხენი: „ჩუბიშნიკო“, „აბხაზი“, „ალი“ და „გრიშა“.

5. ზედა აჭარის მაზრაში – 5 ცხენი: „ვალარიკი“, „შალუხი“, „კოლია“, და „ფარანა“.

დანარჩენი სამი ცხენი დარჩეს ბათუმის ოლქის მილიციის განკარგულებაში... თანახმად ზემოთ ხსენებული ბრძანებისა, ცხენები განაწილებული იქმნეს ჩემდამი რწმუნებულ ოლქის მაზრებში. ბათუმის მაზრის ცხენები: „მარუსია“, „მალჩიკა“, „რადიო“ და „თავადი“ (ეს უკანასკნელი მილიციელი დადიანის საკუთრებაა); ჩემს განკარგულებაში რჩება 4 ცხენი, ვინაიდან ბათუმის მაზრაში გადაყვანილია ერისთავი თავისი საკუთარი ცხენით, ამ რიგათ, რჩება შემდეგი ცხენები: „საგა“, „კომხოზი“, „არაბიკა“ *[სუიცა, გ. 285, ან. 5, ს. 87, ფურც. 4,5]*.

ცხენოსანი მილიციის მთლიანი შემადგენლობა გაერთიანდა ქალაქის მილიციის ფეხოსანი მილიციის შტატში.

1923 წლის 3 თებერვლის ბათუმის ოლქის მილიციის ბრძანებით მილიციის ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილებები: კინტრიშის მაზრაში მილიციის უფროსად დაინიშნა ოსმან ბოლქვაძე, მის თანაშემწედ – ასათიანი, რომელიც ამავე დროს პოლიტ-ხელმძღვანელიც იყო. ბათუმის მაზრაში: მილიციის უფროსი – რიზა ბეჟანიძე, თანაშემწე – ციციშვილი. აჭარისწყლის მაზრაში: მილიციის უფროსი – ხუსეინ აბაშიძე, თანაშემწე – ჯოჯუა, პოლიტ-ხელმძღვანელი – ჭავჭავაძე; ქედის მაზრაში: მილიციის უფროსი – მურად ბერიძე, თანაშემწე და პოლიტ-ხელმძღვანელი – ფოცხიშვილი; ხულოს მაზრაში: მილიციის უფროსი – მემედ ტარიელაძე, თანაშემწე – იოსელიანი, პოლიტ-ხელმძღვანელი – თავდიშვილი *[სუიცა, გ. 285, ან. 5, ს. 87, ფურც. 26]*.

1923 წლის იანვრის თვის მონაცემებით, მილიციის სამმართველოში სხვადასხვა ხასიათის 1076 დანაშაული დაფიქსირდა, შედგენილი იყო ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხასიათის 45 საქმე. 1923 წლისთვის ბათუმისა და ბათუმის ოლქში დანაშაულის რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ასეთი იყო:

№№	ბოროტმოქმედების ხასიათი	შემთხვევების საერთო რიცხვი	გახსნილი დანაშაული	გაუხსნელი დანაშაული	შენიშვნა
1	ქურდობა	33	21	12	
2	შეიარაღებული დანაშაული	9	3	6	
3	ხანძარი	3	2	1	
4	მკვლელობა-დაჭრა	7	5	2	
5	თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაული	3	2	1	
6	სულ	54	33	21	

[სუიკა, გ. 285. ან. 1, ს. 475, ფურც. 4-5]

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რესპუბლიკის მილიციას დაემატა ახალი განყოფილება: ახლად შექმნილ მილიციის მომზადების კურსების განყოფილებას ევალებოდა მილიციის შემადგენლობის მომზადება, სასწავლო პროგრამაში შედიოდა: სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო საქმეთა კოდექსი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსის საპროცესო კოდექსები, პოლიტგანათლება, და პოლიციის შემადგენლობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია.

1924 წლის იანვარში შსსკ №12 ბრძანებით, ქალაქ ბათუმის მილიციის უფროსი კილაძე თანამდებობიდან გათავისულდა „...მთელი იმ ხნის განმავლობაში როდესაც მე მექვემდებარებოდა ქალაქის მილიცია მთელი მისი შემადგენლობით მათი ენერგიული და დაუღალავი მუშაობით, მე საშუალება მქონდა, მეწარმოებინა საქმე და დამეყენებინა ჯეროვან ნიადაგზე, რაც გამოიხატებოდა არა მარტო ჩემს პირად მუშაობაში, არამედ მთელი იმ თანამშრომლების დახმარებაში, რომლებიც სიამოვნებით ეგებებოდნენ დაკისრებულ მოვალეობას შესრულებაში.... ახლა დანიშნულებისამებრ ვტოვებ რა ქალაქ ბათუმის მილიციის უფროსის მოვალეობას, საჭიროდ ვსთვლი, ჩემის მხრიდან,

როგორც მცოდნე თანამშრომლების შრომისა და მთელ მილიციის შემადგენლობას გამოვუცხადო მადლობა გაწეული თანაგრძნობისათვის და ვუსურვებ მათ კეთილ სურვილების შესრულებას შრომის დაფასებით“ *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 48ა]*.

ქალაქ ბათუმის მილიციის სამმართველოს (ზოგ დოკუმენტში უკვე მოხსენება, როგორც აჭარის ცენტრალური სისხლის სამართლის მილიციის სამმართველო) უფროსად დაინიშნა დეომიდე ქუჩულორია, (ქართველი), სამმართველო დაკომპლექტებული იყო სულ 15 შტატით.

1924 წლის დასაწყისისათვის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქსა და მთლიან ოლქში დანაშაულის რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ასეთი იყო:

№	დასახელება ბოროტმოქმედებისა	საერთო რიცხვი	გახსნილი	გაუხსნელი	წარმოება
1	ქურდობა	594	289	295	10
2	მითვისება	37	18	15	4
3	ფულის გატაცება	3	2	1	-
4	სახაზინო ნივთების გაყიდვა	10	8	-	2
5	თავდასხმა	25	8	17	-
6	გვამის აღმოჩენა	2	2	-	-
7	ნაქურდალი ნივთების ყიდვა-გაყიდვა	14	14	-	-
8	კონტრაბანდის აღმოჩენა	27	27	-	-
9	მკვლელობა	7	5	2	-
10	სისხლის სამართლის მილიციის მთხოვ. შეურაცხყოფის მიყენება	2	2	-	-
11	ქალის გაუპატიურების მცდელობა	3	3	-	-
12	სულ	723	378	330	15

[სუიკა, გ. 285, ან. 1, ს. 909, ფურც. 17]

1924 წლისთვის გაიზარდა და გაფართოვდა აჭარის მილიცია. დოკუმენტებში დაცულია 1924 წლის ბათუმისა და ბათუმის ოლქის მილიციის პირადი შემადგენლობის დოკუმენტები და ქალაქში განთავსებული სამილიციო განყოფილებების მისამართები: პირველი უბნის მილიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნესტორ ასათიანი (ქართველი, 35 წლის) მოთავსებული იყო გიორგიევის ქუჩაზე, 11 ნომერში, დაკომპლექტებული იყო 35 თანამშრომლით. მეორე უბნის მილიციას ხელმძღვანელობდა სულეიმან ფაღავა (ქართველი მუსულმანი, 29 წლის), განთავსებული იყო ზინოვიევის ქ. 72 ნომერში, ასევე დაკომპლექტებული იყო 35 შტატით. ქალაქ ბათუმის მესამე უბნის მილიცია მოთავსებული იყო ჯაფარიძის 32 ნომერში, მილიციას ხელმძღვანელობდა ირაკლი გობრონიძე, (ქართველი, 41 წლის). ოლქის ცხენოსანთა ოცეული მოთავსებული იყო ლერმონტოვის 13 ნომერში, მას ხელმძღვანელობდა ილია ბახტაძე (ქართველი, 28 წლის).

ქალაქ ბათუმის მილიციის სამმართველო და მარქაფის მილიცია განთავსებული იყო წინოშვილის ქ. 9 ნომერში. მარქაფა რაზმს სათავეში ედგა გრიგოლ შოშიტაშვილი, ქართველი, 24 წლის. ქობულეთის რაიონის მილიცია დაკომპლექტებული იყო 31 მილიციელით, ხელმძღვანელობდა ხასან თხილაიშვილი, (ქართველი-მუსულმანი, 30 წლის).

აჭარისწყლის მაზრის მილიციას, რომლის შტატი განისაზღვრებოდა 20 მილიციელით, ხელმძღვანელობდა ხუსეინ აბაშიძე (ქართველი-მუსულმანი). ქედის მილიციას ემსახურებოდა 30 მილიციელი, მილიციის უფროსი იყო მურად ბერიძე (ქართველი-მუსულმანი, 33 წლის.) ხულოს მაზრის მილიცია დაკომპლექტებული იყო 33 შტატით, სათავეში ედგა შირინ თავზაროლი, (ქართველი-მუსულმანი). ჭოროხის მაზრის მილიციის განყოფილება დაკომპლექტებული იყო 33 შტატით, ხელმძღვანელობდა ოსმან ბოლქვაძე (ქართველი-მუსულმანი, 28 წლის) *[სურთა, გ.285, ან.5, საქ. 223]*.

მილიციის ხელმძღვანელობის 80%-ს არავითარი ან დაბალი განათლება ჰქონდა, სპეციალური სამხედრო განათლებას მილიციის მხოლოდ 5% ფლობდა. მილიციაში მომსახურე პერსონალის ძირითადი შემადგენლობაც დაბალი განათლების, ან წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მილიციის პროფესიული კავშირის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბათუმის ოლქის მილიციაში პირველ საფეხურზე წერა-კითხვის ლიკვიდაცია იდგა. პროფესიული კავშირის წევრი არც ერთი მილიციელი არ უნდა დარჩენილიყო წერა-კითხვის უცოდინარი. მათი მეცადინეობისთვის საბჭოთა მუშაკების კლუბში მოწყობილი

იყო სკოლა, სადაც მეცადინეობა ყოველდღიურად 5-ის ნახევრიდან 6 საათამდე იმართებოდა *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 60]*.

მილიციის მთავარი სამმართველოდან ქალაქის ყველა რაიონის მილიციის განყოფილებაზე ნაწილდებოდა იარაღი, ტყვია-წამალი, თოფის ბუდეები, ტყავის დაპწნილი საბუთები და თოფის ღვედები, ელექტრონათურები:

№	რაიონის დასახელება	რევოლვერების ბუდე	რევოლვერის სამბუღი	თოფის სამბუღი	ელექტრო ნათურები	შენიშვნა
1	პირველი რაიონი	19	21	26	5	მიცემული არის მილიციონერების საჭიროებისთვის
2	მეორე რაიონი	16	16	20	3	
3	მესამე რაიონი	17	17	18	4	
4	მარტყა	22	22	17	9	
5	სულ	74	76	82	24	

[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 107-108].

მილიციის თანამშრომლებზე წელიწადში ორჯერ რიგდებოდა სამილიციო ფორმა, ნივთების ხმარების ვადა ითვლებოდა დღიდან მათი მიღებისა და მკაცრად იყო განსაზღვრული დარიგებული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხმარების წესი.

№	-	ქუდი	შინელი	საზამთრო ბლუზები	საზამთრო შარვლები	ჩექმები	ქამარი (ყაში)
1	ხმარების ვადა	1 წელი	1 წელი	1/2 წელი	1/2 წელი	1 წელი	2 წელი
2	ღირებულება	5 მან. 38 კაპ.	23მან. 13კაპ.	6მან. 21კაპ.	7მან. 53კაპ.	22მან. 80კაპ.	2მან. 40კაპ.

[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 96].

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქალაქ ბათუმში მილიციის ფორმის ტანსაცმლის შეკერვას ემსახურებოდნენ მკერავები: ობოლაძე, ჩიხლაძე, ბალახოვიჩი, ხოლო ქულების კერავდა მექუდე - ვიგნანსკი *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 219]*.

მილიციელთა კვება ხდებოდა მათთვის გამოყოფილ სასადილოში, სადაც მათი საკვების დღიური ნორმა ინახებოდა დღის 5 საათამდე, სადილის გაუქ-

მებაზე სასადილოს მეპატრონე პასუხს არ აგებდა *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 154ა]*.

ყოველდღიურად ქალაქ ბათუმის სამილიციო უბნებში მილიციელთა განაწილება მორიგეობის მიზნით 9 ძირითად ობიექტზე ხდებოდა: ქალაქის განყოფილებაში, სამმართველოში, სასადილოში, აკადემიურ თეატრში, პიკადილიში, კინოებში: პალასში, აპალოში, ტრიუმფში და ლირაში *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 163, ფურც. 41]*. მილიცია ასევე მუდმივ მეთვალყურეობას უწევდა ქალაქში განთავსებულ სხვადასხვა დაწესებულებას (ობიექტებს). ამ ჩამონათვალთან ვგებულობთ, რომ ამ დროს ბათუმში იყო რესტორნები: „ვივარგოთ“ – ქუთაისის ქ. №1, „მოსკოვი“ – შმიტდის ქ. №4, „ჯალალანისი“ – პეტროგრადის ქ. №17, „პურდვინო“ – კამოს ქ.; სავაჭროები: „დანელიასი“ – ბაქოს ქ. №32, „გოფოდის“ – ლენინის ქ. №12 და „ავექტიროვ ალავრის“ – ლენინის ქ. №24; საყავე – „ანანია კაპრიელის“ – ლენინის ქ. №33; ღვინის სარდაფები: „წაქადის“ – შეპელევის ქ. №48; „რუხადის“ – ცხაკაიას ქ. №72; „კვახადის“ – თბილისის ქ. №34; „ხუჯადის“ – მეგრელის ქ. №35; „სვანადის“ – პეტროგრადის ქ. №76; აბანოები: „ვენეცია“ – თათრის ქ. №6; „ფანტაზია“ – თათრის ქ. №10; „ევროპა“ – ქუთაისის ქ. №6; ღვინის საწყობები: „სულიაშვილისა“ – შეპელოვის ქ. №48; „კუჭუხიძისა“ – ასათიანის ქ. №11 *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 109]*.

მილიციის შრომის ანაზღაურება ხდებოდა როგორც ჩერვონკებით, ასევე – ბონებით. მილიციელის ხელფასი პურის ულუფიანად შეადგენდა 24 ჩერვ. (მან) და 43 კაპ. *[სუიკა, გ. 285, ან. 5, ს. 161, ფურც. 108ა]*.

1924 წლის ბოლოსთვის ბათუმში სულ 135 დანაშაული მოხდა, მათგან მხოლოდ მესამედი იყო გახსნილი, გაუხსნელი დარჩა 8 დანაშაული. ქალაქ ბათუმის მილიციის სამმართველოს სტატისტიკურ მონაცემებში განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი ეჭირა მოქალაქეთა უგზოუკვლოდ დაკარგვის ფაქტს. ამდროისათვის ქალაქში ასეთი 49 ფაქტი იყო დაფიქსირებული. მათგან მხოლოდ 15 ადამიანი იყო ნაპოვნი, იძებნებოდა 34 ადამიანი *[სუიკა, გ. 285, ან. 1, ს. 907, ფურც. 35]*.

აჭარის მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი იყო სისხლის აღების წესი, ამ საშინელი ადათის გამო აჭარაში გადამტერებული იყო მრავალი ოჯახი და გვარეულობა, მთიან რეგიონებში გახშირებული იყო მკვლელობა. ამ დროისათვის ცნობილი ფაქტი იყო ქობულეთის მაზრაში სოფელ დიდვაკეში მცხოვრები ორი გვარის – ბუიოლლების ხუთი მმისაგან შემდგარი და ოთი-ოღლების ოჯახების დაპირისპირება. ამ საქმის განხილვა აჭარის უმაღლეს ორგანოებამდე მივიდა. აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმზე მიი-

ღეს გადაწყვეტილება სოფლიდან ბუიოლლების ხუთი ძმის ოჯახის, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში გადასახლებისა და ოთიოღლების ოჯახიდან პერსონალურად მარჯან ოთიოღლის გასახლების შესახებ. დაპირისპირების გაგრძელების შემთხვევაში, მოხდებოდა დამნაშავე პასუხს აგებდა სასამართლოს წინაშე, და მოხდებოდა მთლიანი ქონების კონფისკაცია *[სუიგა, გ. 285, ან. 1, ს. 1169, ფურც. 60-61]*.

1925 წლის იანვრისთვის ქალაქ ბათუმისა და ბათუმის ოლქის მილიციის სამტატო რაოდენობა გაიზარდა. შეიცვალა ხელმძღვანელობაც, ქალაქ ბათუმის ცენტრალური სისხლის სამართლის განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა გიორგი მკურნალი, ქართველი, 40 წლის. ბათუმის პირველ სამილიციო უბანში დაინიშნა ირაკლი გობრონიძე, ქართველი, 41 წლის. მეორე სამილიციო უბანში დურსუნ ჩიჯავაძე, ქართველი-მუსულმანი, 24 წლის; მესამე სამილიციო უბანში რაჟდენ ახალაძე, ქართველი, 38 წლის. სამართველოს მარჯაფა რაზმს მეთაურობდა სერგო ახალაძე *[სუიგა, გ. 285, ან. 5, ს. 292, ფურც. 1-3]*.

აქ წარმოდგენილი მასალა არ არის სრულყოფილი, შეუძლებელი იყო ხუთწლიანი, რთული სამუშაოს რამდენიმე ფურცელზე გადმოტანა. თუმცა, დაინტრესების შემთხვევაში არქივში დაცული მასალის უფრო ძირფესვიანად გაცნობა შესაძლებელია.

გამოყენებული წყაროები:

სუიგა, გ. 285, ან. 1, ს. ... – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი – ფონდი №285, ანაწერი №1, საქმეები №№ 249, 475, 587, 871, 885, 907, 908, 909, 937, 1169, 1896, 2001.

სუიგა, გ. 285, ან. 3, ს. ... – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი – ფონდი № 285, ანაწერი № 3, საქმე № 293.

სუიგა, გ. 285, ან. 4, ს. ... – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი – ფონდი № 285, ანაწერი № 4, საქმეები №№ 7, 46.

სუიგა, გ. 285, ან. 5, ს. ... – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი – ფონდი № 285, ანაწერი № 5, საქმეები №№ 30, 87, 161, 163, 223, 292, 253.

სუიცა, ფ. 600, ან. 1, ს. ... – სუიცა, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო – ფონდი № 600, ანაწერი №1, საქმეები №№ 130, 386.

სუიცა, ფ. 600, ან. 4, ს. ... – სუიცა, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი – საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო – ფონდი № 600, ანაწერი №4, საქმე №8.

სსცა, ფ. 1816, ან. 3, ს. ... – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობა – ფონდი № 1861, ანაწერი №3, საქმე № 62.

Tinatin Jabadari (Tbilisi, Georgia))

**The District of Batumi District in 1922-1925
(According to Documents Protected in the National Archives)**

Summary

After the abolition of the Main Division of the Militia in 1922, the Ministry of Justice was established, which was ordered by the leadership of the whole Republic. The same new body was formed in Adjarian.

The documents reflecting the work of the whole Ajara and Batumi city administration department are preserved in the funds of the central executive authorities protected in the central archives of Georgia's recent history.

In the topic archive documents are presented in the work of the Batumi District Administration Department of 1922-1925.

საბრძოლო მოქმედებები ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში

ბალკანეთის ნახევარკუნძულის მართლმადიდებელი ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის საბაზით რუსეთის იმპერიამ 1877 წლის 12 აპრილს¹ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედებები ორ ფრონტზე გაიშალა: ბალკანეთსა და კავკასიაში. ქართველი ერი, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ამ ომს დიდი სამომავლო იმედებით შეხვდა. გამოიკვეთა ე.წ. „ოსმალთა საქართველოს“ განთავისუფლებისა და რუსეთის ფარგლებში ქართული მიწების გაერთიანების პერსპექტივა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, ოსმალეთის მსგავსად, საქართველოსთან მიმართებაში ყოველთვის თავისი იმპერიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე, იმ დროისათვის ეს მაინც უფრო უკეთესი ალტერნატივა იყო და ქართული საზოგადოება ამას მშვენივრად აცნობიერებდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში 30-ათასზე მეტი ქართველი იღებდა მონაწილეობას *[მეგრელიძე, 1956: 51]*. „გლეხობის საგრძნობი ნაწილი თავის სურვილით ეწერებოდა მოხალისეთა რაზმებში. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდაო. განსაკუთრებით ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები. ომის მონაწილე ი.მაყაშვილი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გურიის ლაშქრის საბრძოლო დამსახურებას, გადმოგვცემს, რომ ახალგაზრდები ცრემლმორეული ითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიცხათ ისინი ჯარში და გაეგზავნათ ბრძოლის ველზე“ *[სინ, 1970: 441]*.

რუსული სამხედრო ისტორიოგრაფიის მონაცემებით, „კავკასიის არმიას, რომელიც ანატოლიაში სამოქმედოდ იყო გამიზნული, ევალებოდა გაბედული შეტევა განეხორციელებინა ბათუმ-არდაგან-ყარსის ხაზისა და ბაიაზეთის დასაკავებლად, და უკვე ამის შემდეგ, ისიც მხოლოდ კეთილსასურველი პირობების არსებობის შემთხვევაში, გაეგრძელებინა სვლა ერზერუმის მიმართუ-

¹ სტატიაში ყველა თარიღი მოტანილია ძველი სტილით.

ლებით. შესაბამისად, ჩამოყალიბდა მოქმედი კორპუსი, რომელიც შედგებოდა სამი – ალექსანდროპოლის მთავარი და ფლანგებზე მოქმედი ახალციხისა და ერევნის რაზმებისაგან. ჯარი, რომელიც არ შედიოდა კორპუსში, ქმნიდა რამდენიმე რაზმს შავი ზღვის სანაპიროს დასაცავად. გამონაკლისს წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილი ქობულეთის რაზმი, რომელიც გამიზნული იყო ბათუმის მიმართულებით აქტიური მოქმედებების გასაშლელად“ *[Арутюнов, 1898: 346]*.

ბათუმის დაუფლებით რუსული მხარე უკვე დიდი ხანია იყო დაინტერესებული. 1906 წლის საიუბილეო გამოცემაში „Батумъ и его окрестности“ შტაბს-კაპიტანი ტ. ტ. სტეფანოვი, ეხება რა XVII საუკუნის შუახანებში კაზაკების მიერ ბათუმის ალების უშედეგო მცდელობას, აღნიშნავს: „ოცნება ბათუმის დაუფლების შესახებ კვლავ მხოლოდ 150 წლის შემდეგ ჩნდება, როდესაც გურიამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო (1810 წ.). ჩვენი სურვილი, დაგვებრუნებინა ის, რაც ძველთაგანვე გურიას ეკუთვნოდა, ბუნებრივი იყო. გარდა ამისა, ბათუმს გააჩნდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც საუკეთესო უბეს (бухта) შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების მთელ სიგრძეზე. სანაპირო ხაზის ყველა სხვა შეზნექილობა (изгибы) ძალიან უმნიშვნელოა და ხელოვნური ჩარევის გარეშე უამინდობის დროს დიდი გემების თავშესაფრად ვერ გამოდგება. ამ უბის წყალობით იყო კიდევ ბათუმი თურქთა მთავარი საყრდენი პუნქტი როგორც შავი ზღვის ჩვენი სანაპიროების, ისე აფხაზეთის, გურიისა და იმერეთის წინააღმდეგ მოქმედებისას. ჩვენი მხრივ, ჩვენც ყოველი თურქული ომის დროს ვესწრაფოდით ხელში ჩაგვყვოდო ბათუმი“ *[Стефанов, 1906: 90-91]*.

ბათუმის დადებით მხარეებს ა.ფრენკელიც ეხება. „მცოდნე პირთა მონაცემებზე დაყრდნობით (ბატ. ჯიუდიჩის² მოხსენება, ბატ. მალმუზის³ ცნობა, ჩვენი მეზღვაურების მიერ ადმირალ არკასის მეთვალყურეობით ჩატარებული აზომვები და სხვ.), შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბათუმის პორტი შავ ზღვაზე წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო სადგომს ხომალდებისათვის“ – მიუთითებს იგი *[Френкель, 1879: 89]*. აქვე ფრენკელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბათუმის პორტი ადვილად დაიტევს 50-მდე თბომავალსა თუ სხვა სახის გემს, დაცულია ქარებისაგან და გააჩნია ძალიან კარგი მონაცემები და პერსპექტივები სამხედრო და სავაჭრო თვალსაზრისით *[Френкель, 1879: 89-93]*.

² რუსეთის ყოფილი ვიცე-კონსული ბათუმში

³ იტალიის ყოფილი კონსული ბათუმში

ცხადია, ბათუმით დაინტერესება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. მისი ხელში ჩაგდება რუსეთის მთავარსარდლობისათვის მიმდინარე 1877-1878 წწ.-ის რუსეთ-ოსმალეთის ომშიც ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. „რუსეთის გეგმებში ბათუმს ცენტრალური ადგილი ეკავა... მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან იგი ოსმალეთის უახლოესი ნავსადგური იყო რუსეთთან და სწრაფი კავშირი ჰქონდა კონსტანტინოპოლთან“ – წერს მკვლევარი შ.მეგრელიძე *[მეგრელიძე, 1963: 123]*. ოსმალეთის იმპერიასაც კარგად ესმოდა ბათუმის მნიშვნელობა და იმ მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბები, რაც აღნიშნული ქალაქის დაკარგვის შემთხვევაში შეიძლებოდა შექმნოდა ანატოლიის შიდა რაიონებს. აქედან გამომდინარე, ბრწყინვალე პორტა ძალ-ღონეს არ იშურებდა ბათუმის შემოგარენის სათანადო დონეზე დასაცავად. ამ მიმართულებით მოქმედ „ქობულეთის რაზმს“ სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა და მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ვერაფრით შესძლო ქალაქისაკენ გაჭრა.

ომისათვის მზადება და აქტიური სამოხილიზაციო ღონისძიებების გატარება რუსეთის ხელისუფლებამ 1876 წლის ნოემბრიდან დაიწყო. მეფის-ნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ რომანოვმა (იმპერატორის ბიძაშვილი), რომელიც ამავე დროს კავკასიის არმიის მთავარსარდალი იყო, 1876 წლის 1 ნოემბერს მიიღო სამხედრო მინისტრის ტელეგრამა, რომელშიც მინისტრი, იმპერატორის სახელით, სამხედრო ნაწილების შევსებასა და საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას და, აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობისაგან ახალი რაზმების ფორმირებას ავალებდა მას. ბრძანების შესრულება 2 ნოემბრიდან უნდა დაწყებულიყო *[Материалы., 1904:46-47]*.

ბათუმ-ქობულეთის მიმართულებით სამოქმედო რაზმის ფორმირება გურიის რაზმის ბაზაზე დაიწყო, შემდეგ კი თანდათან შეივსო ახალი რეგულარული ნაწილებითა და ადგილობრივ მილიციელთა რაზმებით. შეკრებისა და დისლოკაციის ძირითადი ადგილი იყო ქ. ოზურგეთთან მდებარე სამხედრო ბანაკი. რაზმის მეთაურად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო *[Арутюнов, 1898: 346]*, რომელიც ამავე დროს იყო რიონისპირა მხარის ჯარების სარდალი. 1877 წლის მარტის ბოლოს რიონისპირა მხარის ჯარების შტაბიც ქუთაისიდან ოზურგეთში გადმოიტანეს *[სცხინ, 2008: 50]*.

აღნიშნულმა საჯარისო გაერთიანებამ „ქობულეთის რაზმის“ სახელი უკვე ომის დაწყების შემდეგ, ქობულეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების

პროცესში მიიღო 1877 წლის მაისის თვის დასაწყისში *[Материалы., 1904: 184 (приложение)]*.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის რაზმის შემადგენლობაში შევიდა კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, იმპერატორის ბიძაშვილის მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვის კავკასიის პირველი მსროლელი ბატალიონი. ეს სამხედრო ნაწილი „პირველი მსროლელი ბატალიონის“ სახელით ჩამოყალიბდა 1837 წლის 10 ივლისის ბრძანებით *[Арутюнов, 1898: 1]*, ხოლო 1870 წლის აგვისტოს თვეში მას გადაეთქვა სახელი და ეწოდა „მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიის პირველი მსროლელი ბატალიონი“ *[Арутюнов, 1898: 332]*, რადგან ამ დროისათვის მასზე შეფომა აღებული ჰქონდა თვით დიდ მთავარს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფი. დისლოკაციის ადგილის მიხედვით ბატალიონი ცნობილი იყო აგრეთვე „გომბორელების“ სახელითაც.

სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, 1876 წლის ნოემბრიდან დაიწყო ბატალიონის შევსება ვორონეჟის გუბერნიიდან გაწვეული რეზერვისტებით. 15 დეკემბრისათვის მის შემადგენლობაში შედიოდა 131 უნტერ-ოფიცერი, 30 მუსიკოსი, 859 რიგითი და 86 არასამწყობრო სამსახურის წარმომადგენელი – სულ 1106 კაცი *[Курочкин, Сергеев, 1881: 1-2]*. 1877 წლის 31 მარტს ბატალიონი ოზურგეთის მიმართულებით დაიძრა. მის გასაცილებლად „უავეუსტესი შეფი“ – მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი მოვიდა მეუღლითა და ორი ვაჟით. 3 აპრილს გომბორელთა ბატალიონი ოზურგეთის (ეჟადიის მთის) სამხედრო ბანაკში გენერალ-ლეიტენანტმა ოკლობჟიომ მიიღო, ხოლო მეორე დღის საზეიმო შეხვედრაზე რიონისპირა მხარის ჯარების შტაბის (შემდგომში ქობულეთის რაზმის შტაბის) უფროსის, პოლკოვნიკ გიორგი ყაზბეგის მოწოდებით ერთსულოვნად შეისვა „მამაცი გომბორელების – მომავალი ბათუმელების“ სადღეგრძელო *[Курочкин, Сергеев, 1881: 2-4]*. მიუხედავად ასეთი პომპეზური დასაწყისისა, გომბორელთა ბატალიონს ბათუმში შესვლა წილად აღარ ხვდა – 1877 წ. 11 ივნისის ციხისძირზე წარუმატებელი შეტევის შემდეგ, 17 ივნისს ქობულეთის რაზმის შტაბში მოვიდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის ბრძანება, რომლის ძალითაც კავკასიის პირველი მსროლელი ბატალიონი დაუყოვნებლივ უნდა დაძრულიყო ქ. ალექსანდროპოლისაკენ და შესულიყო მთავარი მოქმედი კორპუსის შემადგენლობაში *[Арутюнов, 1898:362]*. სან-სტეფანოს ზავმა ბატალიონს უკვე ართვინის მისადგომებთან – სოფ. თოლგომთან მიუსწრო, საიდანაც იგი 24 თებერვალს თბილისისაკენ იქნა გაწვეული *[Курочкин, Сергеев, 1881: 78]*.

დავუბრუნდეთ ქობულეთის რაზმს. ომის დაწყების წინ მასში შედიოდა 14111 კაცი. აქედან ქვეით ნაწილებში იყო 10565 მებრძოლი, კავალერიაში – 782 მხედარი, დანარჩენები იყვნენ მეზარბაზნეები და არასამწყობრო სამსახურის პერსონალი. საარტილერიო პარკი შედგებოდა 3-, 4- და 9-ფუნტიანი კალიბრის 48 ზარბაზნისაგან. დასახელებულ საერთო რიცხვში შედიოდა ქართული არარეგულარული ნაწილები – გურიის მილიციის პირველი ქვეითი რაზმი (1320 კაცი) და ქუთაისის ირეგულიარული ცხენოსანი პოლკის 6 ასეული (729 კაცი) *[Материалы., 1904: 184-187]*. ქართველები მსახურობდნენ რეგულარულ ნაწილებშიც.

1877 წლის 11 აპრილს ოზურგეთში ჩამოვიდა კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის თანაშემწე, თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელმაც ჩამოიტანა ცნობა ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. 12 აპრილს ომის დაწყება ოფიციალურად გამოცხადდა. იმავე დღეს სამ კოლონად გაყოფილი ქობულეთის რაზმი სასაზღვრო მდინარე ჩოლოქზე გადავიდა და ქობულეთის ტერიტორიის დაკავებას შეუდგა.

ოპერაციის წარმატება და ბათუმისკენ შეუფერხებელი სვლა დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის განწყობაზე, მათ მიერ დაკავებულ პოზიციაზე. რუსული სამხედრო ისტორიოგრაფიის მიხედვით, რომელიც რუსულ საინფორმაციო წყაროებსა და „ქობულეთის რაზმის“ ოფიცერთა მონაცემებს ეყრდნობა, ადრე გულმხურვალე ქრისტიანი ქობულეთელები ახლა უკვე ასევე გულწრფელ მუსლიმებად იყვნენ ქცეული *[Материалы., 1909: 38]* და თავიდან უმეტესად მტრულად იყვნენ განწყობილი რუსების მიმართ, რასაც, გარკვეულწილად, განაპირობებდა ქობულეთელი ბეგების – ალი და ოსმან თავდგირიძეების გავლენაც. „ადგილობრივი მოსახლეობის ჩვენს მხარეზე გადმოზირების ერთადერთი საშუალება მდგომარეობდა ქობულეთელ ბეგებს შორის ყველაზე გავლენიან პირებთან – ალი და ოსმან თავდგირიძეებთან ხანგრძლივ ურთიერთობასა და მოლაპარაკებებში. მრავალი მიზეზის გამო ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღწია ჩვენთვის სასურველი შედეგებისათვის ომის წინ დაწყებული მოლაპარაკებების საშუალებით“ – მიუთითებენ მოვლენათა თანამედროვე და თვითმხილველი რუსი ავტორები *[Материалы., 1909: 39]*. ამას დავუმატოთ ოსმალეთის მოქმედი ხელისუფლების ძალისხმევა და ქობულეთელთა ბუნებრივი სიფრთხილე, შიში და უნდობლობა ჯერ კიდევ უცხო და გაურკვეველი ზრახვებით მოსული რუსული ძალის მიმართ და მათი ქცევის მოტივაცია გასაგები იქნება.

ამავე წყაროს მონაცემით, მიუხედავად მაჰმადიანობისა, ენითა და გარეგნული ნიშან-თვისებებით ქობულეთელები არაფრით განსხვავდებოდნენ გურულებისაგან. მათი რიცხვი დაახლოებით 9 000 სული იყო და ძირითადად მდინარეების – კინტრიშისა და აჭყვის შუაწელზე ცხოვრობდნენ. ზღვისპირა ტყიანი და ჭაობიანი ნაწილი, აგრეთვე პერანგას მაღალი და ციცაბო კალთები დაუსახლებელი იყო *[Материалы..., 1909: 39]*.

ჩოლოქზე გადასული რუსული კორპუსის წინააღმდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ თავიდან პარტიზანული ბრძოლები გააჩაღა. ამ ბრძოლის მიზეზებს ზოგადად უკვე შევხებით. მოქნილი, ადგილის კარგი მცოდნე, თურქების მიერ კარგად შეიარაღებული⁴ ქობულეთელები პარტიზანული ბრძოლის პირობებში საკმაოდ დაბრკოლებებს უქმნიდნენ მოწინააღმდეგეს, თუმცა, როგორც ჩანს, დიდად არ იკლავდნენ თავს ოსმალთა ერთგულებით და მათი კარნახით თავგანწირული ბრძოლით. ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტებიდან.

ომის დაწყებიდან 29 აპრილამდე რუსულმა კორპუსმა საკმაოდ სწრაფად ქობულეთის უმეტესი ნაწილი. ამ ხნის მანძილზე მას მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის რაზმები უპირისპირდებოდა. ამას ცხადყოფს რუსული წყაროები.

„29 აპრილამდე ჩვენ საქმე გვექონდა მხოლოდ ქობულეთელებთან. თურქების მონაწილეობა ჯერ ინსტრუქციებითა და შთაგონებებით შემოიფარგლებოდა“ – მიუთითებს ერთ-ერთი რუსული წყარო *[Арутюнов, 1898:354]*

29 აპრილს ბრძოლა გაჩაღდა კონდიდისა და ხუცუბნისათვის. აქაც ძირითადად ადგილობრივი, მაჰმადიანი ქართველების მილიცია შეებრძოლა „ქობულეთის რაზმს“. ოფიციალური რუსული სამხედრო ისტორიოგრაფია გვაუწყებს, რომ მოწინააღმდეგეთა რიგები 3-4 ათას კაცს მოიცავდა. აქედან 1000 ქობულეთელი იყო ალი-ფაშა და ოსმან ბეგ თავდგირიძეების მეთაურობით, 800-მდე მაჭახლელი, 800 ლაზი ლაზ ბეგებს შორის ყველაზე გავლენიანი ემინ-ბეის მეთაურობით, 800 ჩაქველი, 250-მდე ჩერქეზი და სხვები. მათ შორის იყო მხოლოდ მცირე რაოდენობა ჯარისკაცებისა ოსმალთა რეგულარული ნაწილებიდან *[Материалы..., 1909: 81; Арутюнов, 1898:354]*. რუსულმა მხარემ ეს ბრძოლაც შედარებით იოლად მოიგო, მაგრამ ამის შემდეგ კი უფრო გაუჭირდა წინსვლა. თურქების მხრიდან უფრო მეტი ძალები იქნა ჩართული ბრძოლაში. ქობულეთის რაზმმა მხოლოდ მაისის ბოლის შესძლო სოფ.

⁴ პორტას მიერ ბრძოლაში ჩართულ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას დარიგებული ჰქონდა სნაიდერის, პიზოდის, გენრი-მარტინის სისტემის სწრაფმსროლელი თოფები *[Материалы..., 1909: 81]*.

სამეზის აღება და ციხისძირის მისადგომებთან მიახლოება *[მეგრელიძე, 1956: 60]*.

29 აპრილიდან ციხისძირის ცნობილ შტურმამდე პერიოდში (1877 წ. 11 ივნისი) ქობულეთის მოსახლეობა უკვე უფრო ლოიალურად იქცევა რუსებთან მიმართებაში და მზადაა საერთო ენა გამონახოს მათთან, მაგრამ ციხისძირთან რუსების მარცხის შემდეგ ისევ აქტიურ ანტირუსულ ქმედებებს მიჰყვება ხელი და უფრო მეტი შემართებით. როგორც რუსული წყარო მიუთითებს, ეს იმისათვის, რომ ცოტა ხნით ადრე რუსებთან გამოჩენილი ლოიალური დამოკიდებულების გამო თურქების თვალში თავისი თავის რეაბილიტაცია მოეხდინა *[Арутюнов, 1898:361]*. აქედან კარგად ჩანს როგორ იძულებით ლავირებას მიმართავს ორ უზარმაზარ ძალას შორის მოქცეული ქობულეთის ერთი მუჰა მოსახლეობა თვითგადარჩენის ინსტიქტის კარნახით.

ციხისძირის ბრძოლის წინ ბათუმის თურქული კორპუსის მეთაურმა დერვიშ-ფაშამ დიდი სამუშაოები ჩაატარა როგორც ციხისძირის პოზიციების გასაძლიერებლად, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვანად *[მეგრელიძე, 1956: 60]*. ციხისძირის ბუნებრივად ისედაც მიუვალი მისადგომები ხელოვნურად კიდევ უფრო გაამაგრეს *[Арутюнов, 1898: 355-356]* და დამცველთა რიგებიც 30-35 ათასამდე გაზარდეს *[Арутюнов, 1898: 356; მეგრელიძე, 1956: 60; სინ, 1970: 445]*.

იერიშის წინ ახალი ძალებით შეივსო ქობულეთის რაზმიც *[Материалы..., 1909: 97]*, მაგრამ მოწინააღმდეგესთან შედარებით რუსული კორპუსი მაინც მცირერიცხოვანი იყო *[მეგრელიძე, 1956: 60; სინ, 1970: 445]*.

რუსი ოფიცრების ცნობით თურქული ძალები სამ იარუსად იყო განლაგებული ციხისძირის გამაგრებულ პოზიციებზე. პირველ რიგში, ყველაზე ქვემოთ, იდგნენ ქობულეთელები (ანუ სხვა ქართველი მაჰმადიანებიც), შემდეგ ნიზამის ანუ თურქული რეგულარული ჯარის ნაწილები. მესამე, ყველაზე ზედა იარუსი ეკავათ ბათუმიდან ახალმოყვანილ არაბისტანელებს. ასეთი განლაგების წყალობით ქობულეთელები იძულებული იყვნენ გაეძლოთ რუსების ნებისმიერი შეტევისათვის და არ დაეხიათ უკან, თორემ გაწყდებოდნენ ნიზამის ხელთ. თავის მხრივ, უკანდახევის შემთხვევაში ნიზამის ჯარისკაცები დაიხოცებოდნენ არაბისტანელთა ხიმტებზე *[Курочкин, Сергеев, 1881: 21-22]*. ასეთი განლაგება ზრდიდა მათ „სიმტკიცეს“ და გამორიცხავდა უკან დახევას.

11 ივნისის იერიში რუსებისათვის მარცხით დასრულდა. ამან აიძულა ქობულეთის რაზმის სარდლობა 15-17 ივნისს უკან დაეხიათ და გამაგრებუ-

ლიყვნენ მუხაესტატეს მიდამოებში *[Курочкин, Сергеев, 1881: 26]*, ანუ იმ პოზიციებზე, რომელიც დაიკავეს ომის დაწყების პირველსავე დღეებში. ამავე ხანებში რუსები წარუმატებლობას განიცდიდნენ ფრონტის სხვა უბნებზეც, ამიტომ ქობულეთის რაზმის შესავსებად რეზერვები ვერ გამოინახა. გარკვეული დროის განმავლობაში რაზმი აწარმოებდა ბრძოლებს დაკავებული პოზიციების შესანარჩუნებლად და ცდილობდა არ დაეშვა თურქული ძალების გაჭრა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით *[მეგრელიძე, 1956: 63]*.

მაღე ბრძოლის ბედი ისევ რუსეთის სასარგებლოდ შემოტრიალდა. „რუსეთის არმიამ დიდი საბრძოლო წარმატებები მოიპოვა ანატოლიაში. მან ოსმალეთი ბალკანეთშიც დაამარცხა. გააფთრებული ბრძოლის შედეგად 1877 წ. 28 ნოემბერს რუსთა არმიამ აიღო ბალკანეთის უპირველესი ციხესიმაგრე პლევნა და საფრთხე შეუქმნა უშუალოდ კონსტანტინოპოლს“ *[სქისინ, 2008: 52]*. პარალელურად, შეტევები განაახლა ქობულეთის რაზმმაც.

15 ნოემბერს, ისარგებლეს რა თურქების უკანდახევით, რუსებმა მუხაესტატედან შეტევა განახორციელეს და კვლავ დაიკავეს ხუცუბანი, ამავე დროს „გურიის რაზმიდან“ მიიღეს ახალი შევსება *[Материалы., 1909: 183-185]*. შეიქმნა ხელსაყრელი მდგომარეობა განახლებულიყო მოლაპარაკებები ადგილობრივ მოსახლეობასთან *[Материалы., 1909: 188]*. პატრიოტულად განწყობილ გავლენიან ქობულეთელებს მიეცათ საშუალება დაეწყოთ ანტიოსმალური მოძრაობის გაღვივება.

მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, დერვიშ-ფაშა მაინც ენერგიულად აგრძელებდა ბათუმისაკენ მიმავალი გზის დაცვას ციხისძირის მისადგომებთან. 1877 წ. დეკემბრის პირველი ნახევრისათვის მან ახალი ძალებით გააძლიერა თურქთა რიგები და დაიკავა პოზიციები ციხისძირში, კვირიკესა და ჩურუქ-სუში. პროთურქულად განწყობილი ბეგების საშუალებით თავი მოუყარა რამდენიმე ათას ქართველ მაჰმადიანს, მათ შორის ქობულეთელებს და განალაგა ისინი სამებისა და ტალახას მიდამოებში. გაავრცელა ხმები, რომ სირიიდან ელოდა მაშველ რაზმებს *[Материалы., 1909: 192]*.

ამასობაში ოსმალეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და სულთანს იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. „რუსეთის ჯარმა, რათა თურქებს წინასწარი საზავო პირობების მიღება დაეჩქარებინათ, 1878 წლის 18 იანვარს ერთდროული შეტევა დაიწყო ბათუმის მიმართულებით – ციხისძირიდან ქობულეთის, ხოლო ართვინიდან არტაანის რაზმით.

არტაანის რაზმის იერიშები დამთავრდა უმნიშვნელო მიღწევებით, ხოლო ქობულეთის რაზმის ოპერაცია – სრულიად უშედეგოდ“ *[მეგრელიძე, 1956: 67]*.

დერვიშ-ფაშას დროებით წარმატებებს აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო – ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 1878 წლის 19 თებერვალს სანსტეფანოში წინასწარი ზავი დაიდო, ხოლო 1 ივლისის ბერლინის ტრაქტატის ძალით საბოლოოდ დადგინდა, რომ ქობულეთი და ბათუმი, სხვა ქართულ მხარეებთან ერთად, ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეცა.

დერვიშ-ფაშა შეეცად გაეჭიანურებინა ბათუმისა და აჭარა-ქობულეთის გადაცემა და ინგლისელების დახმარებით ამ დროისათვის მოეწყო ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული აჯანყება, მაგრამ თურქულმა მხარემ რუსეთის ზეწოლას ვერ გაუძლო. 1878 წ. 12-20 აგვისტოს ქუთაისში მიმდინარეობდა ორივე მხარის კომისართა შეხვედრა, სადაც გადაწყდა, რომ ჩურუქსუს (ქობულეთი), სამეხას, კვირიკესა და დაგვას თურქები დაცლიდნენ 17 აგვისტოს, წიფნარ-ციხისძირის სიმაღლეებს – 21 აგვისტოს; ამავე დღეს უნდა დაეცალათ ართვინი, 23-ში – ბორჩხა, 24-ში – ჩაქვი, ხოლო ბათუმი – 25 აგვისტოს; აჭარისწყლის ხეობა უნდა დაეტოვებინათ არაუგვიანეს 23 აგვისტოსა *[Материалы., 1909: 222-224]*.

15 აგვისტოს რუსული კორპუსის ბანაკში გამოცხადნენ ბეგები, ალაღარები და მამასახლისები თითქმის მთელი ქობულეთიდან და გამოაცხადეს თავიანთი მორჩილება. გაირკვა, რომ თურქული ხელისუფლება და მისი აგენტები ხალხს გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ, აშინებდნენ რა გარდაუვალი შურისძიებით რუსების მხრიდან *[Материалы., 1909: 225]*.

„ქობულეთში (ჩურუქ-სუ) რუსეთის არმია 17 აგვისტოს შემოვიდა. წინ მოუძღოდა გურიის სახალხო ლაშქარი. ადგილობრივი მოსახლეობის სახელით მათ მგზნებარე სიტყვით მიმართა გულო კაიკაციშვილმა“ *[სდსინ, 2008: 53]*.

23 აგვისტოს ჩურუქ-სუში ერთმანეთს პირადად შეხვდნენ კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილე, თავადი სვიატოპოლკ-მირსკი და დერვიშ-ფაშა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ რუსები ბათუმში შევიდოდნენ 25 აგვისტოს, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ჯერ კიდევ იქნებოდნენ თურქული ჯარები სტუმრების სტატუსით *[Материалы., 1909: 226]*.

„იმავე დროს ბათუმის დასაკავებლად ჩამოყალიბდა სამი კოლონა: ართვინიდან – გენერალ კომაროვის, ახალციხიდან – გენერალ ტრეიტერის, და ქობულეთის რაზმიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის, გენერალ-ადიუტანტის, თავად სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით. 25 აგვისტოს, დილის 11 საათზე ქობულეთის კოლონის ჯარები შევიდნენ ბათუმში,

ხოლო გემების ჯგუფი – ბათუმის პორტში. კვალდაკვალ ზღვისპირა მთავარ ბატარეაზე აღმართულ იქნა რუსული დროშა...“ *[Стефанов, 1906: 386]*.

1878 წ. 5 სექტემბერს, სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულებით, ფოთში განლაგებული კავკასიის მე-4 სახაზო ბატალიონი ჩასხდა სამხედრო შხუნებში „ყაზბეგი“ და „რედუტ-ყალე“ და ზღვით გაემგზავრა ბათუმისაკენ, როგორც ამ ქალაქის რუსული გარნიზონი *[Стефанов, 1906: 387]*.

ბათუმის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები:

მეგრელიძე, 1956: – მეგრელიძე შ., „აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობიდან“, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1956, 100 გვ.

მეგრელიძე, 1963: – მეგრელიძე შ., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, 202 გვ.

სდსინ, 2008: – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები : აჭარა“, ტ. III (ბათუმის ოლქი – 1877-1920), „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2008, 602 გვ.

სიბ, 1970: – „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V (საქართველო XIX საუკ. 30-90-იან წლებში), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, 866 გვ.

Арутюнов, 1898: – Арутюнов Ф., „Гомборцы. История 1-го Кавказского стрелкового Его Императорского Высочества Великого Князя Михаила Николаевича батальона“. Типо-Литография И. Вышнянского“, СПб, 1898, 500 с.

Курочкин, Сергеев, 1881: – „Описание боевой жизни 1-го Кавказского стрелкового Его Императорского Высочества Великого Князя Михаила Николаевича батальона в минувшую войну 1877-го - 1878-го годов“, Составили того же батальона штабс-капитан Курочкин и прапорщик Сергеев, под редакцией генерал-майора артиллерии Чернявского. – Типография Штаба Кавказского военного округа, Тифлис, 1881, 98 с.

Стефанов, 1906: – Стефанов Т. Т., „Михайловский крепостной пехотный батальон на Кавказе. 1819-1906“. – Типография поручика Михайловского крепостного пехотного батальона, Батум, 1906, 538 с.

Стефанов, 1906: – Стефанов Т.Т., „Исторический очерк вступления русских войск в гор. Батум 25 августа 1878 г.“ – сб.: „Батум и его окрестности. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи“. – Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, Батум, 1906, 646 с.

Материалы.., 1904: – „Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре“, т. I. – Типография Морского Министерства, СПб, 1904, 632 с.

Материалы.., 1909: – „Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре“, т. V. – Типография Штаба Кавказского военного округа, СПб, 1909, 630 с.

Френкель, 1879: – Френкель А., „Очерки Чурук-су и Батума“. – Типография А. А. Михельсона, Тифлис, 1879, 164 с.

Oleg Jibashvili (Batumi, Georgia)

Battles toward the Direction of Kobuleti-Batumi during the 1877-1879 Russian-Turkish War

Summary

The 1877-1879 Russian-Turkey War is one of the most important period in the history of Georgia. As a result of the war the Russian Empire freed the big part of Southern and western provinces of Georgia that was included into the territory of the Empire. Thus divided Georgian lands were gathered as the united political space and despite the real political goals of the Russian policy, the preconditions for the restoration of the independence of Georgia emerged.

On bases of historical sources (including the Russian ones as well) and scientific literature the work discusses the battles carried in the direction of Kobuleti-Batumi, the role of the residents in those battles and handover of Batumi to the Russian government by the Turkish side.

ღვანლის დაფასება გურამ ლორთქიფანიძე – 80



გურამ ლორთქიფანიძე – 80

2018 წლის 1 სექტემბერს, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ინიციატივითა და ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა წარმოშობით ბათუმელის, ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ **გურამ ლორთქიფანიძის** დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, გორის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო თვითმმართველ ქალაქ ბათუმის მერიამ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

სხდომა გახსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფ. **მერაბ ხალვაშმა**. სიტყვით გამოვიდნენ და იუბილარს მიესალმნენ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი, ბსუ ემერიტუსი პროფესორი **ამირან კახიძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. **როინ მაღაყმაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფ. **ვანო პაპუნიაძე**, თსუ ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტ. დოქტ. **ლელა სარალიძე**, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი, ემერიტუსი პროფესორი **ბიჭიკო დიასამიძე**, ბათუმის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **მარიზა აბაშიძე**, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლ. მეცნ. დოქტ. **ტარიელ ფუტკარაძე**, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, ისტ. მეცნ. დოქტ. **ნოდარ კახიძე**, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფ. **რამაზ სურმანიძე**, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლ. მეცნ. დოქტ. **თამილა გოგოლაძე**, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი, პროფ. **შოთა მამულაძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოს. მეცნ. დოქტ. **მიხეილ მახარაძე**.

სხდომამ ჩაიარა თბილ და სასიამოვნო ვითარებაში. იუბილარს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები, გახმოვანდა ოფიციალური ინფორმაცია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს მიენიჭოს ბათუმის საპატიო მოქალაქისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებები (მინიჭების ცერემონიალი დაგეგმილია მიმდინარე წლის 14 ოქტომბრისათვის).

დასასრულს, ღვაწლმოსილმა მეცნიერმა მადლობა გადაუხადა სხდომის ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას გულწრფელი სიყვარულის გამოვლენისა და დაუვიწყარი დღის ჩუქებისათვის.

ღვანლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ჩვენს თანაქალაქელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, აღიარებულ ანტიკოსს გურამ ლორთქიფანიძეს 80 წელი შეუსრულდა. დაიბადა ქ.ბათუმში 1938 წლის 14 სექტემბერს, სწავლობდა ერთ-ერთ გამორჩეულ საუკეთესო ტრადიციების მქონე ქ.ბათუმის №1 საშუალო სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლიტერატურული საღამოების, სპორტული შეჯიბრებებისა და სამეცნიერო ექსკურსიების მოწყობას. ჩვენი იუბილარიც ყოველივე ამ ღონისძიების აქტიური მონაწილე გახლდათ. ხშირი სტუმარი იყო ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის. ვფიქრობთ, რომ ბათუმურმა წლებმა დიდი როლი ითამაშა მკვლევრის მომავალი პროფესიის განსაზღვრაში. თბილისის 68-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მას ვხედავთ იმდროინდელ მსოფლიოში გამორჩეულ მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტთა შორის. ეს კი დიდი განაცხადი იყო, შეიქმნა ფართო ასპარეზი. რად ღირს იმის აღნიშვნა, რომ ახალბედა სტუდენტს ლექციებს უკითხავდნენ მსოფლიოში ცნობილი მიმართულებისა თუ სკოლების ფუძემდებელი მეცნიერები. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ა.არციხოვსკი, აკად.ბ.რიბაკოვი, აკად. კისელიოვი, აკად. დ.იანინი, პროფ. ვ.ბლავატსკი, პროფ.ბ.გრაკოვი, პროფ.დ.ავდუსინი, პროფ. ა.გოლენკო და სხვა.

პროფ. გ.ლორთქიფანიძის დამსახურებით მეც მომეცა შემდგომ წლებში ბევრ მათგანთან დამემყარებინა ურთიერთობები, ზოგიერთი მათგანი ფიჭვნარის გათხრებზეც გვეწვია. მახსოვს მოსკოვის არქეოლოგიის ინსტიტუტის ანტიკური არქეოლოგიის სექტორის გამგემ ვ.ბლავატსკიმ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენს უახლეს ადამიანებთან დაკავშირებით მიგვიწვია ქ.მოსკოვში. გაფართოებულ სხდომაზე გავაკეთე ვრცელი ინფორმაცია ფიჭვნარის მკ.წ. V ს კოლხური და ბერძნული ნეკროპოლების კვლევის შედეგებთან დაკავშირებით. ბევრი სასიამოვნო სიტყვა მოვისმინე გამომსვლელებისაგან. მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ვ.ბლავატსკის სიტყვები – „ამირან კახიძემ ფიჭვნარში რიზონა აღმოაჩინა“. საქართველოს წარგზავნილი ფართოდ ჩაება სამეცნიერო სამუშაოებში, დაიბეჭდა პირველი სტატიები, მონაწილეობა მიიღო სიმფეროპოლის, დონუზლაის, ბიჭვინთის, ვანისა და სხვა კონფერენციების მუშაობაში.

1961 წლის დეკემბრიდან გ.ლორთქიფანიძე ინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უმცროს მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე; ამავდროულად ტოვებენ ასპირანტად მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კათედრაზე. დამთავრების შემდეგ, 1965 წელს დაბრუნდა საქართველოში.

პროფ. ვ. ზღვატაძის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „კოლხეთი ძვ. წ. II-I სს“. ამის შემდგომ არჩეულ იქნა უფროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. ეს უკვე დიდი წარმატება იყო ახალგაზრდა სპეციალისტ-არქეოლოგისათვის. გაიხსნა ახალი ასპარეზი. 1970 წლისათვის გამოაქვეყნა პირველი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის ისტორიისათვის“ აკადემიკოს გ.მელიქიშვილის რედაქტორობით. მასში საპატიო ადგილი დაიკავა ვანის უახლესმა აღმოჩენებმა, 1978 წლისათვის მოყვა სადოქტორო დისერტაციის პუბლიკაცია „კოლხეთი ძვ.წ.VI-II საუკუნეებში“, რომლის რედაქტორი გახლავთ ჩვენი თანამემამულე დ.ხახუტაიშვილი. მონოგრაფიამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია დაიმსახურა. სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია სტუდენტთა ახალგაზრდობის სპეციალისტ არქეოლოგთა თუ სხვა მოსაზღვრე დისციპლინების თაობების აღზრდა. 1977 წლიდან იუბილარი აკად. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ საქართველოს ისტორიის, შემდგომ კი არქეოლოგიის კათედრის პროფესორია. 1985-2005 წლებში ღვაწლმოსილი მეცნიერი იყო თსუ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი. მის სახელთანაა დაკავშირებული ისტორიის ფაკულტეტზე კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის დაფუძნება. ამით სათავე დაუდო ისტორიული კულტუროლოგიის საკითხების კვლევას. სერიალში ხშირად იბეჭდებოდა ბათუმელი კოლეგების ნაშრომებიც. აღზარდა სპეციალისტების არაერთი თაობა. ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად დაწერა სახელმძღვანელოები. ბუნებრივია მისი ღვიძლი საქმე, მოწედება გახლდა სხვადასხვა ექსპედიციებში მონაწილეობის მიღება. ვანი, დაფნარი, ჭალადიდი, მცხეთა. 1966 წლის ვანის ექსპედიციაში მე და ბატონი გურამ ლორთქიფანიძე სხვა კოლეგებთან ერთად შესანიშნავი აღმოჩენების მოწმენი გაგხდით. განსაკუთრებულია მისი წვლილი ქალბატონ ნ. კილურაძესთან ერთად დაფნარის ქვევრსამარხების კვლევის საქმეში. 1974-2000 წლებში აკად. ა.აფაქიძის დავალებით გ.ლორთქიფანიძე სათავეში ედგა დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის, კერძოდ, ბიჭვინტის არქეოლოგიურ ექსპედიციას. 1979 წელს გამოსცა მონოგრაფია „ბიჭვინტის ნაქალაქარი“, გაკეთდა არაერთი განმაზოგადებელი დასკვნა. დღევანდელი იუბილარი გახლავთ ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიისა და კულტურის ცნობილი პოპულიზატორი. მას ვხედავთ ბევრი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციების მონაწილეთა შორის. გამოაქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 250 სამეცნიერო ნაშრომი ქართულ თუ უცხოურ ენებზე. წევრ-კორესპონდენტ, პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის სახელი ამშვენებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. იგი დიდი ხანია ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ყოველივე ამას ემატება მისი პიროვნული თვისებებიც. ვუსურვოთ გამორჩეულ პიროვნებას კვლავაც დიდხანს ეკეთებიოს საქვეყნო საქმეები. ბატონი გ. ლორთქიფანიძე ოჯახის შესანიშნავი თავკაცი გახლავთ. საყოველთაოდაა ცნობილი მისი მეუღლის არქეოლოგ ქალბატონ ნინო კილურაძის დამსახურება ქვევრსამარხების კულტურის კვლევაში. საკმარისია დავასახელოთ დაფნარის წარმატებული გათხრები. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ამშვენებს ქალიშვილის აღმოსავლეთმცოდნე ქეთევან ლორთქიფანიძის სახელი. არაჩვეულებრივი ცვლა ეყოლება მომავალში ორი ვაჟკაცი შვილიშვილის სახით.



პროფ. მერაბ ხალვაში



წინა რიგში მარცხნიდან პირველი იუბილარის მეუღლე, ქალბატონი ნინო კილურაძე, მეორე – შვილი, ქალბატონი ქეთევან ლორთქიფანიძე;



ემერიტუსი პროფ. ამირან კახიძე



აკად. როინ მეტრეველი



პროფ. როინ მაღაყმაძე



აკად. წევრ.-კორ. ვანო პაპუნიძე



პროფ. ლელა სარალიძე



ემერიტუსი პროფ. ბიჭიკო დიასამიძე



პედაგოგი მარიზა აბაშიძე



პროფ. ტარიელ ფუტყარაძე



პროფ. ნოდარ კახიძე



პროფ. რამაზ სურმანიძე



პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი



პროფ. თამარ გოგოლაძე



პროფ. შოთა მამულაძე



პროფ. მიხეილ მახარაძე



გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.12/2018

ფიზიკური თაბახი 20

ტირაჟი 100

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ფიროსმანის 12